

# ეთონიკურ სოსიალური

## ციტალი ყდაგნო



მოთხოვები და პირა



გამომცემლობა „ენოველსალტ“  
თბილისი 2016

ნიგნის დაფინანსებისთვის ავტორი მადლობას  
უხდის ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის  
მერს, ბატონ ზურაბ ჯირკველიშვილსა და  
ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის  
მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-  
საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორს,  
**ბატონ ვლადიმერ შულლიაშვილს**

რედაქტორები: **იოსებ ჭუმბურიძე,**  
**გიორგი ხორბალაძე**

**მხატვარი კარლო ფაჩულია**

**© გ. სოსიაშვილი, 2016 წელი**

**გამომცემლობა „ანიკერსალი“, 2016**

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

**ISBN 978-9941-22-920-6**

## ვიდრე „წითელ უდაბნოში“ იმოგზაურებდეთ...

მკითხველის წინაშეა გიორგი სოსიაშვილის ახალი წიგნი.

გავიხსენოთ იოსებ ჭუმბურიძის რედაქტორობით გამოცემული ამ წიგნის წინამორბედი შესანიშნავი კრებული – „გამორთული მთვარე“, რომელიც, ქართულ-რუსული კონფლიქტის მხატვრული მატეანეა, თავისუფლად შეიძლება ვაღიაროთ იმ ადამიანების განცდების მატეანედ, კონფლიქტის არეალში რომ ცხოვრობენ და ფიზიკურად და სულიერად ეწირებიან ცხელი თუ ცივი ომის მძვინვარებას. აღარ ვსაუბრობთ აღნიშნული წიგნის მაღალმხატვრულ ღირებულებაზე, რადგანაც ეს უკვე გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების ფუნდამენტია და ყოველი წინა თუ ახალი წიგნი ამ ფუნდამენტის ზედნაშენად გვესახება. გავიხსენოთ ასევე „ვერცხლის ყვავილები“, – სადაც ავტორი მხატვრულ-დოკუმენტურ-ისტორიულ ნაკადს გვთავაზობს და კიდევ ერთი ახალი რაკურსით შემოდის ლიტერატურულ ასპარეზზე.

შორს აღარ გაყვებით, მით უმეტეს, რომ სათქმელი წინამდებარე კრებულის შესახებაც ბევრი გვაქვს.

კრებული იწყება მოთხრობით „დასასრული და დასაწყისი“, რომელზეც ქვემოთ გამოკვეთილად გავამახვილებთ ყურადღებას, თუმცა ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არა მხოლოდ ამ ნაწარმოებში, არამედ მთელს კრებულში

სწორედ დასასრულისა და დასაწყისის ძიების პროცესი შეინიშნება განსაკუთრებით შთამბეჭდავად. დასასრული სწორედ ის ეტაპია, რომელიც უთუოდ გულისხმობს რაღაცის დასაწყისის და რომლის მიღმაც მხატვრული ბუნდოვანებაა. ბუნდოვანება კი ცნობისმოყვარეობის წყაროა. ამიტომა, რომ ავტორი ხან ბავშვობის დასასრულს ეძიებს, ხან სიცოცხლის, ხან ომის, ხან იმ მოჯადოებული წრის, რომელსაც ჩვენი ქვეყანა გარს უვლის გაუთავებელი რევოლუციებითა და ურთიერთდაპირისპირებებით.

მოთხოვთ „ბავშვობის ბოლო დღე“ მწერალი, ამ-ავტორულად, პერსონაჟი. ეძიებს იმ დღეს, როდესაც ბავშვობა დამთავრდა და მიდის დასკვნამდე, რომ მისთვის ეს დღე მისი პირველი კლასის მასწავლებლის გარდაცვალების დღესთან ასოცირდება; სწორედ იმიტომ, რომ ავტორი ბავშვობის დასრულების კონკრეტულ მომენტს, კონკრეტულ დღეს ასეთი შინაგანი ტრაგიზმით ეძიებს, სწორედ იმიტომ, რომ ამ ძიებისას პოეტის ლირიკული გმირი იბადება, ჩნდება მოსაზრება, რომ ბავშვობა სულაც არ არის დასრულებადი, იგი გარკვეული დოზით, სამუდამოდ რჩება ადამიანში. აკი ასეთი ფიქრები აქვს თავად ავტორ-პერსონაჟს: „ერთ პატარა სიზმარში ჩატეულა საუკუნის მესამედი, ბავშვობა, კლასელები, ჩემი პირველი მასწავლებელი. ერთი პატარა სიზმარი ყოფილა...“

...რა მნიშვნელობა აქვს რამდენი წელი გაგრძელდება დარჩენილი გზა, ისიც ერთი სიზმარი იქნება“.

ავტორი ლრმად ჩასდევს ბავშვობის დასასრულის ძიებას, მძაფრი ნოსტალგიით ეძებს ბავშვობასთან დამაკავშირებელ თითოეულ ძაფს და ეს ძიება ამავე კრებულის სხვა მოთხოვბებსაც გადასდევს, რაც, სწორედ იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ, ყოველი ზრდასრული ადამიანი საკუთარი ბავშვობისგან გაუმიჯნავად უნდა აღიქმებოდეს. სინამდვილეში მწერალმა ზუსტად უწყის, რომ ბავშვობის დასასრულის ძიება პენელოთახში კატის ძებნაა, თუმცა ამავდროულად, შესანიშნავად მოფიქრებული ხერხი ძირითად სათქმელზე მაღალი ემოციური დატვირთვის მისანიჭებლად. ამავე იდეოლოგიურ ხაზს მოუყვება კიდევ რამდენიმე მოთხოვბა. მაგალითად, მოთხოვბაში „სალამანდერ“ მთავარი პერსონაჟის ბავშვობის ოცნებისა და ზრდასრულობისას მისი უცნაური ახდენის ამბავია გადმოცემული. „არაფერი ქრება, არაფერი იკარგება, განვლილი გზა, თავის ბავშვობიანად, თითქოს აკეცილია და სადღაც გაქვს შენახული“ – ამბობს მთავარი პერსონაჟი გოჩა და, რა თქმა უნდა, ავტორისეულ მოსაზრებას ახმოვანებს, რაც აშკარად ჩვენეული შეფასების ანალოგია. ბავშვობის თემა გრძელდება მოთხოვბაში „დაისვენე“, სადაც მწერალი თითქოს შვილის სიცელქის თანამონაწილეა და მის ბავშვურ აღტკინებაში საკუთარსაც განიცდის და აღიქვამს. შვილი ცდილობს, ბავშვობაში მცირედ მაინც ჩაითრიოს მამა, რომელიც ისედაც ჩაყოლილია შინაგანი დამოკიდებულებით, მას არა აქვს საკუთარი ბავშვური „მეს“ გარეგნული დემონსტრირების შესაძლებლობა, ამი-

ტომ შვილთან იდენტურობით იცსებს ბავშვობის ნოსტალ-გიას. ამავე ხაზს აგრძელებს „წერილის“, სადაც მზრუნველობიდან დანახული ბავშვობის სურათია წარმოდგენილი. მოთხრობაში „ჩვენი ძველი მესურათე“ კი გმირი, რომელიც ავტორის პროტაგონისტია, მადლობას უხდის ფოტოგრაფს, რომელმაც ბავშვობის სიმბოლოს ფოტო შემოუნახა. იმავე კონტექსტში მეტად საინტერესო მოთხრობაა „ათასკლიტული.“ ის თითქოს კრებულის ორ ძირითად თემას ერთდროულად ეხმიანება. მასში სიცოცხლის არსის, საწყისისა და სასარულის ძიებაცაა: „ვერ მოვიცილე ეს ბავშვობა თავიდან. მემატება წლები, თან მემატება, თან მაკლება. აი, ეს ბავშვობა კი, როგორ გითხრა, ისევ იქა ვარ რა. ვერ გამოვდიგარ. ათასკლიტულივით არის“...

მოთხრობაში – „დასასარული და დასაწყისი“, ავტორი ფსიქოლოგიურ ასპექტში განიხილავს ადამიანის მისიას და, რელიგიური გააზრების თანხლებით, აყენებს საკითხს სიკეთის ქმნადობის უპირატესობაზე. რაშია ადამიანის ბედნიერება? არის ეს ფული, თანამდებობრივი მდგომარეობა, ან სხვა ნებისმიერი მატერიალური სიკეთე, რომელიც უზნების საშუალებით მოიპოვება? თუ ზნეობრივი გზაა რეალური ბედნიერების წყარო? „სულაც სიზმარი არ არის ყველაფერი? იქნებ სიზმარია ცხადი და ცხადია სიზმარი?“ – ასე სვამს კითხვას გაურკვევლობაში ჩავარდნილი მთავარი პერსონაჟი, რომელსაც ბედნიერება სულ სხვაგან ეგულებოდა. ცოდვილის გზა ტანჯვის გზაა, ტანჯვის გზა კი მძიმე და შორი... ამიტომაა,

რომ ამ გზაზე შემდგარი კოტე თავადაც ველარ არკვევს - ცოცხალია, მკვდარი, სიზმარშია თუ ცხადში. და მაინც სად ვითარდება მოვლენები? სად ახსენდება ყოფილ რაი-კომის მდივანს საკუთარი წარსული? სად მიიჩნევს ასეთი ტანჯვით? ავტორის ქვეტექსტი ასე შეიძლება გავიაზ-როთ: ეს ერთი კაცის საიქიოა, სადაც იგი ტანჯვის გზას გადის მონანიებიდან შენდობამდე!

სიცოცხლის არსის, „დასასრულისა და დასაწყისის“ ძიებაა მოთხრობის უმთავრესი იდეა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ძიება განგრძობადია კრებულის სხვა მოთხრობებში. „მთავრდება ეს უხეირო როლი, მთავრდება, თითქო არც დაწყებულა, ისე მთავრდება“ – ამბობს ავტორი მოთხრობაში „ადამი(ა)ნგელოზი“ და აგრძელებს სამყაროს ფილოსოფიურ ჭრილში აღქმის აუცილებლობა-ზე ლიტერატურულად „შენიღბულ“ მსჯელობას. მწერა-ლი მრავალგვარ ასპექტში გადაიტანს ძიების პროცესს და, მოთხრობაში „ზესკრელის ბინადრები“ სვამს საკითხს: იქნებ ზოგჯერ სწორედ ისაა არანორმალური, რაც საზო-გადოებას ნორმად დაუკანონებია? ხოლო არანორმალუ-რად, არაორდინალურად მომართული გონება გართულე-ბული პასუხების გასაღების მოსაძიებელ მინიშნებებს შეიცავს? ეს ძიებაც, დასაწყისის, დაბადებამდე არსებუ-ლი სამყაროს ძიებაა, ოღონდ ორიგინალურ, არასტანდ-არტულ სივრცესა და გარემოში.

გიორგი სოსიაშვილი ერთიან კონტექსტში წარმოაჩენს ფიზიკურსა და მეტაფიზიკურ სამყაროებს და ორიგი-

ნალური დამაჯერებლობით აგრძელებს ხაზს ამ ორი სამყაროს თანაარსებობის თაობაზე. თუ „დასასრული და დასაწყისის“ შემთხვევაში, ავტორი უფრო ფანტასიაგორიული ელემენტებით აყალიბებს ამ პოზიციას, სრულიად რეალური სურათით არის იგივე აზრი გამოხატული ნოველაში „მოკითხვა საიქიოდან“. ერთი შეხედვით, ამბავი იუმორის ქარგაშია მოქცეული, თუმცა, არ შეიძლება, ხაზი არ გაესვას ავტორის მარტივ, მაგრამ, ამავდროულად, მეტად ორიგინალურ მიგნებას, როცა აქცენტი მარტივსა და დამაჯერებელზე გადატანილი. გარდაცვლილი ადამიანი ვიდეოჩანანერში საუბრობს საიქიოს შესახებ, მართალია, ჩანანერი წინსწრებითაა გაკეთებული, ფსიქოლოგიური ფაქტორი იმდენად დიდია, რომ თანასოფლელების გაოგნებასაც იწვევს და მკითხველის წარმოდგენაშიც „ზღვარს“ აფერმქრთალებს. ავტორი კი თითქოს ნიშნის მოგებით მოვარდოდეს: თუ ერთი უბრალო ადამიანის უცნაურ ხუმრობას ამხელა ფსიქოლოგიური ძალა შეიძლება გააჩნდეს, რატომ არ შეიძლება რომ ვიდეოფაილზე უფრო მნიშვნელოვანი მეტაფიზიკური სამყარო ვირწმუნოთ? სამყარო ხომ ვიდეოტექნიკაზე ბევრად ადრე შეიქმნა? ხსოვნა, რომელსაც თავად ვქმნით და რომელიც ისევ ზნეობრივ გზამდე მიდის, ესეც ხომ არის ორი სამყაროს ერთიანობის ერთგვარი დემონსტრირება? რაც უფრო ზნეობრივია გზა - უფრო ნათელია ხსოვნა, რაც უფრო ნათელია ხსოვნა - უფრო იოლად სავალია გზა მონანიებიდან შენდობამდე!

წიგნში შესულია გიორგი სოსიაშვილის პირველი პიე-სა „წითელი უდაბნო“, სადაც იუველირის სიზუსტით არის აღნერილი იმ ტიპაჟთა მრავალფეროვნება, მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე მეტად სახასიათო საზოგადოების ორი პოლუსი რომ შექმნეს. ერთი მხრივ, ძველის ნოსტალგიითა და სიახლის შეუგუებლობით, ხოლო მეორე მხრივ, ყოველგვარი ძველის უარყოფითა და ყველაფრის გადაკეთება-გაახლების მანიით. საზოგა-დოების გახლეჩილობა პიესაში, ძირითადად, სტალინის პერსონის ირგვლივ ტრიალებს, თუმცა ავტორი, კონკ-რეტული თემის მაგალითზე სასტიკი სარკაზმით აცა-მტკერებს რადიკალიზმს, როგორც გონიერივი შეზ-ლუდვის ერთგვარ ნიშანსა და მენტალურ კომპლექსს. ეს არის დოგმებით მოაზროვნე საზოგადოების სურათი, სადაც თითოეული პერსონაჟი საკუთარ ვიწრო თვალ-საწიერშია „გაჭედილი“. რაგინდ უცნაურადაც გამოი-ყურებოდეს, ვასილი დიდ მადლიერებას გამოთქვამს „ბელადის“ მისამართით, რომლის იდეოლოგიითაც ჯერ მშობლები გადაუსახლეს და მერე გვარიანადაც სცემეს. მას მაინც სწამს, რომ „ბელადმა გადაარჩინა“, თორემ უარესი მოუვიდოდა. პიესაში შთამბეჭდავადაა დახატუ-ლი „მუდმივი რევოლუციონერის“ სახე, რომელიც ასევე სხვა ნაწარმოებებშიც პოულობს გამოძახილს.

ლიტერატურული თვალსაზრისით, „წითელი უდაბნო“ უდაცოდ მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებული ნაწარმოებია, პირველი სურათი თითქოს გარდამავალი

გზაა მოთხოვიდან პიესისაკენ, რის შემდგომაც ავტორი უკვე სრულყოფილ დრამატურგიულ ფორმატში გადადის, რაც ასევე საინტერესოა და ერთგვარად ახლებურიც. უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც საქმე მსგავსი ხასიათის ნაწარმოებს ეხება, უმთავრესი მაინც კარგი რეჟისორის თვალთახედვა და ყურადღებაა, რასაც „წითელი უდაბნო“ უდავოდ იმსახურებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კრებულის მრავალფეროვნება არა მხოლოდ ყანრობრივ, არამედ მხატვრული ხერხების არსენალის გაფართოებასაც გულისხმობს. აღსანიშნავია, ისიც, რომ გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ერთ, მახასიათებლად გამოიკვეთა იუმორის ნაკადი, რომელიც ზოგჯერ სატირასთანაა ნაზიარები და ტრაგიკომიკურ სიუჟეტს ქმნის, ზოგ შემთხვევებში კი მკითხველის განმუხტვის საშუალებაა.

ყველა ნაწარმოებსა თუ საკითხს საწინასიტყვაო ფორმატში სრულყოფილად, ცხადია, ვერ შევეხებით.

ახლა, კერი მკითხველზეა, რომელსაც წინ გიორგი სოსიაშვილის ახალი, საინტერესო წიგნი უდევს.

**გიორგი ხორბალაძე**

## იონათამის თვალები

გიორგი სოსიაშვილისაგან კარგი მოთხოვდები დიდი ხანია, აღარ გვიკვირს. ამ კრებულის მთავარი სენსაცია მისი პიესაა, ინტერესს სათა-ურიდანვე რომ აღძრავს. „წითელი უდაბნო“ - ეს ნახატია, რომელსაც სხვადასხვაგვარად კითხულობენ: ზოგისთვის პროტესტის გამოხატულებაა, სხვათათვის - კვლავ „უფროსი ძმისთვის“ გაღებული ხარკი. სინამდვილეში კი ეს გაცილებით ღრმა მეტაფორაა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ტირანული სახელმწიფოს მახასიათებელთაგან „არ გამქრალა ჯერაც ყველა“...

პიქსის მთავარი კონფლიქტი კი სწორედ ტი-  
რანული სახელმწიფოს ბელადს უკავშირდება, უფ-  
რო ზუსტად, მის უკვე აღებულ ძეგლს, რომლის  
კვლავ აღმართვასაც მოითხოვენ „წითელი უდაბ-  
ნოს“ ბინადრები. ქალაქში, სადაც მოქმედება მიმ-  
დინარეობს, ამის მოწინააღმდეგენიც უხვად არიან,  
მაგრამ ბელადის მოთაყვანენი ძეგლის დაბრუნე-  
ბას მაინც მოახერხებენ, თუმცა, სიჩქარეში შებ-  
რუნებით დადგამენ.

არა უშავს, მთავარია, რომ თავის ადგილს  
დაუბრუნდაო, - ამბობენ ბელადის მოთაყვანენი.

შევერწირები და მაინც ჩამოვილებო, - გაჰყვი-  
რის ბელადის მოწინააღმდეგე.

უცექ ვიღაც დაიძახებს, იონათამი დაბრუნდაო და ყველა იქით მიიხედავს, სადაც ბელადის ეპოქაში ქალაქიდან გადახვეწილი დიაკვნის შთა-

მომავალი დგას. ძველი მედავითნე ცალთვალაა. ერთი თვალი დიდი ხნის წინათ დაუკარგავს, მეორე კი ექიმის უცნაურ შეცდომას „შესწირვია“ - დაბინდული თვალში ბროლი უკუღმა ჩაუსვამს და, ამის გამო, ყველაფერს შებრუნებით ხედავს.

ასეთი თვალით უყურებს მრავალი წლის შემდეგ მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული იონათა-მი ბელადის შებრუნებულ ძეგლს და უცნაურად ელიმება. ამ ღიმილით მთავრდება პიესა და მკითხველს ბუნებრივად აღეძვრის ინტერესი: ნეტავროგორ ხედავს?

თუნდაც მარტო ამ პერსონაჟის გასაცოცხლებლად ღირს „წითელი უდაბნოს“ დადგმა.

რა თქმა უნდა, სხვა უამრავი ღირსების გამოც - გაუნელებელი დრამატურგიული მუხტი და ექსპრესია, რელიეფურად გამოკვეთილი ხასიათები, მძაფრი კოლიზიები და ღრმა ქვეტექსტები, მხატვრული სიმართლე, ბეწვის ხიდზე სიარულით რომ მიიღწევა...

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები იმდენად დრამატურგიულია, გასაკვირიც კი იქნებოდა, პიესა რომ არ დაეწერა.

და აი, ძალიან კარგმა პროზაიკოსმა ძალიან კარგი პიესა შექმნა.

რეჟისორებო, „ან კი თქვენ“...

იოსებ ჭუმბურიძე

## დასასრული და დასაწყისი

მივდიოდი და ვგრძნობდი, რო ბოლო გზა იყო. დამ-თავრებას ვგრძნობდი, ვთვლიდი ნაბიჯებს, თითქო ფეხები არ მემორილებოდა, ერთი-ორჯერ შევჩერდი, გზას ავხედე, იტყოდი, რო ღრუბლებში მიიკლაკნებო-და ეს დალოცვილი აღმართი, ლეგა ღრუბლებში უჩ-ინარდებოდა. სული მაწვებოდა, ამოსვლას ლამობდა. ვუძალიანდებოდი, ვეხვეწებოდი, ამ ბებერ სხეულ-ში გამომწყვდეულ ნატანჯ სულს, ყვავილივით რო დაეკენკა ცოდვებს და ეგრე შრამებად დარჩენილი-ყო, ცოდვის ნაკვალევი სამუდამოდ ჩარჩენოდა. სულ ცოტა ხანი დამაცადე, აემ გზას ავივლი, როგორმე ავიტან, ავათრევ სხეულს, რომელსაც მატლი შესევია უკვე, მინასაც აღარ დაელოდნენ, ფუთფუთი გაუდი-ოდათ დამშეულ მატლებს. ბატკნის კიკინი მომესმა, ყური ნავუგდე. კრავის ხმაზე თითქო დავმშვიდი, ლვთის ხმასავით ჩამელვარა და გასაფრენად გამზა-დებული სული მცირე ხანს ჩააცხრო. თვალი დაგხ-უჭე და თითქო რამდენიმე წლის წინ ნანას სიზმარ-ში აღმოვჩნდი, ახალნაწვიმ ბალში, შიშველი ფეხებით ვიდექი სველ მინაზე. ნაწვიმარ ძურნას კიკნიდა წითელნაჭერშებმული ბატკანი. გვერდით გარგალი ყვაოდა. თბილი გაზაფხული შეესწრო მამაჩემის დარ-გულ გარგალს და იპატარძლა, მიწიდან ამომძვრალი ყვავილებით შეიმოსა.

ვიდექი და მციოდა, ფეხის გულები თითქო გაყი-ნული მქონდა. ხან ბატკანს ვუმზერდი, თავს არ სწევ-

და მიწიდან, ლამის დაკუდომოდა წვიმიან ძურნას, ხანდახან დაიკიკინებდა. თავაუწევლად გამოსცემდა უცნაურ ბეგერებს, რომლებიც საიქიოში, ალბათ, სიტყვებად ჩამესმოდა, მიწიერ ყოფაში კი ჩვეულებრივი კიკინი იყო და მეტი არაფერი.

შორიახლო იდგა ჭალარა კაცი და მიღიმოდა, სიკეთის მზე იღვრებოდა მისი მწვანე თვალებიდან. მამაჩემი იყო... თითქო..... თითქო არა. უცნაური ნათელი ეფინა სახეზე. წინ მიწევდა ბატყანი და მეც ნელ-ნელა მივდიოდი, ტალახიანი, შიშველი ფეხებით მივდევდი.

მაშინ ასეთი დასკვნა გამოვიტანე სიზმრიდან: ალბათ, ცხვარი უნდა შემწირა სალოცავისათვის. ვეება თოხლი ვიყიდე და მთავარანგელოზის ტაძართან გავუშვი. იქაურებმა დაიჭირეს. ვიდექი და ვუმზერდი რქაკავშა არსებას, გვერდით ლურჯი საღებავი რო ესვა. ხან მთავარანგელოზის ტაძარს შეხედავდა, ხან ჩემკენ გამოექცეოდა თვალი. ალბათ, მოლოდინი ჰქონდა, რო დავკლავდი და ოხშივარს ავადენდი ტაძართან დანთებულ ცეცხლზე შემომდგარ კარდალს. იქაურებმა მკითხეს, ჩვენ რო წავიყვანოთ ცხვარი, ხო შეიძლებაო.

გამოვბრუნდი. გზადაგზა მომდევდა ცხვრის ბლავილი, იქვე, ტაძრის გვერდით, ცხონებული დათიკოს ბალთან, წამოაქციეს, ტაძრის ცქერითაც ვერ მოასწრო, რო გაეძლო თვალი იმ საცოდავ ვარსკვლავზე გაჩენილ არსებას. ვერ მოასწრო. წამოაქციეს და გამოუსვეს მასათზე ალესილი დანა, მერე თვალის დახამხამებაში ჩამოატყავეს. მოვდიოდი და ცხვრის

ბლავილი ჩამესმოდა. შევწირე... შევწირე... ჩემი ხმა მესმოდა, ჩემი ხმა მესაუბრებოდა...

სიზმარი, სიზმარი... სულაც სიზმარი არ არის ყველაფერი? იქნებ სიზმარია ცხადი და ცხადია სიზმარი. მეც ახალი ვთქვი, ვითომ რამე. როგორც ჩემი სული აწყდება სხეულს და ცაში აჭრას ლამობს, მეც ეგრე აბდაუბდა ფიქრები მაწყდება. ბოლო ფიქრებში ვარ, ჩემთან ერთად დამთავრდება ფიქრიც, არადა ფიქრმაც ხო იწვალა მთელი ცხოვრება, ფიქრსაც ხომ არ მივეცი მოსვენების საშუალება. ასეთი დასასრული უნდა ყოფილიყო.

არგანზე ჩამოყრდნობილ ბერიკაცად ქცეულს, უნდა ამევლო ეს საოცარი აღმართი და ნისლში შემალულ სალოცავში ავსულიყავი. თითქო იქ მიცდის ღმერთი, თითქო აღმართის ბოლოს მელოდება, ავალ და ნაყვავილარ სულს ჩავაბარებ. დაფუთფუთებენ სხეულზე მატლები. ეს ჩემი ცოდვით სავსეები, ესენი... ჭამენ ამ ჩემს სხეულს და ივსებიან ჩემი ცოდვებით. ძლივსძლივობით ავითრიე ჯანდაკი სხეული. სიკვდილმა დამახმარა ხელი, იტყოდი, რო ბოლო წუთებში სიკვდილსაც შევებრალე და ტაძრამდე მისვლაში წამეშველა. სალოცავის კარამდე მიმაცილებს და მერე წამავლებს კარებში ხელს.

იქვე დაიკიკინა ბატყანმა, მივიხედ-მოვიხედე. მომეჩვენა. მარტოდმარტო ვიდექი. როგორც იქნა, გადავდგი ნაპიჯი.

ტალახზე გამიცურდა პირდალრენილი, რაიკომის დროინდელი ტუფლი, ფრატაფრუტით რო დამაქვს

ახლა. აბა, ამას ვინ წარმოიდგენდა. ცხოვრება ამას და ჯანდაბა, როგორ მასხარად გვიგდებს, როგორ გვაპამპულავებს.

მაშინ რო ეთქვა ვინმეს, მოვა დრო და ბოლო გზას ამ ფეხსაცმელებით აივლიო... აი, აი, აი! ყველაფერი მთავრდება, რაიკომის მდივანო, ყველაფერი ძველ-დება, დროს კუჭის ქარად არ ჰყოფნის შენი თანა-მდებობა და სხვა რაღაცები. მხოლოდ მოგონებები ჩარჩენილან და თვლემენ, მიყუჩებულები არიან, თითქო არც უნდათ გაღვიძება. არც უნდა გააღვიძო, არც უნდა დააფეთო, ტვინი ზოგჯერ მოგონებების სამარეა და, როგორც მიცვალებულების შეწუხება არ შეიძლება და მათი ძვლების შერხევა, ისე ამ მოგონე-ბებს არ უნდათ ხელის ხლება. რაც დამთავრდა, ის ხელახლა არ უნდა დაიწყო, გაიგე? დამთავრდა და მორჩა. როგორც დამთავრდა, დამთავრდა, უკვე წარ-სულს ეკუთვნის. მოგონებების სასაფლაოა ეს ოხერი ტვინი, მიცვალებულებივით გარინდებულები, გაყუჩე-ბულები წვანან, უდროობაში ჩაძირულან, მოგონე-ბებიც ისეთივენი არიან, როგორც სააქაოს გასული არსებები, ზოგი უდროოდ წასული, ზოგიც შედარე-ბით ხანდაზმული. რა ვიცი ერთი...

ისევ დაიკიკინა ბატყანმა, ვიხედები აქეთ-იქით, მეჩვენება, საიდან ჩამყვა ბატყნის ხმა, იქნებ მე თვი-თონ ვარ ეს შესანირი არსება. ბოლო აღმართს რო შევუყვი, როგორც გაურჩებულ ცხვარს, ფეხები უკან რო რჩება, მეც ისე მივათრევ ამ ჩემს ბებერ სხეულს. ნისლში დამალული სალოცავი მიცდის. ნელ-

ნელა ვაი-ვაგლახით ავალწევ, ტაძრის კარიბჭემდე როგორმე მივიტან სულს, მერე შემოვატარებ ამ ჩემს ძალაგამოცლილ სხეულს და უკანასკნელად ავიხედები ცაში...

\* \* \*

– დავანგრიე! – იცინის ბენო და რაიკომის აგიტა-ცია-პროპაგანდის განყოფილების გამგეს თვალებში აკვირდება, რას ეტყვის არტემიჩი, როგორ შეაქებს, ან რა ჯილდოზე ნარადგენს.

– ერთი იქაური გოთვერანი მიწევდა წინააღმდეგობასა, ვილაც ქალაქიდან ჩამოთრეული მხატვარი. წინ გადამიდგა, კაცო! ლამის მანქანა გადავატარე და მივაჭყლიტე ეგრევე, ჯერ სხვებიც აყაყანდნენ, მთელი ბირჟა იქ მოგროვდა, მაგრამ რო გადავბლვირე, ხმა გაკმიდეს. მერე მარტო ის მხატვარი ძალაობდა. საცოდავი ხარო! ვერც კი წარმოგიდგენია რას სჩადიხარ, რამხელა ცოდვასა ჰკიდებ შენს შთამომავლობასო, ცოდვასაო, – ხითხითებს ბენო, – შენს თვალწინდაიტანჯებიან შენი შვილები და შვილიშვილები, ხელი არ ახლო, არ გაბედოო.

– მერე? – ჰკითხა არტემიჩმა და თვითონაც ლიმილი შეეპარა წითურ სახეზე.

– რა მერე, არტემიჩი, რა დაგივალებია და არ შემისრულებია? – ბენომ ყვითელი კბილები გამოაჩინა.

– აბა მითხარი... – ჩააცივდა ბენო, – არტემიჩი თითქმ ჩაფიქრდა და თავი გააქნია, – არაფერი, ყოჩალი კაცი ხარ.

- მერე, მერე იმ მხატვარმა?
- რა ვიცი, რაღაცეებს მიედ-მოედებოდა, ისტორია არ გაპატიებთო, ღმერთი სასტიკათ დაგსჯითო, სად არის ღმერთი, აბა, მაჩვენე-მეთქი, – ისევ ჩაიქირქილა ბენომ. – ღმერთი რო არსებობდეს შენისთანა მაი-მუნებს კი არ გააჩენდა-მეთქი...
- მაიმუნები ვინ იქნებიან, ამას შთამომავლობა იტყვისო.
- ერთი სიტყვით, – წვერი მოიქექა ბენომ, – კარგა მივტყიპე ის მხატვარი, წინ გადამიდგა ყარამან ყან-თელივით, ცოტალა დამაკლდა და ლამის ეგრევე გა-დავსრისე.
- არტემიჩი მშვიდად აკვირდებოდა ბენოს.
- ნეტა დაგენახა, არტემიჩი, როგორ ბლაო-და, თორკიალით გამოვიყვანე ის... – გინება ყელში გაუჩერდა, არტემიჩისა მოეხათრა.
- დრო მოვა და მუხლებზე დაჩირქილები მოხვალ-თო, მაგრამ გვიანი იქნებაო. ბეხლერწმა გერომ მოა-ყენა მერე ტრაქტორი და დაანგრია.
- თქვე შობელძალლებო, მადლობლები არ ხართ-მეთქი? კაცი კლუბს გიშენებთ, ახალგაზრდობა გაიზ-რდება, კინოებს გაუშვებენ, ისევ თქვენ არ გამოგად-გებათ-მეთქი?
- მართალიაო, – ერთი-ორმა დამიქნია თავი. სხვე-ბი ისე შესცქეროდნენ ჩამონგრეულ კედლებს, ლამის ტირილი დაეწყოთ... „სამსახურეობრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის, პარტორგანიზაციის წევრს ბენო... ს, გამოეცხადოს მადლობა და დანიშნულ

იქნას პარტორგანიზაციის კოლმეურნეობა „ლიახვის“ განყოფილების ხელმძღვანელად“. რაიკომის მდივნის კაბინეტიდან გამოსულ აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ხელმძღვანელს ბენო მუხლებში ჩაუვარდა და იქვე, მისაღებში მდგომი რამდენიმე ქალბატონის დანახვას თითქო არც მოერიდა, ფეხები დაუკოცნა.

— ხო დავანგრიე არტემიჩ, ხო დავანგრიე!

კიდე დავანგრევ, თქვენ მარტო მითხარით და კიდე დავანგრევ. იმ მხატვარსაც აქ ჩამოგითრევ, მარტო დამავალე...

არტემიჩმა გვერდით მდგომ მღიმარ მანდილოსნებს, რაიკომის მდივანთან რო იყვნენ მიღებაზე ჩაწერილი, თვალი ჩაუკრა, მერე დაიხარა და ჭალა-რაშერეულ თავზე ხელი მოუთათუნა მის ფეხებთან მოკეცილ „პარტორგს“: „კარგი, ბენო, კარგი, საკმარისია“.

ოლონდ ბენომ ვერ გაიგო, რა იყო საკმარისი, მაღლობების გადახდა, ფეხებზე მთხვევა, თუ ტაძრის დანგრევა.

\* \* \*

ნისლი უფრო გაძლიერდა. ადგილის დედამ თითქო მარმაშის ქსოვილი წამოახვია სალოცავის მთას. ხან გამოჩნდება ტაძარი, ხანაც ნისლში შეიმალება, თითქო ბისტი გადაეკრა თვალებზე, ყველაფერი სითეთრეში ჩაინთქა. მთაც სითეთრეში ჩაიძირა, სალოცავიც...

„ისე არ მომკლა, გევედრები, ეს ერთი ნატვრა ამისრულე, სანამ სულს ჩაგაბარებ, მერე, როგორც

გინდა, დამსაჯე, როგორც გინდა, მტანჯე. გევედრები... ველარაფერს ხედავს, ცისკენ კი იმზირება, მაგრამ არაფერი ჩანს... ღმერთოო, ღმერთოო... ჩადენილ ცოდვებთან ნუ დამტოვებ, ტაძრამდე მიმიყვანე, გევედრები. ჩემი აღდგენილი სალოცავი დამანახვე უკანასკნელად. სიცილის ხმა მოესმა. მიიხედ-მოიხედა, ვერაფერი დაინახა, ისევ მოისმა სიცილი, ყური წაუგდო, შვილის ხმას მიამსგავსა და ამოიბლავლა: შვილოო, სად იმალები, გამოდი, შვილოო!.. ის ხმაც სადღაც ჩაინთქა წამიერად, მერე ისევ ჩაესმა სიცილი... თითქო თვალის ჩინი დაუბრუნდა.

თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა თეთრი ნისლი-დან გამოსულ შვილის ლანდს. როგორც ჩარჩა მეხ-სიერებაში შვილის ცხედარი, ისეთი იხილა.

– შენა ხარ, შვილოო?

ლანდი უხმოდ იდგა.

– რატო გამწირე, შვილო, რატო დამლუპე, ჩემი ცოდვები არ მეყოფოდა? ჩემი ტანჯვა არ მეყოფოდა? ჩემი წილი ჯოჯოხეთი... ის ჯოჯოხეთი მანატ-რებინე ამ ჯოჯოხეთს. განა რა ტანჯვაა, განა რა წამებაა, განა რა გეენაა, ამას რო აღემატებოდეს. – ლაპა-ლუპით წამოუკიდა ცრემლები. უცბათ გაურბინა ცხოვრების კადრებმა, თითქო საზვერეებზე ცეცხლოვანმა ანგელოზებმა თვალწინ გაუცოცხლეს ცხოვრების თითოეული წამი.

ვეება შენობისკენ მიაბიჯებს და ამალა მისდევს უკან.

სიტყვით გამოდის და გასუსული დარბაზი თვა-

ლებში შესციცინებს რაიკომის მდივანს...

აჯილდოებენ და ნეტარებით ანთებული თვალებით გასცემის დარბაზში პირველ რიგში მჯდომ მეუღლეს.

გადაცემა გადის და მთელი ოჯახი სულგანაბული მიშტერებია ტელევიზორს, გატაცებით ლაპარაკობენ... რაიკომის მდივნის წარმატებებზე.

სულ ტაში, ტაში. გრიალებს დარბაზი, ეს ხმა ჩარჩება სიცოცხლის ბოლო წუთამდე და ჯოჯოხეთის ხმად ექცევა სულის ამოსვლამდე.

წითელი დროშები ფრიალებს ირგვლივ. დროშები, დროშები, მედლები... ტაში. ის კადრიც გამოჩნდა, რაიკომის მდივნის ოჯახი გაუჩინარებულ შვილს დაეძებს ორ კვირაზე მეტი, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერ გაიგეს. გადაატრიალეს მთელი ქეყანა, არსად ჩანს ეფრემიჩის ერთადერთი ვაჟი. ჭორებმა ააფუსფუსა მთელი რაიონი, საზღვარგარეთ გაქცეულა თურმე ეფრემიჩის ბიჭი, უცხოეთში ბევრი ფული წაუღია. ეძებენ, ეძებენ, ვერსად მიაგნეს. ბოლოს მეგობრის პაპის მიტოვებულ სახლში თვითონ წაადგა შვილის ცხედარს ეფრემიჩი.

ფანჯრის სახელურზე გამოება მავთული და ყელზე წაბმული მიწოლილიყო, ეგრე თვალებლია შეგებებოდა სიკვდილს.

მაშინ გაიგეს პირველად რაიკომის მდივნის ბლავილის ხმა. შვილის გაყინულ სახეზე დამხობილი არამიწიერ ბგერებს გამოსცემდა...

ამ უცნაურ ხილვაში იყო. სალოცავის ფერდობზე

გვიანი შემოდგომის თელხი აფრიალებდა შვილის წერილს.

„იცი, არ მინდოდა, რომ ასე გამემწარებინეთ, ბევრი ვიფიქრე, არ არის ეს ადვილად გასაკეთებელი, ამას ნურც ლაჩრობას დაარქმევთ და ნურც გმირობას, ჩემს თავს გავეძეცი და მორჩია, ადამიანს არაფრის უფლება დაუტოვა ღმერთმა და პარტიამ, ყველაფერი უნდა აკეთო, რაც უფალს სურს და რასაც პარტია გიკარნახებს, მცნებები, მცნებები, მოწოდებები. იმდენი ვიფიქრე ადამიანის დანიშნულებაზე, რომ საბოლოოდ ვერანაირი დასკვნა ვერ გამოვიტანე. არანაირი მისია, არანაირი აზრი... გავჩნდი და დამნაშავე ვარ. ეს დანაშაული უნდა დამთავრდეს.

მაპატიე, მაპატიე, მაპატიე, შენც, შენც, შენც და, რა ვიცი, ყველამ!“

ქარი აფრიალებს წერილს, ბოლოს სახეზე აეკრა თვითმკვლელი შვილის წერილი და ისევ აღმოხდა ბლავილი... არ უნდა გაგენირე ასე, არ უნდა გაგენირე...

\* \* \*

ეს ერთი კეთილი საქმე როგორმე უნდა გააკეთო. სალოცავი ინგრევა, ლვთის სახლი ნადგურდება, ტაძრის ლოდებს სახლში ეზიდებიან. ანაფორიანი კაცი ესაუბრება. უმზერს, თან აქეთ-იქით იყურება, ვინმემ არ დამინახოს, ვინმემ არ შემამწიოს. დავილუპები, დავილუპები, ყველაფერი დამთავრდება, ყველაფერი ჩამოიქცევა. ჩააკანკალა, რო წარმოიდგინა დანგრეუ-

ლი ცხოვრება, რაიკომის მიღმა გატარებული წლები. ცეკაში გაიტანენ ჩემს საკითხს. თითქო ცეკას პირველი მდივნის კაბინეტის მისალებში დგას, ფეხები უბრუუდება, პირი უშრება, ყოველ ჩქამზე გული აშვებული ნაგაზივით აწყდება ღობემკერდს. გაიწკრიალებს ცეკას პირველი მდივნის მდივნის (მდივნის მდივნის – როგორია!) ტელეფონი და შუბლის საწვიმრებიდან ჩამოუწვანენ კარდება ოფლი. მისი კოლეგა რაიკომის მდივნებიც იქ ირევიან, ზვარაკის სახიან „მეგობარს“ უმზერენ. ეს რა ჩაგიდენია, კოტეე! რა გიქნია, კაცო, აურიე? რა გეშველება, რისთვის დაინგრიე ცხოვრება. კოტე, შე მართლა კოტე შენა, რა ღმერთისა და ხატისა აგიტყდა, მღვდლები და ანაფორები გიშველის, ღმერთი რო მოკვდა, ერთად არ ვიყათ პანაშვიდზე... ღმერთი... ეჰ, კოტე, კოტე!

იქნებ გადავრჩე, იქნებ საყვედური მითხრან, გაფრთხილება... ერთი გაფრთხილებაც არასოდეს მქონია, თითით საჩვენებელი რაიკომი გვქონდა, რა მიყო იმ წუნკმა მღვდელმა, საიდან შემომიჩნდა, როგორ გამაბრიყვა. დამღუპა! გამათავისუფლებენ?

რომელიღაც კოლეგა... რაიკომის მდივანი ჩასჩურჩულებს ჰალსტუხმოლრეცილ, სასოწარკვეთილ, ყბაჩამოვარდნილ კოტეს. ეს-ეს არის გამოვედი...

– მერე? – კუთხეში დაყენებული შერისხული მოსნავლის თვალებით შეაცექერდა.

– ვერ გეტყვი, განხილვა მიღის... გაცოფებული კია, ისე... რა ეკლესიები და მღვდლები აგიტყდა?! ეგ კი არა, მე დღეობებიც კი ავაკრძალინე, დღეობე-

ბი, – ნაცრისფერი თვალები მოწკურა კოტეზე ერთი თვით დაბალმა მდივანმა და მწვანეზოლიანი ჰალსტუხი შეისწორა, თან თავის მდივანს გახედა, რომელიც უურნალ – „საქართველოს ქალს“ ჩაჰკირკიტებდა, თუმცა ცალყურდაცქვეტილი უსმენდა რაიკომის მდივნის ჩურჩულს. კოტეზე ერთი თავით დაბალს, რა გამოეპარებოდა და სწორედ იმიტომ უწევდა ხმას, რო მდივანთან უფრო კანთიელად მისულიყო მისი სიტყვები.

– რანაირად შეიძლება ესა, დღედაღამ ხუთწლედის გეგმები ტრიალებს თავში, ხუთწლედი, მღვდელი კი არა, ტოროლა.

– შევდივართ უკვე, ამქვეყნიური სამოთხე აგერ არის ა, – ხელით რაღაცა ფორმა შემოხაზა, – კომუნიზმში მღვდლების ადგილი არ არის. რაც ამ კაცმა სისხლი და ოფლი ჩაანთხია, – თითო ცეკას მდივნის ბინდისფერ, ტყავგადაკრული კარისკენ გაიშვირა, – მართლა ამაზე უნდა ვლოცულობდეთ, ჭკუა რო გვქონდეს.

ღვარად ჩამოსდის ოფლი კოტეს და, თითქო ხელის მტევნები არ ჰქონდეს, ან სისველეს ვერ გრძნობდეს.

– ვიცი, რო არც შენ გიყვარს მღვდლები და ეკლესია. რაღაც გაუგებრობა მოხდა, ალბათ... – მხრებს იჩეჩავს კოტეს მეგობარი...

ყოველ ჩქამზე გული უხტის. ცოტაც და დაინკრიალებს ნითელი ტელეფონი.

– უხმეთ N რაიკომის მდივანს, – გაოფლილი ხელით შეაღებს ცეკას პირველი მდივნის კაბინეტს... –

ვა!

ინგრევა ყველაფერი. მტვერშია გახვეული. თქვენ ვერ ხედავთ, მაგრამ ასეა! არ გჯერა? ვიცი, რო ვერც წარმოგიდგენიათ. სულ ასე გინდა, რომ იყოთ შარვალ-კოსტუმში გამოწყობილები, ყელში ჰალსტუხ-წაჭერილები, სინამდვილეში, ეშმაკი გიჭერთ ხელს და სუნთქვის საშუალებას არ გაძლევთ. მტვერია, მტვერი. ნგრევის მტვერი! ცოტა ხანში, ამ დანგრეული შენობის კედლები ერთიანად ჩაიქცევა და ჩაიმარხებით. ვერც კი წარმოგიდგენიათ. წითელი დროშის და ნამგლიან-ურობიანი გერბის გარდა ვერაფერს ამჩნევთ. ცოდონი ხართ, შვილო! ღმერთს არც თქვენ ეჯავრებით, მაგრამ საჯუთარ სულს ასე როგორ ექცევით, ეშმაკზე უარესად სძიდგნით. ტკბილია მიწი-ერება, ტკბილია ამქეცყნიური დიდება, მაგრამ იმაზე ადრე დამთავრდება, ვიდრე თქვენ გგონიათ.

— რა გინდა ჩემგან? — საცვლებიანი წამოხტა ნამძინარევი კოტე. ცოლი არ გაუღვიძებია. შეშლილივით ახამხამებდა თვალებს. თენდებოდა, დილა იბადებოდა მშობიარე ცის წიალიდან და ისიფერი შუქი უონავდა რაიკომის მდივნის საძინებელში.

არავინ ჩანდა, ესიზმრა ის უცნაური ანაფორიანი ლანდი, ვინც ცხოვრება კინაღამ დაუნგრია, არც ცეკას მდივნის კაბინეტთან დგას ხელებგაოფლიანებული კოტე. როგორ გაუხარდა, რიურაჟის შუქივით შეიჭრა სიხარული, მძინარე ცოლს აკოცა.

— მღვდელი, მღვდელი... — ჩაიბუტბუტა, — რამ დამასიზმრა, — ჩაეცინა. რაიკომის მდივნის სიზმარში

საიდან გაჩნდა მღვდელი?! – კიდევ კარგი, რო სიზმრებსაც ვერ ხედავენ ჩემი მტრები, თორემ... სიზმრებსაც მიართმევდნენ ცეკას მდივანს, – ა, ბატონო, ინებეთ თქვენი ნაქები რაიკომის მდივნის სიზმრები, მღვდელი სტუმრობს ყოველღამ და ეკლესიის აღდგენას სთხოვსო, – ხმამაღლა გაიცინა და მის როხროხზე სიზმრებში დაკარგულმა მეუღლემ, რომელიც გაუჩინარებულ ქმარს დაექებდა, გვერდი იცვალა.

ვეღარ დაიძინა. ახალი დღის დაბადებას უმზერდა ვეება არაბული ტახტიდან.

\* \* \*

- რა არის აპა, ბედნიერება, მითხარი.
- ?!
- რა არის-მეთქი.
- გითხრა, რას ფიქრობ?
- გარინდებული მისჩერებია.
- გითხრა?
- მითხარი, მითხარი.
- მე რომ ვარ, ისეთი მდგომარეობაა ბედნიერებაო.
- საიდან მოიტანე? – ცხვირზე დაადო თითი.
- თვალებზე დაგაკვირდი. ბედნიერება გეწერა, კმაყოფილი იყურებოდი. ცხოვრება ხო ჭამს ადამიანებს, აი, შენ ცხოვრებაგადასანსლული ადამიანის თვალები გაქვს, მაძლარი თვალები.
- ბედნიერება, ბედნიერება, არ მიფიქრია, არც უბედურებაზე მიფიქრია.
- ვაი, დედა!

– რა იყო, – შიშველ მკერდზე გადაუსვა ხელი კენჭივით მოხვდა ნეკის წვერისხელა კერტი. დაიხარა და ბაგებით შეეხო. ქალმა თვალები მილულა.

– რაიკომის მდივნის შვილი რო არ იყო...

ამრეზით დახედა და შიშველ მკერდს მოსცილდა, ხელახლა აყელყელავებული ვნება ძალით დაიოკა.

– ასე მგონია, ნამდვილ სიყვარულს ვერასოდეს იგრძნობ, იქნებ ასეც არ იყოს, მაგრამ მე ასე ვიფიქრე, – შესცინა ქალმა. ბიჭმა მის ძალით მღიმარ თვალებს დამრუბული მზერა დაუბრუნა.

– ცოდონი ხართ მდიდრები, ღმერთს არ უყვარხართ. რამდენჯერ დავწოლილვარ შენთან და ასეთი აზრები არასოდეს ამკვიატებია.

ბიჭი ისევ გამჭოლი მზერით დასცქეროდა, მისი მჭრელი მზერა ქალში ძვრებოდა.

– აღარასოდეს დავწვები შენთან! – ჩაილაპარაკა ქალმა და შიშველ მკერდზე საბანი წაიფარა, – მერე რა, რომ რაიკომის მდივნის შვილი ხარ, რაიკომის მდივნების შვილებზე აღარ გავქირავდები.

– მოგზავნილი ხარ! – დაასკვნა ბიჭმა. წამოდგა, შარვალი ამოიცვა, პერანგის სახელოებში გაჰყო მკლავები.

– ხო, მოგზავნილი ვარ, აგენტი ვარ, – ღიმილით ჩაილაპარაკა ქალმა. – როცა დიდი კაცის შვილი აღარ იქნები, მოდი და მერე ვილაპარაკოთ.

ქალის ცემა მოუნდა. სისხლი მოაწვა, უნდოდა ლოგინიდან იატაკზე ჩამოეთრია და მისი შიშველი სხეული დაელურჯებინა, მაგრამ თითქმ მამის ხმა

ჩაესმა: „შარში გაეხვევი, თავი დაანებე, თავი დაანებე-მეთქი“. ადგა და უხმოდ დატოვა სასტუმროს ოთახი, კარიც ისე გაიხურა, ვერ შეატყობდი, რო ნერვები ერთმანეთში ჰქონდა გადახლართული.

„ბედნიერება და უბედურება“, „ბედნიერება და უბედურება“. ჩადიოდა კიბეზე და სიზმარში ეგონა თავი...

\* \* \*

– ამაზეც დამსჯიან, ამაზეც... არავინ უნდა გაიგოს. ცხოვრება დამენგრევა. არ მინდა, საკუთარი ცხოვრების ნანგრევებში მოვყვე, გესმის? კრინტი არსად დაძრა. ხო გესმის.

– მესმის, – თავს უქნევს ტუჩმობრეცილი ქალი.

– მთელი ცხოვრება მებრძვიან, მთელი ცხოვრება. ტალაბისა და ფურთხის მეტი კი არაფერი მინახავს. ასე მარტივად და იოლად არ მოსულა ყველაფერი, ჯოჯოხეთური წვალება და ტანჯვა სდევდა ყველაფერს ამას. ღმერთი კი არ მნამს, მაგრამ სახარებაში მეც ჩამიხედავს. ის საშინელი აღმართი მეც ავიარე, წვალებით ავიარე, სისხლი ჩავანთხიე, კირის ქარხნის მუშა ვიყავი და რაიკომის მდივანი გავხდი. რაც უფრო მაღლა ადიხარ, უფრო გეშინია ჩამოვარდნის. მეც მეშინოდა, ახლაც მეშინია. ბევრი ვიწვალე, ბევრი ვიტანჯე. რაღაც შევქმენი, მაგრამ ამ შექმნილით ტკბობის საშუალება არ მაქვს, ამ შექმნილის დაკარგვის შიში მტანჯავს. რაღა დაგიმალო და... – მარია კოვზით ნაზად ურევდა თეთრ ფინჯანში დასხმულ ყავას, –

ჰო, რაღა დაგიმალო, ცოლზეც ვეჭვიანობ. არა, ისე არა, როგორც ქმრები ეჭვიანობენ ხოლმე, კაცებზე რო ეჭვიანობენ. მე სხვა ეჭვი მიღრღნის გონებას. არ მინდა, ამ ეჭვმა მომკლას. დღითიდღე მიმძაფრდება, მემატება ეჭვი. ხანდახან თავს დავიმშვიდებ ხოლმე... იქნებ ჩემს ავადმყოფ გონებაში დაისადა ეს ეჭვი და მე ვარ ამ მავნე აზრების შემოქმედი, მაგრამ ვეღარ ვიგერიებ ამ ეჭვის მატლებს... თითქო ცხედარი ვარ... მოდიან და მოდიან.

მგონია, რო ცოლიც გადაიბირეს, მოჩენილი ჰყავთ, ჩემი ცხოვრება ხელის გულზე უდევთ, ცოლი...

ბევრჯერ წამოვჯდები ლოგინზე და ვაცქერდები ჩემს მძინარე მეუღლეს.

ვინ იცის, რა დავალება აქვს მიღებული, ვინ იცის, როგორ გადაიბირეს, რას დაპირდნენ, იქნებ თავიდანვე გადაბირებული ჰყავდათ, რას გაუგებ...

მარიამ ყავას თავი მიანება და კოტეს დაბნეულ, დამფრთხალ თვალებში მიაჩერდა.

— გადავწყვიტე კიდეც, დავისვა და დაველაპარაკო, საბოლოოდ ვუთხარი ჩემი სათქმელი. იმისაც მეშინია, რო ატეხოს ერთი ამბავი და გახმაურდეს. რაიკომის მდივანი, ოჯახის დანგრევა, ცოლისთვის აგენტობის დაბრალება... გადამიყოლებს ეს ამბავი, არ ვიცი, მირჩიე, შენ ხომ ყოველთვის მაძლევდი რჩევებს. — დადუმდა კოტე სოხუმური „მარლბოროს“ ნითელი კოლოფი გახსნა. — ის კი არა, თითქო სიტყვა ყელში გაეჩირა... — შვილზეც ვეჭვიანობ.

მოღრეცილ ტუჩზე მანიკურიანი თითო ნერვიულად

გადაისვა მარიამ,

— საეჭვო ბიჭებს დასდევს. არაფერი გასაკვირი არ არის, რო ესეც გადაებირებინოთ. მაგის მეტი კი არაფერი იციან. საკუთარ ოჯახს აგიმხედრებენ, თუ მოინდომეს. ოჯახის წევრებს შეაჭმევინებენ შენს თავს. ვერავის ენდობი. შვილი... შვილია, გასაგებია, მაგრამ შვილსაც გამოიყენებენ.

— შენ რას იტყვი? — თითქო უკანასკნელ იმედად მკითხავი მარიალა ჰყავდეს სასოწარკვეთილ რაიკო-მის მდივანს. მარია მდუმარე მისჩერებოდა. წამოხტა კოტე, ველარ მოითმინა, ნერვები უარესად გადაე-ნასკვა.

— რისთვის მოგიყვანე, რას დამუნჯდი, შენი თავის გამოდებალა მაკლია. — ლამის თვალებში შეაქცია ყავა: თუ ამბობ რამეს, თქვი, თუ არა და შენი ფეხი ალარ ვნახო. მარია ადგა. სიბერეშერეულ სხეულზე გატკეცილი კაბა შეისწორა და წასვლა დააპირა.

— ამას უყურე, ერთი! — უარესად აენთო კოტე.

— აქეთ მომხედე.

მარიას თავი არ აუნევია.

— შენ გეუბნები, აქეთ მოიხედე-მეთქი... ნიკაპზე ორი თითო ამოსდო და თავი ააწევინა, ფულები ალარ გინდა?

მარიამ თავი გააქნია.

— ნათელმისილველობის უნარი რა ხანია დავკარგე, ვერაფერს გეტყვი. ძალიან კი მეცოდები, მეცოდები... — თავი დახარა ქალმა. — შენც ხო ადამიანი ხარ, — თქვა და კარისკენ წავიდა. გასვლამდე მოუტრიალდა

კოტეს.

- ის კაცი, ფულს რო გთხოვს, მიეცი.
- ვინ კაცი? – თითქო ვიღაც სხვა ადამიანმა იკითხა კოტეს ნაცვლად.
- ანაფორიანი კაცი რო გეცხადება და ტაძრის აღსადგენ ფულს გთხოვს, მიეცი, თუმცა... – კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ დუმილი არჩია, კარი გაიხურა და წავიდა.

\* \* \*

– დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსააა... პირჯვარს იწერს კოტე და თან აქეთ-იქით გაურბის თვალი, ტაძარში მასთან ერთად რამდენიმე ადამიანია, მაგრამ სახეზე ვერც ერთ მათგანს ვერ არჩევს.

ამბიონზე დგას მოძღვარი და ხელებაპყრობილი ასცერის გუმბათს.

„...დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი...“, ნეტა თუ მიცნობენ, ნეტა თუ იციან, ვინც ვარ, – ხელები უცახ-ცახებს რაიკომის მდივანს. საიდან მოხვდა აქ, საიდან გაჩნდა. ალბათ, ისევ სიზმარია, იმ ანაფორიანმა კაცმა ქნა ყველაფერი. თუ სიზმარია ჯანდაბას, როგორმე გათენდება ეს ღამე და გადაივლის ყველაფერი. ხვალ ისევ რაიკომის მდივანი იქნება.

მოძღვარმა ლოცვა შეწყვიტა და გადაიხარხარა.

– ღვთის სიტყვას მდივნობა გიჯობს, კოტე? ნუ გეშინია, არავინ დაგაბეზლებს, არავინ ჩაიტანს ამბავს. ხო არ ჩაიტანთ? – კოტეს სიახლოვეს მყოფ მწირველებს მიმართა მოძღვარმა, ახლა ყველას სახე დაინახა

კოტემ, კელაპტრების შუქზე სათითაოდ დაკვირდა... ყველა ილიმებოდა.

— ხომ არავინ დააბეზღებს კოტეს. — ისევ გადაისარხა მოძღვარმა და რაიკომის მდივანს მიუახლოვდა.

— აჲა, ეს კელაპტარი გამომართვი.

კოტეს თითქო მუხლებში ძალა წაერთვა. მოწყვეტილი დაეცა და აფართხალდა.

— მიშველე, მამაო, მიშველე, — დუუი წამოუკიდა, — პირჯვარსაც გადავიწერ, ეკლესიასაც აღვადგენ. ყველაფერს გავაკეთებ. არა გჯერა, მამაო? — მოძღვარმა ხელი შეახო და ძალა დაუბრუნდა კოტეს...

თვალი გაახილა, ოთახს მოავლო მზერა. საშინელი ტკივილი იგრძნო, თითქო დალენილი ჰქონდა სხეული. თავის აწევა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. მკერდზე თავმომწვარი კელაპტარი ედო.

— მამაო! — დაიჩურჩულა კოტემ.

— მამაო! — უფრო ხმამალლა წარმოსთქვა. კვლავ არავინ დაპასუხებია.

— მამაო! — ძალ-ღონე მოიკრიბა, ისევ სცადა თავის აწევა, მაგრამ თითქო კისერი ჰქონდა გადამსხვრეული.

— მამაო! — დაიღრიალა და დალენილ სხეულში ენით უთქმელმა ტკივილმა დაუარა.

— მიშველეთ, მიშველეთ! — განწირული ხმით ღრიალებდა.

— კოტე, კოტე, კოტე! — თავზე დაადგა ცოლი, — შემომხედე, კოტე, შემომხედე, კოტე, — კოტემ წამ-

იერად გაახილა თვალი და თავზე წამომდგარ ცოლს, რომლის სახეს ბუნდოვნად ხედავდა, მომაკვდავის მზერით მიაშტერდა.

- კოტე, კოტე... მე ვარ, შემომხედე, შემომხედე, – ლოყები მოუსრისა ცოლმა.
- მამაომ გამოგვზავნა?
- ვინ მამაომ, მე ვარ, შემომხედე, შემომხედე!
- სად არის ის კაცი?
- ვინ კაცი? – ხმა აუკანკალდა ქალს.
- დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა, – ნიკაპი უთროთოდა.

– თუმცა, კი არ დამთავრდა, ალბათ, დაიწყო. დაიწყო, თუ დამთავრდა?

- ნუ გეშინია, კოტე...
- არ მეშინია... არ მეშინია... ტაძარი უნდა აღვადგინოთ.

– კელაპტარს ხედავ?  
ცოლი თვალებს არ უჯერებდა.  
– ტაძრიდან წამოვიდე, მამაომ მომცა, ტაძარი უნდა აღვადგინოთ, გესმის?

ცოლი ქვითინებდა. კოტეს მეუღლის ცრემლები სახეზე დასდიოდა.

– მე თვითონვე ვეტყვი ყველას. აღარ მინდა თანა-მდებობა. უფრო შემიყვარდებით ყველა. უფრო დაგ-ინახავთ, ახლა ვერ გხედავ კარგად, შემიყვარდებით, შემიყვარდებით...

\* \* \*

— ტაძართან კახაბერი დაგხვდება, — მამაოს ხმა ჩაესმის კოტეს, თითქო თვალები დაეწება, ვერ ახელს.

— კოტე!

ხელებს აფათურებს სიბნელეში. წყვდიადია ირგვლივ, ვერაფერს ხედავს რაიკომის მდივანი.

— აქ ვარ, კოტე.

— ვერ გხედავ, მამაო, ვერ გხედავ... — ლამის ატირდეს კაცი, უაზროდ იქნევს ხელებს, ვითომ წინ მიინევს, მაგრამ მთვრალი კაცივით ბარბაცებს წყვდიადში.

— მოვა დრო და დამინახავ.

— ახლა ვერა? — სასონარკვეთილი ხმა აქვს კოტეს.

— კახაბერი გელოდება. მორჩილია კახაბერი. თვითონაც გიცნობს, რო მიხვალ.

— მას გადაეცი... როდის წახვალ?

კოტე არც დაფიქრებულა: — ახლავე წავალ. ანაფორიანმა ჯვარი გადასახა: — დიდ საქმეს აკეთებ და ღმერთი შეგეწევა, ეს ტაძარი თქვენ დაანგრიეთ და მადლობა ღმერთს, შენი ხელით აშენდება.

— კახაბერი... — ჩაიბუტბუტა კოტემ.

— ჰო, კახაბერი. გიცნობს კახაბერი, არ უნახისარ, მაგრამ გიცნობს.

— მიცნობს, მიცნობს, — ბუტბუტებს კოტე, — კახაბერი, კახაბერი...

გზას გაუდგა კოტე. მიდის ბარბაცით, ფულით საქსე პარკი ამოუდია იღლიაში. ჩუღუნ წყვდიადში მიდის და ისეთი შეგრძნება აქვს, რაღაც საშინელი

ტვირთი ადევს მხრებზე, ველარ ერევა, თავს ძალას ატანს. როგორი მძიმე ყოფილა ცხოვრება, როგორი მძიმე ყოფილა ფული, დედამიწაზე მძიმე, ჭახა-ჭუხი გააქვს ძვლებს, რამხელა ტვირთის აღება შეგძლებია, კოტე, – ჩაქირქილებს უჩინარი, – ეგეც შენი რაი-კომის მდივნობა, ეგეც შენი მილიონები... აქამდე შენ-თან მოჰქონდათ, ახლა შენ მიგაქვს, თან სად მიგაქვს, ეს რომ შენთვის ვინმეს გაებედა, ციმბირს აქეთ დაა-ტოვებინებდი, მაგრამ ხომ ხედავ, რა მამაძალლია ცხოვრება. რაიკომის მდივანი, სიბრძელეში, ტყე-ლრე-ში მიდიხარ, მიბანცალებ და, რაც კი ოდესმე ფული გიშვია, ერთ ახალგაზრდა მორჩილს უნდა ჩააპარო. მერე ამ ფულით ტაძარს აღადგენენ, მერე იტყვიან, რო ეს ტაძარი რაიკომის ყოფილმა მდივანმა კოტემ აღადგინაო.

შეჩერდა კოტე, სული მოითქვა. უფრო და უფრო გამუქდა, ჩამავდა ყველაფერი, გაკუნაპეტდა ისედაც ყურჭთვალა ლამე. წვიმის ვეება წვეთი დაეცა კოტეს სახეზე, მაგრამ თითქო ვერც იგრძნო. აქეთ-იქით უაზროდ გააცეცა თვალები.

– აქეთ ვარ, კოტე, აქეთ.

ვერაფერს ხედავდა.

– ვინა ხარ? ეშმაკი ხარ?

ისეთი ხმით გადაიხარხარა უჩინარმა, მის ხარ-ხარზე თითქო ყველაფერი შეზანზარდა.

– ეშმაკიო... ვინ არის ეშმაკი, ეშმაკები თქვენ ხართ და სხვაგან სად ეძებთ. თქვენვე მოუწყვეთ ერთმანეთს ჯოჯოხეთი. შენ თვითონ ხარ შენი თავის ეშმაკი.

ღრმად ჩაისუნთქა კოტემ, ფუთა ისევ იღლიაში ამოიდო და გზა გააგრძელა.

— ჰე, ჰე, ჰე, კოტემ... გვინია, რო ამით გადარჩები? ქრთამი მიგაქვს ღმერთან, კოტე? ქრთამი... — ნაბიჯებს აუჩქარა კოტემ და ვეება წვეთები წამოუვიდა, თითქო ყინულის ნატეხები დაეყარა სახეზე, ქარი ამოქროლდა, ფულით სავსე ფუთა უფრო გულმოდგინედ ამოიდო, წვიმის შოლტი გადაუჭირა სახეზე ქარმა. ცოტა ხანში კოკისპირულად დაასხა, ერთი-ორჯერ ისეთი ელვა გაკრთა ცაზე, მთა და ბარი განათდა, გორაკი, სადაც ტაძარი იდგა, კანთიელად გამოჩნდა.

ძალ-ღონე მოიკრიბა კოტემ და გზა გააგრძელა. გალორთხილი მიაბიჯებდა თავსხმაში, უცებ ფეხი დაუცურდა და წაემხო, ტალახში ამოიგანგლა, მაგრამ ვერაფერს გრძნობდა. თითქო სხვისი სხეულით მიაბიჯებდა. ისეთი გრგვინვა გაისმა, თითქო ჩამოვარდნილმა მეხმა შუაზე გახეთქა დედამიწა, წურწურით გასდიოდა წყალი, მდივნობის დროს ნაშოვნ ფულს სველ იღლიაში საგულდაგულოდ მალავდა. თითქო ვეება ლოდს მიათრევდა და, სადაც იყო, მიიტანდა დანიშნულ ალაგზე, მიიტანდა და გათავისუფლდებოდა, ლოდისგან გათავისუფლდებოდა. მთელი ცხოვრება ამ ლოდს მიათრევდა, მთელი ცხოვრება ამ ლოდის თრევაში დაეხარჯა და მთავრდებოდა ახლა ეს ტანჯვა.

\* \* \*

- კახაბერი ხარ? – აკანკალებული ხელით შეეხო.
  - კახაბერი ვარ, – ასანთი გაკრა და ჭრაქი აანთო ტანმაღლმა მორჩილმა, ჭრაქის შუქზე მისი გრძელი, შავ წვერში შემალული, ყვრიმალებამოყრილი, გამხ-დარი, ნამარხულევი სახე შეეფეთა კოტეს. არამინიე-რი თვალებით უყურებდა ტაღახში ამოგანგლულ, წვიმაში გალუმპულ რაიკომის მდივანს და გასაცო-დავებული კაცის ხილვაზე სიბრალული გაუკრთა.
  - მამაო...
  - ვიცი...
  - იქვე მაგიდაზე დადო წვიმით გაულენთილი ფუთა.
  - შეგინიროს უფალმა, ბატონო კოტე!

\* \* \*

ბეჭერი ძალლივით სიკვდილის მოახლოება ვიგრძენი. როგორც ყველა ადამიანს, გაფიქრებაც კი მზარავდა, როგორ მოკვდებოდი. რაც უფრო შორს ვიყავი სიკვდილთან, უფრო მეძნელებოდა, უფრო მეტი ტკივილი ახლდა ამ საშინელ ფიქრს. ახლა უფრო მეადვილება. ცხვარი გიადვილებს სიკვდილს, ფეხზე რო გაბია.

„გახსოვს ის ლამე, კოტე? წვიმასა და ქარში რო ამოხვედი“.

მახსოვს, რა დამავიწყებს. დიდება უფალს და მადლობა უფალს ყველაფრისათვის. კოტებ პირჯვარი გადაიწერა.

ბატკანმა დაიბლავლა, მაგრამ ამჯერად აღარ

მოსჩვენებია. კოტეს გვერდით სალოცავის გზაზე ორი ახალგაზრდა კაცი მიუყვებოდა აღმართს. ერთს ბატყანი მხრებზე მოეგდო, რომელიც გაურკვეველი მზერით იყურებოდა და ბლაოდა. ჯოხზე ჩამოყრდნობილი კოტე მღიმარი თვალებით მიშტერებოდა ბატყანს.

ცოტა ხანში მლოცველებით გაივსო გზა. მობლაოდა შესანირი. ნისლი შემოეწმინდა მთას და ციდან ლვთის ხომალდივით გამოცურდა ტაძარი.

პირჯვარს იწერდნენ მლოცველები.

„აი, იმ კაცმა დიდი საქმე გააკეთა. მიწისძვრამ ეს ტაძარი მიწასთან გაასწორა. ამბობენ, სასულიერო პირებიც დაიღუპნენ. მე ასე გამიგია ყოველ შემთხვევაში. კომუნისტების დროს ეკლესიის აღდგენა ხუმრობა საქმე არ იყო. კარგა ხანია, რაც ის კაცი გარდაიცვალა, ღმერთმა აცხონოს, ბუნებაში არაფერი იკარგება, შვილო, არაფერი. ღმერთი ყველაფერს ხედავს“.

შუახნის ჭალარა კაცი შვილიშვილთან ერთად მიუყვება სალოცავის გზას და „გარდაცვლილ“ კოტეზე ესაუბრება. კოტეც მიუყვება აღმართს, ცოტალა დარჩა და...

18 აპრილი, იგრიკა,  
დიდი ხუთშაბათი,  
2016, დაცი

## მოკითხვა საიქიოდან

- საიქიოდან თავის გამოყოფა გაგიგია?
- „ტანკლი-ტუნკლი“ თავს აქნევს, ყველაფერი ამან უნდა მოიგონოს.
- საწყალი ჭიტა ვანო...
- კაი კაცი იყო, ღმერთმა აცხონოს და მომგონებელი არ გამოულიოს.
- თურმე... - ფშუკუნებს „ტანკლი-ტუნკლი.“
- ხო ჩავარდნილი იყო ის საცოდავი, წამოუსვია, ეხლაო კითხვებს დაგისვამ და პასუხები გამეცი, მამაო. საწყალი თვალებს აცეცებდა აქეთ-იქით, დამაყენე, შვილო, რა გინდა, რასა მტანჯავო. იცოდა, თუ გრძნობდა, რო რალაც მაიმუნობა ჰქონდა ჩაფიქრებული. გინებით იკლებდა ხოლმე სანამ ლაპარაკის თავი ჰქონდა. ამ ჩვენს ბუდობაშიო, ესეთი ცალფაზიანი არავინა გვყავს, ვის დაემსგავსა ეს კეთილ...ი ესაო. ერთავად პირი დაუღია, როგორ შეიძლება, სულ კარგ ხასიათზე იყვე, კაცოო, ამას ერთავად მაფრაშასავით ჰქონდა მოღებული პირი. ჭიტა ვანო ამბობდა ხოლმე, ამის იმედი არ მაქო, ვიცი რისი გამკეთებელიც იქნებაო. იმას ხელ-ფეხში ცეცხლი გასდიოდა. სულ ნაპერნელები სცვიოდა სახლში, თუ ბალ-ვენახში.
- მერე, მერე, - ბოთეკაკო ვეღარ ითმენს.
- ლოგინზე რო წამოუსვია ეს საწყალი კაცი, აბა ახლა, რასაც შეგევითხები, პასუხი გამეციო, ვიდეო ჩაურთამს. ზის ეგრე ჭიტა ვანო პონოლიკივითა და შესცექერის თავის ცანცარა ბიჭს. გულში ფიქრობს,

ტყუილა არ არი ნათქვამი: კაი კაცს კაი შვილი არ გამოუვაო, ნეტა ეხლა ჯანი მომდევდეს, ნეტა ეხლა ჩემი ღონე დამიბრუნდებოდეს, შენ გაჩვენებ, როგორ უნდა მომაკვდავი კაცის გამაიმუნებაო, მარა ცარიელა ძვალი და ტყავი იყო, ხელების აწევის თავი არა ჰქონდა.

- როგორა ხარ, მამა?
- უყურებს დაელმებული, ბუდეებში შეკარგული თვალებით ჭიტა ვანო.
- როგორა ხარ-მეთქი, კაცოო.
- კარგათ ვარ, კარგათაო, – ჩიფრიფებს ბერიკაცი.
- რა ხდება მანდეთკენა, როგორ არიან ჩვენები, როგორაო.
- კარგათ არიან, გკითხულობენო.
- -აბა, აბა, – დაუცაცხანა თურმე, ცოტა სწორე ილაპარაკეო.
- სხვა რა ხდება მანდეთკენა, კარგია, თუ ცუდიაო.
- კარგია, კარგია, შემწვარ-მოხრაკულები არ გვაკლია, ყელამდეა ყველაფერი, მარტო მოისურვე, რა გინდაო.
- რა გადავცე ბიჭებს, რას დამაბარებო.
- თვალები ეხუჭება ჭიტა ვანოს.
- ჰო, მომიკითხე, მომიკითხე, ლამის წამოსცდა როცა წავალ, მომენიეთ უკანაო. – ხითხითებს „ტანკლი-ტუნკლი.“
- ჭიაკუონობას შეგვყარა ამ თავგასახმობმა. ღვინო მაგარი აქ. იმ ცხონებულმა ხეივნები დაუტოვა, დაწურვას ვერ აუდის ეს შობელძალლი, მარომ

გაგვიშალა სუფრა. მაგარი ქალია მარო, ღმერთმა დღე მისცეს. ხელფხიანია, ხელფხიანი. ტრაქტორებივით იყვნენ ეგა და ჭიტა ვანო. მთელი ცხოვრება რო მიწასთან ჭიდაობაში გაატარეს. დედამიწას ეჭიდავნენ, დამარცხდნენ, მაგრამ თავიანთი გულის ჭია ხომ მოიკლეს. რაც ვანო წავიდა ცოტა მოტყდა, მაგრამ მაინც ციბრუტივით არი.

ორასიანს მოხადა. ოხ, ოხ, ოხ, რა ღვინო აქ ამ შობელძალლს, ჩანახას ხო მაგარი ღვინო აქ, მაგრამ ჭიტას ხეივნის ღვინოსთან ვერ მოვა. უჰ, „ტანკლიტუნკლიმ“ ტუჩები გაილოკა: პირს დაიბანდი, აიქ ისროდა შეეფებსა, კარგა მაგრა შევუბერეთ. მამა ზაზას რო გაეგო, ჭიაკოკონაში ჩაგვაყოფინებდა ცხვირსა.

შევჭიკივდით, ტატო იყო თამადა, რამხელა ლექსები იცის, კაცო, ენძელა და იას ვერა ვსწავლობდი ხოლმე, რო დაინყებს, სად ინახავს ამდენ ლექსებს, რა ტვინი უძლებს მაგ ვირისთავსა.

წარსულები მოვიგონეთ. ტატომ განსხვავებულები შეავსო: ვანო ძიას სახითაო ყველა გაგვინათლოსო.

„მოიცათ ცოტა ხანიო“, – წამოხტა ეს შობელძალლი, – მამაჩემი უნდა დაგალაპარაკოთო.

ტატოს თიხის ჯამი ხელიდან კინალამ გაუვარდა. ბიჭებმაც თვალები დააჭყიტეს.

– რა მამაშენი უნდა დაგვალაპარაკო, ხო არ გაუბერე შენაო.

– ხო არა გჯერათო, – თქვა ამ მაიმუნმა, ახლავე დაინახავთო.

რას უნდა მივმხვდარიყავით. ამ გადარეულს წი-

ნასწარ გადაულია ვიდეო იმ საწყალი ვანოსთვინა.

– საიქიო უნდა გაჩვენოთო. – თან ხითხითებდა, – თქვენ რო მარტო აქა გგონიათ ცხოვრება, ეგრე კი არ არიო. – ტატომ თიხის ჯამი მაგიდაზე დადო, ხან ჩვენ გვიყურებს, ხან იმ შეფენცილს. გავიდა და კომპიუტერი შემოიტანა. – ჭიქები მისწი-მოსწიეთო.

მაგიდაზე გაშალა. ჩართო. ვუყურებთ ეგრე ცხვრე-ბივით. ვერ მივხვდით, მივშტერებივართ კომპიუ-ტერს.

ჩართო და „საიქიოდან“ გამოჰყო თავი ჭიტა ვანო-მა. თვალებმილულული იჯდა საწოლზე, ხანდახან ულიმღამოდ გამოახელდა, თითქო სიცოცხლე მობეზ-რებოდა და არავის და არაფრის დანახვა არ უნდოდა. თვალებიც აღარ ემორჩილებოდა.

„როგორა ხარ, მამა?“, „კარგათ ვარ, კარგა-თო, შემწვარ-მოხრაკული არ გვაკლიაო. ყელამდეა ყველაფერიო“.

ერთი-ორი წავუთაქეთ, იქ მაინც დაასვენე, შე კეთილძაღლო, ის საცოდავი კაციო, – ლამის ფიალა გადაანტვრია ტატომ.

თან გვეცინებოდა, თან არა. რამდენნაირ სულელს აჩენს ეს დალოცვილი ღმერთი.

**27 აპრილი, იგრიკა  
დიდი ხუთშაბათი  
2016, დიცი**

## კერძნსკი

— უფროსო! — უცნაურად ატუზულა დაცვის ბიჭი. იტყვი, ენაზე უქრება სიტყვები.

— თქვი, კაცო, რა თავზე დამადექი. — მთლად უფროსის თანაშემწერ დაცვის ახალბედა თანამშრომელს შებღვირა.

— ვიღაცა ძალაობს გარეთა.

თანაშემწერ თავი ანია და ქერათმიან ოციოდე წლის ბიჭს მოზვერივით შებღვირა.

— ვინ ძალაობს?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა ბიჭმა, — არ შემოუშვი და ლამის დალენა აქაურობა. ახლაც ბიჭებმა დაიჭირეს და არ უშვებენ, თორე... ვიღაც გადარეულია. რევოლუციონერი ვარო, თუ არ შემიშვებთ, მეორე რევოლუაციას მოვახდენო, ყოფას გიტირებთო.

— როგორი აღნაგობისაა? — ფეხზე წამოდგა მთლად უფროსის თანაშემწე.

— როგორია და... — ენა დაება დაცვის ბიჭს, შუბლი ოფლით ჩამოეწინე კლა: საშუალო ტანისა იქნება, მოწითალო თმა აქვს.

— ის არის... — ჩაიბუტბუტა მთლად უფროსის თანაშემწერ. მერე რაღაცა ბრახუნი მოესმა, — მოიცა,

— ფარდა გასწია და ფანჯრიდან გადაიხედა.

დაცვის სამი ბიჭი ძლივს აკავებდა გაცოფებულ კაცს, რომელიც ადმინისტრაციული შენობისკენ იწევდა და ისეთ სართულებიანებს იგინებოდა, შენობას ბევრად რო აღემატებოდა.

— წადი და ასე უთხარი, უფროსები გასულები არიან და, როგორც კი მობრუნდებიან, შეგხვდებიან-თქო.

\* \* \*

— ხომ უთხარი.

— ვუთხარი.

— მერე?

თანაშემწე მელიასავით მოწყურულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, მთლად უფროსის მზერას გაურბის.

— მაგის შემოშვება და საქმის არევა ერთი იქნებაო.

— რატომაო? — თითებით მოძებნა ყავისფერ კოლო-ფში სიგარეტი მთლად უფროსმა.

— მაგარი გოთვერანი და ინტრიგანია. ძლივს ცოტა სიტუაცია დავალაგე და სულ ამირ-დამირევსო.

— კაი ერთი-თქო! — დაიჯღანა მთლად უფროსი.

— მე მაგის სიტუაციები სულ მახატია, გადაეცი, რო რამე გამოუნახოს და აქედან მომაცილოს, თორე, რო ამოვუჭერ პანდურს, მერე ნახავს, ბიჯო! რა გახდა ერთი მაიმუნის მოშორება, სისხლი გამიშრო, აეგრე როდემდე უნდა იაროს. ორი ლერი შავი თმალა მქონ-და და გამითეთრა ამ ჩემისამა.

მობილურმა დაიწკრიალა, თავიდან ცოტა უგერ-გილოდ დახედა, თითქო მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ ურეკავდა და ნომრის დანახვაზე კერენ-სკიც დაავიწყდა, რევოლუციაც, თვალები გაუფარ-თოვდა და ფეხზე წამოიჭრა.

— გისმენ, მიხაილოვიჩ!

თანაშემწეს თვალით ანიშნა დამტოვეო. ეტყობოდა, რო სულ მთლად უფროსი ურეკავდა.

თანაშემწე გაიზუზა, გზადაგზა ესმოდა რაღაც სიტყვები, მთლად უფროსი ცოტა დაბნეული ელაპარაკებოდა. ის დაბნევა შენიშნა თანაშემწემ, რაც დაცვის ბიჭს ჰქონდა მასთან საუბრისას, მას კი მთლად უფროსთან შესვლის დროს ემართებოდა ხოლმე.

— ძეგლი მალე იქნება, მიხაილოვიჩ!

— კვარცხლბეკი უკვე დაამთავრეს. ძალიან მაგარი გამოდის, ძალიან მაგარი. არ შეგარცხვენთ. სასწაული მოქანდაკეა. ყოველდღე მივდივარ სახელოსნოში. კი... პირად კონტროლზე მყავს აყგანილი. კი... — მარცხენა ხელის თითებზე უცბად ჩამოითვალა დღეები: ათ დღეში... წყალი არ გაუვა, წყალი არ გაუვა.

— კარგით, მიხაილოვიჩ, კარგით.

დაჯდა მერე და უფრო უარესად აუპილპილდა სახე. „რო არ მოესწროს ათ დღეში ძეგლის გაშრობა, არა უნდა მოვასწრო, თორემ დავილუპები, ეგრევე გადამაყოლებს“. საფეთქლები მოისრისა, ტელეფონს დასწვდა: გივი შემოვიდეს ერთი.

ათ დათვლაში თავი შემოყო ულვაშებიანმა კაცმა.

— მოდი!

გივი ისე ფეხაკრეფით მიიპარებოდა ვეება მაგიდისკენ, იტყობი, ვინმეს სძინავს და მის გაღვიძებას უფროთხისო.

— მოკლედ... ათ დღეში ძეგლი უნდა დავდგათ.

გივიმ ულვაშები ააცმაცუნა.

— არ დამიწყო ახლა, როგორც იცი ხოლმე, ვერ

მოესწრება, თავისი ვადები უნდა, უხარისხო გამოვა და ასე შემდეგ, პირობა მივეცი და უნდა დავდგათ. თუ დიდი ხანი ვერ გაძლებს, ამ ჩემს ფეხებს. მერე კიდე დადგან.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა გივიმ.

— ბიჭებს უთხარი, რო ერთი ადგილი გაანძრიონ. ხელმძღვანელობა ჩამოდის და ერთი კენჭიც რო ვერ იყვეს ისე, როგორც საჭიროა, ხო იცი მერე, რაც მოყვება.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა გივიმ.

— მე, სიმართლე გითხრა, — ისევ მოძებნა ყავისფერ კოლოფში სიგარეტი, — სულაც არა მაქვს აკვიატება ძეგლებზე და ეგეთ რაღაცეებზე, მაგრამ დავალება როგორიც არი.

— გასაგებია, — ფეხზე წამოდგა გივი.

— ქარი იქნება, წვიმა, ავდარი, თუ ზამთარი, მოკლედ... გივი, შენი იმედი მაქვს.

— გასაგებია. — ჩაწერილივით ერთი და იმავე სიტყვას იმეორებდა გივი.

შენობის წინ ისევ ილანძლებოდა თანამდებობის პირის მისამართით კერძნსკი.

მთლად უფროსი ადგა, ფარდა გაწია და ფანჯრიდან გადაიხედა, მერე თანაშემწის მისამართით შეიგინა და მეორე შიდა ტელეფონს დასწვდა.

— მე ვარ... ეგ კაცი აქედან მოაშორეთ, თორემ დედას .....! — თქვა და ტელეფონის ყურმილი დაახეთქა.

\* \* \*

— კერძნსკი ხარო, შენ რო არა გვყავდე, რა გვეშველებოდაო. ამათი... რევოლუციის სული და გული ხარო. ის კერძნსკი შენთან ვინ ჩემი ფეხებია, ნამდვილი კერძნსკი შენა ხარო. აბა, ახლა გახედე, როგორ არიან გატრუნულები, ძუძუს გოჭებივით გატრუნულან, თბილად არიან სავარძლებში. მე, მე გავაკეთე ყველაფერი, თავი შევწირე, თავი... რევოლუციას თავ-განწირვა სჭირდებაო, სისხლით და ოფლით მოდის ყველაფერიო. ცოლიც მივატოვე, შვილიცა, სახლი, კარი, ბალ-ვენახები გულალმა დავყარე, ვაზმა გინება დამიწყო. რა გინდა, შვილო, შენი რევოლუცია შენი ბალ-ვენახებია. მიხედე, მოუარე. აგრა, — ფეხი აწია კერძნსკიმ, — ისევ ის რეზინის ბოტები მაცვია. სამადლოთ რო ვაჟამ მაჩუქა, გიგუცას შვილიშვილმა. მატარეს, მაშიმშილეს, დედა მიტირეს და ახლა შეხვედრაც აღარ უნდათ.

თქვენი ჯიში და ჯილაგი...

თქვენი მოდგმა და გასაგისი...

თქვენი სუსველაფერი...

ყველაფერი გექნება. შენზე ბედნიერი კაცი არ იქნება შენს სოფელშიო. მეც ვიდეები და ვრევოლუციონერობდი, ვკერძნსკობდი, კერძნსკის რო მეძახდნენ, დედამიწა ჩემი მეგონა.

რა კერძნსკი, რის კერძნსკი, რა რევოლუცია. რევოლუცია ჩემნაირი გამოსირებულებითა ხდება და მერე ისევ ჩემნაირებით იკვებება.

დაცვის ბიჭები ხელებს უგრეხენ.

– ხელი გასწი თორე, გველივით გაგიჭეჭყამთ თავ-სა, ამ ცინგლიანებს უყურებთ?! ის გამოახედეთ, ისა, დიდ კაბინეტში რო დაჯდა. მე დავსვი დიდ კაბინეტში და ერთი გამოიხედოს. რა პირით უნდა დამენახვოს. აი, დღესა, აი, ხვალა, აი, დღესა, აი, ხვალა, აღარ დაგელიათ დღესა-ხვალა, მე თქვენი...

მე კერეკნსკი არ ვიყო, თქვენ თუ დედა არ გიტიროთ. ჩემი დროც მოვა.

**თიბათვის 5, 2016,  
დიცი**

## ბავშვობის ბოლო დღე

მზეს მივდევდი და ვერ ვეწეოდი. როგორ გამირ-ბოდა, რა უცებ გადასერა დალლილი ცა, ეშვებოდა. მე მაინც მივრბოდი, ცოტა, სულ ცოტალა დამრჩა, არ გაჩერდე, არ გაჩერდე, – ჩამძახის ვიღაცა, – მიდი, აჯობე მზეს. არ დაგასწროს, სისხლი იღვენთება დასალიერზე. ბოლო მზე ჩადის, იქნებ დავენიო. თითქო ფრთები გამომესხა, ავინიე და გავფრინდი, ეს რეები შემძლებია, მივფრინავ, მზეს უნდა მივუსწრო. ეს ბოლო მზეა, უკანასკნელი მზეა. უკანასკნელად დალამდება და სამუდამოდ ჩაიფერფლება ჩემი ბავშვობა. მივფრინავ და მეტირება, ქარი მირტყამს, მიტყაპუნებს სახეში. ცრემლები ჩამომდის, ჩემი ბავშვობის ბოლო მზე ჩადის. ასე მეგონა, ეს მზე სულ იქნებოდა, სულ ენთებოდა.

მომაკვდავი დღე უმწეოდ თრთოდა,  
სულს ეყრებოდა სვენებ-სვენებით  
და მზე ძონისფრად ო, ისე კრთოდა,  
ცას გადაეხსნა თითქოს ვენები...

ვიღაცა მომყივის რაღაც ლექსის მაგვარს. მართლა ვენები გადაუხსნია ცას, სისხლი ჩამოსდის. მასაც აქვს სისხლი. დღის სიკვდილს ვუთვალთვალებ, უფრო სწორად, ჩემი ბავშვობის ბოლო დღე კვდება, მიშველეთ! ვყვირივარ, ცოტა ხანს გამიგრძელეთ, ცოტა ხანს. სულ ცოტა ხანს.

დღის სიკვდილს ჩუმი ქვითინი სდევდა,  
ვხედავდი მნათობს ღრუბლად მიწოლილს

შენ არ გინახავს, რომ ზოგჯერ სევდა  
ათას სიხარულს ერთად იწონის!  
იწონის, იწონის. უფრო მოვუმატე სიჩქარეს. ჩადის  
მზე და ვხვდები, რო ტყუილა ვიქნევ სამადლოდ  
გამოხმულ ფრთებს, ვიცი, რო ვეღარ მივუსწრებ.  
მიდის, მიესვენება. ცხედარივით ასცქერის ზეცას და  
ბედს მინებებული ეშვება თავის სამარეში...

მზეც მოკვდავია ჩვენსავით, მოვა დრო და მასაც  
მოუწევს უჩვენოთ არსებობა. ეჲ, მზე, მზე!

\* \* \*

მოკლედ... ამტკიცებს, რო მენდელეევს მალე  
დაივიწყებს ხალხი და მახოზე ალაპარაკდება. მო-  
მავალი დიდი მეცნიერი... მსოფლიო ილაპარაკებს  
მახოზე, მსოფლიო.

არ მეშლება, არ მეშლება, აპა ნახავთ, თუ ასე არ  
იქნება, შუბლზე ვკითხულობთ, აი, სად აწერია, სა-  
ლოკი თითი გააყოლა გაკვირვებულ მახოს შუბლზე,  
აი, აქ აწერია, მოგონება იქნება ამასთან აინშტაინი  
და კიური, კოპერნიკი და გალილეო გალილეი. მი-  
ვშტერებივართ ზაირა მასწავლებელს. ხან მახოსკენ  
გაგვექცევა მზერა, რომელიც აბუზული, დაბნეული  
დგას და ვერ გაუგია, რას ერჩის მასწავლებელი.

პატარა მეცნიერი ხარ, პატარა მეცნიერი. ცო-  
ტაც და ატირდება ეს ჩვენი ციცქანა თანაკლასელი,  
ცრემლი თვალებზე ანვება, არ მინდა, რო მეცნიერი  
გავხდე, არ მინდა, გვიყურებს და სულ ცოტა აკლია,  
რო აზლუქუნდეს.

„მოდი ჩემთან, მოდი“, – მოეხვია ზაირა მასწავლებელი, გულში ჩაიკრა, მახომ ვეღარ შეიკავა თავი და წასკდა ცრემლის ნაკადული.

– რა გატირებს, ბიჭო! – შეუტია ზაირა მასწავლებელმა. – არ გინდა რომ მეცნიერი გახდე?

მახო ხმას არ იღებს. ტირის გულსაკლავად, იტყვი, დედას მოწყვიტეს მეორეკლასელი მოსწავლე და სადღაც გადაკარგულ მხარეში უნდა გაგზავნონ.

– მოდი ჩემთან, მოდი! – ხელი მოხვია, აიყვანა და მაგიდაზე დააწვინა. მახომ უფრო მოუმატა ტირილს, მოუმატა, იტყოდი, საოპერაციო მაგიდაზე იწვა და ის-ის იყო ხელებდაკაპიწებული, კისრამდე თეთრი ხალათით შემოსილი, პირბადიანი ქირურგი დაადგებოდა.

აი, ასე ჩამრჩა მეხსიერებაში ჩემი პირველი მასწავლებლის ეს უცნაური აკვიატება, რო მახო მაინცა და მაინც მეცნიერი უნდა გამხდარიყო.

\* \* \*

ხარხარებს, ხარხარებს, სულს ვეღარ ითქვამს სულიკო დალაქი. იტყვი, კაი ხანია, ღიმილი არ მიკარებია სახეზე და სიცილის ტალღა ერთიანად მოასკდა.

– რა გაცინებს, კაცო! – გაუწყრა ჩემი თანაკლასელის – ზურას მამა.

სულიკომ ცოტა სული მოითქვა და ელიზბარს ცრემლიანი თვალებით შეხედა.

– ვერ უნდა იყოს ეგ ქალი ჭკუაზე. კაცი დავბერდი და ჩემს დღეში ეგეთი რამ არა მსმენია. – თქვა და

ისევ აუვარდა სიცილი. – თმა რო საქმეს შველოდეს... ამით რო ჭკუა ემატებოდეს... – იცინოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა.

– ხო არ გაიხუმრა, კაცო, – სულიკო პრონიალა სავარძელში ჩაჯდა.

– რა გაიხუმრა, ბავშვებს სკოლაში აღარ უშვებს.

– თქვა ელიზბარმა და ზაირა მასწავლებელს გადაუ-კურთხა.

– საიდან ჩამოვიდა, კაცო, ყველაფერი ამ სოფელ-ში როგორ უნდა მოხდეს?!

ერთი სიტყვით, სულიკო პარიქმახერს რიგი დაადგა.

ეს ჩვენი პირველი მასწავლებელი ცოტა უცნაური ქალი გამოდგა. უცნაური კიდევ მსუბუქი შეფასებაა, უცნაურზე უცნაური. თქვენაო, არაფერი არ შეგდით მაგ გამოტვინებულ თავშიო, გასწავლით, გასწავლით და მაინც არაფერი გამოდისო, ამიტომ დავასკვენი, რო თმები გიშლითო.

ცოდნა იმიტომ არ შეგდით მაგ ჩერჩეტ თავებში, რო ბულულივით თმები გადევთო. ამიტომ გა-დავწყვიტე, რომ თავები უნდა გადაიხოტროთო.

მე მგონი, რო დუნიაზე არ არსებობს თავ-გადახოტრილი, კოტორა მეორე კლასი. შემოიარეთ მსოფლიოს ნებისმიერი სკოლა, ასეთ რამეს ვერსად წააწყდებით. მართლა გვიჭირდა სწავლა. არაფერი შეგვთიდა თავში და შეიძლება, მართლა იყო თმების ბრალი, ზაირა მასწავლებელმა ასე მოიფიქრა ყოველ შემთხვევაში.

\* \* \*

მომკალი და ვერ ვისწავლე ეს სიმღერა. სიტყვებს კი ვიზეპირებ, მაგრამ არ გამომდის.

„საქორთუო კარგი თორე,

ბალჩა თორე მინდორ-ველი“ – მგონი ასე იწყება.

კვდება სიცილით მამაჩემი.

„ვარამუშო მასკვა მარე...

მინდორ თელი, მინდორ თელი“

ცოტა ხანში აგუგუნდება ჩვენი კლასი. მეგრული სიმღერა გაიჭრება სკოლის სარკმლიდან და ნახე, მთელი მსოფლიო ჩვენზე ილაპარაკებს.

საქორთუო კარგი თორე...

გავივლი და გამოვივლი, გულდასმით ვსწავლობ ზაირა მასწავლებლის მიერ დაწერილ სიტყვებს, რას მოვიფიქრებდი, რო გაივლიდა ოცდაათ წელზე მეტი და მეხსიერებაში მყარად ჩაიკირებოდა ზაირა მასწავლებლის მიერ ნასწავლი მეგრული სიმღერა, საქართველოს მოსაფერებელი სიმღერა. მე კი არა, ყველა ჩემს თანაკლასელს ემახსოვრებოდა და, დარწმუნებული ვარ, ყველა ერთად რო შევიკრიბოთ, ისევ ისეთი გამოგვივა, როგორც მაშინ, დაფის წინ, საკლასო ოთახში რო ვიდექით ჩამწკრივებულები და ზაირა მასწავლებელი გვდირიჟორობდა.

\* \* \*

თითქო ხელები მებორკება, თან მინდა გადავშალო, თან არა, ასე მგონია, გალის კარს ვალებ და სამუ-

დამოდ უნდა გაფრინდნენ თეთრი მტრედები ცისკენ. თითქო ჯერ აქ არიან, ჩაყუჩებულები ღუღუნებენ, ალბომში ღუღუნებენ. ხელის თრთოლვით ვშლი ალბომს და ვგრძნობ, როგორ ვპატარავდები, ასე მგონია გუშინ იყო ეს ყველაფერი, თითქო ჩემი თანაკლასელები აჩურჩულდნენ, მერე ჩურჩული ხმაურში გადაიზარდა, სიცილ-კისკისი ჩამესმის, ისე ცხადად ვხედავ ყველაფერს, ისე ცხადად ვეხები ჩემს ბავშვობას. თურმე არ მაშორებდა დიდი მანძილი. შეხე, როგორი ახაგაზრდაა ზაირა კაკალია, ჩემი პირველი მასწავლებელი. სიცოცხლის სხივი უკრთის თვალებში.

— გასწორდით, თავი ასწიეთ... მინდიაშვილი, თავი გაასწორე, ღუღაძე, ხელები სწორად დაალაგე. უი, უი, ჯალაბაძე, არაფერი გამოვა შენგან, ოდნავ აქეთ მოიწიე, შე ბოთე..

ფოტოგრაფი. უკმაყოფილო სახით გვიყურებს.

— რა ონავარი ბავშვები არიან. დამტანჯეს მოკლედ.

ზაირა მასწავლებელს ფოტოგრაფისა ეუხერხულება და გვტუქსავს და გვტუქსავს. ვსხედვართ და შევცქერით ამ უცნაურ, უღლაშგადანკეპილ კაცს, ფოტოაპარატით რო მოგვჩერებია და ვერც კი ვხვდებით, ვინ დგას ჩვენს წინ, ვერც კი ვხვდებით, რა წამები გვიდგას.

ტანში მაჟრუოლებს, თითქო თოთო ბავშვს ვეხებოდე და მეშინოდეს, არაფერი დავუზიანო, ისე ვეპყრობი ალბომს, წითელყდიან ალბომს, რომელსაც აწერია „ჩემი პირველი მასწავლებელი“.

მე თვითონვე ვუწევ ჩემს ბავშვობას ჭირისუფლო-

ბას, ცრემლი თითქო გამშრალა სულში, თორემ გულიანად დავიტირებდი, გულიანად გამოვიგლოვებდი ვარდისფერ წლებს, წითელყდიან ალბომში რო ჩამარხულა.

ულვაშგადან კეპილი ფოტოგრაფი კი წუნუნით იღებს სურათებს.

— მერე საყვედურები არ იყოს. საყვედურებს აღარ მივიღებ. ხო გასაგებია?

ალბათ, უფალმა გამოგზავნა ეს კაცი, ჩვენი ბავშვობა ფოტოების სახით რო გადაერჩინა. ჩემგან ალბომამდე ოცდაათი წელია, ოცდაათწლიანი გზა-სავალი გაჭიმულა. ერთ პატარა სიზმარში ჩატეულა საუკუნის მესამედი, ბავშვობა, კლასელები, ჩემი პირველი მასწავლებელი. ერთი პატარა სიზმარი ყოფილა, სხვა არაფერი, ერთი ასეთი სიზმარიც და იმ სამყაროს დავუპრუნდები, საიდანაც მოვედი, რომელიც თითქო მახსოვს და თითქო არც მასხსოვს. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი წელი გაგრძელდება დარჩენილი გზა, ისიც ერთი სიზმარი იქნება.

თითქო გამშრალი, მიტოვებული ჭის ძირი დასველდა, სულშიც ცრემლი ჩადგა. ცრემლმა მოასველა სული. გიყურებთ და მენატრებით. განშორების სევდამ ლამის არის გული გახეთქოს. ალბათ, ჯობდა მთელი ცხოვრება საკლასო ოთახში ზაირა მასწავლებელთან გაგვეტარებინა და ასე არ დაგვეკარგა ერთი მეორე, ბავშვობა ცხოვრების უდაბნოში ციცქნა ოაზისივით დარჩა, დაკარგულ ოაზისად, ცხოვრებისაგან გათანგულებს აღარც მობრუნების თავი გვაქვს

და რომც მივბრუნდეთ, ის ოზისი აღარ დაგვხვდება. ახალი ოზისის ძებნის იმედით მოვფრატუნობთ, ჯერ სიარულის ილაჯი კიდევ შეგვრჩენია, მივდივართ და გვგონია, სადღაც მაინც წავაწყდებით, მაგრამ ის მაინც არ იქნება ისეთი, როგორიც დავტოვეთ.

\* \* \*

- მოიცა, მოიცა-მეთქი.  
გარბის.
- ერთი წუთით.

მივდევ და ვერ ვეწევი, ძალა მოვიკრიბე. ცოტაც და წამოვეწოდი. თითქო განგებ აკეთებდა, ოდნავ მოუნელებდა ნაბიჯს და, როგორც კი მივუახლოვდებოდი, როგორც კი ერთი ხელის მიწვდენა მანძილიდა მაშორებდა, ისევ მოკურცხლავდა.

ერთი ხანობა გადავითიქრე, რო უკან მივყოლოდი. ჯანდაბის იქითაც ჰქონია გზა-მეთქი, მოტრიალება გადავწყვიტე, მაგრამ ვერ ვძლიერ ცდუნებას.

რაც არის არის, უნდა დავეწიო-მეთქი და მოვფრთხვი ისევ, მაგრამ ისევ მომეცარა ხელი.

ბოლოს ფეხები მომეკვეთა და ნაცემივით დავვარდი მინაზე, გული ცემას ვეღარ ასწრებდა, სუნთქვა მიჭირდა, ნერწყვამშრალი ვეგდე და ვკვნესოდი. თავზე დამადგა, ხელი შემახო. თვალი გავახილე, ვუყურებდი და ორად მეჩვენებოდა. მერე ნელ-ნელა დაიწმინდა მზერა, გაკანთიელდა. დავაკვირდი ამ უცნაურ ლანდს და... მე ვიყავი. ძალა მოვიკრიბე და თავი შევანჯლრიე, ალბათ, ვიღაც უცხო, ჩემი სახით მომეჩვენა.

უფრო დაინტენდა მზერა. არა, არ იყო ეს მოჩვენება. ნამდვილად მე ვიყავი. ხელი შემახო კიდევ ერთხელ, თითქმ რაღაც მითანაგრძნო და წავიდა. ერთი მინდოდა დავლაპარაკებოდი, მაგრამ ის ხო „მე“ ვიყავი და რა აზრი ჰქონდა. მე ხომ ისედაც აქ დავრჩი.

\* \* \*

მზეს მივდევდი და ვერ ვეწეოდი. როგორ გამირბოდა, რა უცებ გადასერა უდაბნოცა. ეშვებოდა, მე მაინც მივრბოდი, ცოტა, სულ ცოტადა დამრჩა. „არ გაჩერდე, არ გაჩერდე“, – ჩამძახის ვიღაცა –მიდი, აჯობე მზეს, არ დაგასწროს! სისხლი იღვენთება დასალიერზე. ბოლო მზე ჩადის, იქნებ დავეწიო... ალბათ, ამაზე თუ ამიხდა წუხანდელი სიზმარი. თუმცა, მზე რა შუაშია, სიზმარში ხო შენს თავს მისდევდი. კი, შენს თავს, რომელიც ბოლოს, ქანცგანყვეტილს დაგადგა თავზე, ხელით შეგეხო, თანაგიგრძნო და დაგემშვიდობა. ის შენ იყავი, ეს კი მზეა, შენი ბავშვობის უკანასკნელი მზე ესვენება, მთავრდება, მთავრდება. სისხლისფერმა მნათობმა უკანასკნელად გამომხედა. თვალცრუმლიანმა შევხედე და ჩემს წითელყდიან ალბომად მომეჩვენა, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „ჩემი პირველი მასწავლებელი“.

\* \* \*

მისმა გარდაცვალებამ მაგრძნობინა ბავშვობის დასასრული.

ნამიერად დავხედე ცხედარს და საკლასო ოთახში

გატარებულმა დღეებმა, საათებმა და წამებმა ჩამირბინა თვალწინ. თითქო მიღიმოდა, ტანჯული ცხოვრება უკანასკნელ წამებში ღიმილად გარდასახულიყო, იქნებ ნატრობდა, მოსწავლეებით გარშემორტყმულს, დაელია სული. მივხვდი, რო დასრულდა...

პირველი მასწავლებლის სიცოცხლესთან ერთად ჩაიწვერა ბავშვობის უკანასკნელი მზე, მივხვდი, რო მხოლოდ მოგონებებად არ რჩება ბავშვობის დღეები და მას ჩვენი მასწავლებლები გვინახავენ.

წავიდა და დასრულდა...

თიბათვის 14,  
2016 წელი.  
დიცი

## სალამანდერ...

არ ჩერდება ტელეფონი, დახტის მაგიდაზე, რეკავს  
და დავლურს უვლის თავისთვის.

„როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ყუთლუ-  
არსლანმა კარავი ისანში დადგა“...

ზარი ჩავუწიე ტელეფონს, ახლა ზმუილი დაიწყო,  
ზმუილით ხტოდა მაგიდაზე.

— ოხ, გოჩა!

სტუდენტები მომჩერებიან.

— სულ ერთი წუთით რა, პატარა ლიახვის ხეობის  
დიდი მკვლევარი მირეკავს და ახლავე... ლექციაზე  
ვარ... ლექციაზე... — ვეჩურჩულები, სადღაც, ალბათ,  
მინდორშია, ან ჭალაში, გოჩას ხმაზე მეტად ქარის  
ღმუილი მესმის.

— ლექციაზე ვარ... ცოტა ხანში...

— არ გამითიშო, მოიცა, ლექციას მერეც ჩაატარებ,  
რო იცოდე, რა ვიპოვე, რო იცოდე, რა აღმოვაჩინე.

თითქო არც ესმის ჩემი.

ეს ვინა ყოფილა, კაცო, ვინა ყოფილა. გავუთიშე,  
ბავშვებს გავუღიმე და ისევ გავაგრძელე ყუთლუ-  
არსლანზე საუბარი. სადღაც ჭალაში ჩამოიქროლა  
ყუთლუს სულმა, გოჩას იმდენი უკვლიტინა, რო  
ჩემთან დაარეკინა და ლექცია ლამის ჩამიშალა. ეე,  
ეს წოპიანი აზრები ყველა ადამიანის თავში კრთება  
ხოლმე და მე რაღა ვარ.

„აჯანყებულებთან თამარმა ორი დიდგვაროვანი  
ქალბატონი მიგზავნა: კრავაი ...“

არ მეშვება, ისევ აზმუვლდა ჩემი ტელეფონი, თან როგორ მიწერია: პატარა ლიახვის ხეობის დიდი მკვლევარი, მამაო არქეოლოგი. ვიცი, რო ვერაფერი გაიგეთ. რა შეუაშია ჩემს მეგობარ გოჩასთან ან მამაო ან არქეოლოგი?!

1. მამაო იმიტომ, რო მღვდლობა უნდოდა, მაგრამ ჯერ გადახტი და ოპა მერე დაიძახეო, თითქო ეგრე გამოუვიდა, წვერი წინასწარ კი მოუშვა და მღვდლის სახელი „გაიგდო“, მაგრამ ვერ გახდა მღვდელი, ეპარქიაში მაშინ რომელი მეუფე იყო... ოთხმოცდაათიანებში. მეუფე ვახტანგი? მგონი... არ მისცეს მღვდლობა. ვოლოგდაში კი სწავლობდა, მაგრამ გაჭირვების გამო ვერ დაამთავრა ბოლომდე, დიპლომი ვერ აიღო და მარტო ვოლოგდაში გატარებული დღეები დარჩა მისი ცხოვრების წიგნში და ვოლოგდაში ნასწავლი სიმღერა „ახ ადესა...“ იმდენად უყვარდა ეს სიმღერა ჩვენს გოჩიკოს, რო „ადესაც“ კი დაარქვეს, ვიდრე „მამაო“ გახდებოდა. ერთი სიტყვით მღვდელი ვერ გახდა, მაგრამ მეტსახელი „მამაო“ და წვერი შერჩა, თუმცა მთელი ცხოვრება არ მოშორებია არბოს წმინდა გიორგის ტაძარს. სულ იქ არის, სტიქაროსნის შინდისფერი ანაფორა აცვია და იქაურ სიწმინდეებს დაჰუოფინებს.

## 2. არქეოლოგი.

ამაზე ჩემს ერთ-ერთ წიგნში დავწერე კიდეც, მაგრამ ორიოდე სიტყვით აქაც გავიხსენებ, პატარა ლიახვის ხეობაში ასე ბორიალ-ბორიალში ჭალის პირზე რკინის სკულპტურა აღმოაჩინა, მამაკაცის სკულპ-

ტურა, რომელიც მცირე ხნით ვთხოვე, უნივერსიტეტში ჩემს სტუდენტებს ვაჩვენებ-მეთქი. წამოვიდე და მთელი ევროპა მოვატარე, ხელჩანთაში შემთხვევით დამრჩა და ყოველ აეროპორტში მიხდებოდა ახსნა, რო პარიზში არქეოლოგთა კონფერენციაზე მივდიოდი, რო სკულპტურის აღმომჩენი იყო ცნობილი მეცნიერი, არქეოლოგი, პროფესორი გოჩა მაისურაძე. გავაპროფესორ-გავაარქეოლოგე მოკლედ... ამიტომაც ენერება მის ყოველ დარეკილზე „მამაო არქეოლოგი“.

– ხო გითხარი ლექციაზე ვარ-მეთქი, ხანძარი ხო არ გიკიდია. ლიახვის ნაპირიდან დატიშული ქარი ძვრება ტელეფონში.

– კარგად არ მესმის შენი, ცუდი ქარია... ხოდა, რო არ მესმის დამირეკავ?

– დაგირეკავ... – ისევ გავთიშე.

არ დამამთავრებინა ამ ოჯახგაფოფინებულმა ყუთლუარსლანზე საუბარი. ვააა, გული მომდის.

როგორც კი კრავაი ჯაყელის და ხვაშაქ ცოქალის კარავისელებთან მისვლაზე და მოლაპარაკებებზე განვაგრძე საუბარი, ისევ დაენერა ტელეფონზე „მამაო არქეოლოგი“ და ფხუკუნი აუტყდათ სტუდენტებს.

– დაბერდი, ეტყობა.

– რატო დავბერდი?

– რა გითხარი, ადამიანო?

– რა მითხარი?

– ლექციაზე ვარ-მეთქი.

– ვიცი, გავიგე.

- მერე?
- რა მერე?
- რო გაიგე, რა გააკეთე.
- რა უნდა გამეკეთებინა.
- დამამთავრებინე ლექცია და მე თვითონ დაგირეკავ.
- ხმა წყდება, ხო გითხარი, მაგარი ქარია-მეთქი.
- თუ მაგარი ქარია, რას აკეთებ?
- რო იცოდე, რა ვიპოვე, რო იცოდე.
- ზარი ანჯრიალდა. დამთავრდა ლექცია. ყუთლუ არსლანი იმას და ჯანდაბა!
- ოხ, გოჩა!
- პატივცემულო! სემინარი უნდა მოგეცათ.
- სემინარი? კი, კი ახლავე ჩაგანერინებთ სათაურს.
- რა სემინარი, რას ჩამანერინებ? – გოჩა ჩამკივის ტელეფონში.
- შენ არაფერს, კაცო, დამელოდე ცოტა ხანს, – ტელეფონი არ გამითიშვას, ეგრევე დავდე.
- ალო, ალო, არ ისმის არაფერი, კაცო! -ტელე-ფონს ჩაჰკივის გოჩა.
- სემინარის თემა ჩაიწერეთ.
- რვეულები გადაშალეს, ერთი, ყველაზე ძალიან რო ფხუյუნებდა „მამაო არქეოლოგის“ დარეკვაზე, შე-მომცქერის.
- ვიცი, რაც უნდა მითხრა, კალამი არ გაქვს. აჲა, ჩემი შავტუშა (და არა შავტუხა) კალამი მივაწოდე. ორი პიესაა ამ კალმით დაწერილი, აბა! შენ რა გვონია, მესამის შესავალია დაწყებული. თუ შენც შეგ-

კარა ეგ უშველებელი სენი მაგ კალამმა, ჯოჯოხეთად გადაგექცევა ცხოვრება, ტკბილ-მნარე ჯოჯოხეთად. ვერაფერსაც მიხვდა ჩემი სტუდენტი, ინგლისურ ფილოლოგიაზე რო სწავლობს „ძირითადში“ და ისტორია რო არჩეული აქვს „მეიჯორი მინირში“, როგორი სიტყვები შემოვიღეთ უცხო ჯიშის ცხვრებივთ. არადა ქართულ ცხვარზე გიუდებიან... რა პიესები, რა წერის ატანა, დაბნეული, ანენილ-დანენილი ლექტორის შთაბეჭდილება მოვახდინე მგონი.

- მს. გოჩა!

„ერთი სიტყვით, სემინარი მეორე კვირისთვის, ლიტერატურა იცით?“ – თავს მიქნევენ. აბა, არ იზარმაციოთ. ალაგებენ კალმებს და რვეულებს.

– მართლა გინდა, პირსაები დაწერო?

## ମିଲିମିସ ସତ୍ୟଫ୍ରେନ୍ଟି.

- ღმერთმა დამიფაროს, რა პიესები, პატივცემულო, რად მინდა პიესები, ინგბეთ თქვენი კალამი.

ერთი ამას უყურე!

გაიკრიფნენ სათითაოდ. გასვლისას მომიბრუნდა მეტიჩარა სტუდენტი, ჩემს ძმასაც აქვს ზუსტად ასე-თი კალამიო, გამილიმა და გაქრა.

ვაა, რა დღეა! დათარსული ვარ. ეს გოჩა კი მაგი-დაზე მარტო დარჩენილ ტელეფონს ჩაყვირის, რომე-ლიც არ გამითიშვა.

— რა დაგემართა, კაცო, არ გესმის? — დავწვდი,  
როგორც იქნა, ტელეფონს.

- შენ შეგძამოს მგელმა, როგორც ზაურ წაქაძემ  
იცოდა ხოლმე, ცხონებულ შერგილ სუხიტაშვილს რო

დაუცაცხანებდა. შერგილი, შერგილი... წავიდა შერგილი....

- მე უკვე შემჭამა მგელმა! – იცინის.
- კარგად ვერ შეგჭამა, თუმცა შენ ისეთი ხარ, მგელსაც დაიჭერდი და ძალლივით ეზოში დააბამდი.
- ნახე ხო?
- ხო ვნახე, აბა, ნახე „ქართლი ჯი“-ზე. ძლევი-ჯვრელმა რო დააბა მგელი, ეზოში. – ხითხითებს.
- რა გინდა, ბოლო-ბოლო მითხარი?
- აბა რა ვიპოვე, თუ მიხვდები.
- რას იპოვიდი, ან რკინის კაცუნას, ან მონეტას, ან ისრისპირს.

- ვერ გამოიცანი და ვერც გამოიცნობ.
- ახლა ეგ მითხარი, „წითელ წიგნს“ რო ადგენენ, ხო არავინ გყავს ნაცნობი.

„სულ გადაირია ეს კაცი, რა „წითელი წიგნი“, რა ნაცნობი“.

თუმცა ამ უცნაური კაცისგან ყველაფერი მოსალოდნელია. ის კი არა, შეიძლება გინესის წიგნშიც მოხვდეს. ოცდაათი წლის ნაგავი აქვს შენახული. ბუნებას არ აპინძურებს. ტომრებში ულაგია საბჭოთა პერიოდის ქილები და ბოთლები. ეს უკვე ისტორიული ნაგავია და არ გამიკვირდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს ამ საკითხით დაინტერესებული ადამიანები მიადგნენ პატარა ლიახვის ხეობის დიდ მკვლევარს.

ნაგავი... ოცდაათი წლის. ამას გოჩას მეტი არავინ გააკეთებს.

- ბოლო-ბოლო მითხარი, რა „წითელი წიგნისა“

აგიტყდა, გამაგებინე, რა გინდა.

– მთელი ახალგაზრდობა ისეთ გაჭირვებაში გავატარე, ჯერ ახლა როგორ ვარ და მაშინ მართლა წყალი არ წამიღებდა. ვოცნებობდი ათას რამეზე. ოცნების მეტი კი არაფერი მიკეთებია. დავწვებოდი ბაღში გულალმა, ავცქეროდი ვარსკვლავებით სავსე ცას და ათას რამეზე ვოცნებობდი.

– გამაგებინე, რა გინდა?

– გეტყვი, თუ დამაცდი. ერთ გოგოზე ვოცნებობდი, ჩვენს სოფელში ცხოვრობდა. ძალიან მიყვარდა, მეკეტებოდა, კაცოო... ბრაზიანი მამა ჰყავდა, რო ამოსხამდა ხოლმე. სად მქონდა იმის თავი... მანქანაზე ვოცნებობდი, რო მყოლოდა ახალთახალი თეთრი „უიგული“, ჩამესვა ის გოგო და გადავკარგულიყა ცხრა მთას იქით. კიდე სალამანდრებზე ვოცნებობდი, თეთრ სალამანდრებზე, ვინ მომაშავებდა სალამანდრებს, ძირგაცვეთილი ტუფლებს ვპოულობდი, სხვა ძირებზე „გადავანყობდი“ ხოლმე. სალამანდრების ლირსს ვინ გამხდიდა. ვერც ერთი ოცნება ვერ ავიხდინე და შეიძლება ასეთი თავისებური იმიტომაც დავრჩი. ოცნებების ახდენა აუცილებელია ადამიანებისათვის, რო უფრო კარგ რაღაცეებზე იოცნებო, უფრო კარგი რაღაცეები ინატრო. მე ვერცერთი ნატვრა ვერ ავიხდინე. ერთი ნატვრა თუ მაინც არ აგიხდა ბავშვობაში, მთელი ცხოვრება გტანჯავს მერე ფიქრი, განვალებს... სალამანდრები ჩემს მეზობელ სოლომონოვიჩს ეცვა ხოლმე, სურამში ყიდულობდა, მაშინ არაფერი იშოვებოდა ხეირიანი, თბილისისა კი

ეყარა, მაგრამ ცხვირთან არავის მიჰქონდა გეგმის შესრულების მიზნით დამზადებული ფეხსაცმელი, თუ ტანსაცმელი.

თეთრად ქათქათებდა სალამანდრები. მოკლედ ბავშვობაში დავბრუნდი მგონი დღესა და ამიტომაც აგიფეთქე ტელეფონი, ისევ იქ აღმოვჩნდი. რალაც-ნაირად მომანვა მოგონებები. ეგრე ლიახვის პირზე ვიჯექი, ჭალას გავცექროდი და ჩემსავე ტვინში დავ-ეხეტებოდი. არაფერი არ ქრება, არაფერი არ იკარგება, განვლილი გზა, თავის ბავშვობიანად თითქოს აკეცილია და სადღაც გაქვს შენახული. სანამ ცოცხალი ხარ, შენთან ერთად არსებობს შენი ცხოვრების თითოეული დღე, საათი, წუთი და წამი. ცუდი ის არი, რომ აღარასოდეს განმეორდები აქა... მიწიერია, წარმავალია, მაგრამ ამ ყველაფერს მაინც სხვა ეში აქვს.

მოკლედ ტბებისკენ ავიარე, ჩვენებურებმა თევზი გაუშვეს. მაინტერესებდა. ხო გახსოვს, ჩვენი ტბები, შაშვზე რო ვიყავით, წყლის საშვებს რო ესროდი მიზანში.

- კი, მახსოვს.
- კარგია, რო არ დაგავინყდა.
- რატო უნდა დამავინყდეს.
- რა ვიცი, მაგნაირები გვავინყდება? აიქ ვიყა ერთი სიტყვით. ხო გითხარი, დილიდანვე ვერ ვიყა კარგად, რალაცეები მახსენდებოდა, ბავშვობა თითქოს მითრევდა. შეიძლება თქვა გააფრინაო, იქნებ გავაფრინე კიდეც... ფრენა როგორიც არ უნდა იყოს, კარგია.

ერთი სიტყვით, ბევრი რო არ გიბურღო ეგ ისედაც  
გადალლილი ტვინი, ნაირ-ნაირი ინფორმაციები რო  
გაქვს ჩანწეხილი. ტბის ნაპირზე ვიყა და სალამანდრა  
აძრვიდა ტბიდან.

- რა სალამანდრა, კაცო!  
— ჰი, ჰი, ჰი, — ქირქვილებს, — არა გჯერა, არა?  
ტბილან ამოვიდა. დავიჭირე და ახლა აქა მყავს.

„სულ გადაირია“.

გრძნეულივით მიხვდა, რაც გავიფიქრე.

— არ გადავრეულვარ, მართლა დავიჭირე. იფიქრა, იფიქრა სალამანდრამ, ახალგაზრდობის ოცნება ვერ აიხდინა კაცმა, სალამანდრას ტუფლების ღირსი ვერ გახდაო, ადგა და თუმთონ მოციდა.

თავი ვეღარ შევიკავი, აქეთ მე ვფშუკუნებ, იქიდან  
ის.

- ყველაფერი შენ როგორ უნდა გადაგხდეს.
  - ტუფლები ვერა, მაგრამ ცოცხალი სალამანდრა ვიშოვნე, სალამანდრერ... – უარესად ჩაბჟირდა.
  - „ნითელი წიგნის“ ხალხი გვინდა.
  - შენ რა გითხარი... პატარა ლიახვის ხეობის დიდი მკელევარი ხარ... – ისევ მეცინება, – შენს მეტი ლიახვის პირზე სალამანდრას ვინ იპოვნიდა?!.

29 იგრიკა – აპრილი,  
წითელი პარასკევი,  
2016 წელი,  
დიცი

## გადაქართულება

იტყვი, რო ამან მოგვიტანა თავისუფლება. შეხე, როგორ იღერებს ყელს. სად იყავით, სადაო, თქვე გამოქლიავებულებო თქვენა, მე რო დავეძგერე იმოდენა ჯოჯოხეთ სახელმწიფოსაო.

ესენიც როგორ გატვრენილან?! ძუძუს გოჭებივით შესცეკრიან.

ვუყურებ და მის მაგივრად მრცხვენიან აი! – ორი ხელი შემოიტყაპუნა ლოყებზე. ტორებივით ხელები და ნათითურები დააჩნდა. სხვას რო შემოერტყა ეგრე არ დაეტყობოდა.

არ ვიცი, ძმაო, სადღა არი ნამუს-სინდისი, თფუ. ან ეს ხალხი რამ დაამუნჯა, შესცეკრიან ეგრე.

გატვრენილები უყურებენ. თითქო ეშინიათ. რას გაიგებ ამ ნახირისას.

ნახირს თენგიზას ბიჭი ვანე მოუქნევს სახრეს, თუ კაცია ამირანი, სულ ერთი არ არი? იმათთვინ მარტო სახრეა მთავარი. ჯოხის ამქნევი ვინ იქნება, რა აზრი აქვა?

არ უყურებენ. იტანენ და ჯოხი რო არ აუქნიო, უარესიც იქნება, რჩოლა-რჩოლით აიკლებენ ერთი-მეორეს. ისე დაეძერებიან, ნაზამთრალმა საქონელმა რო იცის ხოლმე, სანამ შეეჩევევიან ერთმანეთს. დასუნავენ, ახედ-ჩახედავენ, ვერ ხვდებიან, რო ორიოდ-სამიოდე თვის წინათ ესენი ერთად იყვნენ, ერთადა ბალახობდნენ, ერთად დადიოდნენ ნახირში. სამიოდე თვემ ისე გადავიწყა ერთი-მეორე რქენა-რქენით

დასდევენ ერთიმეორეს.

ხალხიც გულმავიწყია, არ მინდა, რო ნახირს შე-ვადარო, მაგრამ რას იზამ, ასეა, გულმავიწყია. უც-ბად გადაქართულდებათ ყველაფერი. აი, როგორი სიტყვა გვაქვს – გადაქართულება. მარტივად იტყვი რო გადაგავიწყდება რაღაც – გადამქართულდაო. ქართულთან ბევრი რამ არის დაკავშირებული, მაგრამ დავიწყებაც ქართულთან არის დაკავშირებული.

– შენ რას იტყვი. – ულვაშები მიიქექ-მოიქექა ბე-სამ და დათას შეხედა. დათა ბესაზე უფროსი იყო ასაკით. სიბერემ როგორც კი შემოუღრინა ქალაქიდან სოფელში გამოეშურა და ისე გამოიყურებოდა, ისე ეცვა, იტყოდი რო ქალაქში ერთხელაც არ იყო ნამყ-ოფი. აჯაჯულ-დაჯაჯული კაკუჩით დადიოდა, ჭალ-არა წვერი მოეშვა და მეზობლის ნაჩუქარი ნაბდის ქუდი ჩამოემხო თავზე. ასეთი ჩაცმულობით თითქო ებოდიშებოდა სოფელს, თითქო ქედს უხრიდა იმ წლების გამო, რაც ქალაქად გაეტარებინა.

თავჩალუნული იდგა დათა. მიწას დაშტერებოდა, თითქო არც უსმენდა მეზობლის ბჟუტურს. მიწას თვალს არ აშორებდა.

– დათა, არ მისმენდი? – არ მოეშვა ბესა.  
– გისმენდი, გისმენდი. – ისე დაუქნია თავი, არც აუწევია. დაენანა, რო მიწისთვის მზერა მოეწყვიტა.

– მერე...

– რა მერე, რა გითხრა... არი ეგეთი და...

– შვილი უარესია, შვილი!

– შვილს არ ვიცნობ, – თავი გაიქნია დათამ.

- მაგნაირი გაქნილი და ოხერია.
- გაუშვი, რაც არი არი, – დათამ უფრო თავისთვის ჩაიბურტყუნა, ვიდრე ბესასთვის.
- გაუშვი კარგია. რო იბრალებენ ყველაფერსა.
- შენც დაიბრალე... – დათამ თავი აწია და წამიერად შეხედა ბესას. ბესამ ვერაფერი გაიგო მისი ნათქვამიდან.
- რა დავიბრალო, კაცო... – გამწყრალი ხმით ამოიზმუკუნა.
- რავი...
- ეე, – ხელი ჩაიქნია ბესამ. ერთი ხანობა იდგა და ხმაამოუღებლად გასცეკეროდა ნაწისქვილარის მაღლა ნამეწყრალ ფერდობს. ვეება კაკლების ფესვები მიცვალებულების ნეშტებივით რო გამოეჩინა. ასწლოვანი ხეები მინაში აზელილი ბუჩქები ზემოდან ეყარა მეწყერქვეშ მოყოლილ წისქვილს. უყურა, უყურა ბესამ და მაინც ვერ ჩაიტოვა სათქმელი. ისევ დაიწყო საუბარი, ოლონდ უფრო თავის თავს ელაპარაკებოდა, ვიდრე მეზობელს. თან გული მოსდიოდა, დათამ რო კვერი არ დაუკრა, მხარი რო არ დაუჭირა.
- ცხრა მაისები ხო გახსომს.
- დათამ ულიმღამოდ შეხედა.
- შვიდი ნოემბრებიც ხო გახსომს.
- აი, ეგა, დღეს რო სიტყვით გამოდიოდა. ხო გაიგონე, რა თქვა. თქვენ რო კომუნისტების მონები იყათ და თავმჯდომარეებს აძლევდითო, ეროვნულ მოძრაობაში ვიყა და ქვეყნის თავისუფლებისთვის ვბრძოლობდი. რა ჩემი საქმეა, მაგრამ... – ოდნავ შეყ-

ունდա ծեսա, – դաաջուղացք կապո, դաաջուղացք, րա ჩիմ զյեկեծատ մինդա, ան չոլուղ, ան մենդալո, մա- շրամ և մարտուղ եռ ունդա տվյալ կապմա. ჩիմ ցըր- դութ րամդենչյեր մօգարա პարագծի եց մոծելուալու րուստոմա. պարագծի, տուշյո մաժոն այ ար ցեռացրոծդա, ցերա մասոնձանց... ցենցալմո ჩիմս ցըրդութ ունցա դա մոյսդուդա սիւդենցիցն եննա. դրոժա չյեր մացաս յժիրա, մերյ ցուբա ենութ մյ ցամոցարտուո, մերյ և սյա նամցլույա. դրոժա, նուտելու դրոժա մյ մացուս... մացու ծոփո ոյս, կոմկազմուրելուա ծելագատ րո մոշյոնդա տացո.

Ծցանճ դա Շեսցէյրուան. երտո ծենցու ար ჩիմոյ- ցարդեծա և ուրցեցուուու. կոմյոնիստիցն մոնեծո ոյսցու- տո. ուս արագորմալցեծու րոցոր ոչյերեծեն. դաս- ցացեն ցըրյ լուկցեծուու դա ոչյերեծեն. երտո ունդա ցամոմեցանեծոնա դա մերցենեծոնա... ոմ և սյրատեծս սաճ ցայէցցա... ցելա րո և ուրցուու տացյապո ցակա դա անալ մտացրոնձա մուրցո. ոյնեծո ցոննա, րո և սաժմյ ցագացցարյ և սյրատեծո. նեցազ դացանակա րոցոր մուծու- չյեծն პարագծի դա մոյսդուցքա սիւդենցիցն. արագոր- մալցեծս րո ուս և սյրատո զահցենո, նորնուրութ ցայցա մաց մոծելուալու ցուցուու.

ჩիցեն եալեն... ჩիցեն եալեն... մոյսցու ցոկցեծուու Շեսցէյրուան.

– րա ունդա յնան... – ուցեատ ամուուու եմա դատամ.  
– րա ունդա յնան? – նորո դաալո ծեսամ. – րա ունդա յնան դա ჭութլապո ամոյչիրոն.

– մեն ամոյչիրյ...

ბესას ისე მოუვიდა ამ ძალათ გლეხის როყიო სიტყვებზე გული, ლამის დათას ამოუჭირა პანჩური, მაგრამ ამის გამბედაობა არ ეყო.

– გადაქართულდათ ყველაფერი ბესაა!... – ჩაეცინა დათას და მეზობელს უფრო გამაღიზიანებლად შეხედა.

– ყველა ერთნაირები რო ვართ, ვერა ხვდები? რა გაატრაქტორე, კაცო, საქმე. ერთნაირები, ერთნაირები, ისიც, შენც, მეც და ყველა. შენც იგივეს გააკეთებდი, რო გქონოდა ამის თავი და მეც იგივეს გავაკეთებდი. აბა, დაეჭირათ ჩემთვის იმ არაფორმალებს მხარი. გადმოვდგებოდი ტრიბუნაზე და დედას გიტირებდით, გქონოდა ის გადაღებული სურათები, ვის რას მოშჭამდი. ისე დაგაბოლებდით, ისე, ისე რომა! – ხითხითებს, ხითხითებს დათა. ბესა კიდე შესცეკრის ეგრე გამოშტერებული – „ამ გოთვერანს უყურე ამას?! იტყვი, ჭიას არ გააღვიძებსო“.

8 აპნისი, 2016,  
დიკი

## დიპლომატი ტასო

— აგრემცა... ქაქრეანთ ბიჭსა... — ენა ებმის ტასოს და ხელი უკანკალებს, — ჩემი ხნის წყალი არ დალიოს მაგანა, ქალი დავბერდი, მიწისკენა მაქ პირი და ჩემი წყევლა ვის გაუგია. ტასოს წყევლა ვის გაუგია. ეხლაც ენას ვერ ვიმორჩილებ, მაგრამა... ჩემი ვანო რო მყოლოდა, ემაგას ცოცხალს გაუშვებდა? ენას ამოადლენებამდა და ძალლებს გადაუგდებდა. როგორც მე მამშეამა და გამიმნარა სიბერე. ამან არ გაიხაროს. ის ცხონებული დარო როგორი პირშაქრიანი ქალი იყო, მეზობლებლის სიყვარულითა სუნთქვადა, ერთი უხეირო სიტყვა არავის გაუგია, წინ ზიხარ, უკან დაიხიე არ უთქვამს არავისთვინა. მიდიოდა და მაინც ილოცებოდა. ეს კიდე... ამან არ დალიოს ჩემი ხნის წყალი, რაც ამისთვინა ნალრძობი ხელები მიზელნია და სიწვილებზე მილოცნია. ამის სამასხარო უნდა გავმხდარიყა ამისა.

მეზობლის ქალები თან ამშვიდებენ ვანოს ქვრივს, თან ლამის დაიფხრინნონ სიცილით.

— რა მააფიქრა მაგ შეჩვენებულს, ეგ რამ მააფიქრაო! — თან ბჟირდებიან, მალ-მალე აპხედავენ ტასოს აიგანს. დამხმარი, ნახევრად ჩამოფშვნილი მერცხლის ბუდეები შერჩენია დაფუროვებულ ბოძებს. ტასოსავით მისი სახლიც სიბერემ დაიტანა. უანგს ულმობლად დაუკენია მისი სახურავის თუნუქი. ხის მოაჯირი, ერთ დროს რო მეღვრეკელ დურგლებს ბელოთური წიფლით გააკეთებინა ვანომ, ალაგ-ალაგ მორღვეულა და მოაჯირად აღარც ვარგობს. ერთი სიტყვით, ორი არსება ერთად ებრძვის ულმობელ

უამს – ქვრივი ტასო და მისი სახლი.

მალ-მალე გაექცევათ მეზობლის ქალებს აივნი-სკენ თვალი.

– აუკრეფია სარეცხი, აუკრეფია. – ფშუკუნებენ. თან ამშვიდებენ ტასოს. რძლის ღირსი არ გახადა რუ-სეთში გადახვეწილმა ბიჭმა და დატოვა ეგრე. ბარე სამი ათეული წელი იყო გასული არაფერი გაეგო ცხრა მთას იქით გადახვეწილი შვილის შესახებ. დარდმაც შეჩვევა იცის. შეეჩვია ტასოც მარტო ყოფნას. თითქო უშვილძირო იყო. იცოდა, რო მისი ბიჭი აქეთ მომ-ბრუნებელი აღარ იყო, მაგრამ მაინც გასცეკროდა შვილის გზას...

– აგრემც ჩემი ხნის წყალი არ დალიოსო... ეგ რამ ათქმევინა მაგ ვარსკვლავდაწყევლილსა, ქანქრეაანთ ქოქოლას აყრიდა. ჩემ ნებაზე სარეცხი ვეღარ უნდა გავფინოო. ეგ ქალაჩუნა ჩემ საცვლებს შესცეკროდა თურმეო...

ქანქრეაანთ ბიჭს კიდე შემოესხა ქალაქელი ძმა-კაცები, გუგულას ღელესთან, ანზორას იფნების ძირში წალამზე დაეყარათ მწვადი და პრაკლაანთ ვენახიდან ჩამონაწური ლომიაურით შეპერანგებულებიყვნენ. ქანქრეაანთ ბიჭი უყვებოდა ქალაქელ ძმაკაცებს ტა-სოს ამბავს. აბაშიძეო, კარასინიო, სახალხო დიპლო-მატიოო, ესაო, ისაო. ხო უნდა გაიგონ საბოლოოდ, ვინ შეგვარიგა რუსეთთანაო. ე, ბებერი ქალი რო დაივი-წყეს, ეგრე სად არის, ტასო რო არ ყოფილიყო, ჩემს ფეხებს წამოვიდოდნენ რუსები მოლაპარაკებაზეო.

– აგე ძმაო, სად გადიოდა საზღვარი, ხო უყურებ ჩემს სახლსა. ქალაქელებიც თავს უქნევენ. რუსების პოსტიც ხო ჩანს აქედან, თავს უქნევენ, თან წალ-

მის ბოლზე ცრემლი ერევათ თვალზე. თითქო ტა-სოს წყევლა აქაც მოსწვდა ქანქრეაანთ ბიჭბს. ისეთი ჩამოსჩავლა ჭადრიდან ყვავმა.

— ეს სადღა იჯდა ეს პატრონმკვდარი, ესა, — ყვავს ჩასტვინა ქანქრეაანთ ბიჭმა. ყვავი მძიმე-მძიმედ წამოფრინდა და ვიდრე ჭადრის კენწეროს მოწყდებოდა კიდევ ერთხელ დაიჩავლა: ყვაა! და ქანქრეაანთ ბიჭმაც მიაყოლა: — დედის ...

ვინ ალარ მიგზავნეს რუსებთანა. ვინ ალარ გამართა მოლაპარაკება. ჩემი ფეხები. ე, ჩვენი სახლები ბოლო უბანში იყო. მეგონა ერთ დილითაც გავიღვიძებდი და ჩემს ეზოზე გაავლებდნენ ეკლიან მავთულს. წევდნენ და წევდნენ ეს გაუმაძლრები საზღვრის ბოძებს. ბოლოს ტასომ გვიშველა. აივანზე ჩამოამწკრივა თეთრი ნიფხვები ვანოს ცოლმა. წამოანიკნიკა გამოფენა-სავით რუსებმაც გამოხედეს დურბინტითა, დაინახ-ეს გაფენილია თეთრი ბაირალები. რა ჩემი ფეხები იცოდა ლოთმა სლავიკამ ბაირალები იყო თუ ტასოს ნიფხვები. აგრაო, ხო გითხარით თითონ შემოგვეხ-ვენებიან, ეგ ჩემისები, შერიგებასაო. აგვიფრიალეს თუ არა თეთრი დროშებიო. საგულდაგულოდ გაფე-ნილი საცვლები მართლა დროშებივით ჩანდა შორი-დან, ყოველ შემთხვევაში რუსებს ნიფხავი დროშათ მოეჩვენათ. აეგრე შეერიგდით, ძმაო. მაგათი შერიგე-ბაცა და მაგათი მისხის-მისხისაცა, მაგრამ აბაშიძე-კარასინი არაფერ შუაშია, ტასოს გაუმარჯოს!

## ადამი(ა)ნგელოზი

მე ხო სულ უხეირო როლში ვარ. თან არა მთავრდება ეს როლი – სცენა ჭუჭყიანია. მტვერი, მტვერი, ოხ, ოხ, ოხ, თფუ. ყელი რო ჩაგეწვება, ხო გრძნობ მტვრის გემოს, პირი ხო ამოგევსო, კნანა-კნუნი გააქვს მიწის თუ ქვიშის ნამცეცებს...

მერე ქვევით მიიწევს, ფილტვებისკენ გარბის მტვერი. სული გეხუთება, ხო გრძნობ მტვრის გემოს, გამოტყდი, გამოტყდი-მეთქი. როლში ხარ, უხეირო როლში, ოხ, ამ სცენისა რა ვთქვა, ფეხები ვარდება დაბლა, დამპალ ფიცრებზე ვდგავარ, დამპალ ფიცრებზე... მატლებს თავი ამოუყვიათ, იტყვი, რო ფიცრების გამოხვრას მორჩნენ და ახლა მე დამესევიან, დამესევიან და რამდენიმე წამში საკუთარ გვამს მაღლიდან დავუწყებ მზერას, როგორ დაფუთფუთებენ მატლები, ჭამენ, პირს იტკბარუნებენ ჩემი ხორცით, ამ დასაწველი ხორცით, არადა, როგორ მიყვარდა, როგორა... ხორცი მეგონა ყველაფერი, ხორცი. მეგონა, სულ ასეთი უჭენობი და ქორფა იქნებოდა. ამ დროს ბნელში ისხდნენ ჩემი მატლები და ელოდნენ როლის დასრულებას...

მთავრდება ეს უხეირო როლი, მთავრდება, თითქო არც დაწყებულა, ისე მთავრდება... რო არ დაიწყება და ისე დამთავრდება. წავა ყველაფერი, აბა რა გეგონა, ან სცენაში უნდა გამიმართლოს, ან რეჟისორში, ან მაყურებელში, ბოლობოლო დარბაზი ხო მაინც უნდა იყოს განათებული... რა

დარბაზი, რა სცენა, ვინ მომცა მაგის ილბალი... ჰო ილბალი, აკი არ არსებობსო. რა ვიცი, აბა არ არსებობს? ან ის ვინ გაიგო, არსებობს, ან ის ვინ დაასკვნა, რო არ არსებობს. დავუშვათ, რო არ-სებობს, ყოველ შემთხვევაში რაღაცა ხოა ბედის წიგნივით, აი, წინასწარ რო ჩაგინერა უხილავმა არსთა გამრიგემ შენი აღმართ-დაღმართის წერ-ტილ-მძიმები, ძახილის ნიშნები, კითხვის ნიშნები და მრავალწერტილები... როგორ გავუტიე, როგორ მინყრება ღმერთი. რა ქნას იმანაც, რამდენ ჩემ-ნაირს უნდა გაუძლოს, ჩვენი როლები კი მთავრდება, სრულდება ჩვენი ტანჯვა, მაგრამ მისი ტანჯვა რო არ სრულდება, ვჩნდებით და ვჩნდებით... მი-ვდივართ და მივდივართ, ე, თიხა ბევრია, ღმერ-თიც არის და გვიბერავს და გვიბერავს სულს, ქარი მისი სული, არის აბა რა არის. ესე ვუნდივართ, ეს ტანჯვა, ჩვენი ყოფნით, ამქვეყნად მოსვლით გა-მოწვეული წამება არ ბეზრდება და ამიტომაც არის კაცობრიობა და აბა ვინ უნდა იმარჩიელოს ახლა ამ რაღაცების დასასრული, ვინ რა იცის როდის დაიღლება ამ ყველაფრისაგან ის დალოცვილი, რო-დის დაამთქნარებს (მაპატიე, უფალო!) და ფაფუ... დედამინა ჩადებს შურდულში რიყის კენჭივით და უყარე კაკალი.

ირყევა სცენა და მეც ვყანყალებ. „ეე“ – ვყვირი, ცარიელ, ბნელ დარბაზს ასკდება უხეირო მსახიობის ყვირილი. სად არი რეუისორი... რეუისორი კი არა, ბებიაშენისამ, სამეფო თეატრიდან ჩამოვიდოდნენ

ახლა შენი გულისთვის?! ამას უყურე, რამხელა წარმოდგენა ჰქონია თავის თავზე?!

ეგ რო ეგრეა, არ იცი?

— რა ვიცი, — მეკითხება დამტვერილ ფარდებს უკან დამალული ორეული, თუ ვიღაც ჩემი ფეხები.

— რა და ყველას განსაკუთრებული ჰქონია საკუთარი თავი.

— ვაი შენს პატრონს!

— და მერე ამაში რა არის ცუდი?

— რაში, ბიჭო, ხიბლში რო ხართ, საკუთარ თავს რო ვერ ხედავთ, უფალს ლამის რო შეეჯიბროთ და ბრძოლა გამოუცხადოთ?

— არა, არა უფალი რა შუაშია. მე იმას ვგულისხმობ, რო რაღაცნაირად თავისი ეშხი აქვს ცხოვრებას და საინტერესოა, რო ისეთები ვართ, როგორებიც ვართ. თუნდაც ის, რო გვაქვს ჩვენი ჭეშმარიტება და გადამეტებული წარმოდგენა საკუთარ თავზე, საკუთარ „მეზე.“ ასეთი წარმოდგენაც ხომ მან მოგვცა, ვინც შეგვემნა და ყველას ჩვენ-ჩვენი ჭეშმარიტება ჩამოგვირიგა. შიშვლები რა სანახავები ვიქნებოდით...

— რა შიშვლები? — მოგუდული ხმა თითქო ფარდებში ჩაინთქა.

— რა შიშვლები და ყველას რო ერთი ჭეშმარიტება გვქონოდა და სინამდვილეში დაგვენახა ჩვენი თავები ისეთები, როგორებიც ვართ, დედამიწაზე დასრულდებოდა ყველაფერი.

— რაებს ბოდიალობ?! — ისევ შეირხა ფარდა.

– ՎԵՐ ԱԳՈՒՍԵՆՈ ԿԱՐԳԱԾ... – ՎՈՐԵՔԱՅ ԿԵՇԱԾ, – ՖՈ-ԼՈՎՈՎՈՎՈՍԻ ՄԱԻՆԸ ՎԿՈՎՈԼՈՎԱՅՈ, ԱՄՈՍ ԾԵԾԱ ՎԱԳԻՐԵ, ՈԼԾԱԾՈ ԱՐ ԳՈԽԾԱ? ԻԱՄՈՎԱՐԱԿՐԱԿԵԾԾՈ ՖՈԼՈՎՈՎ-ԾՈՎՏԱ ԵՆԱՑԵ ՈՄԱԾ, ՐԱՍԱԾ ԱԵԼԱ ՎԴՈՒՅՐՈԾ ԾԱ ԳԱՆ-ՎՈՎԾՈ, ՄԱԳՐԱՄ...

– ԱՌ, ՐԱ ՎՈՂՄԱՆՈՎԵՑԵ, ՈՎՈ? ԿՎԵԼԱԾ ԻՎԵՆ-ԻՎԵՆՈ ՔԵՇՄԱՐՈՒՑԵՔԱ ՐՈ ԳՎԱՋՎԵ, ԵՄ ՎԱՐՏ ՏՈՎԱԼԵՇԵ՞Ո?

– ՄԵՐԵ.

– Ամուտ Ոյմենքա ԾԵԾԱՄԻՆԸ ԾԱ ՑԵՎԱԾ ԻՄՈՒԹՈԹ ԱՐ-ՍԵԾՈՎԸ, ՐՈ ՄԵՐԵ ԱՄ ԻՎԵՆՈ ՔԵՇՄԱՐՈՒՑԵՑԵԾՈ ԵՐԾ ԾՈԾ ՔԵՇՄԱՐՈՒՑԵՔԱՌՈ ԳԱԾԱՎՈՆԱՎՈԼՈՒԹ. ԾՈ ԵՍ ՏՈՎԱԼ-Ե ԱՐ Ոյնեքա, ԾՈ ԵՍ ԻՎԵՆ-ԻՎԵՆՈ ՔԵՇՄԱՐՈՒՑԵՔԵՔՈ ԱՐ ՑՎԵԿՆԵՔԱ, ՄԱՌՈՆ ՑԵՎՈՍ ԱՐՍԵԾՈՎԸ ՐԱԾԱ ԱՑՐՈ ԱՅՎԵ.

– ԳԱՐԵԿԵ...

– ԾԵՆ ՐՈ ԱՐ ՄՈՒԹԵՐԱ, ԵՑ ՄԵ ԱՐ ՎՈՎՈ? ԱԾԱ ՐԱ ՄԻՆԾԱ ԱՅ, ԾՈՒԱ ՏՎԵՆԱՑԵ, ԾԱՄՔԱԼ ՏՎԵՆԱՑԵ, ՄՈՒԹՈՎԵ-ԾՈՎ ԵՐԵԱԳՐԵՇՈ ՄԱՐԳՈՎԾՄԱՐԳՈՎԸ, ՐԵՄՈՒՍՈՐՈՍ ՄՈԼՈ-ԾՈՆՔՈ ՎԱՐՈՒԵԼՈ ԾԱՐԾԱՑԻ ԳԱԵԽՆՈԼ ՏԱՄԱՐԵՍԱՎՈՒԹ ՐՈ ՄՈՄԻԵՐԵՑԵՇՈ ԾԱ ԵՐՏՈՒ-ՕՐՈ ՔԻԱՌՈՍ ԾԱՄԿՎՐԵԼՈՒ ԱՐ ՑՈԽ, ԱՆՇ ՏԱՄԱՐՈՍ ՊՈՐՑԵ ԾԵՎԵ ԻՐԵՄՈ ՎԵԿԵԾԱՐՈ ԾԱ ՄԻՆՈՍ ՄՈՄՊՐԵԼՈ ԱՐԱՎՈՆ ԻԱՆԸ. ԵՐՏՈՒ-ՕՐՈ ՄԱԻՆԸ ԳԱՄՈՒԵՆՈԼՈՎՈՒ ՎՈՆՄԵ. ԾԱՎՈՂԵՐՈ ԻՐԵՄՆԱՈՐ ՇԵԽԵՐՈ ՄՏԱԽՈՎԸ, ԵՐՏՈՒ-ՕՐՈ ՇԵԽԵՄՈՎՆՈ, ԳՑԻԾԱԿԱՐԳՈՎՈՒԼՈ ՄԱ-ԿԱՐԵՆԵԼՈ ՄԱԻՆԸ ԱՐ ՑՎԱՎԵ? ԱԿՈ ԱԼԽԱՆԱԾ ԻԱԼԽԱՆԱ ԱՐ ԾԱԵԼԵՎԱՐ? ԱԳԵՐԱ ՎԱՐ ԱԼԽԱՆԱ ԾԱ ՀՅԱՆԾԱԾԱՌՈ ԱՐՈԱՆ ԻՐԵՄՈ ԻԱԼԽԱՆԵՑԵ՞Ո?

\* \* \*

შუალამისას გამომეცხადა. მძინარე წამოვვარდი. ჯერ თითქო ადულებული წყალი დამასხეს სახეზე: მიშველეთ, მიშველეთ! მეგონა, ერთიანად დამეფუფქა სახე, ერთიანად გადამეცალა ჩახარშული ხორცი და ცარიელი თავის ქალა დარჩა. უთვალო, უცხვირპირო... მიშველეთ. ვინ არის ჩემი მშველელი, კუნაპეტ ღამეს შემოუჭვდია მიწისთვის ხელები, მილეული მთვარე ყურში უძვრება ღამეს, თითქო აღიზიანებს, აბრაზებს, მაგრამ ძალაგამოცლილი ღამის მნათობის შეხებას ვერცა გრძნობს ყურჭთვალა სიბნელე, ეს ჩემი ცოდვით სავსე. სხვისთვის უფრო ადვილად თენდება, ალბათ, სხვისთვის უცბათ თავდება ღამის აჩრდილთა როკვა, ჩემთვის... ჩემთვის ჯოჯოხეთია ეს ოხერი. თან ყოველი ღამე უმთვარო. ალბათ, სხვებისთვის არის მთვარე, რა ვიცი. მთვარეშიც არ გამიმართლა. ცოტაც და გათენდება, ცოტაც და წავა ეს შავტუხა გოლიათი.

ამასობაში „დამასხეს“ ადულებული წყალი და წამოვვარდი, ვაიმე... ანკავნკავდა ჩემს განწირულ ყვირილზე ეს საცოდავი მეძებარი, რომელსაც მაინცდამაინც ჩემი პატრონობა არგუნა განგებამ. დაფეთებული მიაწყდა ბუნაგს.

წვამ თითქო გამიარა. ხელი მივისვ-მოვისვი სახეზე. ხორცი რო ვიგრძენი, ბავშვივით დავიწყე ცქმუტვა. ალბათ, სიზმარმი ვიღაცამ გადამასხა ადულებული წყალი. თანდათან დავწყნარდი, გულიც ჩამიმშვიდდა, ფეხები აღარ მითრთოდა, მეძებარიც

თითქო მე მელოდა, ისიც ხანდახან თუ წამოიწყმუტუნებდა და ძაღლური ცნობისწადილით სავსე ძილ-გამფრთხალი თვალები გამოურბოდა ჩემი სარკმლისკენ.

თვალები გავახილე და უცნაური ნათელი შემოიჭრა ჩემს მზერაში, თითქო ჩამფერფლა. მეგონა, რო დავკარგე მხედველობა, უსინათლო დავრჩი, თუმცა ისედაც უსინათლო არ ვიყავი? ნათელის ნამცეცები, თუ ნამსხვრევები დამრჩა...

ვიღაც შემეხო და მერე ფრთების ფართქუნის ბგერები ჩამესმა, თითქო სიო მომელამუნა. თვალისჩინიც დამიბრუნდა და სხეულიც ისევ ვიგრძენი.

– ცოცხალი ხარ, ცოცხალი... – ვერავის ხმას მივამსგავსე და, ალბათ, ვერც ვერასოდეს გავიგონებდი ასეთ ხმას. ისევ ვიგრძენი შეხება.

– გაახილე თვალები...

დავემორჩილე. მთელი სხეული ამ საოცარი არ-სების ხმით აივსო.

– ღმერთო! ღმერთო! შემეშინდა. რაც კი ცხოვრებაში ბავშვობიდან დღემდე შეიში მქონდა განცდილი, ყველას ერთად აღემატებოდა.

– კანკალებს სხეული... ღმერთო!

ნათლის თითო დამადო ბაგეზე და თითქო შეხორცდა ბგერების გამოქვაბული. მაგრძნობინა, რო ღმერთი აღარ უნდა მეხსენებინა.

ნელ-ნელა, მძიმე-მძიმედ, როგორც მომაკვდავმა, ისე შევხედე. მზის სახე ჰქონდა, ვეება ფრთებიდან ნათლის სვეტები ეშვებოდა. უნებურად ისეთი განც-

და გამიჩნდა, იტყოდი, რაც კი ცხოვრებაში სირცხვილის შეგრძნება მქონია, ყველა გაერთიანდა და ამ დიდმა სირცხვილმა ერთად დაბზარა. ასე მეონა, თიხის სხეული მქონდა და როგორც უხეირო მეთუნის ნახელავი, ისე სკდებოდა და იშლებოდა ჩემი თიხის ტანი.

— შენი მფარველი ანგელოზი, შენი მფარველი, — ჩამჩურჩულა ვილაცამ.

ეს ხმა მეცნო. მეცნო... კი, ის იყო, მიტოვებულ თეატრში, დამპალ სცენაზე რო ვიდექი, იქ მესმოდა ეს ხმა, დამტვერილი ფარდის უკან იდგა ვიღაც უჩინარი და იქიდან მესაუბრებოდა. „ჭეშმარიტებებზე“ რო ვიკამათეთ, ჩემ ხმას ჰგავდა. ჩემი ორეულიც თან მოჰყვა მფარველ ანგელოზს.

მოვიდა უამი. ხომ მიგრძნობდა გული, დამთავრდა როლი. მიტოვებული თეატრი, ძველი სცენა წინ უძლოდა ამ ამბავს. შემთხვევით არაფერი ხდება. ძველი სამოსივით გამხდის სხეულს ეს სპეტაკი არსება, რომლის არსებობაშიც სულ მეპარებოდა ეჭვი და... თურმე არსებულა. თითქო უკვე ვხედავ. სულს უჭირს სამოსის გახდა, უჭირს გაშიშვლება, ქვრივი ქალივით ეთაკილება, შიშველი ჯერ არავის დაუნახავს პატრონის გარდა, ახლა კი სულ შიშველი დარჩება და ყველა დაინახავს ისეთს, როგორიც არის. მარტო სიმორცხვე არ ახლავს... ტკივილი, ტკივილი გაუსაძლისი. თითქო სხეულის ყველა კაპილარს ერთად წყვეტენ... სად წავალ მერე... ეს მარტო ამან იცის. ამ ნათებამ, გვერდით რო მიზის.

მფარველი ანგელოზი, სიკვდილი... არ მჯეროდა რაღაცეების და სულ იმის ფიქრში ვიყავი, რო ერთ მშვენიერ დღეს დაგმთავრდებოდი, სამუდამოდ. რა სული, რის სული... ყოფილა... აი, ახლა რა ვქნა, რამდენი რამ მომეკითხება და სულ ტანჯვა მერე... არა უშავს, არა უშავს, დამთავრებას ტანჯვა ჯობია, ტანჯვაც სიცოცხლეა. სიცოცხლე იმიტომაც ფასობს, რო ტანჯვაც უნდა ახლდეს. დამთავრება სიკვდილია. ყოფილა...

– ჯერ არ დამდგარა ჟამი... ჯერ აქ იქნები. როცა წასაყვანად მოვალ, სხვანაირს მნახავ. ბგერები შემოდის ჩემში.

„აბა ახლა“ – გავიფიქრე.

– ახლა იმისთვის მოვედი, რომ... ვერ ამოიკითხავდა ჩემს ფიქრებს, თუ რა.

– ძველ თეატრში რომ იდექი სცენაზე და როლზე საუბრობდი, მე მგონი სწორად მახსოვს. მარტოდმარტო იდექი.

„კი“ – გავიფიქრე.

– მეთანხმები, ვიცი. იქ საუბრობდი როლზე. რაღაც ჭეშმარიტებებზე. „არ უნდა მესაუბრა“ – უმწეოდ ვფიქრობ.

– არა, მაგას არ ვგულისმობ, კარგია ადამიანი, როცა ძიებაშია, ძიებამ შეიძლება ის დაწებებული თვალიც აუხილოს. თვალი ხომ დაგწებებია ძილით. დილით რომ ვერ აუხლ. ისე გაქვთ ადამიანებს გონების თვალი დაწებებული და ვერ გრძნობთ იმ თვალის არსებობას. ძიებამ შეიძლება ის დაწებებული

თვალის ახელამდე მიიყვანოს ადამიანი და ჩვენც ეს გვინდა...

ვიფიქრე, ვიფიქრე და რამდენი ადამიანი არ ჩაუბარებია ჩემთვის უფალს, რამდენი არსებისთვის მიდევნია მთელი ცხოვრება და ასეთი რამ არასოდეს გამიფიქრებია. რაღაცნაირად მომინდა, რომ ხილულად დაგნახვებოდი იმიტომ კი არა, რომ ჩემი არსებობა დამემტკიცებინა შენთვის, ახლოს მენახე ისეთი, როგორიც ხარ. ბოლოს და ბოლოს ჩვენც ხომ თქვენთვის ვარსებობთ. შენ იქ სცენაზე თქვი, რომ ეს ჭეშმარიტებები რომ არ იყოს, იმ ზეციურ ჭეშმარიტებასაც აზრი დაეკარგებოდაო. მინდა რომ დაგეთანხმო. რაღაც, ან ვიღაც რაღაცისთვის ან ვიღაცისთვის არსებობს. მე შენზე მეტი გონება მაქვს იმიტომ, რომ შენ ადამიანი ხარ, მაგრამ ვერც შენი და ვერც ჩემი გონება ამ ყველაფერს ვერ ახსნის. რატომ შეიქმნა ასე, რა მიზეზით. ეს მარტო შემოქმედმა იცის კანონზომიერებები, მან დაადგინა და რაღაც ადამიანური, ან თუნდაც ანგელოზური ლოგიკა ამას ვერ ახსნის და არც უნდა ვეწვალოთ ამისთვის.

მე სხვა სამყაროდან ვარ, დრო ჩემთვის არ არსებობს, მე უფლის შექმნილ ადამიანებს ვმოფარველობ. ალარ მოვყვები, რას ნიშნავს ეს მფარველობა და რატანჯვის მომტანია. ჩვენ, თქვენსავით ტანჯვისთვის გავჩნდით, მაგრამ ამ ტანჯვით ვწეტარებდით. ადამიანები ცხოვრებისთვის ეტანჯებიან. უფრო სწორად ადამიანებს ცხოვრება გტანჯავთ, ჩვენ კი

თქვენ გვტანჯავთ და არის ასე დაუსრულებლად. თქვენც ნეტარებთ ტანჯვის დროს, იმიტომ, რომ ზეცა გელოდებათ. ჩვენც ვნეტარებთ იმიტომ, რომ უფალს ვემსახურებით და ფრენა შეგვიძლია.

თუ გინდა, მცირე ხნით გავცვალოთ როლები.

ველარათერს ვიგებ, ტვინში თითქო ქარბუქია. კორიანტელია, ყვირილი მინდა, მაგრამ ვის მივმართო, მშველელი აქვე მიზის. აპა რა ვქნა. გაფიქრებაც არ მინდა, ყველაფერს ხვდება.

– მე გავხდები მცირე ხნით „შენ“.

ისე დავპატარავდი, ასე მეგონა, რო გავქრებოდი თოვლის ფიფქივით (თოვლის ფიფქსაც რო შევადარე ჩემი თავი). არ გინდა, რომ მცირე ხნით ადამიანთა მფარველ ანგელოზად გადაიქცე? ფრთები გამოგეს-ხმება. უსხეულო იქნები... ცა გახდება შენი სამყოფე-ლი. იფრენ, იფრენ, შენ არ იცი, ფრენა რა არის... ოლონდ მცირე ხნით, სულ მცირე ხნით და ვერც იმას შეგპირდები, რომ უზენაესს ნახავ. გამიწყრებიან ამ საქციელზე, მაგრამ ავიტან საყვედურს. ამდენი რამ ამიტანია შენს გამო და ერთ საყვედურსაც ავიტან, თუმცა არ ვიცი... როგორ სასჯელს დამადებენ. რაც ანგელოზი და ადამიანი არსებობს, პირველად ხდება ასეთი რამ. მინდა დაგანახო შენი თავი. მაღლიდან დაგანახო. ვინ ხარ, რა ხარ. მერე იწუნუნე ძველ თე-ატრში, როგორი როლი გერგო. უცნაური რამ იქნება.

მეც აქ ვიქნები, არსად წავალ... მცირე ხანს გავჩ-ერდები. შენი არსება ორად გაიყოფა ანგელოზად და ადამიანად... შენში მყოფი კეთილი ძალა ფრთოსან

ანგელოზად იქცევა და დროებით შენს მფარველობას მას დავუთმობ. აი, მას მინდა დავანახო დედამიწაზე მყოფი „შენ.“

თვალები დავხუჭე. თითქო შუაზე გაირღვა ჩემი დაჩიავებული სხეული. რაღაც სიმსუბუქე ვიგრძენი. თვალი გავახილე, აღარ ჩანს ჩემი მფარველი ანგელოზი. ხელით მინდა შევეხო ჩემს სხეულს, მაგრამ, ფაფუ, სადღა მაქვს ხელი, ვეება ფრთებით ვკიდივარ ცაში. იქვე, ჩემს გვერდით ღრუბელში დედიშობილა კოტრიალობს ეს უსირცხვილო მთვარე. ვარსკვლავებს ბებერი კაცებივით ეხუჭებათ თვალები.

ჰე, ჰე, ჰეე, სულ ცაა, აქეთაც, იქითაც, დაბლაც და მაღლაც. დავიქნიე ფრთები და თვალის დახამხამებაში გავიჭერი წინ, მივქრივარ, მივაპობ სივრცეს, რამხელა ფრთები მაქვს, მაგრამ ისეთი თეთრი და კაშკაშა არ არის, როგორიც ჩემს მფარველ ანგელოზს ჰქონდა, ეს ხომ ადამიანგელოზის ფრთებია.

ადამიანგელოზი რაღაა – რას არ მოიგონებს ეს უბედურ დღეზე გაჩენილი კაცი.

– დედამიწა! – დავიყვირე, ვეშვები მეტეორივით, თავიდან ხო ერთი ბენო ჩანდა, თანდათან ვუახლოვდები და დიდდება ცოდვის ბურთი. ოკეანეები, ხმელეთი, ტრიალებს ცოდვის ბურთი, მივქრივარ. გადავუქროლე თვალუწვდენელ წყლის სივრცეს. მთები... რა ლამაზია ეს ოხერი. მე მგონი ცაზე ლამაზია. ჩემმა (მფარველმა ანგელოზმა არ გამიგოს) აგერ! რამხელა დავიყვირე გუგუნი დაიწყეს მთებმა. თითქო ქარიშხალმა გადაუარა, ალბათ, რამდენიმე

ალაგზე ერთი-ორი ხე ფესვებიანად მოგლიჯა ჩემმა ხმამ.

აგერ – ჩემი თავი. ადამიანგელოზის მეორე ნაწილი. სად ჯანდაბაში მიდის ნეტა. ეე, ვუყვირი, არ ესმის ჩემი, ვერც მხედავს. ეეე, დაინგრა ჩემს ხმაზე ყველაფერი. ამას მაინც არაფერი ესმის. მთვრალი მიტოპაობს სოფლის ორლობის გუბეებში. ნეტაი შენც... ანგელოზი კი არა...

\* \* \*

– დავიღალე რაა! დავიღალე!

მაინც არ ესმის. წელზემოთ გახდილი აივანზე გადაყუდებულა, სიგარეტს მიხრჩოლებს და ფიქრობს ერთ კახპაზე, გუშინ რო ეძალავა, მერე კინალამ შემოაკვდა ცემაში.

– მოიხდე რა! კაცი არა ხარ?

არ ესმის და ვერც ამჩნევს.

ახლა გუშინწინდელ ჩხუბზე ფიქრობს, მეზობლის ბიჭს რო დანა ჩაარტყეს და იქიდან ისე „გამოძვრა“, ვითომც არაფერი.

ეს ვინა ყოფილხარ, კაცო!

მამიდაშენს მაინც როგორ მოპარე ბეჭედი... ვიღაც მეზობლის ბიჭს უჩივლა. დაატარებენ დაკითხვებზე იმ უბედურ დღეზე გაჩენილს.

ფეხები თითქო მენტვრევა, ცოტაც და მკვდარი ფრინველივით დავენარცხები მიწაზე. სიგარეტის ნამწვი გადაისროლა. გაფოთქილ იასამანს დაეცა.

მერე გადააფურთხა და ოთახში შემობრუნდა. წა-

მიერად შედგა. თითქო თავის ნაწილის არსებობას გრძნობდა, რაღაც იგუმანა? იბორიალა ოთახში, იბორიალა, მერე პერანგი გადაიცვა, დედის მიერ გაკეთებულ ხატების კუთხეს ისე ჩაუარა, ზედაც არ შეუხედავს და კიბეზე დაეშვა.

\* \* \*

- აღარ მინდა მფარველი ანგელოზობა...
- აღარ მინდა მფარველი...
- აღარ მინდა...
- აღარ...
- ვყვირივარ, ვგმინავ...
- ფეხი წამარტყა ვიღაცამ.
- აღარ მინდა მფარველი ანგელოზობა, რატო დამლე, შენი...
- ვინა ხარ, კაცო? - ფეხი წამარტყა ისევ ვიღაცამ, უფრო ღონივრად, უფრო დაუნდობლად.
- ვინა ხარ-მეთქი? - დამიცაცხანა.
- თვალები გამოვახილე. მბუუტავი სინათლე მომხვდა. თანდათან გადავიდა ბურუსი. გაკანთი-ელდა იქაურობა. წელს ზემოთ გახდილი ვეგდე ძველი თეატრის დამპალ სცენაზე. თავზე ვიღაც მუშა მადგა. იქნებოდა ასე ორმოცამდე, ბრეზენ-ტის სპეცსამოსი ეცვა. გაშტერებული დამცქეროდა. მივხვდი, რო ვიღაც უსახლკარო, მანანნალა ლოთი ვეგონე.
- ადე, ადე!
- ისევ მივჩერებოდი. დამთავრდა როლი. ვბუტბუ-

ტებდი.

- რა როლი, ადე-მეთქი!
- ხო თეატრია? – მიკნავლებული ხმით ვკითხე.
- ადე-მეთქი, არ გეყურება?
- ხო თეატრია?
- თეატრი ადრე იყო, ახლა სავაჭრო ცენტრი აშენდება.

როგორი სასტიკი მუშაა, თვითონაც უმწეოა, მაგრამ თავისზე უმწეოს რო მხედავს, იმიტომაც წამარტყა ჭვინტი ასე გამეტებით.

დადგება ახლა და დაშლის ამ დამპალ სცენას, თუმცა მაინც ტყუილა არ ვიდექი?!

9 აპნისი, 2016,

დიცი

## დეკორატორი

- 6-ზე...
- 6-ზე, 6-ზე!
- ვერ გაიგე, – სამხატვრო ხელმძღვანელს შეაჩერდა რომელა, ჭრელ თვალებს დაბნეული აცეცებს ბესარიონი.
- რა ვერ გაიგე, ყურებში დაცობილი ხო არ გაქვს რამე, რომელას თვალები დაუბრიალა.
- 6-ზე-მეთეული.
- მაინც ვერ გაიგო, ოლონდ აღარაფერი უთქვამს, ენაგადაყლაყულივით იდგა.
- გამგებელზე გეუბნები, შე გამოშტერებულო, შენა, ოხ, – მოურიდებლად გადააფურთხა ბესარიონმა. – რა უნდა შენისთანებს თეატრში?! შენ რა იცი, რა არი თეატრი. ტაძარში გინდ შედი, გინდ გამოდი, რა აზრი აქვს, თუ არ გაიაზრე, თუ არ გაათვითცნობიერე, რო ღვთის სახლში, უფალთან ხარ, ცას ესაუბრები.
- აჲა, ხო ხარ, მერე რა... – ზურგი შეაქცია დეკორატორს და ბურტყუნ-ბურტყუნით თავის კაბინეტისკენ გაემართა. უაზროდ გაემართა. უფრო ბოლთის ცემას ჰგავდა.

რომელა იდგა და ხმას არ იღებდა.

„რამ გამაჩერა ამდენ ხანს ჰა, რავი ჯადო ხო არ გამიკეთეს ამ ჩემისებმა, ჰა, ჰა, განელე, გამოწელე ოთხი-ხუთი თვე... ეგ არი და ეგა ჩემი, რა დავარქვა... რა ჯანდაბა რეგლამენტი? სად აღარ ვიყა, ვისთან

აღარ მიმუშავნია, თავისთვის გაელიმა ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობის ერთი თვე რო გაახსენდა, მაშინ კი ვადაზე ადრე დამახვევინეს, სად მე, სად ფიზკულტურა. გაქანებული ჯოკერს ვეთამაშებოდი ბავშვებს, თავზე წამომადგა, ის ჩემისა ისა, დირექტორი. მეორე დღესვე ამახვევინა, შენა სპორტსმენი კი არა, კარტოუნიყი ყოვილხარო. ეგრე დამთავრდა ჩემი ფიზკულტურობანა... მერე... მატარებლების მეისრეობალა მაკლდა რა? სად მე, სად მატარებელი, ცხონებულ ბაბუაჩემ ქსენოს მატარებელმა მოაჭრა ფეხი. აბა, მე კაცი ვარ?! ბაბუაჩემის ხათრი ხო მაინც უნდა დამეჭირა, თფუი, შე მართლა რომელა შენა. რო დავენახვე ქსენოს, სიკვდილამდე მატარებლის რკინის ბორბლების ხათქახუთქი ჩაესმოდა ყურში და მაინც ეწვოდა დიდი ხნის წინ მოგლეჯილი მარჯვენა ფეხი, სადღაც, ცხინვალის სადგურთან, რო დატოვა ლიან-დაგებზე. ერთი სიტყვით ქსენოს ფეხი ხო შევნირეთ მატარებლებს და ე, ჩემი მეისრეობალა აკლდა – ისიც რამდენთვიანი იყო? თავის თავს ეკითხება რომელა, თან წოპნობა ცხვირს ისრესავს. ეს ცხვირის სრესვა ხო დამჩემდა და დამჩემდა. გამიტ...კა ამ ცხვირმა საქმე. ჰო, ლამის გამსროკეს იმ ჩემისებმა იმათა... ქვახვრელის სადგურზე ვიღაც მეზობელი შემომიჩნდა. დღე იმისთვის არ იყო და ლამე, ერთავად გატიალებული მთვრალი დახერხეტობდა. ერთხელაც ბებერი საღვინით მომადგა: – შენაო, ამდენი ხანია (არადა სულ თვენახევრის მისული ვიყა) აქა მუშაობო, აქვე ვცხოვრობ ცხვირწინა და ჩემი სახლის კარი

არ იცი. აქ მაინც დავილოცოთო, მთა მთას არ შეხვდება, კაცი კაცს ყოველთვის გადაეყრებაო, სადმე რო შემხვდე ოდესმე, არ იტყვი, ი ეს რა ცხვირმურიანი კაცი ყოფილა მირუაანთ ვანუაო. არ მომეშვა, თუმცა ძალიანაც არ უძალავია. შევყეთ, შევყეთ და... არც მატარებლის კივილი გამიგია, არც არაფერი, იმ ღამეს სულ ცალფეხა ქსენო მესიზმრებოდა, მტუქსავდა, მიცაცხანებდა, თითო მიქნევდა. რა უნდოდა, ვერ გამოვიტანე მთვრალმა აზრი.

რა ღვინო მოიტანა, ვანო იყო, თუ ვიღაც ჩემი ფეხები... ვინმეს რო კახპა ქალივით ამოვედე, ვერაფერს გავიგებდი. გამოვგდებას ალარ ვჩიოდი... ლამის ვირის აპანოში გაგზავნეს. აბა ციხე მინდოდა? ეგრე დამთავრდა ჩემი მეისრეობა, თუ რა ქვია, არც კი ვიცი. და ქსენოს სულმაც მოისვენა, დამშვიდდა.

მერე სამთვენახევრიანი მძღოლი გავხდი. მძღოლი მეც, ახლა გუბერნატორი დამყავდა რა. ისე, მანქანის ტარება არც კი ვიცი, მაგრამ ხმამაღლა ხო არ ვიტყვი. ჩემს ჭირად რაღაც ფირმა გახსნეს, პიცები გამოძახებით, წავიკითხე ნომერი, ამოვიწერე და მივადექი. შემომხედეს, რა ვიცი რა მოეწონათ, მომცეს პატარა მოტოციკლეტი. ტარება ხო იციო, — უფროსმა ადრე გამგეობაში უმუშავია, მერე დაუჭერიათ, მერე გამოსულა და პიცების საცხობი გააკეთა. ცხოვრებაში იმდენი უცნაური რამე ხდება და ეს რაღა გასაკვირია. ტარება ხო იციო. რას ვეტყოდი, როგორ არ ვიცი, ბავშვობიდან მოტოციკლეტზე ვზივარ-მეთქი. დავქოქე, ავადრიხ-

ნებ ეს უცნაური უპატრონო და დავარძენინებდი ცხ-  
ელ-ცხელ პიცებს ხან იქით, ხან აქეთ, მაგრამ ხო  
ვიცოდი, რო დიღხანს არ გარძელდებოდა ჩემი  
მოტოციკლეტობანა. პატრულის მანქანას ბრახვანი  
გავადინე ზედ შუქნიშანთან. ვისი ბრალი იქნებოდა  
ახლა, კითხვა უნდა?! პიცები და მოტოციკლეტის  
ნაგლეჯები ეყარა აქეთ-იქით. მე რა მომივიდოდა,  
ან პატრული რას მიზამდა. ცარიელა კაცი ქვაზე  
მაგარია... ეგ იყო ჩემი ბოლო რეისი...

მერე ამ დასაწვავ შენობაში მოვხვდი და სულ ჩემი  
ძმაკაცის – პეპოს ბრალია. გამიხურა საქმე და აგე...

წამოდი, წამოდი, წამოდი, შენ არ იცი თეატრი  
რა მაგარია, შენ არ იცი, თეატრში როგორი ხალხი  
მუშაობს, შენ არ იცი, რა მაგარი რაღაცები ხდე-  
ბა. რა თეატრი, რის თეატრი, პაპაჩემი ალექსა  
იყო მეღვინეთუხუცესი თუ ბაბუაჩემი ქსენო იყო  
ვერიკ ანჯაფარიძე. დაატიკ ერთი ადგილი რა.  
შენობა კი არა, ჯადოა. მსახიობებსაც იმიტომ ას-  
ვენებენ სცენიდან. ველარ მიდიან, ველარ სცილ-  
დებიან. გეგონება რაღაც დიდი მაგნიტი გიზიდავს.  
რამდეჯერ დავაპირე წასვლა, მაგრამ... ვიტყვი, რო  
მორჩია, ხვალიდან ჩემი ფეხი აღარ იქნება, ხან პეპო  
შემომიჩნდება, ისიც ჩემნაირი დეკორატორი, მსახ-  
იობი ან რეჟისორი კი არ გეგონოთ. დადანდალებს  
ეგრე და აწყობს დეკორაციებს. როგორი დეკორა-  
ტორია თქვენ შეაფასეთ, მაგრამ ერთს ვიტყვი,  
შარშან საგაზაფხულო პრემიერაზე მაგის აწყობილი  
დეკორაცია, თუ რაღაც ჩიოლარი რო ჩამოინგრა

მაშველებმა გამოიყვანეს მსახიობები და ერთი, ხელმწიფის როლს რო ასრულებდა, დღესაც კოჭ-ლობით დადის. ხელფასი?

ზუსტად თვრამეტი ბოთლი საშუალო ხარისხის და გრადუსის არაყი მომდის, პეპოს ორი ბოთლით მეტი. ის ჩემზე მდიდარია, ის ჩემის თვრამეტიანი, ერთი სიტყვით თეატრია. ამოვყა თავი და ვარ ესე, ამან კიდე, ამომილო მიზანში, რეპეტიცია არ გამოუვათ – რომელა, ფარდა ჩამოვარდება – რომელა, მსახ-იობი დათვრება – რომელა. სცენა ყანყალებს – ისევ რომელა. იტყვი რო სულ მე ვარ. ჯადო გამიკეთეს, ჯადო უეჭველი. არ მჯეროდა ჯადოების, მეცინებო-და ხოლმე, ჯადო არა ჩემი ფეხები-მეთქი და აგრა თუ არა. რა მტვერი გადამაყლაპეს ამისთანა. სად წავიდა ის მტვერი, სისხლში გამიჯდა, თუ რა ვიცი. მივდი-ვარ და ფეხები აქ მრჩება. ეს ჩემი თვრამეტბოთლიანი ხელფასი ხო ნულარ იტყვი. ვალი რო დაგედება კაცს ხელფასით. ჩემი მეზობელი რუიზანა კიდე გავაგიშე და მაგის ბიჭების ცოდვა ავიკიდე. ჯოკერი ვეღარ უთამაშიათ.

მომიცუცქდა ამას წინათ ეგ კუდიანი ქალი. რაღა მაინცა და მაინც მანდ ვიქირავე ბინა, ბედისწერამ რუიზანის მეზობლობა მარგუნა.

**რამდენი გაქ, შვილო, ხელფასიო.**

სამი ათასი მაქ და გამორჩენა კიდე სხვაა-მეთქი. საწყობი მე მაპარია, მსახიობებისათვის რო ახალახ-ალი ტანსაცმელი მოგვდის, ჩუმად ვყიდი, ოლონდ, ყელი გამოვუწიე, არსად დაგცდეს არ დამღუპო-

მეთქი. დედა... ამოსაგლეჯი მაქვს ეს ენა რა. ორი-ოდე დღის მერე სადარბაზოსთან დამხვდა რუიზანის უფროსი ბიჭი გოგიტა. მევალესავით მიბლვეროდა. ჩავუარე, სალამი გოგა-მეთქი, ჯერ ზედაც არ შე-მომხედა, მერე ზურგსუკან დამადევნა: ერთი წუთით გაჩირდიო. მოვტრიალდი.

– ამხელა კაცი ხარ და რამ გამოგასირაო.

სისხლი მომასკდა. ჯიქურ მივადექი. ერთი მაგრად უნდა გამეთაქა.

ქეჩოში წავკიდე ხელი.

– ვინ არი გამოსირებული, აბა გაიმეორე-მეთქი.

„დუხიდან“ არ დაეცა.

– რა გინდა ამ დედაჩემისაგან, რას გადაიყვანე ჭკუიდან, ჩვენს ჭირად გადმოხვედიო. წავძიძგი-ლავდით. მერე ისევ დავშორდით გამშველებლის გა-რეშე.

– რა დედაშენი, რას მიედ-მოედები-მეთქი...

ბოლოს მითხრა, რა ბოლმაც ედო გულში. ალარ ასვენებს ძმებს რუიზანა, თურმე შავ დღეში ჰყავს. როდემდე უნდა ისხდეთ ამოდენა მუტრუკები ჩემს კისერზე, თქვე პარაზიტებო, თქვენაო. აგე, ბიჭი, გაძვრა-გამოძვრა, სამუშაო იშოვა, ყელამდე ფულსა შოულობსო.

მეცინება, აბა ამათ ახლა თავში ჭკუა აქვთ, ჩემი თავი მეგონა უჭკუო, მაგრამ ჩემზე სულელებიც ყო-ფილან თურმე.

ყელამდე შოულობსო. თქვენი პატრონი... ყელამდე რო ვშოულობდე, ამ სოროში ქირით ვიცხოვრებდი?!

თან ამათ გვერდით, დილითაც რუიზანსა ვხედავ და საღამოთიც. რუიზან, რუიზან...

– ვის ელაპარაკებოდიო? – პეპო შემოდანდალდა თეატრში.

– ვის ველაპარაკებოდი?

– ეე, დაგეწყო, უკვე დაგეწყო, ჯერ სულ გამოშტერებული იყა და...

– კიდევაც კარგადა ვარ... არა, რა... შენი ბრალია, რა, შენ რო კაცს შეუჩინდები, წავსულიყა, წავთორეულიყა, სადმე რამეს ვიძოვნიდი, რომელა ისე არ დაიკარგება, ხო იცი...

– დიპლომები, დიპლომები...

– რა დიპლომები, – ამრეზით შეხედა პეპოს.

– საგულდაგულოდ შეინახე, კარგა შეინახე.

– რეებს მიედ-მოედები.

– ხომ, შეინახე არსად დაგეკარგოს, სამი უმაღლესი რო გაქ დამთავრებული.

– სამუმაღლესიანებსაც გავკარი და ოთხიანებსაც, გაიგე? რა ჩემ ფეხებათ გინდა. მე ჩემი სამყოფი ჭკუა ყოველთვისა მაქვს.

– ჭკუა კი არა...

– თეატრი იცი, რაა, აქ იცი რა სამყაროა? იცი როგორი ხალხია? – პეპოს გამოაჯავრა. აქაურობა რო კაცს მოეწონება... აექ ამოვიდა ამათი წიკები, რაა! ყველზე გაიკრა სალოკი თითი. ყველა მე მიჩმახებს, ყველა ჩემზეა გაპრაზებული, იმ ერისთავმა ჩემს ჭირად დააარსა ეს თეატრი? მეტი საქმე არ ჰქონდა.

– ეე, – ხელი ჩაიქნია პეპომ, – შენ გინდა სცენის

მტვერი ყლაპე და გინდა ფარდა დალეჭე, აზრი არა აქვს.

— თვრამეტი ბოთლი არაყი... — ქირქილებს რომელა, — ერთკვირიანი „ზაპოი“ და ეგ არის სულა.

პეპო მხრებაჩეჩილი დგას: „რა თვრამეტი ბოთლიო, რა ერთკვირიანი ზაპოი“, სულ გამოათაყვანა, მე მგონი იმ გოგომ.

— ჰაა, ჰაა, — დაუცაცხანა რომელამ. — რა გაიფიქრე? იმას თავი დაანებე, ხო მიმიხვდი, — ისე ცოტა ხანს ლიმილი გადაეპენტა სახეზე, დასერიოზულდა, მერე ისევ ჩაეღიმა. აქ სულ ყველა გრძნეულები ვართ, ხო ხედავ, ყველა ერთმანეთის ფიქრს ვკითხულობთ. შენ წელან უნდა გენახა ბესარიონი, გაფიქრებასაც ვერ ვასწრებდი ისე ხვდებოდა ჩემს აზრებს. გრძნეულები ვართ, გრძნეულებიო...

\* \* \*

— ჩართავს, გამორთავს, ჩართავს, გამორთავს. ხან ლურჯ ღილაკს დააწვება, ხან წითელს. აღმუვლდება სცენის ქვეშ დამონტაჟებული დენის ძრავი, ისევ დადუმდება. ტრიალებს სცენა. რომელა ზის თავისითვის და აწკაპუნებს ლურჯ და წითელ ღილაკებს. ელექტრიკოსი კაკო თავს ამოყოფს იატაკიდან. სულ ორი დღეა, რაც დაამონტაჟეს მოძრავი სცენა და ნელ-ნელა უმულამებს რომელა.

კვირის ბოლოს პრემიერაა. ახალი დარბაზის გახსნას ახალი პრემიერით აპირებს ბესარიონი. ზის და აწკაპუნებს.

— კარგი რაა... — თვალები დაუბრიალა კაკომ. — შენ ვინა ყოფილხარ კაცო! რა მუცელში იჯექი, როგორ გასძელი ცხრა თვე. დამაცადე კაცი არა ხარ?! თითები დამიყვლიფა რემენმა, ცხრაჯერ გადმომიგდო უკვე, ხო გითხარი გასაგებად, რო დაგიძახებ, მაშინ დააწექი-მეთქი.

— ევროპაში ყოფილა მაგარი დეკორაციები, კაკომ!  
— იცინის რომელა.  
— მართლა, მართლა.

— პეპოო! — უაზროდ დაიძახა კაკომ და მაზუთიანი ხელის ზურგით ცხვირი მოიფხანა.

— ის რაღა იქნა...  
— გრიმს იკეთებს, გრიმსა.  
— თფუი, — წაიბურტყუნა კაკომ.  
— მართლა გეუბნები... ისე გამოათაყვანეს როლების თამაშიც დაიწყო, წინა კვირას რო გამოვარდა სცენაზე შავპლაშიანი ქურდბაცაცა, აბა ვინ იყო, იცი? არ იცი. კაკო ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა. აღარ ჩართო ცოტახანი, ერთი ამოსძახა რომელას და ისევ ძრავაში „ჩაძვრა“.

— პეპო, პეპო... — ქირქილებს რომელა.  
ასიანი მსახიობი გახდება, ერთი ხანობა როგორ სცხვენოდა, მაგრამ შეუკიკინა ბესარიონმაც და ჩააცვა შავი პლაში. არა, არაა... აქედან თუ დროზე არ ავახვიე. ერთი დღეც გათენდება და სცენაზე შავი პლაშით გამოვა რომელა. ახარხარდა.

— ჩართე, ბიჯოო.  
კაკოს ნათქვამი თითქო ვერ გაიგო.

– ჩართე-მეთქი, რა ბოზი ქალივით იცინიხარ, ჩემ ნერვებზე დახტიხარ თუ რა არი.

– კაი, კაი.

დააწვა ლურჯ ღილაკს და დატრიალდა სცენა.

– ხო, კარგი, კარგი, გეყოფა...

ნამაცალა თითები, გამორთო და კაკომაც ისევ ამოყო თავი.

– მასხარად მიგდებ?

– კაი კაკო, რა ბავშვივით ლაპარაკობ.

– თუ გინდა, ამოვალ და ვილაპარაკოთ.

– მართლა ბავშვივით ლაპარაკობ. რამე გაწყენინე?

ვერ გავიგე და რა ვქნა. – კაკომ სიბრაზე დაიოკა, თავი გააქინა და ბუტყუტით გაუჩინარდა.

– არ უნდა გაუცინო არავისა, არა, ბავშვს გაუცინეო და ტრაკს გიჩვენებსო, ისეა ამ ლანირაკების საქმე.

რომელამ ისევ გააგრძელა.

– წელან რო გეუბნებოდი, ჩემი ძმაკაცი მიყვებოდა კი არ გეკაიფებოდი.

– ევროპაში ყოფილა მაგარი დეკორაციები თურმე, აქ რო ერთი სცენის ტრიალი გვიკვირს და ამიკელი ამ შენი „რემნის“ დაყენებით. იქ სულ „პნოპკებზეა“ თურმე დეკორაციები, წამში იცვლება. დააწვები და თვალის დახამხამებაში აივნიანი სახლები ჩნდება სცენაზე.

– ეგენილა გვაკლია... – ბურტყუნებს კაკო.

\* \* \*

- წუხელ მესიზმრე... ისეთი სიზმარი იყო, ისეთი, რო ცხადი მეგონა. გეფერებოდი...
- მერე...
- გეფერებოდი, ვითომ მთის წვერზე ვიყავით. ღრუბელს ხელით ვეხებოდი, მზეც იქვე იყო.
- მატყუებ!
- არა, არ გატყუებ, მართლა იქ იყო, მთის წვერზე იჯდა მზე და ჩვენ შემოგვყურებდა შურიანი თვალებით. ცხრავე თვალი შურით ავსებოდა ცხრათვალას.
- რა შურით?
- რა შურით და ჩვენ რო გვიყურებდა. თვითონ რო არ ჰყავს შეყვარებული.
- ვის არ ჰყავს.
- ვის და მზეს.
- აბა, სულ შენ დაგელოდებოდა. დედამიწა მაშ, ვისი შეყვარებულია. და მერე როგორი შეყვარებული, არიან და არიან, მზე სულ მისთვის ამოდის, დედამიწაც სულ მზისთვის არ არსებობს?!
- ჩვენნაირი შეყვარებულები მაინც არ არიან. - იხტიბარი არ გაიტეხა რომელამ.
- ჩამოხვალ და დაგიმტკიცებ, რო მზეზე მაგარი ვარ. შენ ჩემი სითბო უნდა ნახო. მზეზე მეტი სხივები მაქვს. ყველა შენი იქნება. ყველა სხივს შენ გაჩუქებ.
- კისკისებს, კისკისებს, ხანდახან მისი კისკისის ბგერები წყდება, გამოსახულება წამიერად ჩერდება ლურჯ ეკრანზე, მერე ისევ ისე იღვრება მისი ხალასი ხმა. ისეთი შეგრძნება აქვს ბიჭს, რო გულის მა-

გივრად, ის მნათობი ჩაჯდა მის მკერდში, წუხელ რო  
მთის წვერზე ესიზმრა.

- ე.ი. შობას მოდიხარ.
- მე მგონი, იმედია, რო ხელს აღარაფერი შემიშ-  
ლის.
- ახლა კი მე მგონი, - ღიმილი გაუქრა რომელას,
- ახლაც თუ არ ჩამოხვალ ფეხით წამოვალ. ზუსტად  
სამოცდაათი დღე, ოცდაერთი საათი და 15 წამი დამ-  
ჭირდება.
- გადარეული ხარ.
- ვიცი.
- მართლა, მართლა.
- მეც მართლა ვიცი. არ გეხუმრები.
- აბა რომელა და სერიოზული? და არც მინდა,  
რო ვიყო სერიოზული, სიმართლე გითხრა. დადე-  
ქი და დაიტანჯე თავი. ხანდახან სიცილსაც კი უკან  
აბრუნებ. რა ქნას ამ სულმა. ამოდის სიცილი, უკან  
აბრუნებ, იმიტომ, რო სერიოზული სახე გქონდეს. აი,  
რომელას კი სულ ჰქიდია. სული რასაც გამოიმეტებს,  
ეგრევე სახეზე გამომეფინება ხოლმე.
- რა საყვარელი ხარ.
- საყვარელი არა....
- მართლა გადარეულო, - დაიჯდანა გოგო.
- ხვალ სცენა უნდა დავატრიალო.
- რა სცენა?
- სცენა. ახალი სცენა გვაქვს. ტრიალეებს... ბე-  
დის ბორბალივით არი, დავაწვები „კნოპკას“ და მიდი,  
პრონიალობენ ჩვენი მსახიობები.

– ჩამოდი დროზე, თორემ გავხდი ამ ბესარიონის წერა.

რუიზანის ხმა და ეკრანის გათიშვა ერთი იყო.

– მეხია, თუ რა არი, ეს ჩემისა ესა! – ბურტყუნებს რომელა.

\* \* \*

როგორ ზუზუნებს გაჩახჩახებული დარბაზი! ვეება ჭალებიდან სინათლის ჩქერალი იღვრება. ცოტაც და დაინტება. აბა, თქვენ იცით. აბა თქვენ იცით. თამად, გაბედულად, თავდაჯერებულად, თქვენებური თავდაჯერებით დიდ სცენაზე კარგა ხანია, არ გითამაშინათ, თუმცა... ვიცი, რო კარგად ჩაივლის ყველაფერი. გაივლის და გამოივლის ბესარიონი. თითქო პირველი სპექტაკლია მისთვის. იტყვი, რო ჯერ არავის უხილავს მის მიერ სცენაზე გაცოცხლებული რომელიმე ნაწარმოები. თამამად, არ დაიბნეთ. მსახიობისთვის და რეჟისორისთვისაც პრემიერა ხო იცი, რა არი... – ბუტბუტებს ბესარიონი. – გეგონება განკითხვის დღეზე წარდგენის რეპეტიცია მქონდეს, კაცო...

ცხვირს ნერვიულად ისრესაგს. ზუზუნებს დარბაზი. ჩახჩახებენ ახლად დაკიდებული ჭალები.

– ბატონო ბესარიონ! ბატონო ბესარიონ! – გოგო მორბის.

ორიოდე კვირის წინ მიიღო თხელი, სიფრიფანა ნატული ბესარიონმა. მეგარდირობე ცირას დამხმარედ აიყვანა. დაბერდა ცირა. მაყურებელთა ქურთუკების და ლაბადების დაბინავებაში შემოაცვდა

ცხოვრება. ცოტა ხანში მის ადგილს ნატული დაიკავებს. კი უღიმის დამხმარე გოგოს სიბერეში შესული მეგარდიობები, მაგრამ გული მაინც ბოლმით ეცსება. ვიცი, რისთვისაც მიიღეს. რა დამხმარე მუშა-ხელი, ან ასისტენტი მჭირდებოდა?! აქ დავბერდი ქალი და ჯერ არავინ არაფერში დამხმარებია, მაგრამ... მაინც უღიმის ახალ თანამშრომელს. ბოლმას გულში იკლავს და თავისთავს თვითონვე ანუგეშებს. მერე ნატულიც დაბერდება. სხვა გოგოს მიიღებენ, მერე ის გოგოც დაბერდება. სხვა მაყურებელი იქნება, თე-ატრიც სხვანაირი იქნება. ასეთია ცხოვრება. წუთი-სოფელს თავისი კანონები აქვს, თეატრშიც და თე-ატრის გარეთაც.

— ბატონო ბესარიონ, გამგებელი მოვიდა, გამგებელი! — ნატულის ხმაზე ბესარიონი ფიქრებიდან გამოერკვა. გონებაში პირჯვარი გადაიწერა, მსახიობებს თვალი ჩაუკრა და დარბაზისკენ გაემართა...

\* \* \*

- კაკო!
- სუუ, ბიჯო. — სალოკი თითი ტუჩებზე მიიდო ელექტროკოსმა. — ხმა გადის... — დაიჩურჩულა კაკომ.
- ახლა რო რემენი გაწყდეს, ისე ხო მაგარი იქნება.
- კაკო ისე დაიჯღანა, იტყოდი, მართლა გაჩერდა მოძრავი სცენა და ჩაიშალა ნარმოდგენა. ბესარიონის გაგენთებული სახე და ნაკვერცხლებად ქცეული თვალები წარმოიდგინა.
- შენი ენა და შენი... — ჩურჩულით გადაუკურთხა

რომელას.

სცენაზე მუსიკა უდერს. მშვიდი, სევდიანი მუსიკა, თითქო ბგერებიც მსახიობებივით სათითაოდ გამოდიან და „მუსუსის“ პერსონაჟებთან ერთად დააბიჯებენ სცენაზე, თითქო ისინიც ფეფოლას ეფერებიან.

— მიხა! მიხა! სადაცაა გაათხოვებენ შენს ფეფოლას, სადაცაა გაგიფრინდება შენი წითელფეხება მტრედი. დარჩება ეგრე ხახამშრალი, ეს ჩვენი „მუსუსის“ პერსონაჟი. არადა, გული ლამის დაეფერფლოს, სუნთქვა უჭირს, სული ეხუთება. ცოტაც და დაენარცხება მინაზე. ფეფოლას გარეშე როგორ იარსებებს. თითქო მასში ჩასახლებულა ეს საოცარი გოგო. ვერ გაათხოვებენ... მაშინ მიხა კაცი აღარ იქნება. ფეფოლაა...

გაივლის და გამოივლის მიხა.

ფეფოლა... ფეფოლა... — ბუტბუტებს რომელა.

თვალები დახუჭა, გაირინდა. უცნაურ მდუმარებაში ჩაძირა. ისიც იქ იყო მასთან ერთად, სიჩუმეში მდუმარებაში.

— ფეფოლა... ფეფოლაა... — ეჩურჩულება და ეფერება. თითქო ხელები ეწვის ისეთი სიმხურვალე ასდის სახეზე თეკლას, როგორ მომენატრე, როგორ მომენატრე. ხო აღარსად წახვალ.

— შენ ჩემი ფეფოლა ხარ.

— ვინ არის ფეფოლა? — ეკითხება თეკლა.

ნაწნავი დაუშალა, სახეზე მიიდო თეკლას გაშლილი თმა, დაყნოსა, ვნებით აივსო. სისხლის ხმაურს გრძნობდა. გული გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით ეხეთქებოდა მკერდს. იტყოდი სადაც იყო გამოარ-

დვევდა ჯებირს და თეკლას ჩაუხტებოდა კალთაში.

თვალები გაახილა. მოპირდაპირე მხარეს პეპო დგას და ანიშნებს, სცენა დაატრიალეო.

— დაატრიალე, დაატრიალე. მალე, მალე... — ხელს უქნევს პეპო. მსახიობებიც რომელას ელოდებიან.

ლურჯ ღილაკზე დააჭირა ხელი. ზანტად დატრიალდა სცენა. „მუსუსის“ პერსონაჟები ზურგით დგანან ან მაყურებელთან, მდუმარება ჩამოწვა სცენაზე. ეს მდუმარება სულ რამდენიმე წამი უნდა გაგრძელდეს და მერე სპექტაკლის ყველაზე საინტერესო მომენტი დგება. რომელა თითქო გამოთიშულია. მსახიობები ლანდებად ეჩვენება. ისეთი შეგრძნება აქვს, რო ამოდენა დარბაზში მარტოდმარტო იჯდეს და თეკლას ესაუბრებოდეს.

- გადარეულო!
- ვიცი.
- რა ჯანდაბა იცი?
- გადარეული რომ ვარ.
- სულელო.
- ეგეც ვიცი.
- რა იცი.
- სულელი რომ ვარ.
- მასხარა ხარ.
- ვიცი.
- რა იცი, ჩაიხვიე?
- მასხარა რომ ვარ და ისიც ვიცი, რომ ჩავიხვიე.
- ხო გიყვარვარ?
- ვგიუდები...

– მტყუანს.

ჩაიკისკისა თეკლამ.

– ნახე როგორი ქმარი ვიქწები.

– გული ამიზუყდა, – ტუჩები დამცინავად მობრიცა თეკლამ.

– ისე, უკეთესი გოგო მეკუთვნოდა, რამ შემაყვარა შენი თავი.

– ნადი მერე და იშოვე უკეთესები.

ჯიბეში ტელეფონი აზმუვლდა. რომელა ფიქრები-დან გამოერკვა, დახედა და თვალები გაუბრწყინდა, თეკლა ურეკვავდა.

მსახიობები დგანან ზურგით და ელოდებიან, როდის დააჭერს ლურჯ ღილაკს რომელა, მაგრამ სად არის, სად გაქრა, სად გაუჩინარდა, ვერავინ მოჰკრა თვალი. ლანდივით გაძვრა, სულაც მიავინებდა თავისი საქმე.

პეპომ ლამის თითები დაიჭამოს. ნელ-ნელა აბუტ-ბუტდნენ „მუსუსის“ პერსონაჟები.

– დაატრიალეთ, დაატრიალეთ, ჩქარა, ჩქარა.

აქეთ-იქით გაურბით თვალები. რა იქნენ დეკორატორები. არავინ ჩანს. პეპოს მინა უსკდება. თითქო ირყევა დარბაზი და ნალესი ცვივა ჭერიდან. ირყევა, არ ეჩვენება, ყურები უშეუის. მსახიობებმა ბუტბუტით რო ვერაფერი გააწყეს, დეკორატორებს ხმამალ-ლა მოუხმეს. დარბაზიც ახმაურდა. ვიღაცამ დაუსტვინა, ვიღაცამ ხარხარი დაიწყო.

– ეგრე არ დარჩეთ, ხალხო! – ვიღაცამ გასძახა მსახიობებს. ბესარიონს თითქო თვალთ უბნელდება,

რეტი ესმის.

„რა ხდება წეტა, დავიღუპე, ჩაიშალა მგონი, ღმერთო, ვითომ გამწირა უფალმა?“ – სხეული ეჭინ-ჭრება, ხელ-ფეხი უბუუის. ეს საშინელი წამები მისთვის დაუმთავრებელი გახდა. თითქო დრო გაჩერდა. გამგებელიც უხერხულად იშმუშნება.

– რა დაემართა, კაცო?!

ერთი ხანობა ბესარიონმა დააპირა, ეთქვა – სცენა, ბატონო... ასეთიაო, მაგრამ ვერ გაბედა. რა იცი და სადმე, რომელიმე სხვა სცენაზე ჰქონოდა ნანახი „მუ-სუსუი“. თუმცა გამოსავალი ისევ თვითონ მოძებნა. თუ ტყუილს მიუხვდებოდა, თავისი რეუისორული ხელ-წერით ახსნიდა ასეთ დიდ პაუზას. დავხოცავ, დავხოცავ... თავისი ფიქრი თითქო ხმამაღლა ესმის და ახლა იმაზე დაფრთხა, არავინ გაიგოსო. აქეთ-იქით იყურება. ლამის აიშალოს ხალხი. ისევ პეპომ იმარჯვა, მეორე მხრიდან მოურბინა და როგორც იქნა მობრუნდნენ „სააქაოსკენ“ მსახიობები. დარბაზი თანდათან ჩაცხრა, ისევ სიმშვიდემ დაისადგურა, ბესარიონმა ცოტა ამოისუნთქა. ხელსახოცით შეინმინდა ცივი ოფლით დაცვარული შუბლი. თვალი გამგებლისკენ გააპარა.

გამგებელს ცხირსახოცი აეფარებინა და იცინოდა ჩუმად, თან მალულად ღანვებზე ჩამოგორებულ სიცილის ცრემლებს იწმენდდა.

\* \* \*

– პეპო რა იქნა?! – თვალებიდან ცეცხლი სცვივა

ბესარიონს.

ხმის ამოღებას ვერ ბედავენ.

– პეპო რა იქნა-მეთქი, – ხმა შეეცვალა, თითქო ვიღაცა ყელში უჭერდა.

„მუსუსის“ პერსონაჟები კედელთან დგანან, ჭირისუფლებივით ჩამწკრივებულან, იტყვი, ცხედარი უდევთ წინ და სატირალში მოსული მეზობლებისგან სამძიმარს იღებენ.

– პეპო... – ხმა უწყდება სიმწრისაგან, ბგერები ყელში ეჩხირება, თან კართან ატუზულ რომელასკენ გაურბის მგლის მზერა, – როგორ ჩამიშალეთ, ამდენი წვალება წყალში ჩამიყარეთ, თავი მომჭერით.

კარი ჭრიალით გაიღო და პეპოც შემოიზუზა, დამფრთხალი თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, ხან მსახიობებს შეხედავდა, ხან ბესარიონს შეაპარებდა თვალს.

– ხო შენ მოიყვანე ესა, – რომელაზე ანიშნებს ბესარიონი და გახსნილ კოლოფში თითებით ეძებს სიგარეტს.

პეპომ თავი ჩაღუნა.

– ხო შენ მოიყვანე-მეთქი, – ბესარიონმა ბესარიონმა სიგარეტს მოუკიდა და თავჩაღუნულ პეპოს მიაშტერდა.

პეპომ წამიერად ანია თავი, რომელას შეხედა და ისევ ჩაღუნა თავი.

– მოგზავნილი ხარ? – რომელას მიუახლოვდა მძიმე ნაბიჯებით ბესარიონი.

რომელამ ძალა მოიკრიბა და რეჟისორისთვის არ

Շեյսեցավս, ուստի հաօլապարակա.

– თացս առ զոմարտլեք, մագրամ ჩեմո ծրալո նամდ-  
զոլագ առ ոյս, „մաթորմա“ ցայեցա. զանցեծոգո... մա-  
գրամ... առ գրուալեծդա. դազուծենո, բա զամեշետեծոնա,  
մերյ ուսց ուստի ամպշազդա. զուցո, բո... մերյեծո ասիրիա.

– զայոս ձայսմանց, – նեխոս Շեծլզուրա ծյասարոնմա  
դա բամդենոմյ նամშո յլոյելքրույոնսուց ոյ ցահնճա.

– ածա ածլու տյշո, – մեսարնչ ելու դաագու բոմելաս.

զայո տուոյո ցոմանոտ մոխզդա, տալեծո այմլզրա,  
կծոլեծո դաաշրափշնա. մոյուտմենլագ մոահերճա բոմե-  
լաս.

– արա, զայո յո արագյուր Շյամիա. զայոմ ծյերո ինցա-  
լա, նինա ձլեսաց ըրտագ ցավսոնչչետ, մագրամ բա զուցո.

– „մաթորմա“ ցայեցառ, – զայոս մոահերճա ծյասար-  
ոնոն.

– եօ Շյամոնմյ, პրյույրուս նոն.

զայոմ տազո ձայսմենա, տան ամլզրյուլո տալեծո  
բոմելասկյեն ցայելցա „Շեն տյ նիելուս կյեժ առ ցա-  
ցիցդո, զացո առ զոյս, յև զոնա պոտոլա զացո, սուսե-  
լո ցամիշրո, դազերգու դա ալետո մամյնո զոնմյ առ  
Շյմեզեդրուա“. նեծա բո մոյուպատ բոմելաս մոտոցոտ  
ամոուցեծդա ուլլուամի.

– տյշենո... – նաօմյոյշնա ծյասարոնմա.

– տյագրո, տյագրո... – ուսց մոյեծնա ցածսնոլլ  
կոլոտցի սոցարեցո, – բա օպուտ տյագրուս, տյ եզդեց-  
ոտ սագ եարտ, բաս ազյուղետ?!?

զայոս տուոյո բալացուս տյմա պնդոգա, մագրամ զեր  
ցածեցա. ծյասարոննա ցրմեյլոցուտ մոյշազդա.

— გინდა, მითხრა, რო „მატორს“ დაშლი და ნახავ, რაშიც იყო საქმე, ხო ესეა.

კაკომ თავი დაუქნია.

— რა შეიცვლება ამით. პრემიერა ჩამიგდეთ, ამ-დენი წვალება, ამდენი სტუმარი.

ამ დროს რომელამ ერთი ნაბიჯი გადმოდგა, ჯერ მსახიობებს გადახედა, მერე ბესარიონს და ბოლოს კაკოს თვალი ჩაუკრა.

— ჩემი ბრალია რა! ბევრი რო არ ვიღაპარაკო, რა ვიცი, მე მგონი „მატორის“ ბრალი იყო, ან რა ვიცი... შეიძლება მე მეგონა, რო მატორის ბრალი იყო. მიხა და ფეფოლა, ფეფოლა და მიხა, მუსუსი, მუსუსი, მიხა, ფეფოლა, ფეფოლა და მიხა, გამგებელი და ბე-სარიონი, ბესარიონი და გამგებელი, ისევ მუსუსი, მსახიობებმა თვალები დააჭყიტეს. პეპო კარს იყო აკრული და, სად გაპარულიყო, არ იცოდა.

— თავისებური მულამი ამასაცა აქვს რა! — აგრძელებდა რომელა, — რაღაცა ჩეპე აუცილებელია. ჩემი აზრით, ეს სპექტაკლი ყველაზე ორიგინალური გამოვიდა. მერე რა მოხდა, რო გაჭედა სცენამ. ადამიანები ჭედავენ და სცენაც ადგა და გაჭედა, თუ მე გავაჭედინე?

— რას ბოდიალობ, — ჩაიბუტბუტა, მიხას როლის შემსრულებელმა სხვა მსახიობების გვერდით რო იდგა.

— არაფერსაც არ ვბოდიალობ, სულ გინდა, რო მიხა იყვე და ფეფოლას დასდევდე? არ გამოვა ეგრე, ხო გაშტერდი სცენაზე. მიაქციე თუ არა უკანალი მაყურებ-

ელს? ხო, ჩემი ბრალია. მე დავისჯები ახლა, გამათ-ავისუფლებს ბესარიონი, რამდენს ვკარგავ ამ თვეში, აბა, ვინ მიხვდება? ჰეპო, რა დებილივით იყურები, ამოიღე ხმა. პეპოს პირი ლია დარჩა. ვერ გამოიცანით, იმ ფრაზების დაზეპირებას გამრავლების ტაბულა არ გერჩიათ? ზუსტად 16 ბოთლ არაყს ვკარგავ, იმიტომ, რო ამას წინათ სიმთვრალეში წამასწრეს და ორ დღის ჯამაგირი დამიქვითეს. ეგეც თქვენ.

„სულ გაგიუდა ეს ჩემისა“, – ფიქრობს კაკო და ბესარიონს უმოძრაო თვალებს აკვირდება.

თექვსმეტი ბოთლი არაყი... ეჭ, შე საწყალო რომელა, მაგრამ წასვლის წინ ერთი კარგი ამბავიც უნდა გითხრათ, ბატონო ბესარიონ, თქვენს სპექტაკლებში წამდვილად ურევია ღმერთის ხელი. მარტივად აგიხ-სნით, რატომ! მიხა და ფეფოლა სცენაზე კი არა, რე-ალობაში განახორციელეთ, აი, ამ გრძნეული სცენის წყალობით მოხდა ეს ამბავი და მიუხედავად იმისა, რო სამსახურიდან მაგდებთ, სიკვდილამდე თქვენი მაღლიერი და ერთგული დავრჩები, სადაც არ უნდა დავიწყო მუშაობა, ყველგან მესხომებით.

იმ დიდი პაუზის დროს, როცა სცენა გაჩერდა და ეს ვაუბატონები ზურგით, ანუ უკანალით იდგნენ დარბაზისკნ, ცოლი მოვიყვანე. თეკლამ დამირეკა, ანუ ჩემმა ფეფოლამ და გავბედნიერდით, ჰო, დავქორწინდით, მართალია ვირტუალურად, მაგრამ ქორწილის დღე დავთქვით და ერთმანეთს სიკვდილა-მდე შევფიცეთ სიყვარული.

მე ახლა, სამსახურდაკარგული, მაგრამ ბედნიერი

კაცი ვარ და ის მოძრავი სცენა, თუ კაკოს დამონტაჟებული მატორი, მინდა გითხრათ, რო მაგრა მკიდია.

ბესარიონს ჯერ ნიკაპზე მოუღიტინა ღიმილმა, მერე აჰყვა, აჰყვა და ღიმილი ხარხარში გადაუვიდა. წელანდელი რისხვა სადღაც უკვალოდ გაქრა და გულის წასვლამდე ხარხარებდა „მუსუსი“ დამდგმელი, რომელსაც ჯერ მსახიობები აჰყვნენ, მერე კაკო და პეპო.

– ხო გეუბნებოდით, გიუია-მეთქი, თუმცა... მშვენიერი მონოლოგი კი გამოუვიდა, – სული მოითქვა ბესარიონმა, – ისე, არ იქნება ეს მაიმუნი ურიგო მსახიობი!..

**21 აპნისი, 2016 წელი,**

**დიკი.**

## დაისვენე!!!

- მამა, ადამიანს რა კლავს?
- რა კითხვები გაქვს, შე მაიმუნო, შენა. რა უნდა კლავდეს, დარღი კლავს. დარღი ყველას კლავს, დარღი ისეთი რამეა, ყველას კლავს, ყველას აქცევს. მოჭრილი ხე რო დაეხეთქება და ზღართანს გაადენს, ხო დაგინახავს.
- როგორ არა.
- ჯერ ხერხემალი რო ჩახანით გადაუტყყდება და ტკაცა-ტკუცით წავა. დაეზღერთება და დააკვდება მინას. აეგრე ზღართანით აგდებს დარღი ყველაფურს. ადამიანსაც, ცხოველსაც, ფრინველსაც, მცენარესაც. ადამიანს გაჩენისთანვე სადარდებელს უჩენს უფალი. ადამიანს ადამიანად დარღი აქცევს ხოლმე.
- ეგ როგორ. უფრო კარგი ადამიანი არ იქნება უდარდოდ?
- უდარდელი კაცი ხო გინახავს?
- მერე?
- არ გინახავს?
- ჰომ, კაცო, - თავი დაუქნია გოგომ, თან ჭალარა თმა გაუსწორა, შუბლზე რო ნამგალა ჩიტის ბოლოსავით ჩამოფხატვოდა.
- უდარდელა კაცი რაღაცნაირია, თავისებური, ადამიანურ საფიქრალს მოწყვეტილი. ეგეთ კაცს ჭკუას არავინ ეკითხება. იმიტომ, რო დაცანცარებს უბედურად ეგრე.
- ხანდახან ძალითაც კი ქმნის სადარდებელს ადამიანი, იმდენად შეეჩიდა დარდს, რო ვერ ძლებს მის

გარეშე, სულ სადარდებელია ყველაფერი, სიცოცხლე და დარდი ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია. რო დარდობ, არსებობ, ცოცხალი ხარ. რო გიყვარს, დარდობ და აეგრეა რა... ისე ეს უცნაური კითხვები საიდან მოგდის ხოლმე. გეოგრაფიაში ისწავლე? გუშინ რო ამტრუნჭა შენმა მასწავლებელმა.

— ავტრუნჭავ მაგას...

— აბა, აბა, შენ ცოტა ოჟებს დაუჭი, ვინ მოგცა მაგის უფლება მასწავლებელზე. შენთვის გეუბნები, თუ გეუბნები, თორე შენი გეორგაფიული განსწავლულობა რას მოუტანს, ერთი მითხარი. ნიჭიერია, მაგრამ საშინელი ზარმაცია.

— ვიცი... — ჩაიკისკისა ნათომ.

— რა იცი? — თვალის ხამხამი შეწყვიტა ვაჟამ.

— ნიჭიერი და ზარმაცი რო ვარ.

— მერე...

— რა მერე, ვარ და რა ვქნა. არ მიყვარს გაყინული გაკვეთილები.

— რა გაყინული, — ვერ მიუხვდა ვაჟა.

— გაყინულში განა გათბობას ვგულისხმობ, ერთნარი, ჩაქვავებული გაკვეთილები. გამარჯობა, სიის ამოკითხვა, სულ ერთი და იგივე ბავშვების გაძახება და ერთი და იგივე დაჩაგრული ბავშვების ტუქსვა. უკვე მშობლებზე გადავიდნენ. ყალბი ხუთიანები და მადლობები, მშობელთა კრებები, კედლის გაზეთები, „ვეფხისტყაოსნის“ საზეპიროების კონკურსები. პედაგოგთა გამოსამშვიდობებელი საღამოები... რა ვიცი... რატო ხოცავენ ბავშვებს, ვერ ვიგებ. შენ როგორი ბავშვი იყავი, მოწესრიგებული? გიყვარდა გეოგრაფია,

ლაუზიეს კანონებს გაბულბულებინებდნენ, ყელსახვევი საგულდაგულოდ გქონდა გაბანტული, გეკეთა ლენინისთავიანი ოქტომბრელის, თუ კომკავშირელის სამკერდე ნიშანი, ყოველ პირველ სექტემბერს ქების სიგელით გაჯილდოებდნენ და, 5-იანს როცა მიიღებდი, რადიოთი აცხადებდნენ, სკოლის რადიო... არა, იმათი მეგაფონით.

— კიდე, კიდე... — აიმრიზა ვაჟა, მარცხენა წარბი აეზნიქა. — ამას უყურე, ამ მაიმუნს.

- კაი, არ გეწყინოს, გასაბრაზებლად კი არ მითქვამს.
- მოეხვია ნათო, ჯერ შუბლზე აკოცა, მერე ლოყებზე.
- უიმე... — ტუჩქები მოპრუნება, რეინის წვერი გაქ...

ვაჟას გაეღიმა და თავზე წაუფაცუნა.

— ვის დაემსგავსე ასეთი ანცი, შემთხვევით დაიბადე გოგოდ. დედაშენს ვეტყოდი ხოლმე, ეგ ისეთი ყალთაბანდი რამე გამოვა-მეთქი. საწყალი ქალი აქეთ აღარ იყო, რა დღეში იყავი. ხო ხვდები, როგორ დღეში ჩააგდებდი მუცელში გამომწყვდეული.

ნათო კისკისებს, მარჯვენა ლოყა ეჩხვლიტება და თვალები ეჭუტება, როგორც ვაჟას ეჭუტება ხოლმე სიცილის დროს.

- ალი-კვალი მამაშენი ხარო, — დედამ.
- ხოო, მე დამაბრალეთ ყველაფერი, — ჩაიხითხითა ვაჟამ, — ბიჭი დედასა პეგავსო ხოო, დინჯია დედასავითო, გაწონასწორებულია, გოგო მამასავით ანცი და მოუსვენარიო.
- დარდზე ლაპარაკობდი...
- რად გინდა დარდი.
- კაცს მარტო ეგა კლავს.

– კაცს ბევრი რამ კლავს.  
 – მაინც?  
 – სიყვარულიც კლავს, სიძულვილიც კლავს, ფიქ-  
 რიც კლავს, ოცნებაც კლავს. ყველაფერი კლავს ადა-  
 მიანს.

– გამოდის, რო...  
 – ეგრეა, ეგრე... – ჩაილაპარაკა ვაჟამ, – თითქო  
 წინასწარ ამოიკითხა ნათოს თვალებიდან სათქმელი,  
 საწერ მაგიდისკენ დაიძრა ვაჟა.  
 – ეე, – წაიზმუკუნა ნათომ.  
 – მოიცა, არ დაჯდე რაა.  
 ვაჟამ შვილს მოხედა.  
 – ბევრი მუშაობაც კლავს ადამიანს.

ამ დროს გაიღო კარი და ფლოსტების ფრატა-ფრუ-  
 ტით შემოვიდა აანა, ვაჟს თოხმოცს გადაცილებუ-  
 ლი დედა, გაუთავებლად რო უკანკალებდა მარჯვენა  
 ხელი.

აანას – აანა შეარქვა ნათომ და ყველა ეგრე ეძა-  
 ხდა. აუკრძალა კიდეც დედას, მამას და ერთადერთ  
 ძმას, ანა კი არა აანა. აანა, აანა. აანასაც ეღიმე-  
 ბოდა. ქალი დავბერდი, პირი მიწისკენ მიმაქ, სიზმ-  
 რებში უკვე მიქელ-გაბრიელის კარზე ვარ და ესეთი  
 უცნაური ახალგაზრდები არ მინახავს, ოღონდაც შენ  
 იხალისე, შვილო, და რაც გინდა, ის დამიძახე, გინდა  
 ანა და გინდა ბანა. სახელიც თქვენთვის მიჩუქნია  
 და გვარიცა.

– მოდი ბებოს ვკითხოთ.  
 – აანა, – ნათო უყურებს და ეღიმება. იცის რო მა-  
 მას რაღაცას ეობუნჯება. მარჯვენა ხელი კანკალებს,

კანკალებს. სხეულის ყველა ნაწილზე მეტად გამოხატავს, რო ცხოვრებასთან ჭიდოლში დაიღალა.

— ბევრი მუშაობა ხომ კლავს, ბებო.

აანამ ჯერ ნათოს შეხედა, მერე – ვაჟას.

– მართალს ამბობს, ბევრი მუშაობა არა მარტო ადამიანს, ვირსაც კი კლავს. ბავშვობაში მინახავს ბევრი ჯაფისეგან ჩაიჩილი. ჩვენს მეზობელს სულიკო ერქვა ღმერთმა აცხონოს. ისეთი ლამაზი დიდყურა ჰყავდა, დიდი, ჭკვიანი და სევდიანი თვალები ჰქონდა. იტყოდი, რო გამჩენს ემდურებოდა ვირად რო შექმნა. ერთ მშენიერ დღესაც ჩაიჩიქა სულიკოს ყროყინამ. – გაეცინა აანას. მაგაზე გამახსენდა, საათს ერთ წუთს არ გადააცილებდა ხოლმე, იტყოდი „მაღვიძარა“ ედგა ყურებში, გახდებოდა 11 – ატეხავდა ყროყინს, გახდებოდა 12 – ისევ დაიწყებდა.

ვაჟამ ხელი ჩაიქნია და საწერ მაგიდას მიუჯდა.

\* \* \*

– მამაჩემო! ვფიქრობდი, დამენერა თუ არა ეს წერილი, ერთი ხანობა ვყოყმანობდი, მაგრამ მერე მაინც გადავიწყიტე. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, ეხლა არ დავიწყებ ჩემი გეოგრაფიის მასნავლებელივით რაღაც გაქვავებული სიტყვებით მოყოლას. მოკლედ მიყვარხარ და ეგ არის. ფიქრით მიყვარხარ, თვალებით, გულით, თმებით, სიცილით და სიმეტიჩრით. შენ რო მტუქსავ ხოლმე, მაგრამ მეტიჩრობა კარგი რამეა. ლმერთმა დამიფაროს დავსერიოზულდე, საწერ მაგიდას მივუჯდე შენსავით და გავიხლართო ფიქრებში და ხელახლა აღმოჩენები დავიწყო იმის, რაც დიდი ხანია აღმოჩი-

ნა ღმერთმა. ან რაღაც ახალი რამეების გამოგონება დავიწყო. ხელახალი „ინტერპრეტაციები“, თუ რაღაც სისულელები. ასე მგონია არასრულყოფილი ადამი-ანები აკეთებენ ამას. ხელოვანები არასრულყოფილები არიან, მე ასე მგონია. საკუთარ თავს გაურბიან და რაღაც ახალს ქმნიან საკუთარი თავის გვერდით. შეიძლება ის ახალი ხეირიანი რაღაც გამოუვიდეს, მაგრამ შესანიშნავად იციან თვითონ, რო რაღაც მომენტში საკუთარი თავი უარყვეს. როცა რაღაცა ახალს ეძებ, ე.ი. არსებული არ გაკმაყოფილებს, სრულყოფილებისკენ ლტოლვა გაქვს, ე.ი. არასრულყოფილებას გაურბიარ. ის კი არა ბერებიც და მონაზვნებიც ასეთი კატეგორიის ადამიანები მგონია. საკუთარი თავის უარმყოფელი, ღმერთის მაძიებელი. სრულყოფილებისკენ მიდიონ, არ მოწონთ არსებული, სდევნიან საკუთარ თავს. სრულყოფილი მეტ-ნაკლებად ვინც არის, ასე მგონია, არაფერს აკეთებს და ამ არაფრის მკეთებელს ყოველთვის უარყოფენ, დასკინიან, დევნიან, ის ზარმაცია, ხელმოცარულია და ა.შ.

შენთან მინდა, რო ასეთ საკითხებზე ვისაუბრო, მაგრამ ამის საშუალება, არ მაქვს. სულ წერა, წერა, წერა, გადავწყვიტე რო აქცია ჩავატარო შენს ნინააღმდეგ, თუ როგორ, ამას მარტივად მიხვდები. ის კი არა... მე ხო იცი, როგორ შემიძლია შენს სულში ჩახედვით... შენი დაუწერელი მოთხოვნების გმირებს ავამხედრებ, ერთი თითი დავუქნიო და ყველა ჩემს მხარეზე გადმოვა. თვალდახუჭული მოვუხმობ და მოვლენ. გაგეცინება, მაგრამ ხო იცი, რომ გამკეთებელი ვარ. დაისვენე, რა... დაისვენე. არა მუშაობას!!!

\* \* \*

კომპიუტერი გაშალა, ვარდისფერი ფლომასტერით ვეება წარნერა მოხვდა, ქათქათა თაბახის ფურცელზე: „დაისვენე“...

ჯერ ვერ მიხვდა. საწერ მაგიდას მიუჯდა. წიგნებზე რამდენიმე ფურცელი მიეკრა „უჩინარს“. „დაისვენე-მეთქი, დაისვენე“. „არა მუშაობას“. წითელ-ყვითელი ფლომასტერით გაეფერადებინა წარნერები. ერთი წიგნი გადაშალა, იქაც წარწერიანი ფურცელი „დაისვენე“, მეორე გადაშალა – „დაისვენე“, მესამე გადაშალა – „დაისვენე“, ბლოკნოტი გადაშალა – „დაისვენე“. სულ ყველგან საგულდაგულოდ მოეთავსებინა ზოგი ჩვეულებრივი, ზოგიც მომცრო ფურცლები. „დაისვენე“, „დაისვენე“, „დაისვენე“.

- დედა! – არავინ ჩანდა სახლში.
- აანა! – კვლავ არავინ დაეპასუხა.
- ეს სადღა წავიდა?! – ამ დროს გაიჭრიალა კარმა. აანამ შემოყო თავი.
- იმ კუდიანმა ქნა? – ჩაელიმა ვაჟას.
- აანამ მხრები აიჩინა.
- შენი განუწყებულია, სულ შენი, – თავი გააქნია ვაჟამ.
- სად წავიდა?
- ცეკვაზე... ხუთზე მოვა, – საათს შეხედა ანამ.

8 სურნეუნისი, 2016 წელი  
დიცი

## ჩვენი ძველი მესურათე

– წამოვედი, ხომ. მა რა მექნა. შენ რო ყოფილიყა, რას იზამდი? არა, არა კაცურად თქვი, – ნაცრისფერი თვალები მოჭუტა.

– რა ვიცი, – მხრები ავიჩერე.

– შენც წამოხვიდოდი. ვერ გაჩერდებოდი, ძმაო, ვერა. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ადამიანი ხარ. მონათმფლობელობა ხო აღარ არის, მაგის ღმერთი არ იყოს (შეიძლება კაი გემრიელი გინებაც უნდოდა, მაგრამ ჩემი მოეხათრა), ჯერ დაძრული არ მქონდა მანქანა და ცხრაჯერ მომიხადა ბოდიში, – შეგანუხე მოკლედ.

– კაი კაცო...

უხერხულად იშმუშნებოდა. ვერა და ვერ გასწორდა. სპეცტანსაცმელი პარკში ჩაალაგებინა. შავი ჭრაჭუნა პარკი იყო, ფეხს რო მიადებდა, საშინლად ხმაურობდა.

– გამასწრო იმ ოხერმა 8-საათიანმა, თორე არ შეგანუხებდი. – ეს უკვე მეორედ მითხრა, თან პარკს ასწორებს.

– კაი, რა შეწუხებაა, რა მოხდა?.. შენც ხო გყავდა მანქანა და უჩერებდი ნაცნობებს.

– კი, ვუჩერებდი... გხსომებია ჩემი მანქანა.

– კი, როგორ არა, ყვითელი „მოსკვიჩი“ არ გყავდა?!

– ჰომ, – თვალები გაუბრნებუნდა, – „მოსკვიჩი“, „მოსკვიჩი“. ერთ დროს კაი რამე იყო არა, ჩემსავით ყავლი გაუვიდა. მეც არა მიშავდა, სანამ შენი ტოლი

ვიყა.

- არც ახლა ხარ ბებერი.
- ბებერი არ ვარ, მაგრამ მეწევა სიბერე, რაღა აკლია, მეწევა, – ჩაეცინა.
- ახლა სად მიდიხარ.
- რავი მივდივარ, დამიპარა ერთმა, ისევ სამრეცხაოში, მეტი სამსახური აქ არ არი. ესეც ხო იცი... – ისევ დააჭრაჭუნა პარკი, იტყოდი, რო სადმეს გაექცეოდა, მალ-მალე გაასწორებდა ფეხებთან.
- მშვენიერი ხელობა გქონდა, მახსოვს შენი ფოტოაპარატი.
- კაი, კაცო? – ჭორფლიან, გამხმარ სახეზე ღიმილშერეული გაოცება გამოეხატა.
- მახსოვს. შენი მოტანილი სურათები ისევ ისე მაქვს სახლში. თუ გინდა, გეტყვი.
- შემომცეკვის ბედნიერი თვალებით. მისი ცხოვრების საუკეთესო ნლებს შევეხე, ურუანტელი უვლის ტანში, სიამოვნების ბუსუსებს აყრის.
- მაშინ „დესნადვა“ მყავდა. – ამაყად ვთქვი, – დიცში რო რკინეულობის მაღაზია იყო, გახსოვს?
- როგორ არ მახსოვს, ზურას მაღაზია. ზურასაც კარგა ვიცნობდი.
- ხო, იქ მიყიდა ცხონებულმა მამაჩემმა. თავს ვინონებდი, დავქროდი აღმა-დაღმა. ჩემი „დესნადვის“ ფოტო რო შემომრჩა, შენი დამსახურებაა. შენ კიდე, მეუბნები, მანქანა რო გაგიჩერე, შეგანუხეო. კიდე იცი, რა შემომრჩა? – აღარ უყურებს ჭრაჭუნა პარკს, ბედნიერებისაგან ლამის არის, აფრინდეს. თვალებში

უცნაური შუქი უდგას (ეს რა კაცი ყოფილა) გულ-ში ფიქრობს, – სკოლის ეზოში მაქვს გადაღებული ფოტო, ისიც შენი გადაღებულია, დიდი, ფაფახივით ქუდი მახურავს. ის ქუდი პიატიგორსკში მიყიდა მა-მაჩემა, ნუტრიის ბეწვისგან შეკერილი ქუდი. არ ვიხ-ურავდი, აქ ჩემს ტოლებს არავის ეფარა ასეთი ქუდე-ბი. მამაჩემთან რას გავხდებოდი. ეს სურათიც შენი დამსახურებაა.

– მაგარი „ზენიტი“ მქონდა. უჰ, მაშინ 300 მანე-თი მივეცი, ორ-ორი დეკეული გავაყიდინე ვალიკოს. კოშკებს ვუშენებდი მამაჩემს, ოღონდაც ეს ფო-ტოაპარატი მიყიდე და, რასაც მეტყვი იმას გავა-კეთებ, ამ ნახირის დევნა არ მოგწყინდა-მეთქი, წინას-წარ დავუანგარიშე, რამდენი უნდა მეშოვა ყოველთვე. შევაბი, როგორც იქნა.

– მე „სმენა“ მქონდა, მოსკოვში მიყიდა მამაჩემმა, გუმი ხო გახსოვს, მაღაზია-ქალაქი.

– ეეჸ, გორზე მაგრა მოსკოვი ვიცოდი. სადაც მე არ მინანწალია.

– არ გამოვიდა ჩემგან ფოტოხელოვანი, მამაჩემს ტვინი გავუწყალე, ახლახან გადაყარა ჩემმა ცოლმა მაშინდელი გამოსაუღავნებული და სხვა რაღაცები.

– „ზენიტი“... – ჩურჩულებს ჩემი მგზავრი, – მაგარი იყო, მაგარი. მშვენიერი ხელობა მქონდა, ავივლიდი, ჩავივლიდი სოფლებში, გამოეფინებოდა ხალხი, არიქა მესურათეო, – არიქა, მესურათე, ყვიროლნენ. რიგ-ში ეწერებოდნენ, კაცო! საქმე აესე მქონდა – ყელზე გაისვა მარჯვენა სალოკი თითი, – მერე და მერე გა-

დავარდა მოდიდან ჩემი „ზენიტი“, ჯერ „კოდაკებიო“, მერე „პოლაროიდებიო“ თუ ჯანდაბა, ახლა კიდე... ყველას ფოტოაპარატიანი ტელეფონი უჭირავს და ვიღას რა ფეხებათ უნდა შენი მესურათეობა და ამიტომაც შევრჩი ამ სამრეცხაოებს.

ერთი ხანობა ავენტური ვითომ, ჯერ ეს სამსახური... წყალი გინდა, პური გინდა, არსებობა გინდა, ნამეტანი ამომიყვანა ყელში იმ შობელძალლმა ავთომ. თავიდან არ მექცეოდა ცუდად, გეცოდინება, ულვაშებიანი კაცია, თეთრი „მერსედესი“ ჰყავს. ციხესთან რო სამრეცხაოებია, – თავი დავუქნიე, – მაგრამ ვერ მივხვდი. თავიდან კაი კაცი იყო, მაგრამ ბოლოს აურია. ხო იცი... ფული რას უშვრება ზოგიერთსა. აგიუებს, თავს აკარგვინებს. ჯერ ერთი სამრეცხაო ჰქონდა, მერე მეორე მიამატა, მერე მესამე, მერე კაფე გახსნა, მერე მაღაზიები... და აურია. გაძუნნდა. თავიდან რო ვეცოდებოდით და წაგვიმატებდა ხოლმე, მერე კაპიკებს დაუწყო დევნა. შარების მოდებაზე გადავიდა.

ბავშვები რო მოდიოდნენ ხოლმე სკოლაში (იქვეა სკოლა), გავცქეროდი და იმათი ულურტულის მოსმენით ვტკბებოდი ხოლმე. ღმერთმა ასეთებად შეგვქმნა. უნდა, რო სულ ბავშვებივით ვყოფილიყავით უცოდველები, მაგრამ არ გამოუვიდა (ჩაეცინა). გავცქეროდი და ასე მეგონა ჩემს შვილსაც უნდა გამოევლო... შვილის ღირსი ვერ გავხდი. აღბათ, ვიღაცამ დამწყევლა. თუმცა, რაღა ვიღაცამ, ერთი კუდიანი მეზობელი გვყვავდა, დედაჩემმა წაასწრო ერთხელ ღამე ჩვენს ეზოში შემოპარულიყო. მეორე სართული

გასამართი გვქონდა. აპარულიყო ის ცხენისკუდზე გამოსაბმელი და აგურებში რაღაცა შეეჩურთა. ზედ დაადგა დედაჩემი. ვიღაცა გაჭირვებული, უძვილო, ღატაკი მკვდრისთვის აეჭრა ფრჩხილები და ჩვენს კედელში შეუტენია... რა ვიცი, არა მჯეროდა ეგე-თი რაღაცების, მაგრამ... შვილი მე არ მეღირსა და ძირი. სკოლისკენ მიმავალ ბავშვებს გავცეკეროდი ხოლმე და ამაზე მომდო შარი ავთომ. შენაო „საჩიკაობას“ უნდები და აღარაფერს აკეთებო. ამითვალწუნა და ვეღარ გავჩერდი. რა მეთქვა, ჩემი უბედურების ახსნას ხო არ დავუწყებდი სამრეცხაოში მუშაობის გულისთვინ. თუ კი რამე კაპიკები მიშოვნია, სულ თბილისელ ექიმებს ჩავაყარე. გვატარეს, გვატარეს მე და ჩემი ცოლი. მალე გაგიჩნდებათ შვილი, მალე გაგიჩნდებათო, გვატყვეს, გვატყუეს და.. ოცდაორი წელი მოტრიალდა, ვერაფერი. შვილის ფასი არაფერია, ვართ ესე მე და ჩემი ცოლი. ერთმანეთის მეტი აღარავინ გვყავს. ერთი ხანობა ვაპირებდი... – გაჩერდა, ფეხებთან ისევ გაისწორა პარკი, – პოო, დასამალი რა არი, ვაპირებდი, რო სხვასთან მყოლოდა, სხვა ქალისთვის გამეჩენინებინა, მაგრამ... ჩემი ცოლიც ყაბულს იყო. პატრონი მაინც გვეყოლებაო, მაგრამ... ვერ გავიმეტე ჩემი ცოლი. იმას ისიც ეყოფა, რო დედობის ღირსი ვერ გახდა, განა არ მიიღებდა ჩემს შვილსა, მაგრამ გულში სხვანაირი ტკივილი ექნებოდა. სხვანაირად დაიტანჯებოდა და არ გავაკეთე. რა ვიცი... მე ჩემებურად ვფიქრობ. ყველა ადამიანი თავის სატანჯველით არი. ხო ეგრეა. თავი დავუქნიე,

մանց ար զենդուրեծո հիմս ծեֆս. ჩյմից պարզեցնու եռ արօան, պատրո նյալնալը ծյլեծո... – հայունա, – օս- յուշնու ոյնեծու սալլաւ, հիմս ծեֆս րո Շյմոնաթրո- ան. մյ և եզու ծեֆսա զնաթրոծ, ասյա անպոծու յև հիզեն յագութեավորեծա. այմանդ գամոհիւրե, նուլար գամրջուցեծ ցիաս. զուու, րո գացուանցունքա.

– մոցոյզան...

– արա, արա, այշեցան մոկլյ ցիաս, – Պարյո աաժրաժկու- նա, – այս դամայ „սպշտուցուցունքունք“ աո, որչյեր մոմիւարյ դա աելա ասյ ելլուտ դամայվա. – գամունա, ովալո հա- մոյրա.

Շոյնոմանս գացու դա սամեցրո Ֆուսպութլուս ցուրճուտ գացուիւրե.

– սյ մնցանեից ցուլոս. – ցածացու դա ելլո դամոյնու. մուսո ագցու պոնցամ դարցազա.

Վոյոյրուծու, վոյոյրուծու դա զերագացու ցացուենց մշակութագունքունքունք. մուսու մեսուրատուս սամելո.

Նուշելիսացուրճուսունքունքունք ալծոմմունք մայզս Շյնախուլո մուսո սյուրատունքու.

10 ՏԵՂԻՄԱԿԱՆ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ, 2016 ԵՎԱՐԱՐ, ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

## წერილი

აბა, რა ვიცი, როგორ დავიწყო, როგორ მოვაბა თავი. შეიძლება ისეთიც გამოვიდეს, ადრე რო ჯარი-დან აგზავნიდნენ ხოლმე. მე მახსოვს ის წერილები, კონვერტით რო ჩამოდიოდა რუსეთის შორეული ქალაქებიდან და ჩვენს უბანში ფოსტალიონ გოდეს მოჰქონდა. გოდე ისევ ცოცხალია, დაბერდა, წლებმა დაზნიქა, მაგრამ რო დავინახავ, სულ ბავშვობა მახ-სენდება, თითქო ვეება ღრუბელი გადაეფარა იმ საო-ცარ წლებს, იმ ცოცხალ სამყაროს, გოდეს ვეება ჩან-თა ღრუბელს იქით დარჩა, უსასრულობაში ჩაინთქა, დავიწყების ბურუსმა გადასანსლა, როგორც ჩვენი ცხოვრების თითოეული წამი, იმ დიდი შავი ღრუბლის იქით დარჩენილი. მოჰქონდა და მოჰქონდა ვეება ფოს-ტალიონის ჩანთით უურნალ-გაზეთები წერა-კითხვის უცოდინარ გოდეს, რომელმაც ფულის ცნობა არ იცოდა. ეგრე უცოლშვილოდ დახერხეტებდა და ეს ჩანთა იყო მისი ავლა-დიდება, თითქო ჩემი ბავშვო-ბაც იდო იმ ჩანთაში, რა ვიცოდი, რო ერთ დროს მოწყენილ ხასიათზე ასე მომენატრებოდა ის წამები, თორემ გოდესაც მოვეფერებოდი მაშინ და მის ჩან-თასაც. ჩამოივლიდა დილა-უთენია, კარგა რო არ იყო გათენებული, ჯერაც რო გვარიანად არ დაეფახულე-ბინა თვალი დილის ცხრათვალა მნათობს, ატყდებოდა ძალლების ყეფა და ვხვდებოდი, რო გოდე მოდიოდა. ყველას ჭიშკართან უნდა გაჩერებულიყო. ძალლებს ტუქსავდა, აგინებდა მოურიდებლად, მერე ღობეში

გაზეთების დასტას გაურქობდა. „სოფლის ცხოვრებაო“, „გამარჯვებაო“, „კომუნისტიო“... სუნთქავდა სოფელი. გოდე ასუნთქებდა სოფელს, კიდევ „საქართველოს ქალი“, მოპქონდა, კიდევ „ნორჩი ლენინელი“, „ლელო“ კინაღამ დამავიწყდა. მამაჩემი მაშინვე „სოფლის ცხოვრებას“ ეძგერებოდა ხოლმე...

წერილებიც მოპქონდა, ჯარიდან გამოგზავნილი წერილები ჩვენს ფოსტალიონს. ჯარის ბიჭები ორი წლით იყვნენ გადაკარგულები შორეულ ქალაქებში, მე, მაგალითად, ქალაქებიც მახსოვს ჩემი მეზობელი ჯარისბიჭებისა, ახლა რო ხანში შესული კაცები არიან და იმ დროს, როცა ვაი-უშველებელით ატარებდნენ ორი წლის განმავლობაში, ახლა ტკბილად იხსენებენ. იმისი ჯარისბიჭებიც იმ ღრუბლის იქით დარჩა. ჩამოვთვალო ქალაქები: ტულა თუ კუიბიშევი, დნეპროპეტროვსკი თუ, ვოლგოგრადი თუ უფა... თითქო მათ მშობლიურ ქალაქებად იქცნენ, ისე თბილად და ტკბილად გაიხსნებენ ხოლმე. ყმაწვილკაცობის ორი წელი ხომ იქ დარჩათ. თან ეღიმებათ, რო იხსენებენ ჯარისბიჭობის დროინდელი მაიმუნობაც ახსენდებათ ხოლმე. მოკლედ... არ ვიცი, ეს ჩემი კალამი როგორ დაუმორჩილებლობას მიცხადებს. გარბის თავისთვის... გარბის და მივდევ.

წერილები... წერილები მოპქონდა გოდეს და მახსოვს ჩემი მეზობლის ქალები შვილების მიერ გამოგზავნილ წერილებს როგორ უკითხავდნენ ხოლმე ერთმანეთს. ცრემლი ღაპალუპით ჩამოსდიოდათ. თუ წერილთან ერთად კონვერტში ჯარიდან გამოგზავნი-

ლი სურათებიც იყო, მათზე ბედნიერი ვინ იქნებოდა. წერილების შინაარსიც მახსოვეს.

„სალამი დედას გიორგისგან.“

როგორ ხარ, დედა, იმედია, კარგად იქნები და კარგად გამყოფოს ბუნების ძალამ“. ღმერთი არ იყო ხოლმე ნახსენები, მხოლოდ ბუნების ძალა. მაშინ არ იყო „მოდაში“ ღმერთი. ბუნების ძალა კიდევ შეიძლებოდა.

მეც ასე დავიწყებ, ვითომ ჯარში ვარ, სადღაც შორეულ ქვეყანაში გადაკარგული. ვზივარ სარკმელთან, ბჟუტავს ლამპა, ეს არის, გამოირთო სინათლე. ისეთი ქარი იყო, ლამის ყაზარმა დაგვამხო თავზე, გვევონა, რო სადღაც წააპანწიალებდა გრიგალი ვეება შენობის სახურავს. ელექტრობოძები ერთიმეორის მიყოლებით მოცელა. მავთულები ჩაწყდა და აიხლართა და შიშინით იწვის, შუშა გამურულია. ვინ იყო გამწმენდი. ფითილი მოფმვნიტეს, ცეცხლი ცოტა მოძლიერდა, მაგრამ მერე ისევ ჩაინია, ვუჩხიკინე ფითილის ამნეს, მაგრამ საერთოდ მოიშალა და დავანებე თავი. შევუდექი წერას. ვიცი, ათიათასობით კილომეტრი მაშორებს. ახლა სახლში ყველას ძინავს შენს გარდა. წუხანდელ სიზმარზე ფიქრობ, ვიცი, რო ცუდად დაგესიზმრე, ერთად მივცურავდით ნავით და უცბათ გამიტაცა წყალმა. დილით ხან ცეცხლს მოვუყევი სიზმარი, ხან გამდინარე წყალს, ცხონებული ბაბუაჩემის ჩვევებს რა მოგაშლევინებს. ჰა, მე ხო ვიცი შენი ხასიათი. მაინც ვერ დაივიწყე ეს სიზმარი. არც წყლის გჯერა, არც ცეცხლის. თითქო გული ცუდს გეუბნე-

ბა. წევხარ თვალდახუჭული და ფიქრობ, ხო არაფერი უჭირს ნეტა, ერთი გადამახედა და დამანახა, რა იქნება. მამაჩემი ხანდახან წამოიხორციებს და ისევ გაბმულ ხვრინვას აგრძელებს. შენ მისი ხვრინვა არ გაწუხებს. მარტო ჩემზე გეფიქრება. რამ დამასიზმრა ასე, ღმერთო, შენ ამიხდინე კარგად. მე აქედან გეუბნები, ნუ გეშინია, კარგად ვარ, მენატრები, შენი თმების სურნელი მიღიტინებს ცხვირთან და თითქო ჯადოსნური კვერთხი უჭირავს ვინმეს, წამში შეუძლია ჩემი ბავშვად ქცევა. შენი სურნელი სულ სხვანაირი, სულ განსხვავებულია, ამას მარტო შეიღი გრძნობს, ისევე, როგორც შვილის სუნს დედა გრძნობს ყველაზე მეტად. შენ სულ სხვანაირი ხარ, მთელი სამყარო შენ ხარ, ყველაფერი შენში მოუქცევია უფალს და შენით მაგრძნობინებს ყველაფერს. ეს სიყვარული არ არის. ეს ის გრძნობაა, რომელსაც შეიძლება უფალ-მა დაარქვას სახელი თავის ენით, თორემ მე როგორ შევაფასო, მე რა დავარქვა. ტანჯვაა ცხოვრება, ვიცი, სულ ტანჯვაა და ამ ტანჯვაში თითქო შენც მიგიძლვის ბრალი, ჩემი გაჩენით, ჩემი ამ ქვეყანაზე მოყვანით მაგრამ დედა-შვილური სიყვარულის შესაგრძნობად ლირდა ამ ტანჯვის ნახვა. მე ვთვლი, რო ღირდა. რო არ მოვსულიყავი ამას ხო ვერ განვიცდიდ, ხომ ვერ ვიგრძნობდი დედის სითბო და სიყვარული რა არის. ვერც იქ გავიგებდი – ზეცაში დედალვთისას და ძე კაცისას დედაშვილურ სიყვარულს.

დედაშვილური სიყვარული თუ არ შეიგრძნება, უფალს ვერ ეზიარები. ამიტომაც ღირდა ტანჯვად.

ლირდა რო გნახე, ლირდა რო შეგიტყბე. სულ ბავშვობა ხარ ჩემი. ჯერ არ წასულა იმ შავი ღრუბლის იქით ვარდისფერი წლები. შენ ხარ ეს წლები, შენ ხარ ბავშვობა, როცა გეფერები, თითქო იმ ბავშვობასაც ვეფერები, წარსულში რო ვიყავი. არ მინდა, რო იმ ღრუბლის იქით მოვექცეთ და მერე მხოლოდ საფლავებად იქცეს ჩვენი სიყვარული, არც ის იები მინდა, არც ის იასამნები და, რა ვიცი, კიდე... რაც გინდა ამოვიდეს მიწიდან, შენ მაინც არ იქნები. მინდა, რო ეს წლები ძალიან დიდხანს გაგრძელდეს. თითოეული გულის ფეთქვა, საათის წამისარს რო მოჰყვება, ერთ-მანეთან ყოფნის დროს გვიმოკლებს. ეს წლები არ მინდა, რო დამთავრდეს. ვევედრები ამ დალოცვილს, მაგრამ ჩემს გამო ხო არ შეცვლის სამყაროს.

წიკწიკებს საათი და დედაშვილობის სიყვარულის ქვიშის საათი თანდათან იცლება.

როგორ გამოვხატო ჩემი სიყვარული, არ ვიცი. რა დავწერო, როგორ დავწერო, განა მართლა ათიათასი კილომეტრით ვარ შენგან დაშორებული და სადღაც გადაკარგულ, ქარბუქში გახვეულ ყაზარმაში მბჟუტავი ლამპის წინ ვწერ წერილს.

აქვე ვარ შენთან, სულ ორ ნაბიჯში და გიყურებ როგორ გთვლემს. ბედნიერი ლიმილი ძილად გექცევა მალე. იცი, რო აქ გყავს შვილი.

20 სურნეუნისი, 2016 წელი,  
დიცი

## ზესკნელის ბინადრები

რა განსაკუთრებული გამოვლინებები უნდა მქონდეს მაინც. ახლა არ დამაწყებინო ფსიქიატრიის სახელმძღვანელოთა კითხვა და ძებნა იმისა, რომელი და რომელი თვისებაა ჩემში ფსიქიატრიულ აშლილობას რო ადასტურებს. არ მინდა მე ეგეთი რაღაცები, უბრალოდ ვთქვი, რო გიუი ვარ და საგიუეთში გადავწყვიტე წასვლა. ჩემნაირები წასულან?! იქ ყველა ბოლო უჯრედამდე გაგიუებული კი არ არის, არიან საშუალო გიუებიც, არიან ნამეტანი გიუებიც, ჩვენ აქ საგიუეთის გარეთ მყოფი ადამიანები რო დასაბმელებს ვეძახით ხოლმე და ისეთებიც არიან, დამწყებნიც. ხო არსებობს დამწყები პოეტი, დებიუტი რო აქვს, ერთი-ორი ლექსი რო გამოაქვეყნა და პოეტობაზე ოცნებობს. აი, ასეთი დამწყები გიუებიც არიან იქ, მეც მინდა, მათ რიგებს შევუერთდე. არადა, საგიუეთის სიახლოვეს ჩავლილიც კი არ ვარ. მხოლოდ გაგონილი მაქვს, სად მდებარეობს და წარმოსახვაში, როცა ჩემთან საუბარში გიუთა თავშესაფარი უხსენებიათ, ჰო წარმოსახვაში დამინახავს გისოსებიანი, ძველი, აქა-იქ ნალესჩამოცვენილი შელახული შენობა. საგიუეთს რა რემონტი უნდა?!? – ალბათ, სულ ასე ფიქრობდნენ და ამიტომაც დარჩა ასეთ მდგომარეობაში. საგიუეთზე ორი ამბავი გამახსენდა და ვიდრე ამ სამყაროს ვესტუმრები, მანამდე მოგიყვებით. ერთი ჩემს მეზობელ სიმონიჩს გადახდა. სიმონიჩი აღარ არის, ახლახან გარდაიცვალა, ღმერთმა აცხონოს.

კოლმეურნეობის დამსახურებული მძღოლი იყო. ის-ეთი „ტრი“ ჰყავდა, ისეთი, ავთვალს არ ენახვებოდა, სიმონიჩი რო ლოგინს გაეკრა, მერე გაყიდეს მისა დაბერებული „ტრი“, რომელიც იმ დროში საოცარ სატვირთო მანქანად ითვლებოდა. ფიცხი კაცი იყო სიმონიჩი. მაღალი, გამომშრალი კედარივით ხმელი და კუშტი იერ-სახის, იშვიათად თუ გაიცინებდა. მგონი, სადღაც დავწერე კიდეც გერმანიაში იმსახურა საბჭოთა ჯარის რიგებში. ქალაქიც მახსოვს, დრეზდენი, და გერმანული სიტყვები ჰქონდა ხოლმე იმ ცხონებულს აჩემებული. მაგალითად, ვიღაც თუ ისეთ დროს სთხოვდა მანქანით სადმე წაყოლას, როცა სიმონიჩი დაკავებული იყო, ან კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავით ბაგრატიჩი ეძახდა, სიმონიჩი ეტყოდა „ნიხტე არბაიტენ“ და ამით ამთავრებდა თავის სათქმელს.

მეორე „ტრიც“ დაპქროდა კოლმეურნეობის ველ-მინდვრებში. მისი მძღოლი საველიჩი იყო, სიმონიჩის კოლეგა და მეგობარი, ოლონდ მეზობელსოფლელი. ხუმარა, ხუმარა, საველიჩის დანახვაზეც კი ყველას ღიმილი მოსდიოდა სახეზე.

ისეთ რაღაცას დაახეთებდა კოლმეურნეობის შოფერ-ბრიგადირთა შეკრებაზე, მთელი დღე ყოფნიდათ, რო ეცინათ და ეხალისათ. საველიჩი და სიმონიჩი კი მეგობრობდნენ, მაგრამ თხამგლური ურთიერთობა ჰქონდათ. ერთმანეთის გასამასხარებლად რას არ აკეთებდნენ. ერთხელაც ასეთი რამ დაუგეგმა საველიჩმა. დიდი მანქანა გამიფუჭდა და შენი ჭირიმე ცხინვალში გამამყე, ნაწილები უნდა ჩამოეტანათ,

წინა კვირას დავავალეო. მიუყენა სიმონიჩს თავისი ლურჯი „03“ და ცხინვალისკენ დაიძრნენ.

რომელიღაც შენობის წინ გააჩერა საეელიჩმა მანქანა და სიმონიჩს უთხრა: სულ ათი წუთი დამელოდე, აქ ერთი კაცი მელოდება, გამომყვება და ნანილებსაც წავიღებთო. ზის სიმონიჩი და გული ავს ეუბნება. ერთი კვირაა, ძან დამიტკბა, სულ დამგურგურებს, ესა და ესეთი?.. ეს სულძალლი ესა... თვალებში შემომციცინებს, შენაო ამ კოლექტივის დედაბოძი ხარო, რამდენი რამე მისწავლია შენგანო, მე რო შოფერი დავდექი, სულ შენი დამსახურებაა, თორე „მაშინისა“ რა ჯანდაბა ვიცოდიო, ლამის თავი აეხადოს, ფიქრობს და ვერ აუხსნია, მთელი ცხოვრება ჩემს მასხარაობაში გაატარა ამ გოთვერანმა და ახლა რა სიყვარულის ბუშტი გაუსკდა. ვერ აეხსნა, იჯდა ეგრე გუგულივით მანქანაში და გასცექეროდა საგიუჟეთის შენობას. ხან ლიახვის პირს გახედავდა, ნაცრისფრად მოღელავდა წვიმით გალექებული დიდი ლიახვი. კაშხალთან ტბორდებოდა, თითქო გზის გაგრძელებას აღარ ფიქრობდა, ტალღებს იკავებდა, მორევში იტრიალებდა. მერე ერთიანად ეშვებოდა, ვეება სიმაღლიდან ბეტონის უზარმაზარ ფილებზე ენარცხებოდა წყალი და იდგა ზათქი და ლამნარევი ტალღების ქარბუქი.

საველიჩი ამ დროს საგიუჟეთში დირექტორს დაეძებდა. დირექტორი სამოციოდე წლის კაცი იყო აქაური, მოსკოვში ესწავლა, ფსიქიატრიის პროფესიას დაუფლებოდა რომელიღაც სასწავლებელში და ჯერ სპეციალისტად, მერე მთავარ სპეციალისტად, მერე

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსად, მერე დირექტორის მოადგილედ განსაკუთრებული გიუჟების დარგში და ბოლოს დირექტორად მუშაობდა. ერთი სიტყვით მთელი ცხოვრება საგიუეთში გაეტარებინა და ისეთი უცნაური მზერა ჰქონდა, მიხვდებოდი, რო გიუჟებს და ჭკვიანებს ველარ არჩევდა და ადამიანში მუდმივად ფსიქიკურ გადახრებს ეძებდა. ყველა ადამიანში შეამჩნევდა მისი ამ საქმეში განაფული თვალი, რო რაღაცა ვერ იყო ფორმაში.

საველიჩმა, როგორც იქნა, დაიმარტოხელა დირექტორი ბათირა კოკოევი და ლამის მუხლებზე დაუდგა.

– რამე უნდა მიშველო, – ბათირა აკვირდებოდა დიცის კოლმეურნეობის მძლოლს და თავდაპირველად ისეთი რაღაცები დაიჭირა მის მზერაში, ეჭვი შეეპარა, ვერ უნდა იყოს ეს კაცი, აშლილობის საწყისი ნიშნები შეამჩნია. საველიჩმა ისე შესტირა, რო გამოცდილი დირექტორი მართლა დააჯერა.

– შენი ჭირიმე, ერთი გიუი მოვიყვანე, აიკლო ოჯახი და სოფელი. ძალიან ავი და აგრესიულია. ვერავინ ვერაფერს გახდა, მოტყუებით წამოვიყვანე, ცირკი უნდა გაჩვენო-მეთქი და როგორმე უნდა მომეხმაროთ, რო მანქანიდან გადმომაყვანინოთო.

ბათირამაც ტელეფონის ყურმილი აიღო, ნომრების ბორბალი ორჯერ ჩამოარიგინა (შიდა ტელეფონზე რეკავდა) და საგიუეთის ბრიგადას უხმო.

ზის სიმონიჩი და ელოდება.

„სად ჯანდაბაში წავიდა ეს ჩემის თვრამეტიანი, სად გაქრა, მაღ-მალე დახედავს საათს. რაღაცას მაი-

մշնոბს და ეგ თუ լուսաხვში არ გადაպუძახო, კაცո არ ვიყო. შავ-შავ სახեზე ნელ-ნელა წაյპარა ცეცხლი. თვალებიც შეუწითლდა. ეրთո ხანობა კარი გააღო, გაიარ-გამოიარა, ლուսաხვის პირտან ახლოს მივიდა, მოაჯირს ჩაմուշպრდნო და კაშხალთან დაქანებულ ტალღებს დასცექროდა, მერე ისევ მანქანაში ჩაჯდა. ეլოდა, ელოდა საველոჩիს და...

Սացույցետու ჭიშკარո ჭრიალით გაიღო, თეտրხալատունո, ჩაფշեցტჩაմոცմულո თաճամშրომლებո გამოռ-ლալნეն. ნელ-ნელა უახლოვდებიაն.

Տօմոննիჩ տეտր ხալատებს պահպան და გადმოვიდა.

Սաხლოვდებიან და თოკებს იმარჯვებენ.

„Վიն არიაն, კაცո?“ – ფიქრობს Տօմոննիჩ.

Ծոլლոს კარი გააღო და გადმოვიდა.

– Վიնա ხարտ? – დაუպყირა մուս გարშეմო შეკრებიլ սացույցետու თաճամშրომლებս, რომლებმაც არაფრის თქმა არ დააცადეს Տօմոննիჩ და ხელ-ფეხ შეუკრეს. ბევრი ეძალავა, ბევრი ეცადა, მაგრამ გაკოჭილი Տօմոննիჩ սացույցետში აღმოჩნდა და დიდხანს დასჭირდა საველոჩիს მერე იმის მტკიცება, რო ეს պահապერ მისი მოგონილი ეშმაկობა იყო და ეს კაცո, სրულո ჭკუის მქონე კოლ-մეუրնեობის მძღოლი, მან ჩააგდო ასეთ დღეში.

Աղար մოզպացები, რა დაეմართա սაველոჩիս. Ռոգოրც კი თოკები შეხեსնეս Տօմոննիჩ, სად წავიდა, სად გაქრა.

Սացույցետში დაბეրებული დიրექტორი ծոլլոმდე ვეր ոչչերებდა, რო მասմունობაս ჰქონდა ადგილი...

– Վიն արიս გიյո, მე თქვენ დედას... თქვეնո, რաც Տօմոննիչ გաქვთ, იმ Տօմոննիչ გագიხდით. Ամելա კაცո

ხარ, რო იყურები მაგ სათვალეებიდან მელიასავით, ჭკუა არ უნდა გქონდესო. – ხელი მოუღერა დი-რექტორ კოკოვეს, მაგრამ მიხვდა, რო დარტყმად არ ლირდა... საველიჩი უკვე გამქრალიყო.

მეორე ამბავი ჩემს მეგობარ ზურას შეემთხვა. წაი-კითხავს და ადუდლუნდება. მწერლებთან ხომ არაფერი უნდა თქვას კაცმა, ეგრევე მოთხრობად აქცევთო....

იდუდლუნებს და გაჩუმდება.

სამხარეო ადმინისტრაციიდან ერთ-ერთი ფსიქი-ატრიული საავადმყოფოს შესამონმებლად გაგზავნეს. რომელი ფსიქიატრიული ექსპერტი ეს მყავდა, მაგრამ მეგობარ ცაბასთან ერთად ეწვია ჭკუიდან გადასულ-თა თუ გადმოსულთა (რომელი დავარქვათ?) თავ-შესაფარს. დიდის ამბით გამოეგებნენ საავადმყოფოს ადმინისტრაციის წარმომადგენლები. თან მობილური უხტოდა ერთ ახალგაზრდა, პოლიციიდან საგიურეთის ხელმძღვანელობაში გადასულ კაცს.

დირექტორი ათ წუთში აქ იქნება, დირექტორი ათ წუთში აქ იქნეობაო, თუთიყუშივით იმეორებდა. ეზო-ში სამიოდე გადაბელილი ვერხვი და მოსაჭრელად გამზადებული ტირიფი იდგა, ტოტები ამ უბედურების ცქერაში გახმობოდა. მწვანე ზოლებიან თეთრ სა-მოსში გამოკვანთული საავადმყოფოს ბინადრებიდან ზოგი ეზოში იყო, ზოგი ნაცრისფრად შეღებილ კორ-პუსში და ეზოში შემოსულ სტუმრებს ღრეჭა-ღრეჭით უმზერდა. ზოგი მუშგს იქნევდა, ზოგი ენას უყოფდა, ზოგი მდუმარე დადიოდა ვერხვების წინ მოუვლელ ბალაზზე თავის ფიქრებში ჩაძირულ-ჩაკარგული.

ადმინისტრაციის თანამშრომლები დაწესებულებაში არსებულ ვითარებაზე ესაუბრებოდნენ და სამხარეო ადმინისტრაციას ზუსტად ცამეტჯერ გადაუხადეს მადლობა.

– თქვენი ყურადღება ნამდვილად არ გვაკლია, თქვენ რომ ყურადღებას არ იჩენდეთ... თანამშრომლები (და არა ავადმყოფები) ძალიან მადლობლები არიან.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს გუბერნატორს. საახალწლოდ ღონისძიებას ვამზადებთ და უსათუოდ მოგიწვევთ და ა.შ.

– კარგითო, – უპასუხა ზურამ, ვიდრე დირექტორი დაბრუნდება, მე და ჩემი მეგობარი ეზოში გავივლით, დავათვალიერებთ და მერე კორპუსები შემოგვატარეთო.

– მერე – მიყვება ზურა. თან სიცილს ვერ იკავებს, – გადავრჩი, ხათაბალას გადავრჩი და კაი შემონმება გამომივიდოდა. ვიღაც შუახნის კაცი მოვიდა, შემოგვციცინა, თავაზიანად დაგვიკრა თავი. პაპიროსი ხომ არ გექნებათო. ცაბა არ ეწევა. ამოვიდე კოლოფი და გავუწოდე. ძლივს ამოიღო. წვრილ თითებს აფათურებდა. ისევ მე მივეხმარე. ბარე ოცჯერ დამიკრა თავი. თქვენ გაიხარეთ, თქვენ გაიხარეთ, შალვა ვარ მე, შალვა ვარ მე, შალვა ვარო... რომელი შალვაო, – ცაბამ. თვალი ჩავუკარი დაანებე თავი-მეთქი.

– შალვა ვარ, სამტრედიელი, ქუთაისელი და თბილისელი. ლანჩხუთელიც ვარ და ახლა მინდა, რო ამერიკელი გავხდეო.

ცაბამ ვეღარ შეიკავა თავი. ხელი წავკარი: ადამიანის უფლებებს ნუ არღვევ-მეთქი.

– შენ კი არ გამიხურე საქმე შენი უფლებებით და კანონებით, აღარ გამაცინო არაფერზეო. – ჯერ გაწყრა ცაბა, მერე ისევ დაერია სიცილი, – აუ, ეს რო იქ მყავდეს, რა მაგარი იქნებაო.

– ერთ დროს ესეც შენნაირი ბიჭი იქნებოდა და ახლა ხო ხედავ, ნუ დასცინი, თორე შენც გახდები სამ-ტრედიელ-ლანჩხუთელ-ქუთაისელ-ამერიკელი-მეთქი.

პაპიროსი კბილებში მოიქცია შალვამ და თან ხე-ლები აქეთ-იქიდან მოუმყუდროვა.

– მომიკიდეთ რა, მომიკიდეთ რა, შენ მომიკიდე, შენ კაი ბიჭი ჩანხარო, – ცაბას მიმართა.

ცაბამ სანთებელა გამომართვა და მოუკიდა. თა-ვიდან ვერ წაუკიდა, ლამის ლოყები მიეწება ერთმა-ნეთს, მერე მარჯვენა ყურის ბიბილოში ხელი წაივლო და ექაჩება და ექაჩება ლამის ჩამოიგლიჯა, თან ნა-ფაზს ურტყამს.

– რას აკეთებ კაცო?! – გკითხა ცაბამ.

– პაცოსი, პაცოსი უნდა. ისე ვერა, ხო ხედავ ცივა, უკვე ცივა.

ჩაბჟირდა ეს შტერი ჩემი მეგობარი.

– კარგი, სირცხვილია-მეთქი.

ძლივს მოითქვა სული. მეც მეცინებოდა, მაგრამ ბოლოს უცბათ დაგვასერიოზულა შალვამ.

– თქვენა ხო კაი ბიჭები ხართო. – გვიყურებს ეგრე, მლიმარი თვალებით.

– მე ხო გიუი გგონივართო... ხო გიუი გგონივართ... პა, თქვე, თორემ თემურ-ლენგს დავუძახებო. ხო გიუი ვარ, აი, მაშ, ტყუნის დედა მოვ....ხო – და შეგინების

ნიშანი მარცხენა ხელის მუშტს დააფარა მარჯვენა ხელი. გამოსტაცა სანთებელა ცაბას და დაიტიშა...

— როგორ გადაგვიკურთხა, — ქირქილებს ცაბა, — გადაკურთხება ბოლოს იყო, თუ იყო.

დირექტორი მოვიდა და დავიწყეთ კორპუსების შემოვლა, საძინებლები, სველი წერტილები, სამზარეულო. სულ მაღლობები, შიგადაშიგ თხოვნაგარეული. დაფინანსების მომატებაზე, შტატების დამატებაზე, კორპუსების ნაწილობრივ რეაბილიტაციაზე.

უცბათ ატყდა ჩოჩქოლი.

ჩოჩქოლი და როგორი ჩოჩქოლი. დიმიტრი ერქვა, ახლაც მახსოვს, იმ გამოშტერებულ დირექტორს, თუმცა გამოშტერებულები ჩვენ ვიყავით.

— ბატონო დიმიტრი! ბატონო დიმიტრი! ხანძარია, ხანძარია, ჩქარა, ბატონო დიმიტრი! არიქა სახანძროში. არიქა! — ყვირის დირექტორი.

— სად არის ხანძარი.

— მეორე კორპუსში.

დარბიან თანამშრომლები. წინ და უკან დარბიან.

ცოტა ხანში უუუ, უუუ-ს ყმუილით შემოვარდა ახლადშერემონტებული „ზილის“ სახანძრო მანქანა და მოეფინენ კორპუსებს მეხანძრენი...

ერთი სიტყვით გადავრჩი.

ჩვენმა ნაცნობმა შალვამ ჩემი სანთებელით წაუკიდა კორპუსს ცეცხლი. ალბათ, ის თემურ-ლენგიც მიეხმარა, რომ გვემუქრებოდა...

ერთმანეთს ვუყურებდით მე და ცაბა და თვალებით ვიცინოდით — „ეს რა დაგვემართა, კაცო“.

\* \* \*

როგორ დავიწყე და...

— იცი რა? ჩიტები მენატრება, ბალახები, ცა მენატრება კიდევ, მინდა რო ერთი-ორი ვარსკვლავი მოვწყვიტო და აქეთ-იქით მივიძნიო, აქეთ-იქით, როგორც ნეფეს აქვს ხოლმე მიპნეული, ნეფე არასოდეს ვყოფილვარ და მინდა, რო გავხდე, პატარძალი თუ არ იქნება, არავის დავემდურები, ჩემთვის ვიქნები მარტო ჩემს ქორწილში.

— ?!

— ჟო, ჩემთვის ვიქნები. რამდენჯერმე ნამყოფი ვარ ცაში. არ გჯერა? ამ ჩემს ფეხებს. ღრუბელზე შენ ვერასოდეს წამოკოტრიალდები, ვერასოდეს ელირსები, ვერც წვიმას შეეხები ხელით, ამ წვიმას კი, აქ როა, აბა ცაში ნახე წვიმა და შეეხე ხელით. ცოცხალი არსებაა წვიმა. ისეთი ლამაზი და საყვარელია. ჩემი ნაბანი წყალი დაგდით ხოლმე და თქვენ კიდე წვიმა გონიათ. მთვარეს სამჯერ წავატეხე ყუა. იცი რა გემრიელი იყო? აბა შენ და შენისთანები როგორ გაიგებთ მთვარის გემოს. ანგელოზები, იცი, როგორ დამიმეგობრდნენ? გარდაცვლილი ადამიანები ყველა ერთად ვნახე შეკრებილი, ისეთი სახეები ჰქონდათ, ყველა მოუთმენლად მელოდა, ბარათები დაეწერათ წინასწარ, დედამიწაზე გამოსატანებელი ბარათები. იცოდნენ, რომ დავბრუნდებოდი და ახლობლებთან მატანდნენ. ისე ენატრებოდათ დედამიწა.

— მოიცა, მოიცა, — გამაწყვეტინა ფსიქიატრიულის დირექტორმა, სათვალე მოიხსნა, მე მგონი ამ სათ-

ვალესთან ერთად იყო დაბადებული და ბებია ქალმა ჯერ ის სათვალე გაამშრალა, მერე კი ბავშვი- მომავალი დირექტორი, რა იცოდნენ თეთრ ზენარში გახვეული აჩხავლებული არსება მომავალში ვინ გახდებოდა. ათასობით ჭკუიდან გადასული ადამიანის მართვა მოუწევდა.

ნაცრისფერჩარჩოიანი სათვალისკენ გამექცა მზერა, არ ვიცი, რატომ, იქიდან, ალბათ, სხვანაირი ვჩანდი, იმის გარეშე – სხვანაირი.

– ვიცი, რო იტყუები, გისმენდი და ნამდვილად არაფერი გეტყობა, რო შეშლილი ხარ, ბოდვას და მეოცნებე კაცის საუბარს თუ ვეღარ ვარჩევ, მაშინ ოცდაათი წელი აქ არ ვიქნებოდი.

– ნამდვილად შეშლილი ვარ.

მხრები აიჩეჩა, წყლით სავსე მომცო გრაფინი მოიყუდა, გემრიელად ჩაარაკრაკა.

– მაჩვენე ერთი ეგ ცნობა, – ხელში მომაშტერდა და უმალ ექსპერტის დასკვნა გავუწოდე. ერთხანს უყურა, მერე თავი გააქნია სინაულის ნიშნად, თუ ცნობის გამცემის მისამართით გამოხატული სიბრაზით.

– სულ გადაირია ეს ხალხი...

მიყურა, მიყურა, – რამ გადაგანყვეტინა, – წაიპუტ-ბუტა და ტელეფონს დასწვდა.

\* \* \*

– მიყურე ახლა ეგრე...

ცისფერთვალება, თავგადაპარსულ, ყვრიმალებ

ამომჯვდარ ახალგაზრდა კაცს ვაკვირდებოდი, ვიფიქრე, რო სულაც არ მაქცევდა ყურადღებას და...

— ჰო, ჰო, შენ გეუბნები... გვონია არ ვიცი, ვინც ხარ?

თვალი ავარიდე, ფარდაჩამოდლლებილ, უანგიანი გისოსებით ჩაგმანული სარკმლისკენ გავიხედე. მაინც არ მომეშვა.

— რა გინდა ჩემგან, თავს არ დაგვანებებ? აქედან გინდა, რო ამბები გაიტანო?

ახლა მეორე, ცხენისსახიანი, ქოსა, მასზე ოდნავ უფროსი მამაკაცი მომიახლოვდა.

— ჩვენნაირი გინდა, რო გახდე? — ყვითელ კბილებზე გაელამუნა ღიმილი, კარის მოხეთქების ხმა გაისმა, ყურადღება იქით გაექცა, მერე ისევ მე მომიპრუნდა:

— ჩვენნაირი ვერასოდეს გახდები... მე, მაგალითად, მარტივად აგიხსნი აქ რისთვის მოვხვდი, ჩიტებს დავეძებდი, ბალახებს, ცას მინდოდა, რო მივფერებოდი, ღმერთი ჩემი თვალით მყავს ნანახი. — ჭროლა თვალები დაქაჩა. — ამ ჩემს ფეხებს, თუ არც დამიჯერებ, ახლა მაგაზე მადარდე, აემ თვალებით ვნახე ღმერთი... შენნაირებს კი არ ენახვება ისა. ეკლესიაში ღმერთი გინახავს? ვერც ნახავ... თვითონ თუ არ დაგენახვა ღმერთი... ის ირჩევს, ვისაც უნდა, რო დაენახვოს და აგრძნობინოს, რო მართლა არსებობს. არ ჩანხარ ცუდი კაცი, მაგრამ ჩვენნაირი არ ხარ, ჰო, ჰო.

სიგიურ კაი რამეა, რო იცოდე, მაგრამ გაგიუებაც არ არის შენი ნება, მიდი აბა, გაგიუდი, თუ მაგარი ხარ, ჩემი ფეხები! ვერ გაგიუდები! თავის გადაპარსვა და

ზოლიანი შარვალ-ხალათი არა კმარა, გაიგე, ჯეელო?!

რო ეხვეწებოდი ჩვენს დირექტორს, მიმიღე, მიმიღე... იმანაც... ამ სამყაროში შემოსვლასაც კი გამჩენის ნება სჭირდება. იქ დავბრუნდი მე, მაგალითად, სანამ დაბამდებამდე ვიყა... – ისევ გამოაჩინა ყვითელი კბილები ცხენისსახიანმა. ბავშვობაზე დაბლა ჩავედი, ქვესკნელში და სანამ ხორციელი გავხდებოდი, ისევ ის არსება ვარ, არც სახელი მაქვს, არც გვარი, დროც გაჩერდა და მეც მოვისვენე იმ გოთვერანი ისრების გაუთავებელი ჩხაკაჩხუკით, წლებს, თვეებს, კვირეებს, დღეებს რო მიზომავდა. დამწყვდეულები ვართ ახლა და უდროობაში ვარსებობთ. მაინც როგორები არიან გარეთ. ისევ ისეთები, თუმცა...

ისევ ცისფერთვალება მომიახლოვდა.

– იცოდე, გულში ცუდი არაფერი გაივლო... ადრე ხო დაგჭერი?

თვალები დავაჭყიტე.

„დაჭრილი არასოდეს ვყოფილვარ“.

– როგორ არ ყოფილხარ. – ცისფერი, გამჭოლი მზერით შეძრა ჩემს ტვინის ხეულებში. – შენზე კარგათ მახსოვს, რა ვაჟბატონიც ბრძანდებოდი წინა ცხოვრებაში, ამიტომაც ჩემი დანის წერა კინაღამ გახდი, ცოტა ოდნავ დაბალი იყავი მაშინ, თმის ფერი და სახის მოყვანილობა იგივე გაქვს.

– ერთი სიტყვით...

ახლა ისევ ცხენისსახიანი შეენაცვლა.

– ყველა საიდუმლო ამოვხსენი, ყველა... შენ სიგი-ჟე დაარქვი და... ერთი კითხვაც აღარ მაქვს არაფერ-

ზე. – ვეება, სალოკი თითი ცხვირზე დამადო და ისე დამაჭირა, იტყოდი, ლიფტი უნდა გამოეძახა. – შენ ვერასოდეს ამოხსნი ამ რაღაცებს. იმიტომ, რო შენ გიჟი არ ხარ.

– ექიმი, ექიმი...

ყველამ თავის საწილს მიაშურა. გაჩუმდნენ, გაისუსნენ. კისერზე ყურსასმენმოგდებულმა შუახნის ექიმმა ჩამოგვიარა. საწილებთან რიგ-რიგობით ჩერდებოდა და თავგადახოტრილ პაციენტებს ესაუბრებოდა, ზოგს ტუქსავდა, ზოგს თვალს უკრავდა. ბოლოს ჩემთანაც მოვიდა.

– ეს ის ახალია, ექიმო, – წამოიყვირა ცისფერხალათიანმა.

– სუუ, ვალოდია, – ხელით ანიშნა თეთრხალათიანმა, ჭალარაულვაშებიანმა კაცმა.

– იტყუება, გიჟი არ არის.

– სუ-მეთქი!

მიყურებს გამჭოლი მზერით ეს უცნაური კაცი, ათასი გიჟისთვის რო ჩაუხედავს თვალებში, ათასი გადარეულის სამყარო რო მოუთვალიერებია.

ბოლოს თავი გააქნია და თავისითვის ჩაილაპარაკა:

– ვინ ხართ ეს ადამიანები, რა გინდათ ამ საცოდავი ღმერთისაგან. გიჟად გაგაჩენთ, დაჭკვიანებას სთხოვთ, ჭკვიანებს მოგიყვანთ ამქვეყნად და მერე სიგიჟეს ეხვეწებით. კიდევ კარგი, რო ღმერთი არ ვარ და უბრალო, გიჟების ექიმად გაგზინდი. მიყურა, მიყურა, თვალს არ მაცილებდა, იტყოდი, სადღაც ვყავდი ნანახი და ეს-ეს იყო ამოუხტებოდა გონებაში ჩე-

მთან შეხვედრის წუთები და მომახლიდა: „შენ ის არ ხაარ?!“, მაგრამ ტყუილა ელოდა ტვინის ხვეულებში გაჭედილ მოგონებებს.

— გააღე პირი.

ჯერ თითქო ვერ გავიგე.

— გააღე პირი, — ნიკაპზე ხელით შემეხო, სპირტის სუნი მეცა მისი ხელიდან. შესვლა-გასვლაზე ერთავად სპირტით იზელდა ხელებს.

გავაღე პირი.

— ენა გამოყა.

ენაც გამოვყავი მორჩილად. ხალათის ჯიბიდან წა-მალი ამოილო და ბრტყელი, ვარდისფერი აბი ორი თითით დამიგდო ენაზე.

— მიდი, გადაუშვი, წესი წესია. რახან გიუი ხარ...

\* \* \*

აღარ მეშვება ეს ჩემი ცოდვით სავსე ცისფერთ-ვალება თავგადახოტრილი. მიზანში ამომილო. წა-ვა-წამოვა, მომადგება. რაებს იხსენებს, რაებს იგ-ონებს, აბა რას გაუგებ, ჩემი თავისა რო ვერაფერი გამიგია. მიყურებს... კი არ მიყურებს, მხრავს ეგრევე თავისი ცივი და ბასრი თვალებით.

— მახსოვხარ, მახსოვხარ, უნდა მომეკალი, მივქა-რე, აქ როგორლა გაბედე მოსვლა, როგორ შემოაღ-ნიე აქა... კბილებს აკრაჭუნებს, ხანდახან ისე წამოუ-ქროლებს, რო მარჯვენა ხელის მტევანზე ცოფიანი ძალივით კბენას იწყებს. ჩემი მეზობელი კოტე მახსენდება, სტადიონზე რო გავაპრაზებდით, ქვებს

დაგვიშენდა, გამოგვეკიდებოდა და რო ვერ დაგვეწე-ოდა, ხელებზე იკბენდა ხოლმე.

სარკმელში ვიღაცას იასამნის რტოები ჩაულაგე-ბია ლარნაკში, წამლების და ოფლის სუნში იკარგება იასამნის სურნელი.

გუშინ ძმაკაცებმა მომაკითხეს. სადღა მყავდა ძმაკაცები, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობდი, მაგრამ თურმე დარჩენილან აქა-იქ.

ნუკრი მიყურებდა და თვალებს არ უჯერებდა.

– რა დაგემართა, კაცო!

– რა ვიცი აბა.

– როდის მოგიყვანეს აქა, – გოგილო გამომძიებ-ლის თვალით მაკვირდებოდა.

– არ მახსოვს, – მხრები ავიჩეჩე.

– რაღაცებს მაიმუნობს, – ნუკრის შეხედა გოგილ-ამ, – მართლა ხო არ გაუბერე, ბიჭო!

– მა, ისე ვინ მომიყვანდა, – ჩამეცინა და იმ სიცილ-მა უარესად აუშალა ეჭვის ჭილყვავი თვალებში.

– შენ ახლა ბებიაშენისას ნუ მიირთმევ! თუ სადმე გინდონდა თავის გარიდება, წასულიყა სხვაგან, მონ-ასტერში წასულიყა, აქ რამ მოგიყვანა. გადავატრი-ალეთ მთელი ქვეყანა. ჯერ გვეგონა, უცხოეთში ხო არ წავიდაო, მერე ხო არ დაიჭირესო... მოკლედ... – ისევ ნუკრის შეხედა და ახარხარდა: – გიურა ეს ჩემის ტრულაილა, რამ მოაფიქრა.

– მიდი ახლა, გაიხადე ეგ შენი ზოლიანი ტანსაც-მელი და წამო. საგიურეთილა გაკლდა. – ჩაიბურტყუნა ნუკრიმ და სიგარეტი აათამაშა.

– აქ არ შეიძლება, – გვერდიდან ვიღაც შუახნის კაც-მა შეახსენა, იასამნებს რო წყალს უსხამდა სარკმელზე.

ნუკრიმ ახედ-ჩახედა, ჩაეღიმა და სიგარეტი ისევ ჯიბეში ჩაიდო.

– გოგილოვან, ისე ჩვენც რო დავრჩეთ პატარა ხანი, – თქვა და გადაიხარხარა.

– აქ თქვენნაირების ადგილი არ არის, გაიგეთ თუ არა, – დაიყვირა ცისფერთვალებიანმა. – მომინდომეს ღმერთთან ახლოს ყოფნა...

– რა ღმერთთან ახლოს?! – სახტად დარჩა ნუკრი. გოგილოს ჩაეცინა და თვალი ჩაუკრა.

– ღმერთთან ახლოს, ღმერთთან ახლოს, – ჩაიბუტ-ბუტა ნუკრიმ.

– მიდი, მიდი, გადაიცვი და წავედით თორე, მართლა ვეღარ დააჯერებ გარეთ ვერავის, რო ამათნაირი არ ხარ.

\* \* \*

გამომელვიძა და ტყუილა ვაკვირდებოდი ოთახს, არც ნუკრი ჩანდა, არც გოგილო, არც ის თავგადახოტრილი ადამიანები, დაბადებამდე არსებულ სამყაროში დაბრუნებული ადამიანები, თავს ღმერთთან ახლოს რო გრძნობენ და ეგებ არიან კიდეც. რას გაუგებ ამ წუთისოფელს.

17 მირკანი, 2016 წელი,  
დიცი

## მართა ბაბოს დაისლამე

თითქო ახალი არც არაფერია, ან რა უნდა იყოს ცის ქვეშ ახალი, რაც არ მომხდარა, რაც არ გვინახავს, თითქო ყველაფერი მეორდება, ყველაფერი ნაცნობია, ზუსტად ისეთი განცდაა, როცა ხანდახან რაღაც მოვლენაზე ჩაფიქრდები ადამიანი, ეს თითქო უკვე იყო, თითქო ნანახი ან მოსმენილი გაქვს, დაახლოებით ეგრეა. ყველაფერი უკვე მომხდარია და მეორდება, რაღაც დაუმთავრებელი ციკლია ირგვლივ ბედნიერებისაც და უბედურებისაც. ისევ ისეთია ოდნავ გათანამედროვებული, ოდნავ დახვეწილი ბოროტება და ოდნავ მოლამაზებული ბედნიერება, ვითომ ბედნიერება, თორემ სად არის ბედნიერება, რომელიც არც შეუქმნია უფალს, ბედნიერება ჩვენ გამოვიგონეთ ადამიანებმა, ჩვენ შევთხზეთ, ვითომ არსებულიყოს, არადა არ არსებობდა და მერე არარსებულ რაღაცას დავეძებთ. გაგეცინება.

მართა ბაბო მიყურებს ეჭვიანი თვალებით. როგორი თვალებით, იცით?! ამოლამებული, ცხოვრებისგან დაღლილი, წუთისოფელი რო მობეზრდა უკვე და ერთი სული აქვს, როდის წავა აქედან, როდის დატოვებს სააქაოს, მისთვის სულ ერთია, რა მოხდება, გამთლიანდება თუ არა ქვეყანა, გაიზრდება თუ არა ჯანსაღი თაობა, გაბრწყინდება თუ არა ივერია. ცას რო შესცექრიან ივერიის გაბრწყინების მოლოდინში საცოდავი ქართველები, ვაი ამათ პატრონს. რა უნდა გაბრწყინდეს, რაც არ არსებობს, ჰგონიათ, რო

რაღაც უზარმაზარი ნათელი დაადგება ქვეყანას და ყველა იქნება ბედნიერი, ყველა კარგად იცხოვრებს, თაფლუჭით სავსე ჯამები ედგმება დიდსა და პატარას. აი, ეგეც კი არ აინტერესებს მართა ბაბოს, ის ყველას ერთნაირი მზერით უყურებს, ყველა ადამიანი ერთნაირია მისთვის, ყველა მატყუარაა, ყველა დაუნდობელია, ყველა ფლიდია, ყველა სამშობლოს გამყიდველია, ყველა ღვთის პირიდან გადავარდნილია. მისთვის თითქო სამყარომ არსებობა დაასრულა. დამთავრდა, ყველაფერი. თითქო სისხლისაგან დაწრეტილია, ჩამონაურეს სისხლისაგან, როგორც დაკლულ საქონელს ჩამოკიდებენ ხოლმე, ისე დაკიდეს თავდალმა ბებერი ქალის სხეული, დაკიდეს და დაიცალა სისხლისაგან. ორი პარასკევილა აქვს მართა ბაბოს. ორად-ორი და დამთავრდა, ისიც დაისვენებს და ჩვენს დავისვენებთ. დავშორდებით სამუდამოდ ერთმანეთს. ვითომც არც ეარსებოს. ვითომც არც ყოფილიყვეს, არადა ერთ დროს გვლოცავდა მართა ბაბო, მაგრამ ჩვენ არ გაგვიგია ეს ლოცვა და ამიტომ ვერც ვერასოდეს დავიჯერებთ, რო გვლოცავდა. თვითონაც იცის, რო დღეები დათვლილი აქვს, სულ რამდენიმე ღამელა დარჩა გასათენებელი, გაათენებს როგორც იქნება და ხორციელ ზრუნვისაგან გათავისუფლდება. მიწამ იდარდოს მერე, მისი სხეული მიწის მოსავლელი გახდება, მოსავლელი რა – შესაჭმელი. მთავრდება მართა და მან ჩვენზე კარგად იცის, რო მთავრდება, ამიტომ მის თვალებში, ცხოვრებისაგან დაღლილ თვალებში, უნდობლობა და ეჭვი კრთის,

სიკვდილის შიში თითქო დაძლეული აქვს. იმდენი აქვს ამაზე ნაფიქრი, იმდენი, რო დაძლია საბოლოოდ და ისე ესაუბრება მიქელ-გაბრიელს, როგორც თავის თანატოლს, თავის თანამერხელს. არც ისეთი რთული ყოფილა, გაჭირვებამ სიკვდილზე ფიქრი გაუმსუ-ბუქა, ამქვეყნიური ცხოვრების დანანება გაუქა-რწყლა.

მიდიან და მოდიან დიდი კაცები, მიდიან და მოდიან. დიდი კაცები. სიკვდილი იქვეა, მაგრამ ვერ ამჩნევენ. მართა ამჩნევს, მართა კანთიელად ხედავს. აგერ თუ უნდა ხელითაც შეეხება. ესენი ვერ ამჩნევენ. ვერც მართას ვერ ამჩნევენ, რომელიც დიდი კაცებით სავსე შენობის წინ დგას სანთლისფერი სახით და ცხოვრე-ბისგან შექმული ხელებით ელოდება ვიღაცას, ვინც მართასაც შეამჩნევს და იქვე ცემენტის ბარდიურზე ჩამომჯდარ სიკვდილსაც.

- ხო მართა გქვია, ბებო?

ხმას არ იღებს. თითქო ხმაც აღარ ემეტება.

- ვიცი, რო მართა გქვია.

ისევ არ იღებს ხმას.

იცის, რო არაფრის მჩუქნელი არ ვარ და ამიტომ სხვაგან იყურება გაურკვეველი მიმართულებით. დი-დი კაცები მიდიან და მოდიან, მიდიან და მოდიან, არ სრულდება ნაკადი.

ნეტა თუ მართა ჰქვია.

რაღაცნაირად, ასე მგონია.

რამდენიმე დღე-ღამე უნდა იყოს მართა ბაბო ჩვენს გვერდით, მერე კი წავა...

## ԱՏԱՏԿԱԼՈՒՄ

Առ զույգ, բողոք դաշտովո...

մոպսուն գաղափարուն.

Այս... ճածակ բաս զոպսուն, օթուակ, սութուակ ճայի-  
նառ ճա այստուակ մոռազեպս ասո-ծցերեաճ ճամլուն  
սութուակ ճազեմէք, օյնեա ազունցո, Շեզակոննոն...

Մերամժենա զա, Շե Շեցունցունուն, Շենա, մերամժե-  
նա, բա չեցալուրեա զա, ըրտու ըրդայցորուն սութուա-  
կուն մսազուալուրուն, որունուն, ու զոն արուն, բա զույգ.  
Բամուսկուպեպս հիմու ոյոյրուն զուգոննուն տազիւ ճա  
նցուրաճ օւսուն, բաց ալազուն օյնու. բա ոյոյրու ամունուն,  
բա ոյոյրու հագուն, նցուրաճ օւսուն մամառ-հայենուսազուն,  
եան մցոնուն, բա հիմիւ մերտաճ աման չուրու օւսուն զու-  
լագուրու. մե բա մազունցուն, ամաս սացուլագուլուն  
ճայումակեսուրուն. զեր մոզումորու, ըրտու սութուակ,  
բողոքուն զու բալացուն ճազապուրուն, զերու համերիրուն,  
համեզազենուն, սուլու մայզու գամենարեպս ճամլունուն,  
մանցու, յալուն, զաւուն, բանաւուն սաեւ այզուն.

Մերամժենագ-մետյու. Սու զեմուգարուն, յև ըրտելուն  
ճա ամուն ճամտազուրուն, ամուն մորիրուն հիմու բանջազ-նցա-  
լուն. հիմու չեցալուրուն մեպոտա, մոմակալուզուն ցուլուն  
ֆուն. Ֆա, Ֆա, Ֆա, սուլ բամժենուն նշուն, բամժենուն գանչաց-  
ելուն, բամժենուն... մերու ալարազուն Շեմուզարուն,  
առու մե արազուն Շեզազարուն, մերու ալարազուն մոմենոնուն,  
մերու արազուն մոզենոնուն. մերու մարդու ըրտու ցրճոննաճա  
ուարենքուն հիմս մոմարտ, ամունուն չուզուդեցանու սամպարո-  
մուն, օւսուն մուլուն ենուն, մուլուն ճարունու. բա ցրճոնուն?

შეცოდება. მარტო შეცოდება იარსებებს მცირე დროით და ისიც რამდენიმე ადამიანში... მერე ის შეცოდებაც განელდება, გაცივდება უღიმლამო ხსოვნად იქცევა და ის ხსოვნაც მოკლე ხნით იქნება და ისიც რამდენიმე ადამიანში. ეს ხსოვნაც დამთავრდება მერე, ესეც ჩანელდება და გაცივდება, ათასში ერთხელ, ათასში ერთის მიერ გახსენებით თუ შემოიფარგლება. საბოლოო ჯამში ეს ნაბოდვარი, რომელიც მე მიკავშირდება, სულ განელე, გამოწელე, რამდენიმე ათეული წელი. ამიტომ ეს ყველაფერი რო ვიცი და ეხლა რო რამდენიმე ახალგაზრდული წელია ჩემს ხელთა, მაცალე და ვინმე შემაყვარე. რა მოხდა, რას ვაშვავებ. შემიყვარდა, მერე რა.

მერამდენედ, შეუძლებელია ასეთი რამ.

არ არსებობს სტანდარტული სიყვარული და შეყვარებები. ან როგორ უნდა შეუსწორო ადამიანს, იცი რა... ეგ გატაცებაა, სიყვარული სხვა რაღაცაა. ყველა თავისებურად უყურებს სამყაროს და იმ სამყაროს ნაწილია ის სიყვარულიც, რომელსაც მე ჩემი სარკმლიდან ვუყურებ.

შეფენცილი ხარ, გადარეული.

მოკლედ ჯიქური ნაბიჯით მივიწევ სკოლისკენ. ვერ მოვიცილე ეს ბავშვობა თავიდან. მემატება წლები, თან მემატება, თან მაკლდება. აი, ეს ბავშვობა კი როგორ გითხრა, ისევ იქა ვარ რა, ვერ გამოვდივარ. ათასკლიტულივით არის. ერთი კარი იღება, მივიწევ, მეორე, მესამე, წინ ისევ დაკეტილი კარები... ბოლო კარი იქ გაიღება, სადაც დამთავრდება კიდეც ყველაფერი, უკანასკნელი კარის საკეტი იქ

ցանիեայունեմս դա առաջլությունու դասրուղացքա.

Ազգայական կոճեթիւ. ցագմոմությա դաշտու ծովու (դաշտա կըսացս սկոլաս).

- Տաճ մուգուսա՞ - Մերութեածա, տաճ ուսետու տաճալե- ծուտ մոպուրունեմս, օդուցու գործորուստու ամուգնու հիշմու.

Արշ մոմոյէցու պարագալութա.

- Ե, մուգա, Տաճ մուգուսա՞.

- Մժոնելու զար, - Մոզութրուստու դա Շեշեցա ցայ- ոնունու տաճալութու, - Մասնացլութելմա գամուրեցա, ոյնեծ ծազմաց րա սկիորս. Մերու տէշեն ցացենեցտ նաևսկա. Այ օմութու կո ար դացապունեցա, րու մժոնելունեմս ցիա ցագալունու դա տացեցաւրագ մույցու. Ցանատուլութուս սամոն- ուստրումու զուգու ամաս դա տէշեն գորեյէթորու Ցիա ար մոցապունոն. Ծրունչուցու դաօննա, ցերու ցագալունու դա ցագապունոն. Եթունու անալու դանությունու կըսոնդա սկոլուս դաշտամու սամսախորու. Ծրունչու մոմուսաճա.

- Ցագուրտեսուլությունու զար, հիմու մոցալունու ց արուս րում ցուտեսու, տորեմ, տէշեն Շենշեցա կո ար մեխ- ալուսենա, - Տաճ ցուլմու մացնենա, - „Շենու ոնդրուցանու դեւա, Շենու. Ռա գրու մոցուա, մուսնացլու մուսնացլու ալար կըսացս դա մժոնելու - մժոնելուսու..”

Բամոցուարու դերուցանմու. Տաճատու դացեցա. Տեսումը- գուուց նշուտու դա ზարու անշրուստությունու. Տաճումը ոնցա սկոլամու. Տաճումը ոտաեցութան կըդացուցան եմեծու շոնացա. Ցուլաց մատեմագուցան ենութան, Ցուլաց ուստո- րուան Տաճումը անշրուստու. Ոմ կըսանու կարտան Տաճումը ուստու. պարու մուգացա. Բամու-Բամու ար ուստու. Եղանակա Շե- վալե. Ռա Շեպունութու Տաճ, Տաճու կիրու... ուսեւ Բամեսմա.

მომშორდი. ხელი ავუქნიე, თუმცა ხელის აქნევით რას  
მოვიშორებდი ტვინში მყოფ არსებას.

სარკმელთან იდგა. ხუთიოდე მოსწავლე იჯდა  
კლასში. ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ესაუბრე-  
ბოდა ბავშვებს. კართან ავიტუზე.

შემომხედა ისეთი მზერით, რამაც იქვე დამიღავა  
სათქმელი. საოცარი თვალები ჰქონდა, ასიათას ქალში  
გამორჩეული, ზომაზე მეტად სევდიანი, თან ზღვარს  
გადასული ეშით და ვნებით სავსე. გიორგობისთვის  
მზე იყო დაბუდებული. მზე, რომელიც თითქო ჩამ-  
ცხრალია, მაგრამ ზაფხულის სიმბურვალეს მაინც  
გაგრძნობინებს. სარკმელსაც გიორგობისთვის მნა-  
თობი ადგა. შემოდგომის მზის სხივები ელაციცებოდა  
წაბლისფერ თმებზე.

არ უუცხოვია, კითხვაც კი არ დაუსვამს. თითქო  
მელოდებოდა. სადაც იყო ანკრიალდებოდა ზარი  
და დერეფნებში გამოსკდებოდა ორმოცი წუთით  
სულშეგუბებული ბავშვების ურიამული.

მიმზერდა კარგა ხანი და ისეთი შეგრძნება მქონ-  
და, შემოდგომის მზე შემოდიოდა ჩემში და გიორ-  
გობისთვის მნათობის სხივებით ვივსებოდი. შორიდან  
მყავდა რამდენჯერმე ნანახი. „რა ლამაზი ყოფილა,  
რა ეშინანი, მზით სავსე თვალებით“.

რა უნდა ვუთხრა ასეთ ადამიანს. ვიდექი ესე ატუ-  
ზული კართან და ვგრძნობდი თითქო ისიც ჩემსავით  
ბავშვობაში იყო დარჩენილი, მასწავლებელი, მაგრამ  
მაინც ბავშვი და ისევე, როგორც მე, მასაც ათასი  
კარი ჰქონდა წინ ჩაგმანული, ისიც ჩემსავით ვერა-

სოდეს ვერ დაალწევდა ამ სამყაროს თავს.

არ ვიცი, როგორ დავიწყო, უბრალოდ... მიყურებს გაოცებული.

უბრალოდ არ შემეძლო არ მივსულიყავი და ახლო-დან არ დამენახა, მეტი არაფერი.

მოსწავლეები მომჩერებიან უცნაური სახეებით.

ბავშვების შემრცხვა. ოდნავ შეეფაკლა ღაწვები.

- კარგი.

ამ ერთმა სიტყვამ დაამთავრა უსაშველოდ გაგრძელებული უხერხული წამები. გამოვედი და ისეთი ბედნიერი გამოვუყევი დერეფანს, თითქო გრაალი მომქონდა უბით.

რამდენი ხანი უნდა მეფიქრა ახალ იმ ერთ სიტყვაზე „კარგი“, - დაცვის ბიჭს თვალი ჩავუკარი და დამშვიდობების ნიშნად ხელი ავუნიე. ნაძალადევად გამიღმა, გულში კი წელანდელივით გადამიკურთხა.

ზარის წკრიალი დამენია კიბეზე.

გარეთ მზე დამხვდა. გიორგობისთვის ოქრო მნათობი თითქო შენი თვალებით მიმზერდა. ბედნიერი ხარ, ჩაიქირქილა იმან, ფიქრის კიდობანზე რო ზის და ხელისგულზე უდევს ჩემი აზრები. მერამდენედ ამერია თავგზა.

ბედნიერი ვარ, ვიდრე სიყვარული, შეცოდების გრძნობად არ გარდასახულა.

- ჰი, ჰი, ჰი.

დამაყენე ჩემს ათასკლიტულში.

10 აპნისი, 2014 წელი,

დიცი

## ქვესკნელის სუნი

ბორგავს, თოთო ხელებით აწყდება. აღარ უნდა უკუნეთში ყოფნა, იტყვი, საცაა გამოანგრევსო, აწყდება, მთელი ძალით, მინისძვრის შეგრძნებაა, გონება ეპინდება წამიერად. თითქო ტვინი ეთიშება. ცოტაც, სულ ცოტაც და გამოვა, თვალზილულ სამყაროს დაინახავს, ზეცისქვეშეს მოათვალიშერებს. რამდენი დარჩა, ალბათ რამდენიმე საათი, ტკივილი მატულობს, მწარე ტკივილი, ყვირილი უნდა, მაგრამ ენას ვერ იმორჩილებს. ვერა, არადა, ლამის ძარღვები გამოასცდეს. შიგნიდან აწყდება, ერთი ბობოქარი არსება შეემატება ქვეყანას. ეხლავე ეტობა, როგორიც არი, იტყვი, ამკლები იქნება ქვეყნისაო. ურტყამს და ურტყამს. ვაი დედა, ტკივილი მატულობს, თითქო ერთიანად აგლეჯენ გულ-მუცელს, ნაყოფიანად აგლეჯენ. ამაზე საშინელი შეგრძნება არ არსებობს, ვისაც ეს არ გამოუცდია, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს მშობიარობის ტკივილს. გაძლება უნდა, ნეტარებას ლოდინი უნდა. მერე გაყუჩდება. იტყვი, ვითომც არაფერი. ჩვილის დანახვა გადაგავინებს ყველაფერს. ასე მოუწყვია გამჩენს კაცთა ცხოვრება. კაცებსაც აქვთ ტკივილი, ოლონდ სხვანაირი ტკივილი, ამაზე ნაკლები არაფრით არის, პირიქით... ეს ტკივილი ჩვილის გაჩენამდე გრძელდება, მერე მიყუჩდება. კაცებისა კი მთელი ცხოვრება გრძელდება, დასასრული არ აქვს, სამარის კართან სრულდება მარტო. ვიდრე გრილი მინა არ დაეყრება, ვიდრე საფლავი არ გადაყლაპავს კაცს თავის ტკივილიანად.

ჩვილი ბორგავს.

– ცოტა ხანსაც მოითმინეთ ქალბატონო, ცოტახანსაც. ამშვიდებს თეთრხალათიანი შუახნის მანდილოსანი, რომლისთვისაც, ვინ იცის, მერამდენე მეათასეა, ეს მშობიარე, რამდენი ამნაირი გამნარებული ქალის ყვირილი გაუგია, უნახავს ისეთი გაგიუებული ქალებიც მშობიარობის ტკივილით გახელებულები სიმწრით რო ფანჯრებს აწყდებიან და გადახტომას ლამობდნენ, რო თავის მოკვლით დააძმონ მშობიარობის ტკივილები. ამიტომაც გისოსები აქვს სამშობიარო სახლს და ეგრე მარტივი არ არის გადახტომა. თეთრხალათიანს ისეთებიც ახსოვს, რომლებიც ტკივილისგან გამნარებულები, ბილწი სიტყვებით ლანძღავენ ქმრებს და თავბედს იწყევლიან. სათაქავში იღებენ იმ დღეს, როცა გათხოვდნენ და კოშმარივით იხსენებენ პირველ ღამეს. მაგრამ თვითონაც ხომ იყო თეთრხალათიანი მშობიარე და განზოგადებას ახდენს, მშობიარობის მერე გაირბენს სულ რამდენიმე დღე, ან კვირა და ყველაფერი გადაავიწყდებათ. ქმართან, ვნებიანად კოტრიალის დროს, მშობიარობის ტკივილი არც კი გაახსენდებათ. ასეთია ცხოვრება. ჩვილი კი ბორგავს. თეთრხალათიანი ოფლს წმენდს ხელსახოცით.

– ვკდები, ვკდებითი! – ღმუის მშობიარე

– ნუ გეშიანია, ცოტაც გაუძელი, დედა უნდა გახდე, გესმის? დედა და ვალდებული ხარ ტკივილს გაუძლო, აბა, შეილის გაჩენა რა გვონია, ცოტა ხომ უნდა აიყვანო შენი თავი, ცოტაც, სულ ცოტაც. ტკივილის ფასიც უნდა იცოდე ადამიანმა და ნეტარების

ფასიც. ფილოსოფოსობს თეთრხალათიანი. ამ დროს შემოდის თეთრჩაჩიანი ექიმი, სავარაუდოდ ორმოც-დაათს ერთი-ორი წლით გადაცილებული.

- წყლები ხო არ დაღვარა.
- არა, ექიმი. მაგრამ ტკივილი გაუძლიერდა. რამ-დენი ხნის წინ გავსინჯეთ?

თეთრხალათიანი საათზე იყურება, იქნება დაახლოებით ერთი საათი.

- კაი, მოვალ ცოტა ხანში. ამბობს და მიდის.
- ვაი დედააა!..
- კარგი, კარგი, დაწყნარდი, თავზე ხელს უსვამს, ეფერება. კარგზე იფიქრე, შვილზე იფიქრე, ცოტა ხანში შენზე ბედნიერი ადამიანი არ იქნება.
- ხომ პირველია?
- მშობიარე ხმას არ ცემს, მარტო ღმუის, იტყვი, რო იმედგადანურულია და მისთვის ყველაფერი დამთავრდა. მშობიარე ქალს ცალი ფეხი სამარეში უდგასო, ვიღაცის ნათქვამი ახსენდება ამ დროს. ოლონდ ვისგან მოისმინა, არ ახსოვს. აი, თურმე რატომ უთქვამთ. სამარე, სამარე... ვაი დედა. ვინ დამწყევლა, ვინ დამწყევლა. – ყვირის.

– დაგწყევლა კი არა, დაგლოცა. დალოცვაა, როცა ასეთი ტკივილები გაქვს და შვილს აჩენ. ძლიერი ტკივილი იმის სანინდარია, რო ჯანმრთელი შვილი გეყოლება და ბედნიერი დედა-შვილობა გექნებათ. აღარ უნდა ამ ქალის ხმის გაგონება. უნდა, უთხრას, გაეთრიე, წადი მომშორდიო, არავის დანახვა აღარ უნდა, მაგრამ ენას ვერ იმორჩილებს. ჩვილი კი თავისას არ იშლის, მოსწყინდა, ამდენი ხანი, ცხრა თვე

და თერომეტი დღე უკუნეთსა და ამღვრეულ წყალში ყოფნა. ტანჯვის წუთისოფლისკენ მიიწევს. ცოტა ხანში დამთავრდება მისი ფაფხური და დედის ტირილი. თავს გამოყოფს და პირველი, რასაც ცხოვრება დაახვედრებს, ტირილია. მაშინვე ტირილს მორთავს. გაოგნებული და ცხრათვიან უკუნში ყოფნით გადაღლილი. მერე ეს ტირილი გაცყვება მთელი ცხოვრება. დაბადებაში ტანჯვა, დაბადების მერე ტირილი, მერე დაიწყება ცხოვრება, რომელსაც ტანჯვა და ტირილი ეჩენება დატედებული.

გამოეცვინა, ჯერ უკონა, რო წყალში იყო. სხეული შეანძრია, თვალი გამოახილა, ბნელოთახს მიავლ-მოავლო მზერა. ცისკრის ნათელი იპარებოდა სარკმლის კუთხეში, ფარდას და ფანჯრის ჩარჩოს შორის უკონავდა რიტრაჟი, თენდებოდა.

ნამოინია, მიხვდა რო წყალში არ იყო, მაგრამ ოფლ-ში ცურავდა. ლოგინიც ცივი ოფლით გაუღენთილიყო. ფეხზე ნამოდგა, სარქმელი გამოაღო, დილის სუსხ-მა ენა შემოყო ოთახში, ქალის ოფლიან სხეულსაც გაეთამაშა, უცბათ შეუშრო სხეული და ისეთი სიცივე იგრძნო, ისეთი, რო ციებაშეყრილივით გააკანკალა. კარადა გამოაღო, ხალათი მოისხა, სინათლე აანთო, დივანზე ჩამოჯდა. ერთხანს სიზმარზე ფიქრობდა. მერე რამდენჯერმე მუცელზე დაიხედა, თვალე-ბი დახუჭა და მიხვდა, რო უბედური იყო. დაენანა სიზმარი. სცადა გახსენება იმ აუტანელი ტკივილის, რომელიც სიზმარში ტანჯავდა. ის თეთრხალათიანი ქალიც გაახსენდა, რომელიც ოფლს წმენდდა ტკივი-ლებისაგან გატანჯულ მშობიარეს. იტკივილი, მზად

ჰქონდა ცრემლები, რომლებიც სიბერეშეპარულ, წლებთან შებრძოლებულ სახეზე, მზის პირის და-საბანად წამოსულ უუუუნა წვიმასავით წამოვიდა. კარგა ხანს ტიროდა და მიხვდა, რო ნამდვილ ცხოვრებას სიზმრები ჯობდა. ის ტკივილი მოენატრა, მტანჯველი ტკივილი და მოლოდინის წამები, დედა რო უნდა გამხდარიყო. თუმცა... ტკივილი, ჩვილის ბორგვა, ტანჯვა, ბოლოს ნეტარების განცდა და დე-დობის შეგრძნება, ეს ვეღარ დასცალდა, სიზმარშიც ვერ დასცალდა. დედობამდე დამთავრდა სიზმარი. ალარც ის ექიმი გამოჩნდებოდა.. შვილი, სიზმარ-ში მაინც ენახა, როგორი შვილი ეყოლებოდა და ამ მოგონებით იცხოვრებდა.

\* \* \*

— ეს არ არის უბედობა, ქალბატონო. გასაგებია, ბედი უნდა ყველაფერს, სულ ყველაფერს, გეთანხ-მებით, მაგრამ ხანდახან ბედზეც ალარ არის დამოკ-იდებული. ცხოვრება შეიცვალა და თავისი მოთხ-ოვნები მოიტანა. აი, ქართველი ქალი, კიდევ ცოტა სხვანაირია, ყოველთვის რალაცას ელოდება, ვი-ლაცას ელოდება, გაუბედავია, და არი ეგრე, მერე იტყვიან, შინაბერა დარჩაო, დარჩება, აბა რა იქნე-ბა, ცოტა თუ არ იძალავე, ცოტა თუ არ იაქტიურე. იჯექი და ელოდე, ანდაზაც კია ასეთი, ქალი იჯდეს, ბედს ელოდესო. მაგრამ ანდაზა ანდაზაა, ადამიან-მაც ხომ უნდა გაანძრიოს ხელი, უფალო, მიშველეო, ხელი გაანძრიე და გეშველებაო. ამაზე ბრძნული ან-დაზა არ ახსოვს კაცობრიობას. ნამდვილად ასეა და

եղլուս ցանձրեցածու ցամհիենո մարտլա լուրջաս կո առ ցշլուսեմոծդա, լուրջաս ցշլուսեմոծդա, հիմո յար-ցո, լուրջաս աֆամիանշիա լմիրտո დա, րուց աֆամիանո որչեցի, մաս պատու յեմարեցի. կո, ասեա. մերը հիւենմա լուրագուցուեցմա թողոյերտս ցոնցեցի այրուա. ցացոյժացեօն. կացեօն մինահիա, լուրջապոլլեցի, մացրամ ուսետեօն, զարսկազարքի ըստ յտամաժեցիան, տումբա զեր յուրնինցացեօն, արազոն մոյզեցի լուրջապոլլունքի ցամո. լուրջատեօն ամուս ցամո յացս զոն դանիւնցեցի. ուս կո արա, լուրջամարս մորուս եղլմշեյրուլլեցի գորոմցեցի դա ամ եղլմշեյրուլլեցմա ասաեցու պատուացերո. յուրաքանչիւն նեցեցի, զարքուս դա, հիմուն սակոտեցի, յուրնեցի ցանց-ունքի սակոտեօն դա մեր նարմունցանց, լուրջամրուլու շրտուրտունքի, անց տանամերժուաց յնուու ըստ ուտյատ, սյցիս սակոտեօն. յմարո դա լուրջա նոնասնար լուրջ- ունքի ան յրտմանցտու կազուածու րամցենչյեր լունդա դանչվես յմարո լուրջատան դա եղլմշեյրուլլեցմա ցանցրունք կունց սեցա նուրունման դեգալլեցի, մյուսերներուլլեցի ամ տեմանց դանչվրունքի տանամարտ. եղլմշեյրուլլեցի տու դաուրունքա, մնացունքի մորդեցմա յրտմանցտու, մաց. տու դաուրունքա ჭամուս դա դասզենցեցի մյուսելո, անդա յուրնեցի զեր ցանցունք, ան կունց յմարո լուրջա չա- ծանու ալմոհինդա դա եղլմշեյրուլլեցմա ցանցրունք կունց նապատակ լուրջատան սամչյեր, ան որչյեր դան- չվա... Ֆո, օմաս զամծոնքդո, այ հիւենտան սասունցանց տաց- մա նամշենս եղլուս, մացուտուս զիարդե հիմո ցոցո որմուցու նելո, ըստ լուրջապոլլս ցազապոլուն դա ա. ՛.

կունց յրտու մոխեթիա, կացեօն րամցենչունքու մեմցուրեցի. ամ օմունունք կացեօն ցանցունք, եռմ

უყურებ, დასწრებაზეა. ამას წინათ ჩემმა მეზობელმა გოგო გაათხოვა. ჩვიდმეტისაც არ იყო. რა იყო, რა გეჩქარებოდა, ესწავლა ჯერ ბავშვ-მეთქი, არაო, თავი გააქნია, ერთი წესიერი ბიჭი გამოჩნდა და უნდა გავაყოლო, მერე დადექი და უცადე ბედი როდის გაეხსნებაო. მართალია. დასწრებაზეა ყველაფერი ხომ ხედავ. კდემა, მორცხვობა, სინაზე, მალულად ტროფობა წინა საუკუნეში დარჩა, ახლა სხვა დროა, გენაცვალე სხვა დრო. ჩემთან ბევრი კლიენტი მოდის, ძალიან ბევრი, მათ შორის კაცები, ისინიც ეგრე გა-კრუხებულ-გადაბერებულები. შემომზივიან გასაჭირს, ვამშვიდებ. ზოგი აქვე ხვდება ერთმანეთს და საბედო-საც პოულობს. თუ ვინმე გამოჩნდა საშენო, მაშინვე დაგიკავშირდები.

ფსიქოლოგი იყო, თუ მაჭანკალი, საბოლოოდ ვერ გაიგო, ან რისთვის მივიდა. ფული გადაუხადა და ისე წამოვიდა, იმ სახლისკენ აღარც გაუხედავს. ეს იყო ქალბატონი ეველინა, რომელსაც არაერთ გაზეთსა და უურნალში განეთავსებინა განცხადება: „ფსიქოლო-გიური დახმარება გაუთხოვარი მანდილოსნებისა და დასაოჯახებელი მამაკაცებისთვის.“

\* \* \*

- დარჩები, დედაო, თუ წამოხვალ? - ეკითხება მორჩილი თეკლას.
- დავრჩები, დავრჩები. ფუტკარს მივხედავ.
- კარგი, დედაო, ჩვენ წავალთ მაშინ და საღამოს დავბრუნდებით. თავი დახარა თეკლამ. ჯვარი გა-დასახა მორჩილს.

– ჩემს მაგივრად მოეფერე ბავშვებს. – მიადევნა თეკლას.

– აუცილებლად, დედაო, – ჩაილაპარაკა თეკლამ და კრძალვა-კრძალვით გააგრძელა გზა. დედათა მონასტრიდან თაფლი მიჰქონდათ ბავშთა სახლის აღ-საზრდელებთან.

– იდგა და თითქო ვიღაცის საუბარი ჩაესმოდა ყურში. ვერ შეძლებ ეგრე ცხოვრებას.

– ვნახოთ, თუ არ შევძლებ.

– ვერ შეძლებ-მეთქი.

– აი, ვნახოთ. – ჯიუტად იმეორებდა. ეს ხმა ძალზე ნაცნობი იყო, ძალზე ახლობელი, მაგრამ ვერ იხსენ-ებდა.

– მალე მოგწყინდება მონაზვნის სამოსი და მოგე-ნატრება ერში ყოფნა.

– არ მომენატრება, არა, არ მინდიხართ, თავი და-მანებეთ, მარტო მინდა ყოფნა. აქ მინდა ყოფნა, აესე მინდა, რო ვიყო. ერთ არა და ჯანდაბა! შემეშვით, თავი დამანებეთ. აქედან ფეხის მომცვლელი აღარა ვარ, გაიგე? არავის დანახვა აღარ მინდა. მე დავამ-თავრე უკვე ცხოვრება.

– მალე გაგახსენებ... – მაინც ვერ მიხვდა, ვისი ხმა იყო. არადა, ისეთი ნაცნობი იყო, ისეთი...

– ხომ არაფერი მოხდა, დედაო, – მორჩილი ანას-ტასია გამოვიდა მონასტრის ბალიდან.

– არაფერი, რა უნდა მომხდარიყო? რატომ მე-კითხები?

– არა, – დაიბნა სამონაზვნე მხევალი, ქორფა ასუ-ლი, თქვენი ყვირილის ხმა გავიგე და ამიტომ გკითხეთ.

ე. ი. ვყვიროდი, თავის თავზე გაბრაზდა. რა მაყვირებდა?! იმ ნაცნობმა ხმაშ ამიყოლია. ვისი ხმა იყო ნეტავი, არსახსენებელმა გამაბრიყვა. პირჯვარი გადაიწერა.

— არა, არაფერია, — ჩაილაპარაკა და ანასტასია ისევ ბაღში გავიდა, სადაც ფუტკრის სკებს ზუზუნი გაუდიოდათ. სენაკში შევიდა, ლოცვანი აილო, მაგრამ ვერც ლოცვას დაუდო გული.... ზარის რევერის ხმა გაისმა, გამოეღვიძა. საწოლიდან წამოიწია და სარკმლიდან გაიხედა, კარგა მოთენებულიყო. მიხვდა, რო სიზმარში ნახა ყველაფერი და არც დედათა მონასტრის მსახური იყო და არც მონაზვნის სამოსი ეცვა. გაუხარდა... გაუხარდა? ცხადში ბევრჯერ ჰქონდა ამაზე ნაფიქრი. არაერთხელ გადაწყვიტა, რო საერო ცხოვრებისთვის თავი მიენებებინა და მონაზვნის გზას შესდგომოდა. მაგრამ ერთი რამ უხერგავდა ამ გზას. მისი მონაზვნობა თუ ასეთ ნაბიჯს გადადგამდა რაღაცნაირად საკუთარ თავზე ძალის დატანება გამოვიდოდა. საკუთარი თავისაგან გაქცევა იქნებოდა და ხვდებოდა, რო ასეთი ფიქრების თავი და თავი მისი გაუთხოვრობა იყო. წარმოედგინა, ბედი რო სწვეოდა, ოჯახი შეექმნა და შვილები ჰყოლოდა, ამ საქმეზე ფიქრსაც კი არ გაივლებდა გულში, მაგრამ ახლა თითქმ ყველაფერი იძულებითი იყო. მონაზვნის გზაზე დადგომას თავისი ხევდრი აიძულებდა და ასეთ შემონაზვნებას კი რა ფასი და მადლი ექნებოდა?! ხომ არ გამოუვიდოდა ისედაც იმედგაცრუებულ ადამიანს საკუთარი თავის მოტყუება. ხვდებოდა, რო არ იყო მონაზვნობა მისი საქმე. ეს ადამიანური ცხოვრების

სრულიად სხვა განზომილება იყო და ასეთ რამეს ვე-რასოდეს შეძლებდა. მონაზვნობას სხვა რამ სჭირდებოდა, მონაზვნობა არ იყო, მარტო შევი სამოსი და ადამიანებისაგან გაქცევა.

\* \* \*

მამრი იმისთვის გაჩნდა, რო მდედრის სუნი შეი-გრძნოს, მდედრი იმისთვის გაჩნდა, რო მამრის სუნით დატყებეს. ეს საერთო ჰარმონიისთვის არის საჭირო. მამრის სუნის შეუგრძნობლად შამოაღამდება სადაცაა. დრო ახლა ისე სწრაფად გარბის, ისე სწრაფად, რო-გორც არასდროს. სადაცაა ქვესკნელის სუნიც მოუ-ღიტინებს, იცი, როგორი სუნი? გვირაბებსა და მიწის-ქვეშ რო იცის ხოლმე, აი, ის არის ქვესკნელის სუნი. ფერუმარილი აღარ უშველის საქმეს. ფერუმარილი ვე-რას ხდება წლებთან. დრო თავისას აკეთებს, ნელ-ნე-ლა გეხვევა, გბოჭავს, მიწისთვის გამზადებს. ქალს, მით უფრო შინაბერა ქალს, როგორ უცბათ ეტყობა წლები, გათხოვილებსაც ეტყობათ, მაგრამ გათხო-ვილები ქმარ-შვილიანები ამას ყურადღებას ისე არ აქცევენ, როგორც გაუთხოვრები, ისინი ცხოვრების რიტმში ისე არიან ჩართულები, შემოღამებას ვერც კი გრძნობენ, აი, შინაბერებს კი საკუთარ სხეულზე დაკ-ვირვება და თვალთვალი უფრო გამძაფრებული აქვთ. მალმალე ათვალმზერეებენ სხეულს და სახეს. რომე-ლიც დროის ლუკმაა. თმებში ჭაღარებმა თანდათან გამოყო თავი, სახის კანიც დღითიდლე შრება, მკერდი დაემვა. ნერვიულობისგან თითებს იჭამს. რაღა მე, რაღა მე დავრჩი ასე, ხომ შეიძლებოდა, რომ გავთხო-

ვილიყავი და მყოლოდა შვილები, მქონოდა ბედნიერი ოჯახი. ვიღაც დამრჩებოდა, ჩემი სააქაოდან წასვლის შემდეგ. მოსაბეზრებელი გახდა ცხოვრება, მოსაბეზრებელი გახდა ოროთახიანი ბინა, სადაც დედასთან ერთად ცხოვრობდა, ის კი არა, თავიც მობეზრდა და ხანდახან დედის დანახვაც აღიზიანებს. რომელიც ამ ბოლო დროს გადაეჩვია საყვედურებს. მანამდე კი ყელში ამოუყვანა, გათხოვდი, ადამიანი არა ხარ, მეც ხომ მინდა, რო რაღაცას მოვესწრო, მეც ხომ მინდა, რო შვილისშვილის ღირსი გავხდე. გათხოვდი კაია, თითქოს მას არ უნდა. ამას შვილიშვილი ენატრება, მე კი შვილის უნახავად უნდა წავიდე...

\* \* \*

თვალის უპეებს უკოცნის ფეხმძიმე ქალს მეუღლე. ხორბლისფერი სახე მოყავისფრო ლაქებით აქვს აჭრელებული. თვეშია ჩამდგარი. რამდენიმე დღედა დარჩა და დედა გახდება. არის ცოლ-ქმარი დიდი სიხარულის მოლოდინში. იციან, რო გოგო შეეძინებათ.

– ნინო... – ამბობს ბიჭი და მუცელზე ეფერება ცოლს. მრგვალ მუცელზე.

– თამარი, – ამბობს მუცელქმნილი და მეუღლეს სახეზე ეფერება. შევთახმდეთ, პირველს მე დავარქმევ, მეორეს შენ დაარქვი. ბიჭმა ისევ ნაზად გადაუსვა ხელი მუცელზე. – კაი, როგორც შენ გინდა. დედა ხდები ბოლო ბოლოს, – გაიცინა და თვალები ამოუკოცნა.

წყვილის საუბარი ესმის და გული ეკუმშება. თვალები დახუჭა, ფეხმძიმე ქალის ადგილზე წარმოიდგინა

თავი, ვეება, მოდლევებული მუცლით, არეული სახით, გვერდით ეჯდა მეუღლე და ეალერსებოდა. წამიერად ბედნიერი გახდა, ოლონდ წამიერად და ისიც წარმოსახვაში.

\* \* \*

დამდუღრულივით აუყვა სადარბაზოს. იტყოდი, სხეულის არც ერთი ნაწილი არ დარჩენოდა მთელი. გეგონებოდა მდუღარე წყალს დაეფუფქა. ძლიერ მიათრევდა ფეხებს. რამდენი საფეხური იყო ოხერ—ტიალი მის საცხოვრებლამდე. ალბათ ორმოცი, ორმოცი, მერე როგორ სძაგდა ეს რიცხვი, იმიტომ სძაგდა, რო როგორც კი ორმოც წელს გადასცილდა, სხვაინაირი გახდა, გულჩათხრობილი, სხვაინაირად შეხედა სამყაროს, უფრო მოლუშული მოეჩვენა ცა, მზეც თითქო ულიმღამოდ ანათებდა. გული უარესად ჰქონდა დამდუღრული. მეზობლის სიტყვები ისევ ჩაესმოდა და კიდევ უფრო ეწვოდა გულიც და სხეულიც. შელაპარაკება მოუვიდა მეზობელთან, დედამისის ონკანი ლია დარჩენოდა, წყალი ჩავიდა და მეზობლის გულჯავრიანობის მიზეზიც ეს გახდა. „ეგრე კაცის უნახავად წახვალ, შე უბედურო და ლირსიც იქნები, ხო დადიხარ ეგრე გადაკრუხებულიო“. „კაცის უნახავად წასვლა“ — ფიქრობს და მიუყვება კიბეებს. მერე რაა, რო კაცის უნახავად წავალ. უფრო უკეთესი არ იქნება?! — ეჩურჩულება თავის თავს, იტყვი, რო თავი უნდა გაამხნევოსო. რამდენი ადამიანი წასულა ეგრე. ქალწული ჩაბარებია გამჩენს. ჰო, მაგრამ... . რა შუაშია მაგრამ... შუაში კი არა, თავშია. ასეთ ადამიანებს ედრები? მათ

აღთქმა ჰქონდათ დადებული და როგორც მაცხოვრის სასძლოებმა შეინახეს თავი, სულის ცხონება არჩიეს ხორციელ ნეტარებას. ხორციელ სიამოვნებას. შენ საშუალება არ მოგეცა, თორემ... ორეულის ხმამ უფრო უარესად აანთო. – თორემ რა?

– რა და დიდი სიამოვნებით ჩაუგორდებოდი რომელიმე მამაკაცს და შენი ქალწულობანაც ამით დამთავრდებოდა.

– მე მეძავი არ ვარ, – ამოიკვნესა, – მერედა ვინ გეუბნება, რო მეძავი ხარო. გამოტყდი, რო მაინცად-ამაინც არ გიხარია, დღემდე ქალწულად რომ შემორჩი ამ წუთისოფელს და მამრის უნახავად დააბოტებ. რამდენიმე საფეხური აიარა. გაჩერდა, შეისვენა. არა-სოდეს დასჭირვებია შესვენება. საათს დახედა, ნახევარ საათში აპიტურიენტი უნდა მოსულიყო. მოაჯირს ჩამოეყრდნო, ღრმად ჩაისუნთქა, ისევ ის სუნი, იტყოდი, მეტროს გვირაბშიაო, ისევ იმ ქვესკნელის სუნს გრძნობდა. რა უბედურება მჭირს, – სახეზე აიფარა ხელები...

\* \* \*

ლიტერატურა, ლიტერატურა, წიგნები... ოთხივე კედელი დაზორტილია წიგნის თაროებით, სავსე თაროებით. წიგნის სუნი დგას ოთახში. იატაკზეც ალაგია წიგნები, გაზეთები უურნალები. ფანჯრის რაფებზეც. კედლებზე – მწერლების პორტრეტები, ქართველებიც არიან, უცხოელებიც, რუსთაველით იწყება პორტრეტების მწერივი და ჰემინგუეით მთავრდება. იტყვი, ამ ბინის პატრონს წიგნის გარდა,

არც არაფერზე უფიქრიაო. არადა, უფიქრია: ქმარზე, შვილზე, ოჯახზე, რაც რამ ენერგია დაზოგა, უოჯახობაში, ქმარ-შვილის მოვლაზე რაც რამ ენერგია უნდა დაეხარჯა, ამ სამყაროში ხარჯავს, წიგნებს და მხატვრულ ლიტერატურას უთმობს მთელს დროს. კითხულობს, კითხულობს, დილით, ლამით, გამთენი-ისას, შებინდებისას. თითქო აქ იპოვა თავის თავი და რო არა ლიტერატურა, რო არა აბიტურიენტები, თავსაც მოიკლავდა. ყიდულობს და ყიდულობს წიგნებს. აღარ ეტევა. ლამის არის სამზარეულოშიც წიგნები შეიტანოს. შვილებივით ეფერება. ძველებურ ბამბუკის სავარძელში მისი მეგობარი სალი მოკა-ლათებულა და კრუტუნებს. თვალები მიულულავს, ხანდახან ზანტად გაახელს და სარკმელთან მიმჯდარ შინაბერა პატრონს გახედავს, შეაცექერდება. მერე ისევ ისე დახუჭავს თვალებს. „აღარ მეფერება ეს ბოლო დღეებია, რა დაემართა, ერთავად კალთაში მისვამდა, ჩემს გარეშე არ იძინებდა, ახლა ზედაც აღარ მიყურებს“.

საათს დახედა, „იგვიანებს“, – გაიფიქრა აბიტუ-რიენტზე, ალბათ, აღარ მოვა. მერე გაახსენდა, რო მაგიდაზე ყავა ედგა. გაციებულიყო. მოყლუპა და ისევ სარკმლიდან გაექცა მზერა. აქედან კანთიელად მოჩანდა მტკვრის ხეობა. გაშიშვლებული, გალოპრი-ლი ჭალები. გიორგობისთვის მზის სხივები სცემდა მტკვრის ტალღებს. ჩამავალი მზის სხივები. ზარის ხმა გაისმა. დედამ გაალო კარი და საუბარი მოეს-მა: „შემოდი შემოდი, გელოდება“. ილლიაში წიგნე-ბამოჩრილმა შემოაბიჯა ბაქარმა. შავტუხა მეთორმე-

ტეკლასელი შეათვალმზირა. მოეჩვენა, თუ ეგრე იყო, უფრო დავაუკაცებული, უფრო გაზრდილი ჩანდა ბაქარი, რთვლის უამს იყო ბიჭი მიახლოებული. სტუ-მარი მორიდებით მიესალმა მასწავლებელს, სალიმ რამდენჯერმე დაიკავლა და ბოლოს ბამბუკის სავარ-ძლიდან ისკუპა.

- თემა მოგეცი...
- კი, დავწერე, – რვეული გადაშალა,
- „ჯაყოს ხიზნები“...
- კი.

– მაჩვენე შენი თემა, – თქვა, თან ბაქარს აკვირდება. ეჩვენება, თუ რა არის, სულ შევიშალე მგონი. მოსწავლეა, თუ კაცია, კაცია, აქამდე არ დავკვირვებივარ. კაცი და მერე როგორი: ასხლეტილი, შავ-შავი, ღონიერი, ძვლებში დაამტვრევს ქალს. ენით უთქმელი მამაკაცური ენერგია იღვრება ბაქარის შავი თვალებიდან, ამ ენერგიის ჩქერალი ესხმის ქალს. რაღაც ენით უთქმელი შემოდის მასში. მაგიდაზე დევს ბაქარის დაწერილი თემა, რომელშიც, სავარაუდოდ, განსილულია მარგოს ბედისწერა. ქალის წარმოსახვა-ში ჩნდება ურემი, ხარებგამოშვებული ურემი, მარგო ამ ურემზე მოიქცია, ამ ურემზე მოიხელთა ჯაყომ, მარგოს კვნესა მოისმის თითქო და ჯაყოს ხვნეშა, სად არის თეიმურაზი? ჭრიალი გაუდის ურემს, სადაცა წაიქცევა, ჯაყო ეშხში შედის, მარგო კიდევ უფრო კვ-ნესის. ბაქარი საუბრობს თემაზე, მაგრამ მასწავლებელი არ უსმენს. მასწავლებელი სხვაგან არის. მცირე ხანში თვალები აემღვრევა, უცნაური სიცხე მოაწვება, იტყვი, დედამიწის გულიდან ამონთხეული ლავა გა-

დაქსხაო, მთელი სხეული ეწვის, ეფერფლება. სისხლის ხმაურსა გრძნობს. საფეთლები ასკდება. ბაქარი ისევ აგრძელებს საუბარს.

მასწავლებელი აწყვეტინებს. პირი უშრება.

– ბაქარ...

– დიახ.

– ხელი მომკიდე.

ბაქარი ჯერ ვერ ხვდება. ჰერნია, რო მასწავლებელი შეუძლოდ გახდა. წყალს მოგიტანთ.

– არა, არ მინდა, ხელი მომკიდე, ხელით შემეხე.

ბაქარი კვლავ ვერაფერს ხვდება, ან როგორ უნდა მიხვდეს. მარგოს კვნესა კიდევ უფრო ძლიერდება, წიგნში ეს არ ჩანს, მაგრამ იცის მასწავლებელმა, რო ასეა. მარგომ მარტო ტკივილი არ მიიღო, მარგო ალბათ სიამოვნებასაც ეზიარა, თივის ზვინის დატკეპნის ჯანი და სავათი აღარ ჰქონდა თეიმურაზს.

– ბაქარ... – ჩურჩულებს. ბიჭი გამოშტერებული უყურებს.

– მომეცი ხელი.– ეჩურჩულება ქალი. ბაქარმა გაუწოდა მარჯვენა ხელი. ქალმა აიღო მოსწავლის ხელი და ძუძუზე დაიდო. ბიჭს ურუანტელმა დაუარა, იტყოდი, ჭინჭრით დასუსხესო. ყველაფერი ერთმანეთს შეერია მოულოდნელობა, დაბნეულობა, სირცხვილის გრძნობა, აღმური მოედო, სახეზე. ლოყები გაუგენთდა. ყურებმა შხუილი დაიწყო, განითლებულმა ყურებმა. ჯერ ვერ ბედავდა. მაგრამ ბოლოს ერთიანად აიშალა ყმანვილში ჩაბუდებული მამაკაცური უინი და ვნება, რომელსაც ასე იყო დანატრებული მისი შინაბერა მასწავლებელი. უცბათ

წაიშალა თითქო ასაკობრივი ზღვარი, ლამის მაგიდა ააყირავა, ლიტერატურის რვეული და ყავის ფინჯანი ძირს გადმოცვივდა. ფინჯანს ყური მოტყდა, მაგრამ ეს არც ერთს დაუნახავს. მასწავლებლის სახეს და მკერდს დაეწაფა. კოცნიდა გაეგნობული ტუჩებით და ... უცბათ, თითქო ცივი წყალი გადასხესო, ფეხზე წამოიჭრა და თვალისდახამხამებაში მოსცილდა დივანს. ჯერ იდგა ასე, იტყოდი, ქანდაკებად გადაიქცაო, დასცექეროდა ქალს ასაკით, ალბათ, ოცდახუთი წლით უფროსს, რომელიც გულნასულივით წელზევით გაშიშვლებული ეგდო დივანზე. ხან მიბინარებულ სახეზე აცქერდებოდა, ხან ჩამობერტყყილ მკერდზე, რომლის სიშიშვლეს ვერ გრძნობდა. ბოლოს წიგნებს და რვეულს დასწვდა და ოთახიდან ლანდივით გაქრა.

მარგო უკვე აღარ კვნესოდა. ჯაყო ურმის გვერდით ცეცხლს დასტრიალებდა. ქალი ფიქრობდა ხან „ჯაყოს ხიზნების“ ზემოთ ნახსენებ ეპიზოდზე, ხან ბაქარზე. ბოლოს სალის კნავილმა დაუფანტა ფიქრი, წელმოწყვეტილივით წამოდგა. ყველაფერი სტკიოდა, თითქო ჯაყოსნაირმა კაცმა წალეკა პირდაპირ. სტკიოდა წელი, სტკიოდა მკერდი, სტკიოდა კიდურები, სტკიოდა საფეხულები და ყველაზე მეტად სტკიოდა ხელმოცარულობის შეგრძნება. ბოლოს ისევ იგრძნო სუნი, რომელიც ეს ბოლო პერიოდი იყო, რაც აეკვიატა და ძალიან აგონებდა გვირაბების სუნს, ქვესკნელის სუნს.

ჭიროვანი უკიდუნოსნობი

ექვსსურათიანი პიესა  
ერთ მოქმედებად

### მოქმედი პირნი:

**დევი** – შუახნის ჭაღარა კაცი, ლოყაზე წითელი ხორცმეტით. ყოფილი დისიდენტი, ემიგრაციაში მყოფი, თავის დროზე საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერი. ამჟამად სტალინელების რისხვა. ემიგრაციიდან ახლახან დაპრუნებული.

**წითელანაფორიანი მოძღვარი** – სტალინის გულმხურვალე მომხრეების სულიერი წინაძლოლი. მისი შეკვეთით დაიწერა თეირანის კონფერენციის მონაწილე ლიდერების – სტალინის, რუზველტის და ჩერჩილის ხატები. მისივე ინიციატივით გადაკეთდა ვაჟა-ფშაველას ცნობილი სტრიქონები – „სამშობლოს არვის წავართმევთ“ – სტალინის საგალობლად.

**რედაქტორი** – სოციალისტური შრომის გმირის ყოფილი ამხანაგი, სამოცდაათს გადაცილებული. ცხვირთან ნაიარევი უჩანს, რაიკომში აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგესა და მესამე მდივნის თანაშემწეს შორის გამართულ ჩხუბში დაზარალდა. სიბერემდე გაჰყვა ეს შრამი. ორჯერ იყო წარდგენილი კომკავშირის პრემიაზე, მაგრამ ორჯერვე ანონიმური წერილით დაბლოკეს.

**რედაქტორის მოადგილე** – შუახნის ქერათმიანი, გაუთხოვარი, მოვლილი ქალი, ეფემია(მოფერებით

ფეფუიკოს ეძახიან) განათლების განყოფილების ყოფილი სპეციალისტი.

**პასუხისმგებელი მდივანი** – ნაია, ოცდაათს გადაცილებული, ორჯერ განათხოვარი ქალი.

### **კორესპონდენტები:**

**ვაჟა** – ბლანქებიანი, ორმოციოდე წლის კაცი, ძირითადად, კერძო სექტორში არსებული სიტუაციების გაშუქება ევალება, უყვარს ფეხბურთი და საჭადრაკო კომპოზიციების შედგენა, საჭადრაკო კომპოზიტორისა და უურნალისტის ვაჟა .....-ის მიერ შედგენილი ამოცანები იძექდება „ქალაქის უწყებანის“ მეოთხე გვერდზე.

**ქალდე** – ოცდაათს მიტანებული ქალი. გასათხოვარი. ნიცშეს დიდი თაყვანისმცემელი. უბით დააქვს „ესე იტყოდა ზარატუსტრა“.

ხშირად კამათობს რედაქტორთან. ძირითადად, პოლიტიკურ ამბებს აშუქებს. ზეპირად იცის, ქალაქში ვინ როგორ სუნთქავს, ვინ რომელ პოლიტიკურ პარტიასთან არის შეკრული. მეოთხე წელია, „საქალაქო უწყებანის“ რედაქციის თანამშრომელია, თუმცა, როგორც ჩანს, რედაქცია მობეზრდა და წასვლას აპირებს, რასაც სულმოუთქმელად ელოდება რედაქტორი.

**ივანე** – ძირითადად, კულტურულ სიახლეებს აშუქებს. უცოლოა. ორმოცს გადაცილებული, თვითონაც წერს ლექსებს, ამბობენ, რითმების ძეპნაში გამოუღამდა.

**ბულალტერი** – რედაქტორის შინაბერა და, სამოცს

გადაცილებული მზია. მათემატიკის რამდენიმე საათი აქვს ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში.

**გივი** – სამოცდაათს მიტანებული არქეოლოგი. ბრინჯაოს პერიოდის ცნობილი სპეციალისტი. ჩრდილოეთ კავკასიის არაერთი ქალაქის (მათ შორის, ნალჩიკის, მოზდოვის) საპატიო მოქალაქე. იერუსალიმის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი.

**მიხეილი** – ცნობილი ისტორიკოსი, დოქტორი, პროფესორი, საქართველო-ევროპის ურთიერთობის მკვლევარი.

**ვასილი** – ცნობილი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. გივიზე, ალბათ, ხუთიოდე წლით იქნება უფროსი. რეპრესირებული ოჯახის წარმომადგენელი.

**კინოდოკუმენტალისტი ტატო** – ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცი, გადაღებული აქვს რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, მათ შორის, ფერეიდნელ ქართველებზე და თურქეთში მცხოვრებ ლაზებზე.

**ოპერატორი დათა** – ოცდაორი წლის ახალგაზრდა, თეატრალური უნივერსიტეტის მაგისტრი. „ქენონის“ მარკის ფოტოაპარატში წმინდა მიწაზე გადაღებულ სურათებს ათვალიერებს, თან თავისთვის ელიმება.

**ცნობილი მხატვარი** – ვითომ სიურეალისტური მიმართულების კოსმოგენური ჯგუფის, მარსიანული ქვეჯგუფის წარმომადგენელი, არაერთი პრემიის და პრიზის მფლობელი. მეექვსედ მოენყო მისი უცნაური ნახატების გამოფენა. უყვართ, მოსწონთ, მაგრამ ვერ იგებენ, მხრებს იჩეჩავენ, მაგრამ იციან, რო დიდი მხატვარია და თვალებში შესციცინებენ. განსაკუთრე-

ბული პოპულარობა მოუტანა „წითელმა ნაძვებმა.“ ამბობენ, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსების მიერ გადამწვარ ბორჯომის ტყეებს მიუძღვნაო, მაგრამ ბოლომდე არ არიან დარწმუნებულები. უყვარს მოცარტი და კიდევ ბევრი რამე...

**სალამოს წამყვანი ვიქტორი** – ქალაქეომის აგიტა-ცია-პროპაგანდის ყოფილი სპეციალისტი, ამჟამად საოცუპაციო მუზეუმის დროშების განყოფილების კურატორი. არ ბერდება ვიქტორი, არის და არის, სულ არის. თითქო არც გაჩენილა და მის დასასრულსაც ბოლო არ უჩანს.

**ჩიტო** – ყოფილი პარტიული ამხანაგი, ოდნავ განათლებული კაცი. ცნობილ მხატვარს სულ თან დასდევს, როგორც მისი საჭურვლის მტვირთველი. მხატვრობაში კარგად ვერ ერკვევა, მაგრამ „ვითომ ცნობილი მხატვრის“ ნახატებზე ისეთ შეფასებებს აფრქვევს, დამსახურებულ ხელოვნებათმცოდნეებს შეშურდებათ.

**დამსწრენი** – ნახევრად ცარიელ დარბაზში სხედან ქალაქის მკვიდრნი. სალამოს დაწყების მოლოდინში ბუტბუტებენ, საუბრობენ პოლიტიკაზე. მოახლოებულ არჩევნებზე, ქალაქის გაუბედურებულ გზებზე. „ვითომ ცნობილი მხატვრის“ შემოქმედების შესახებაც გამოურევენ ხანდახან სიტყვას.

**პირველი დამსწრე:** გამხდარი, ცხვირზე ნაიარევით, „ვითომ ცნობილ მხატვაზე“ გაგულისებული, ერთ-ერთი ახალგაზრდა მხატვრის მამა. მაგრამ მისი მხატვარი შვილი, „ვითომ ცნობილი მხატვრისგან“ განსხვავებით,

ვერც გამოფენებს აწყობს და ვერც საღამოებს.

**მეორე დამსწრე:** ყოფილი მსახიობი. დრამატულ თეატრში არაერთი როლის შემსრულებელი, ამჟამად პენსიონერი. ახალი რეჟისორისგან შერისხული. უკა-  
მაყოფილა ყველასა და ყველაფერზე.

**ოთამამი** – ქალაქიდან გადახვეწილი დიაკვნის შთამომავალი.

## სურათი პირველი

დევი გამორბის, სადაცაა წამოენევიან და ჩაქო-  
ლავენ. მაინც ვერ ითმენს, წამიერად შეჩერდება,  
სამსართულიან გინებას დაუშენს და ისევ გაიქცევა.  
კიდევ კარგი, რო ვერ ეწევიან, თორე თუ ხელში ჩაიგ-  
დეს, ოთხში ამოილებენ და შებრანულ ვარიასავით გა-  
გლეჯენ. „ქვებს სადღა პოულობენ ამ შუა ქალაქში?!“.

– უხ, თქვენი... თქვე წარსულში ჩარჩენილო გოთ-  
ვერნებო, რას მისტირიხართ, ვის მისტირიხართ, ძეგ-  
ლი გინდათ, არა? აი, ძეგლი, – ცერა თითს აძვრენს  
ორ თითს შუა, – ვეღარ ელირსებით, დამთავრდა  
თქვენი დრო, ჩაიარა თქვენმა მატარებელმა, მონე-  
ბი იყავით და მონებად დარჩებით, თქვენ რა იცით  
დამოუკიდებლობის ფასი, თავისუფლების ფასი,  
ბორებილი გირჩევნიათ ყველაფერს, არ ხართ თავისუ-  
ფლების ლირსი! მონა იმიტომ გაჩნდა, რომ მონა უნდა  
იყოს. ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია?! არ იცის და  
არც უნდა გაიგოს. მაშინ ხურმა ხურმა აღარ იქნება.  
თქვენთვის მოვიპოვეთ თავისუფლება? თქვენთვის

ვიდექით მიტინგებზე? – ქვა მოხვდა ფეხში, ტკივილმა მეტყველების უნარი წამიერად წაართვა, აკვანჭილებული ფეხით გაიქცა, მაინც ვერ ეწეოდნენ.

– ბელადი, ბელადი... ბელადი თქვენა და დედის.... ესე რამ დაგაბნელათ. ან შვილები არ გყავთ, ან შვილიშვილები?

კომუნისტური პარტია მოვა მალე, კომუნისტური პარტია „და ვზდრასტვუეტ სავეცკოვა საიუზა...“ ის-ემც თქვენი კარგები და კეთილები... – კიდევ მოხვდა ერთი ქვა, ოღონდ შედარებით მსუბუქი ტკივილი იგრძნო და ყურადღება აღარ მიუქცევია.

კი გარბის, მაგრამ სად გარბის?! სად გავრბივარ? – ეკითხება გზადაგზა თავს, – ამათ როგორ უნდა გავექცე. პაპაჩემი ვინც ვაგონში დახვრიტა, ესენი იმათი შთამომავლები არიან, იმათი, იმ სისხლისმსმელი ჯალათების. ვის გავურბივარ? – შეჩერდა. ისევ მისდევენ.

ერთი ხანობა დააპირა, მამაცურად შევებრძოლები, ბოლო-ბოლო ავიტან ამათ ცემას, რაც იქნება, იქნება, ცოცხალ-მკვდარს დამაგდებენ, მოვალ გონებაზე, მოვცოცხლდები, მერე ტელევიზიები მოვლენ, თავპირ დაუეუილს გადამიღებენ და ნახე მთელ ქვეყანას მოედებაო.

XXI საუკუნეში ქართლის შუაგულში პროლეტარიატის ბელადის მხარდამჭერებმა ყოფილი დისიდენტი, ემიგრაციაში გახიზული და ახლახან დაპრუნებული დევი... სიკვდილის პირას მიიყვანეს ცემით. მერე მოყვებოდა კბილებშემუსვრილი, დაუეუილი, დასიე-

ბული ბაგეებით, სწორად კი ვერ გაარჩევდი მის სიტყვებს, მაგრამ გამგონი მაინც გაიგებდა. „შუაგულ ქალაქში დევს დამესხნენ სტალინისტი „ფაშისტები“. წითელანაფორიანი მოძღვარი მოუძღოდა წინ, ნამდლიან-უროიანი დროშები აღემართათ და შარავანდედიანი სტალინის ხატები ეჭირათ. ვიდექი და ვუყურებდი ამათ საცოდაობას. დიდება მამასა და ძესა, სულინმიდასა და სტალინსაო, დიდი ხუთშაბათი იყო, მძიმე მარხვის ეს უმძიმესი დღე. ტაძარში ვაპირებდი წასვლას, მართალია, მოძღვარი აქ არ მყავს, მაგრამ მარხვა მაინც შევინახე, ჩემთვის, უმოძღვროდ. დილიდანვე ის საშინელი სცენა ამეკვიატა, გეთსამანიის ბაღში მაცხოვარს რო რომაული ჯარისკაცები დააყენა იმ გამყიდველმა იუდამ, ოცდაათ ვერცხლად რო გაყიდა ღმერთი და სული წაიწყმიდა. სულ ამ ამბავზე ვფიქრობდი. ყურში მიწიოდა: „რაბი, რაბი“. როგორ მისცვივდნენ რომაულ ბექთარში ჩამჯდარი ლეგიონერები მაცხოვარს და ყელზე მოახვიეს საბელი.

ამ დროს ჩამოიარა ამ წითელმა ბრბომ. ჯერ ვიფიქრე, მომეჩვენა-მეტქი. წითელანაფორიანი მოძღვარი ჩემს დღეში არ მენახა. სტალინის ხატის დანახვამ ხომ ჭკუიდან გადამიყვანა. ახლა მგალობლები... ღმერთი სამებააო, ვინ ვითხრათ, ვინ მოგატყუათ, აბაშეეკითხე, ამ ჭკუაშეფენცილებს და გეტყვიან: სამება კი არა, ოთხებაა, ოთხება, სულინმინდას სტალინი მოსდევს. ვაი, დედაჩემ! ამას რაღა მომაფიქრებდა. ემიგრაციაში ვიყა, გაწამებულ სულს დავათრევდი, თავისუფალ სამშობლოზე ვოცნებობდი, აი, დღეს, აი

ხვალა, აი, დღესა, აი ხვალა, ეგრე ნატვრაში მითენდებოდა და მიღამდებოდა. დარდივით შემჭამა ნატვრამ, ყმანვილი კაცი გავიქცეი აქედან და ჭარმაგი ჩამოვედი, უცხო მიწაზე გამაპარტახა სიბერემ. ჩამოვედი. საქართველოს სამრეკლოზე ზარი რეკდა, აქეთ მიხმობდა. დამოუკიდებლობა რო გამოაცხადეს, ძილში შევიტყვე, ვიღაცამ თითქოს ცივი წყალი გადამავლო, რა დროს ძილია, ქვეყანა გათავისუფლდა, ადე, ზეზე, მშობლიური მიწა გეძახისო. ჩამოვედი და...

თვალებს არ ვუჯერებდი. ქართულ ფილმში რომ არის: ბავშვი რო შესძახებს „ბაში-აჩუკი, ბაში-აჩუკიო“, ვიღაც ლანირაკი გამოეყო ბრბოს და ხელი გამოიშვირა ჩემკენ, აეგ არის, მაგან აიღო სტალინის ძეგლიო. იდგნენ და გაქვავებულები შემომცეკროდნენ, ეკლესიის სამრეკლოზე ჩამორეკილი ზარის ბგერები მოფრინავდა ჩემკენ. პირჯვარი გადავინერე. რალაცას ეკითხებოდნენ იმ გოთვერან ლანირაკს. თავს უქნევდა, ნაღდად ვიცი, რო ეგ არისო, ალბათ, უდასტურებდა. ერთი ახმახი გამოეყო, სიჩუმე ჩამონვა. სამრეკლოც დადუმდა.

— მართლა შენ აიღე სტალინის ძეგლიო? — დამცინავი მზერით შევხედე.

— ჰო, მე ავიღე, აემ ხელებით ჩამოვაგდე ის თქვენი დიქტატორი და სისხლისმსმელი ბელადი-მეთქი.

თითქოს ვერ იჯერებდა. ალბათ, ეგონა, დუნიაზე არ არსებობდა ადამიანი, ვისაც ამის გაკეთება შეეძლო.

ნითელანაფორიანი მოძღვარი გამოენთო.

— შენ შეგაჩვენოს გამჩენმა, შე სატანის მოცი-

ქულო, შე ღვთისპირიდან გადავარდნილო, შე სასუ-  
ფეველნართმეულო! – და გამოუშვა წყევლის სეტყვა.

– ჯერ ეგ ანაფორა გამოიცვალე და მერე ილაპა-  
რაკე-მეთქი.

სიტყვა ვერ დავასრულე, რომ მომცრო ქვა მომხვ-  
და თავში. ვიგრძენი, როგორ ამოხტა კოპი. ქვის სრო-  
ლა და ამ გაგენთებული ბრბოს ჩემკენ გამოვარდნა  
ერთი იყო. ჩაქოლეთო, – მოძლვარი უყვიროდა, –  
ცოცხალი არ გაუშვათო და აი, რა დღეში ჩამაგდეს...

მოკლედ... კი გაიფიქრა დევიმ, თავი გაეწირა, მა-  
გრამ ვინ დაუფიცებდა ახლა ამ თავგადაკლულ სტა-  
ლინელებს, რას მოიმოქმედებდნენ და ისევ გაიქცა,  
თუმცა, ქვების სროლა თანდათან შეწყდა, გაქცეულ  
ბელადის მაგინებელს აღარ მისდევდნენ, მაინც გარ-  
ბოდა. „მე ავიღე ძეგლი, მე ავიღე, არავის დაუვა-  
ლებია, მე თვითონ ავიღე. ფეხები არავის მოსჭამოთ.  
მიდი, აბა, დამხვრიტეთ, თუ მაგრები ხართ“.

კოპი უფრო ამოუსივდა. სველი პირსახოცი კი  
დაიდო, მაგრამ ამან ვერ უშველა. საწერ მაგიდას  
უჯდა და ევროკავშირის ხელმძღვანელობის სახელზე  
წერილს წერდა: „მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრე-  
ბა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას შევა-  
ლიე, არ დაგიმალავთ და ტერორისტული აქტებიც  
კი მომიწყვია (რა თქმა უნდა, უმსხვერპლოდ) ჩემი  
ქვეყანა საჭეშემობრუნებული ხომალდივით მიექანე-  
ბოდა ბენელეთში. კომუნისტი მაჯლაჯუნები სისხლს  
სწოვდნენ წურბელებივით, სიადანაც კი საშუალება  
მომეცემოდა, ცდას არ ვაკლებდი რო იმპერიის დანგ-

რევაში ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა. აპა, დადგა ნანატრი თავისუფლება, დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, მსოფლიო რუკაზე წითელი ფერის გარეშე დაიტანეს ჩემი ბედკრული ქვეყანა. ევროსაბჭოს წევრი გავხდით და ევროკავშირის კართან, პარმალზე დავიწყეთ ფეხსაცმლის წმენდა, თურმე ცუდად ყოფილა საქმე. ბელადის აჩრდილი ისევ დაძრნის ქვეყანაში. ბეწვზე გადავურჩი ბელადის მომხრეთა ბრძოს-გან ჩაქოლვას. არ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი გულისტკივილი, მაგრამ არ მინდა უკან დაბრუნება, არ მინდა გაყინული ცხოვრება, არ მინდა პარადები და ბელადების ხოტბა-დიდება. „მოხედეთ საქართველოს, უპატრონეთ საქართველოს“.

ყოფილი დისიდენტი და ემიგრანტი, ბელადის მომხრეთა მიერ შერისხული, მარად ევროპაზე მეოცნებე, დევი...

**p.s** არ ვიცი, როგორ დამთავრდება ეს დღე. წერილს კი ვწერ, მაგრამ ყოველწამს შეიძლება, შემოანგრიონ კარი და ვანდალურად გამისწორდნენ, ჩამქოლონ, სული ამომხადონ.

მოკრძალებით და პატივისცემით  
დევი...

**p.s p.s** თუ დღეს ბოლო მომიღეს ამ წითელმა ეშმაკებმა და ბელადის ულვაშზე მლოცველებმა, გახსოვდეთ, რომ ევროპულ არჩევანს მაინც ვერასოდეს მოკლავენ.

დიდი სიყვარულით და  
თქვენი პასუხის მოლოდინში  
თქვენი დევი...

## სურათი მეორე

### რედაქტორი.

**რედაქტორი:** აჭარხლებული შემოდის, გაგენ-  
თებული სახე აქვს, წნევის ნამალი გადაყლაპა და  
გრაფინით წყალი მიაყოლა.

— უძალლო ქვეყანაში რომ კატებს აყელებენ, აეგრეა  
ამათი საქმე. საკუთარი თავისა ვერაფერი გაუგიათ  
(ეს-ეს არის დამთავრდა საკრებულოს სხდომა). ასე-  
თი რამე არ მინახია, დავბერდი კაცი და... შეიძლება  
მკვდარ კაცს ასე მოექცე? საფლავშიც არ მოასვენო?  
იმის მაგივრად, რომ მის სახელს უფრთხილდებოდ-  
ნენ, ქალაქის საკეთილდღეოდ იყენებდნენ, დგანან და  
ილანძლებიან, რატო ღმერთი არ გაიცინებს?! — ისევ  
მოსვა წყალი.

**ივანე:** — რაო, რა გადაწყვიტეს...

**რედაქტორი:** — რის გადამწყვეტები არიან?! შე-  
მოდგომამდე ვიქნები და მერე... დავიხურავ ქუდს  
და ჯანდაბას იქით გზა ჰქონიათ. დავიღალე ამდენი  
უსამართლობით. უსამართლობა ადრეც იყო, მაგრამ  
მაშინ წესრიგიანი უსამართლობა მაინც იყო, ახლა...  
ველარ ვიგებ მოკლედ. თავის მშობლიურ ქალაქში  
რომ ასე მოექცევიან, სხვაგან რას იზამენ. სტალინის

სახელის ხსენების ღირსებიც არ არიან. ესენი ახლა გერმანელების მოჯამავირეები უნდა ყოფილიყვნენ წესით, იმათი უნიტაზების ჩამრეცხავები, ახია იმაზე, ახი. უნდა მიეშვა და მერე ექაქანათ ბევრი. ისევ მოსვა წყალი. – მზია! მოდი ერთი გამისინჯე, – პერანგის სახელო შეიხსნა, მარცხენა მკლავი გაიშიშვლა. მზიამ საბულალტრო დოკუმენტებს თავი მიანება.

**მზია:** – ამოიჭამ მე მგონი თავს და ეგ იქნება. რას გადაყევი ამ ძეგლებს.

**რედაქტორი:** (მკლავს დადებს მაგიდაზე და შინაბერა დას თვალებს დაუბრიალებს) – მიზომავ?

**მზია** (წნევის გაზომვას დაამთავრებს და წაიბუტ-ბუტებს): – ასსამოცია ასზე, ცოტა ამოვარდნებს აკეთებს, – მერე ისევ თვალებში შეხედავს ძმას და თავს გააქნევს, – ვიცი, როგორ ძალიან გტკივა გული, მაგრამ ახლა სხვანაირ ქვეყანაში ვცხოვრობთ. გაიგე ერთხელ და სამუდამოდ.

**რედაქტორი:** – როგორ სხვანაირში?

**მზია:** – ახლანდელი ახალგაზრდები სხვანაირები არიან, არ მოსწონთ ეს შენი სტალინი და რას იზამ.

**რედაქტორი:** – მოწამლულები არიან და იმიტომ არ მოსწონთ. რატომ მიჰყავთ პატარა ბიჭები ჯარ-ში? იმიტომ მიჰყავთ, რომ მათი მართვა და გავლენის ქვეშ მოქცევა უფრო ადვილია, ვიდრე უფროსების, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებენ. ეგენიც ეგრე არიან. მოწამლეს, ნემსი გაუკეთეს ტვინში, მსოფლიო იმ კაცზე ლოცულობს და ესენი სანაგვეში აგდებენ მის სახელს.

(საწერი მაგიდის პირდაპირ სტალინის სურათისკენ გაექცევა თვალი. „ამას იმსახურებ?“ რედაქციის გარეთ ხმაურია. ივანე და მზია გაცვივდებიან. ისმის ლენვა-მტვრევის ხმა და გინება. ცოტა ხანში ხმაური მიწყნარდება. მზია და ივანე უკან დაბრუნდებიან, მათ ვაჟაც შემოჰყება).

**რედაქტორი:** – რა მოხდა?

მზიას ივანე დაასწრებს.

**ივანე:** – ის გადარეული დევი იყო.

**რედაქტორი:** – მერე?

**ივანე:** – დაცვამ გაიყვანა. გინტურის ბიჭებმა მითიკნეს ერთი გემოზე (გინტური ქალაქის დამსახურებული მწვრთნელი იყო).

**რედაქტორი:** – ვენაცვალე მაგათ, კი არ უნდა მითიკნონ, უნდა დაიჭირონ. ეგ მავნებელი, ეგა. ხალხის მტერია, ხალხის მტერი. ახალგაზრდობას თავგზას ურევს, ახლა ლექციების ჩატარება დაუწყია. პოლიტიკოსობს, ვაი, ჩვენი ბრალი.

**მზია:** – თავისუფლება ეგეთია, მაშ, როგორ გინდათ?! თავისუფლებას შენც უხდები და დევისნაირებიც (თან გაიღიმა).

**რედაქტორი** (ფეხზე წამოხტება): – შენც ხომ არაფერი გაჭამეს?

**მზია:** – მაჭამეს, მაჭამეს, სტალინი შემაჯავრეს.

**რედაქტორი:** – ალარაფერია გასაკვირი (სტალინის სურათთან მივა. დიდხანს არის მიშტერებული, თითქმ ბელადის მზერაში რამეს ამოიკითხავდეს.

ივანეს ისეთი მოლოდინი აქვს, რო გულაჩუყე-

ბული რედაქტორი სადაც არის, ტირილს დაიწყებს, აზლუქუნდება)...

**ივანე:** – (რედაქტორს თვალს არ აცილებს, რედაქტოის კარი ჭრიალით იღება და ქალდე შემოდის. ამ ბოლო დროს უფრო დაეძაბა ურთიერთობა რედაქტორთან. დიდ იმედებს ამყარებდა რედაქტორი ქალდეზე, მაგრამ... არ გაუმართლა. ყველაფერზე თავის მოსაზრება აქვს. ყველაფერს უკირკიტებს, წალმა უკულმა ეჩვენება და უკულმა – წალმა. რედაქტორს ივანემ ამბავიც მიუტანა – ანტისტალინურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან „იატაკქვეშა“ ურთიერთობა. იცის ეს ქალდემ, მაგრამ არ იმჩნევს. ერთხელაც იქნება, იმ დროს უკბენს ივანეს, მოლოდინიც რო არ ექნება, „ქალდეს ნაკბენს ვერ გადაურჩები, შე სოციალიზმის მონავ“. კი უცინის კულტურულ ღონისძიებათა მიმომხილველს, მაგრამ... ივანემაც იცის, როგორც უცინის ნიცშეს მაღმერთებელი).

**ქალდე** (იცინის და ფიქრობს): „რა საძაგელი ხარ, ივანე, რა საძაგელი. კაცი რომ ვიყო, მაგრად მიგბერტყავდი“.

**ივანე** (იცინის და ფიქრობს): „ჯოჯოხეთში ყოფნის ტოლფასია ამ ქალთან ყოფნა, ღმერთო, შენ დაიფარე კაცები ქალდესნაირებისგან“.

(გულის დამაშვიდებელი წვეთები გამზადა მზიამდა რედაქტორს დაუდგა).

**შზა:** – დალიე, თორემ სტალინს არავინ გაჟყვა თან და შენ ვინ გამოგყვება. დალიე, დალიე, დაგამშვიდებს.

**რედაქტორი:** – ალარ მინდა ამ ქვეყანაში ცხოვრე-

ბა, ახალგაზრდა რომ ვიყო, მე ვიცი, რასაც ვიზამდი.

**მზია:** – დალიე, დალიე, რაღას დასცქერიხარ.

**რედაქტორი** (ყავის ფინჯანს უმზერს, თან სტალინის სურათისკენ გაურბის თვალები და ფიქრობს): როგორ მოვითმინეთ ძეგლის აღება, როგორ მოვითმინეთ?! მართალს მეუწენებოდა გინტური, ახლა რო ამას გაბედავენ, მერე შეიძლება, სტალინის სახლის დანგრევაც მოინდომონ. არ უნდა გაგვეტარებინა, არა (სტალინს თვალს ვერ უსწორებს)! ერთი ორი რომ კისერს წაიტეხავდა, სხვები კურტებივით გახდებოდნენ. ამოდენა ქალაქში... თფუი, ჩემი თამადობით, კაცი არ აღმოჩენდა, რომ ძეგლს მკერდით გადაფარებოდა.

დამფრთხალი წინილებივით დავიმალეთ და ბელადი ამათი გასაპამპულავებელი გავხადეთ. პირქვე დავამხობინეთ ძეგლი, პირქვე.

**პასუხისმგებელი მდივანი ნაია** (რედაქტორს უყურებს თან უნდა თქმა, თან არა. ბოლოს მაინც გადაწყვეტს, რომ უთხრას): ისე, ხომ არ აჯობებს, რომ ამ დაპირისპირებაში ჩვენი გაზეთი არ ჩაერიოს. ისედაც ნაკლები ხელმომწერები გვყავს. დღითიდღე შემოსავალი გვიმცირდება. არ მგონია, ღირდეს ამ ყველაფერს ჩვენი სამსახური გადავაყოლოთ. მაინც ოცდამერთე საუკუნეა და გაზეთი მიუკერძოებელი უნდა იყოს.

**ქალდე** (თითქო პასუხისმგებელი მდივნის სიტყვას ელოდა. ცხვირი ასწითლებოდა და ივანე უკვე ხვდებოდა, რო რაღაც მკვახე უნდა ეთქვა): რატომ უნდა გვიწოდონ ნარჩენები. მთელი ქალაქი რატომ უნდა ლაპარაკობდეს ჩვენზე. ჩვენ ყველას ჩვენი

შეხედულებები გვაქვს და ასეც უნდა იყოს, მაგრამ იმ ფონზე, რომ ახალგაზდები ყოველდღე მიტინგებს მართავენ საოკუპაციო ხაზთან, დგანან და ლია ეთერში ლაპარაკობენ ჩვენს რუსეთუმეობაზე, რედაქციაში არსებულ სტალინიზმზე, აღარ მინდა, ბატონო, ასეთ ვითარებაში ყოფნა. ოკუპანტი კართან ახლოს არის და სტალინი, სტალინი, სტალინი! ხომ შეიძლება, ქვეყნის გათავისუფლებაზე ვიფიქროთ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე და არა ძეგლებზე. ქვეყნის ოცი პროცენტი...

**რედაქტორი** (ქალდეს სიტყვას აწყვეტინებს): კი მაგრამ (თან სხვა თანამშრომლებს გადახედავს, რომლებიც მდუმარენი სხედან)... დაკარგულ ტერიტორიებთან რა შუაშია სტალინი?! გვონია, სტალინი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამ ტერიტორიებს მტერს ჩავაბარებდით? შენ რაღაცეები გერევა ერთმანეთში.

**ქალდე:** თქვენ ძალიან კარგად მოგეხსენებათ ჩემი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. ქვეყანამ ევროპა აირჩია, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში...

**რედაქტორი** (ჩაიბუტიბუტიშვილი): ეგ ალიანსი გიტირებთ ყოფას, თუ უკვე ნატირებიც არ გაქვთ.

**ქალდე:** მოკლედ... მე წავალ აქედან. ჩემთვის ქვეყნის ინტერესებია მთავარი და არა კერპადქცეული ადამიანები.

მადლობის მეტი თქვენთან არაფერი მეთქმის (ჩანთას დაავლებს ხელს და ოთახიდან გადის).

**ივანე:** უსათუოდ დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს.

**რედაქტორი:** ვიცოდი, სულ მღრღნიდა ეჭვის ჭია, რომ მღალატობდნენ. ახია ჩემზე, ახი (წყალს მოსვამს, მერე ადგება და ისევ სტალინის სურათთან მივა და მიმართავს). რატომ ღმერთი არ გაიცინებს, იოსებ ბესარიონოვიჩ, ვისი სალაპარაკო გახდი, ჰა!

## სურათი მესამე

### (თვითმფრინავში)

**გივი:** მიხეილ! იცი, რა გამახსენდა?

**მიხეილი:** (თვლებს).

**გივი:** (მეგობარს გადახედავს) წაგეძინა? მიხეილ!

**მიხეილი:** ულიმღამოდ გამოახელს თვალს, რა იყო?

**გივი:** ნახევარ ცხოვრებას ისედაც ძილში არ ვატარებთ?!

**მიხეილი:** ეს შენი დაწესებული არ არის, ვინც დააწესა, ალბათ, ასე ამჯობინა.

**გივი:** სტალინზე მინდოდა, მეთქვა.

**მიხეილი:** (სათვალის ზემოდან გადმოხედავს) – მე რა შუაში ვარ?

**გივი:** სტალინის გადმოსვენებაზე რა აზრის ხარ?

**მიხეილი:** ისევ სათვალეს მოიხსნის და ჯერ დაღლილ თვალებს ამოიჭყლეტს, მერე ცხვირს მოიფხანს (ეს მისი ჩვევაა), კაცო, ერთი რამ მაინტერესებს, ვიცი, რომ ადამიანებს ყველას თავისი გატაცებები აქვს, ზოგი რით იკლავს გულის ჭიას, ზოგი რით, შენი გატაცება ნამდვილად ვერ ამოვხსნი.

**გივი:** (ულვაშს მოიქექავს) – რა გატაცება?!.

**მიხეილი:** მკვდრების გადმოსვენებით გატაცება, უცნაური ჰობი გაქეს (ტუჩებს მოპრუნავს და მხრებს აიჩეჩავს მიხეილი, სათვალეს ისევ მოირგებს). ღმერთო, შენ გვიშველე. ჯერ რუსეთში დასაფლავებული ქართველი მეფეები და დიდებულები, ახლა სტალინი...

**გივი:** ჩემი იდეა არ არის... ნუ გიყვარს ხოლმე ეგეთი რაღაცები. საზოგადოებაში გაიუღერა ამ ამბავმა.

**მიხეილი:** გადმოგიდებენ ხოლმე საკბილოს.

**გივი:** მაინც, რა აზრის ხარ?

**მიხეილი** (ისევ მხრებს აიჩეჩავს): რა გითხრა? იმართლე გითხრა? მიცვალებულების შეწუხება არ მიყვარს. რამდენი ხნის დამინებულია კაცი, თან თავის სანუკვარ ადგილზე განისვენებს, ლენინიც იქვე ჰყავს. რატომ უნდა გადმოვასვენოთ? ვისი ახირებაა?!

**გივი:** ისე, ცუდი არ იქნება. ჯერ ერთი, ეგ კაცი თავის ქალაქს დაუბრუნდება, მერე ტურისტული თვალსაზრისით. წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი ჩამოვა.

**მიხეილი:** ჩამომსვლელები ისედაც ჩამოდიან.

**გივი:** უფრო მეტი არ ჩამოვა?! სხვებს რომ ასეთი რამ გააჩნდეთ, რამდენ ფულს გააკეთებდნენ. აქ თავი ვერაფერს მოაბეს...

(ვასილიც იქვე ზის, მეორე რიგში და მეგობრების საუბარს ყურს უგდებს).

**ვასილი:** ხომ იცით, ერთმა თავქარიანმა რომ პროექტი დაწერა სტალინის ვაგონთან დაკავშირებით. არ

ვიჯერებდი, მაგრამ მართალი ყოფილა (თავს გააქნევს სინაწლით). საერთოდ გადაირია ეს ხალხი... რას უშვრება თავისუფლება ადამიანებს?!

**გივი:** თავისუფლება რა შეუძია?!

**ვასილი:** შეუძია კი არა, თავშია. თავქარიანი, ქარაფშუტა ადამიანების თავის ნებაზე მიშვება როგორ შეიძლება?! ქვეყანას თავზე დაგვამხობენ. თუმცა, დაგვამხეს (უკვე ნათქვამი გაასწორა).

სტალინის ვაგონში უცხოელი ტურისტებისთვის საძინებელი ოთახის მოწყობას ითხოვდა პროექტის ავტორი. მაგალითად, ჩამოდის ამერიკელი, ან ევროპელი სტუმარი თავის მეუღლესთან ან საყვარელთან ერთად. გიდი დაიწყებს და შემოატარებს ჯერ მუზეუმს, უკლებლივ ყველა ექსპონატს დაათვალიერებინებს, იმ პატარა ქოხსაც აჩვენებს, სადაც სულ ორი თუ სამი წელი დაჰყო კეკემ თავის ლოთ ქმართან ერთად. ბოლოს ვაგონში ეპატიუება. უცხოელებს სრული უფლება აქვთ, სტალინის ვაგონში არსებულ საძინებელში გემოზე იბუღრაონ, გადასახადი დაწესებული იქნება დროის მიხედვით. „სექსი სტალინის ვაგონში“ – როგორია?! ახლა თუ ჩვენებურმა ფულის ტომრებმაც მოინდომეს ეგ ამბავი, წინ ვინ გადაუდგება?! პროექტში იყო ასევე მუზეუმის ტერიტორიაზე რესტორნის მოწყობა, სადაც მიმტანსაც, მომტანსაც, მზარეულსაც, შეფეხულსაც, მერიქიფესაც თუ სხვა პერსონალს, ყველას სტალინის დროინდელი სამოსი ეცმეოდათ. ორმოციანი წლების ამბები გაგიცოცხლდება. ერთი სიტყვით, თავიანთ თავს დასცინ-

იან, სტალინს თუ ჩვენ – საზოგადოებას, ვერ ამიხსნია.

**მიხეილი:** არ ისვენებენ და არც იმ კაცს ასვენებენ. რა ცოდვა უნდა ჰქონდეს ადამიანს ისეთი, რომ გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ შენზე ღიზღიზებდეს ხალხი.

**გივი:** უცოდველი კრავი არავინ არის, მაგრამ იმ ცოდვებსაც სწორი შეფასება ესაჭიროება და არა ის, რომ ლანძღვა-გინებაში გადაგვდის ყველაფერი.

**ვასილი:** ერთი ამაში ვუქნივართ ღმერთს, ლანძღვა გვიყვარს. დაინტებენ და დამთავრება არ იციან. არ კითხულობენ. წარმოდგენა არაფერზე აქვთ. წაიკითხე, იმსჯელე, მერე გაამტყუნე, თუ გასამტყუნებელია. კაცო! რახან ამაზე ჩამოვარდა საუბარი, რა მიკვირს იცი? სტალინის დროს რესპრესიები რომ დაატყდა ქვეყანას, უამრავი ხალხი ხო გაწყდა. აი, ვინც ის ხალხი გაწყვიტა, ვინც ხალხს სული გაუმნარა, იმათი შთამომავლები უფრო ყელყელაობენ, მაუზერიანის შთამომავლები უარყოფენ სტალინს, ბიჯოს! გაგიჟდები. რა ხალხია მაინც.

**მიხეილი** (ვასილს თანაგრძნობით შეხედავს): შენმა ოჯახმა დიდი უბედურება გადაიტანა, დიდი. მამაჩემი მიყვებოდა ხოლმე, თუ დასამდური გაქვს, შენ უნდა დაემდურო, სხვები კი არა.

**ვასილი:** სტალინი რო არ ყოფილიყო, მეც მამაჩემის გზას გამიყენებდნენ. მამაჩემი რო წაიყვანეს (მეზობლის კაცმა დააბეზღა), ვითომ სტალინს და პარტიას აგინებდა სუფრაზე და თავადების დროის დაბრუნე-

ბაზე ოცნებობდა. აემაზე პატარა ვიყავი (დათას შეხედავს ვასილი), ღამით მოვიდნენ სამნი. მამაჩემმა მშვიდად ჩაიცვა. ვითომც არაფერი... წაჲყვა ეგრე შენირული ცხვარივით. ერთი მოგვხედა, თვალი ჩაგვიკრა, მზერით გაგვამხნევა. ეს იყო მამაჩემთან ყოფნის ბოლო წამები და წაიყვანეს (ამოიხრავს ვასილი). ასე მგონია, გუშინ იყო-მეთქი. ისე ცხადად მახსოვს, ისე. მთელი ცხოვრება იმ საშინელმა წამებმა გამტანვა. დავბერდი და ისეთ სიზმრებში ვარ, ისეთი...

მერე დედაჩემი დააპატიმრეს. ორბელიანის ქალი იყო. დავრჩი ეგრე და ვიცოდი, რომ კარგი დღე არ მელოდა. ავდექი და წერილი მივწერე სტალინს (მწარედ გაეცინება ვასილს), ასე იწყებოდა:

„ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძევ, არ ვიცი, მოვა თუ არა, ეს ბარათი თქვენამდე. იქნებ არც მოვიდეს, მაგრამ მაინც ვცდი, გულის სილრმეში რაღაცნაირად მჯერა, რომ თქვენამდე მოაღწევს. იქნებ წაიკითხოთ და დაინტერესდეთ ჩემი უდანაშაულოდ დალუპული ოჯახის ბედით...

მე, ახლა ორი არსების იმედილა მაქვს: თქვენი და ღმერთის. თუმცა ღმერთმა თვალი დახუჭა ჩემი ოჯახის წევრების უბედურებაზე, ამიტომ თქვენდა დარჩით...“

მოკლედ... წერილში აღვწერე თავს დატეხილი უბედურება, როგორ წაიყვანეს ცრუ დასმენით მამა, შემდეგ როგორ დააპატიმრეს დედა. როგორ გამაფრთხილა შუალამისას ერთმა ახალგაზრდა ქალმა, რომ თუ თავს არ ვუშველიდი, მეც იგივე დღე მელოდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამ წერილმა ბელადის კაბინეტამდე მიაღწია.

ერთ დღესაც შინსახკომში დამიბარეს. ჩავედი, ფეხები მიკანკალებდა, მაგრამ თურმე უარესი კანკალი წინ მელოდა.

ერთმა ფორმიანმა მიმაცილა ვეება კაბინეტამდე. კარი შევაღე, დაგ-დუგ, დაგ-დუგ, პატარა ბიჭი ვიყა, ამოხტა გული, წითელ კაბინეტში შევედი. რაღაც უცნაური შუქით იყო განათებული, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სისხლის ტბაში შემოვედი... თითქოს სისხლის სუნიც ვიგრძენი. წითელი ხალიჩა ბილიკი-ვით ჩასდევდა შუაგულ ოთახს, ბოლოში საწერი მაგიდა იდგა და შუახნის კაცი უჯდა (ჩაფიქრდა ვასილი), არა არ იქნებოდა შუახნის, ცოტა უფრო ახალგაზრდა იყო. იმასაც სტალინივით ჰქონდა გადავარცხნილი-გადაკროლილი თმა, ულვაშები არ ჰქონდა, ეგრე გულადად ვერ მიბაძვდა სტალინს. მარტო თმები. „ნაჩინიკი“ ენთო. რაღაცას ჩაჰეირკიტებდა. დაგ-დუგ, დაგ-დუგ... გული. იტყოდი, რომ სასაკლაოზე მივედი. კარის ხმა თითქოს ვერ გაიგო. არ აუწევია თავი. მე კედლებისკენ გამექცა მზერა. ფოტოები იყო გამოფენილი, როგორ შენდებოდა სოციალისტური სოფელი, ტრაქტორები... მომლიმარი კოლმეურნეები, წითელყელსახვევიანი ბავშვები... სულ ლიმილი, სულ სიცილი. სისხლის ტბაში... მე საიდან დამეტაკაეს უბედურება, მე საიდან დამატყდა. დედის და მამის სუნი მენატრებოდა გამოცარიელებულ სახლში. ყველა იღიმოდა ირგვლივ, ამ ლიმილიან ქვეყანაში მე

რა მაზლუქუნებდა.

(თავი აწია, სათვალე მოიხსნა და გვერდით დადო).

– ბიბილური შენ ხარ?

თავი დავუქნიე. ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს ქვესკენელიდან ამომძახეს. ფეხზე წამოდგა და თითით მიმიხმო, თან ისეთი თვალებით მიმზერდა, ვიგრძენი ხერხემალზე როგორ ჩაცურდა ცივი ოფლის წვეთები, კუდუსუნთან ვიგრძენი ოფლის ყინული. ჩაიარა ბოლომდე (დაიჯდანა ვასილი). სამელნე გამომიწუილა, შენ ვინა ყოფილხარ, შენი დედა, შენი მოდგმა და შენი... მაგინა, ერთი ორი ისეთი შემომკრა, წავიქეცი, თან მელნით მქონდა მოთხუპნული სახე, თან სისხლი მომდიოდა.

ვაი, დედაჩემო! შემოცვივდნენ ხმაურზე ფორმია-ნები და მეცნენ, იმათაც დამიშინეს, მაგრამ სტალინის-თმიანმა ხელი გააშვებინა, წამოდექიო!

თავი ავწიე.

წამოდექი, თორემ ახლავე გაგათავებ და ქალაქგა-რეთ უპატრონოების სასაფლაოზე დაგმარხავო.

წავმოდექი, თან მელანს ვიწმენდ, თან სისხლი ჩამომდის.

– გინდა, რო ჩემი თავი სტალინს დაახვრეტინო, რატო მისწერე ეს წერილიო.

ერთი სიტყვით, აკანკალებდა. სტალინს ხო მოუწე-რია ჩემი წერილის წაკითხვის შემდეგ... აბა რა ვიცი, რა ენტრა, ის კი ვიცი, რომ აკანკალებდა.

ერთი სიტყვით, სტალინმა გადამარჩინა, თორე მეც სადმე ციმბირის გზას გამიყენებდნენ, ან ვაგონ-

ში მიმხვრეტდნენ. იდგნენ მერე და მდარაჯობდნენ, კიდე არ დამეწერა წერილი. რაღას დავწერდი...

**ტატო** (უფროსების საუბარში ჩაერთვება): მე ფილ-მის გადაღებას ვაპირებ სტალინზე, ოლონდ განსხვავებული ფილმი იქნება, არც ლანძლვის, არც ქების, ნამდვილი სტალინი მაინტერესებს. სულ მაინტერესებდა და ვერსად ვნახე. მაქებრების სტალინი სხვაა და მლანძლველების სტალინი – სხვა. ნამდვილი მინდა, რომ დავინახო.

**მიხეილი:** ნამდვილ სტალინს ვერასოდეს დაინახავ, შვილო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

## სურათი მეოთხე

### მოქმედება თეატრის გაჩირალდნებული დარბაზში

**პირველი დამსწრე** (ნერვიულად იშმუშნება და მოსაწვევ ბარათს კეცავს ათასნაირად, მალ-მალე ჩაიბუტბუტებს): წითელი უდაბნო, წითელი უდაბნო. გაეგებოდეთ მაინც რამე ამ მხატვრობის, ახლა ავდგები და დარბაზს სათითაოდ ჩამოგუვლი, ჰმ, გაგებაში არ არიან. უბრალოდ... სექტანტებივით არიან ეს ჩემისები, მართლა, მართლა, ასე დაჲყვებიან წინ და უკან, ვითომ გაეგებათ რამე.

**მეორე დამსწრე** (ნაცრისფერ, „უხსოვარ დროში“ ნაყიდ ჰალსატუს მოიშვებს ყელზე): არაფერიც არ გაეგებათ. ჩემი ფეხები გაეგებათ, მხატვრობა... გაეცალეთ. ტაშს ხომ უკრავენ!

**პირველი:** ტაში კი უკრავენ.

**მეორე:** მთავარი ეგ არი. ტაშია მთავარი. გაარჩიე მერე ის ტაში, ტყუილია, თუ მართალი, ყალბი, თუ ჭეშმარიტი. ტაშის ხმით როგორ გაიგებ, ამ ჩვენი დამთხვეული თეატრის ხალხისა არ იყოს, საფლავიდან ამოაგდეს ჩეხოვი, საფლავიდან, რა იციან, რა ჯანდაბა იციან, ხელოვნებას ბინძური ხელებით შეეხნენ. სიკვდილს განატრებინებენ. ვინ, კაცო? ვინ გაბედავდა, რეჟისორის არჩევა როგორ ხდებოდა?! ტაძარში შეიძლება ბინძური ქურუმი შეუშვა?!

**პირველი:** შეიძლება ამდენი სალამო? ამდენი გამოფენა?! რა უბედურებაა ესა, ხომ შეიძლება სხვასაც დაუთმონ გზა. მთელი ცხოვრება როგორ შეიძლება ვიქტორას ხმას უსმინო, თფუი. ჩემს ბიჭს ორჯერ ჰქონდა კულტურის განყოფილებაში შეტანილი განცხადება. დარბაზიც კი არ დაუთმეს. ადგა და წავიდა.

**მეორე:** სად წავიდა?

**პირველი:** სად წავიდა და (მელოტ თავზე გადაისვა ხელი და აქეთ-იქით მიმოაპარა მზერა) კანადაში წავიდა. ვინ მისცემდა აქ გასაქანს? ესენი, კაცო? ისეთი აბლაბუდა მოქსოვეს, ისეთი, ბოლოს თვითონვე ჩარჩებიან შიგა და ერთმანეთს გამოუწუნიან ობობებივით ყველაფერს.

(ვიქტორის ხმა გაისმის. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდება).

**ვიქტორი** (მიკროფონს ასწორებს ვითომ, სინამდვილეში სათქმელს თავს უყრის. სცენაზე დაბერდა ეს

კაცი, მაგრამ ვერა და ვერ გადაეჩვია ამ ნერვიულობას. გასვლის წინ ლამანჩელივით ჩასძახებს ხოლმე საკუთარ თავს, თავის თვის ბუტბუტებს): „ცნობილი წამყვანები ვითომ რით არიან შენზე მეტები, ჰა, არც არაფრით. ამ ქალაქში ღონისძიება არ გამართულა შენს გარეშე“ (თავდაჯერებას შემატებს თავს და დაიძრება სცენისკენ. ან, როგორც წაიკითხა ერთგან, ღრმად ჩაისუნთქავს, ჰაერს გამოამწყვდევს ფილტ-ვებში რამდენიმე წამი და ღელვა მოეხსნება).

**ვიქტორი:** მეგობრებო! გილოცავთ. ვულოცავ ჩემს ქალაქს, ვულოცავ ჩემს საზოგადოებას, თითოეულ თქვენგანს. დღევანდელ დღეს დიდი ხანი ველოდებოდით, დიახ! ველოდებოდით და დადგა როგორც იქნა. დღეს ჩვენი ღირსეული თანაქალაქელის შემოქმედებითი საღამოა, მაგრამ თავიდანვე დავძენ, რომ უჩვეულო საღამო. ეს არ არის იუბილე, ეს არ არის პერსონალური გამოფენა (ბგერებს ისეთნაირად გამოსცემს ვიქტორი, რო ხელოვნებაში ღრმად გაწაფული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვოს).

დღეს მოსაფერებელი საღამოა. საიუბილეო ღონისძიებებისა და პერსონალური გამოფენების გარდა, მოსაფერებელი საღამოებიც არსებობს. „წითელი უდაბნო“ დავარქვით დღევანდელ დღეს, წითელი ტყე, რომელიც ჩვენი ძვირფასი სტუმრის, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, გენიალური ნახატის სახელნოდება გახლავთ (ვიქტორი ყელს იღერებს, მაგრამ დარბაზში ბრახა-ბრუხის ხმა გაისმის. მერე ყვირილი მოსდევს ამ ხმას, ვიღაც წიხლით შემოანგრევს კარს. დარბა-

ზში შუქი აინთება და ვიქტორს ყელში გაეჭედება სიტყვები. ახალგაზრდები ყიუინით შემოვარდებიან. სასტკენების ხმას მიაქვს ყურთასმენა. ახალგაზრდებს დევი მოუძღვის. ქალდეც იქვეა, დარბაზში შემოვარდნილ ახალგაზრდებს შორის).

**დევი** (ხელს იქნევს ვიქტორისკენ): სტალინის ძეგლი აიტანეთ, სტალინის ძეგლი! თქვენ ხართ ძველი დროის ნარჩენები. თქვენ დალუპეთ ჩვენი საზოგადოება. ამდენი ხანი გვაცხოვრეთ ტყუილში, დღემდე ვერავინ გითხრათ სათქმელი, ვერავინ გაგიბედათ. დალპით, ხომ ხედავთ, სუნი აგდით, სუნი!

(დევის მომხრეები უსტკენენ, ყიუინით დარბიან დარბაზში, დამსწრეები წამოიშალნენ).

**დევი:** დამთავრდა თქვენი მოსაფერებელი სალამოები. უკანალი გადაგიცვდათ ათასი ხელმწიფის ნავში ჯდომით.

**ვიქტორი:** მგონი, მისამართი შეგეშალათ, შემოქმედებითი სალამოა აქ და არა სტალინის საზოგადოების ყრილობა.

(ქალდე ალარ დააცდის დევის).

**ქალდე:** ვინ დაგიჯერებთ მაგას, გგონია, თქვენი ფარისევლობით ვინმეს დააბოლებთ?!

(ჩიტო ავარდება სცენაზე).

**ჩიტო:** „წითელი უდაბნო“ დახატა აი, ამ კაცმა და ამით თქვა სათქმელი... თქვენსავით რახან მიტინგებს არ ვატარებთ... აი, ჩვენი მიტინგი, ჩვენი პროტესტი (ხელი გაიშვირა დარბაზში პირველ მწერივში მჯდომი მხატვრისკენ, რომელსაც თითქოს არც ხმაური

გაუგია და არც დევი-ქალდეს რაზმის შემოვარდნა).

**დევი:** კარგად ვიცით, რა ჩიტიც არის ეგ თქვენი ვითომ „მიტინგი“, ფარსია ეგ ყველაფერი, შინაგანად მაინც იქ ხართ, „ნითელი უდაბნო“ არ გიშველით („რაზმიდან“ ერთი ყვინჩილა ბიჭი წამოიძახებს: ეგენი არიან ნითელი უდაბნოს ბინადარნი.

დევის სახე გაებადრება კმაყოფილებისგან. „თანარაზმელს“ შეხედავს და თვალებით მოეფერება, „არ მეშლება ხალხის შერჩევა“ აი, ესენი შექმნიან ახალ ქვეყანას, ესენი დაალწევინ თაცს „ნითელ უდაბნოს“).

**დევი:** წითელი უდაბნოს ბინადარნო! წითელი უდაბნოს ბინადარნო!

(დარბაზი თანდათან ცარიელდება. ვიქტორიც  
გაუჩინარდა სკუნიდა).

**ჩიტო:** პროვოკაციაა აშკარად, რად უნდა ლაპარაკი. (ჩიტოსთან ერთად დარბაზიდან მიიპარება მხატვარი. კაშნე მოსძვრა ყელიდან, სადღაც დაუგარდა, მაგრამ ყურადღება არ მიუქმედია).

**მხატვარი:** ვხვდები, ვინც მოაგზავნა ესენი. მაინც ვერ მომერწვიან.... ამნაირები მინახია?

**ჩიტო:** ვიცი, რო ვერ მოგერევიან. მხარზე მოკრძალებით შეეხო.

**მხატვარი:** მთელი ცხოვრება მესევიან ესენი, მაგრამ ფუნჯი მაინც ვერ გამაგდებინეს.

**ჩიტო:** „წითელი უდაბნო“ გენიალურია. ასეთი რამ არავის დაუხატავს, თვითონაც მიხვდა, რო უადგი-ლოდ მოუვიდა.

მხატვარი შეხედავს და ჩაეცინება.

„შენ რა გაგეგება „წითელი უდაბნოსი“, ჩემო ჩიტო-გვრიტო“?!

(დევის ხალხი მეორე გასასვლელთან დახვდება. სტვენა-სტვენით ეგებებიან. მხატვარმა ერთი ყოფილი მეგობრის ბიჭი ამოიცნო. უცბად აყოყილიყო და სასტვენგარჭობილი მეზურნესავით ბერავდა ლოყებს).

**ჩიტო:** კოშკელას ბიჭი არ არის?

**მხატვარი** (ჩიტოს შეხედავს): ყველანი კოშკელა-სანი არიან.

**დევი** (წინ გადაუდგება): ამ ქალაქში მარტო ის კაცი არ არის სისხლისმსმელი ტირანის უტვინო დამცველი, რედაქტორი რო გამოკეტილა და აღარავინ დარჩა გვერდით. შენნაირებისგანაც უნდა გაიწმინდოს ეს ქალაქი.

გვონია, ვერ ხვდება ხალხი, ვინც ხარ სინამდვილეში?!

**ქალდე:** „წითელი უდაბნო“ კი დახატეთ, მაგრამ ამათ ვერავინ აუხვევს თვალს.

მხატვარი აილენება.

**ქალდე:** ახლავე მოგახსენებთ. ჩანაფიქრი ასეთია, თუ დაგჭირდებათ, რუსებთან სათქმელი გაქვთ, რომ ისე მისტირიხართ საპჭოთა პერიოდს, სიზმრებში სულ წითლად გეჩვენებათ ყველაფერი, უდაბნო... თქვენი შეფასებით, რუსეთის გარეშე უდაბნოა ყველაფერი. წითელი... სხვა ფერი არ არსებობს თქვენთვის, ვითომ ამ ნახატით გამოხატეთ თქვენი პროტესტი. თქვენ წითელ უდაბნოში ასეთი რამ იგულისხმეთ: უდაბნოში ვართ, მაგრამ იმედი მაინც დაგვრჩა, წითელი იმედი...

ახლა ჩვენთვის რა გაქვთ სათქმელი, ეს კიდევ

უფრო საინტერესოა. წითელი ფერი ბნელეთს უკავშირდება, აი, ასე გძულთ თითქოს სტალინის მიერ შექმნილი იმპერია, ასე გეზიზღებათ ყველაფერი, რაც საბჭოეთს უკავშირდება, რომ ვითომ ამ ნახატით გამოხატეთ თქვენი პროტესტი.

ველარ მოგვატყუებთ. ალარ ვართ ფოჩიან კანფეტებს და ყელსახვევებს დახარბებული თაობა. წითელ უდაბნოში ველარ გვაცხოვრებთ.

**მხატვარი** (თითქო ენა გადაყლაპაო. ქალდე გულ-თამხილავივით ელაპარაკება. ერთ-ერთი რაზმეულთაგანი: ყოჩალ, ქალდე).

**დევი:** დამთავრდა მოსაფერებელი საღამოები.  
(მხატვარმა ძალა მოიკრიბა და გაეცალა ახალგაზრდებს, მაგრამ)...

**ქალდე:** ეგ წარმატებები როგორც მოიპოვეთ, ყველამ კარგად იცის. რად გინდათ, რისთვის გჭირდებათ? ყველაზე უკეთ ხო თქვენ იცით, ვინც ხართ სინამდვილეში (სტევანა უფრო ძლიერდება).

**ჩიტო** (მხატვარს მისდევს): ნახატები კი არ გაანადგურონ... სად ჯანდაბაში გაქრა ვიქტორი.

**მხატვარი:** ამისთვის არსებობს ვიქტორი სინამდვილეში.

**ჩიტო** (ვერაფერს მიხვდა, მაგრამ თავი მაინც დაუქნია).

თეატრის გასასვლელთან უურნალისტი შეეფეთებათ.

**უურნალისტი** (სიფრიფანა, ოციოდე წლის გოგო, ყელზე ნეკისსხელა ტყირპი აქვს სამკაულივით. ლურ-

ჯი მიკროფონი მიუშვირა):

– რატომ ჩაიშალა საღამო?

**მხატვარი:** (მოზევერივით შეუბლვერს უურნალისტ-სა და მის აყლაყუდა ოპერატორს): რა გინდათ ბოლო-ბოლო!..

**უურნალისტი:** ვიცი, რო ანტისტალინელები შემოვარდნენ. სტალინზე რას იტყვით?

**მხატვარი:** რა უნდა ვთქვა?

**უურნალისტი:** როგორ შეაფასებთ, უნდა იდგეს, თუ არა მისი ძეგლი?

**მხატვარი:** ჩიტო გაგცემთ ამაზე პასუხს, მე ცოტა შეუძლოდ ვარ.

(ჩიტოს ხელკავი გამოსდო და უურნალისტის პირისპის დააყენა)...

## სურათი მეხუთე

(გოდება რედაქციაში)

**რედაქტორი:** (სასონარკვეთილი სახით ზის თუთუბოსფერ საწერ მაგიდასთან. ვეება ხელებში ჩაურგავს ტიტიბისფერი სახე, თითქო ვიღაცას ემალებაო და ქვითინებს).

ვიცი, საიდანაც მოდის ეს ყველაფერი... ვიცი, ჩემი სიკვდილი უნდათ. იციან, რომ ამით წერტილს დაუსვამენ ჩემს არსებობას. სიბერე გამიმნარეს, სულში ჩამაფურთხეს, სულში. ყველაფერი წაიღეს, ყველაფერი მოსპეს, მაგრამ ამას რას უზამენ (დაოსებული სახით

წამოხტება და გულზე მიიპრასუნებს ტორს).

აქ მაინც ვერ მოგვლავენ, სოსო! აქ იქნები, აქ მეყოლები და სანამ პირში სული მიდგას, აქ შეგინახავ, ყველა რომ გადაგიდგეს, ყველამ რომ ფეხქვეშ გათელოს შენი სახელი, მე მაინც ბოლომდე დაგიცავ (კედელთან მივა, ცრემლიანი თვალებით მიაჩირდება იმ ადგილს, სადაც სტალინის პორტრეტი ეკიდა და აშტერდება დიდხანს, მარტო ლურსმანილა დარჩენილა, ლურსმნის თავზეც უანგს გაუკრავს კბილი. თითქო მის გულშია გატარებული ვეება სამსჭვალი. უყურებს ცარიელ კედელს და ისევ ხედავს ბელადს. მერე მოტრიალდება, ისევ დაჯდება საწერ მაგიდასთან, უჯრებს გამოწევს და ეს მერამდენედ აფათურებს ხელებს. მარტო სტალინის პორტრეტი არ მოუპარავთ, დარბეულ რედაქციაში, ერთმანეთშია აზელილი ყველაფერი: გაზეთები, თაბახის ქაღალდები, იატაკზე ყრია ძველი საბჭდი მანქანები, მსოფლიოს პოლიტიკური რუკა ხალიჩასავით გაფენილა, საბჭოეთის დროინდელი რუკა, სადაც ვეება იმპერია წითელი ფერით არის გამოსახული და მხოლოდ ამ რედაქციასლა შემორჩენოდა, თითქო აქ ამ ოთახში ითვლიდა უკანასკნელ დღეებს. რამდენიმე ათეული წელი რო იტორტმანა და ბოლოს ისე დაპატარავდა, რო ერთ ციცქა ოთახშიც დაეტია).

ჩიბუხები, ჩიბუხებიც წაულიათ (ჩიბუხებს ყიდულობდა, აგროვებდა და საწერი მაგიდის უჯრაში ინახავდა. ხანდახან, მაღულად, როცა მარტო რჩებოდა რედაქციაში, ჩიბუხს გაირჩობდა კბილებში და ოთახში

მედიდურად გაივლ-გამოივლიდა. თან სტალინის სურათისკენ გაურბოდა თვალი. ემანდ არ მიწყინოსო, მერე ისევ ისე სათუთად შეინახავდა უჯრაში. ზის და სათითაოდ ამბობს რედაქციიდან გაქცეული თანამშრომლების სახელებს, თითქო მათ ლანდებს ესაუბრებოდეს).

ივანე! ვიცოდი, რომ თავიდანვე ლონდრე იყავი, შენი იმედი რანაირად უნდა მქონოდა. ვიცოდი შენი ქლესა საქციელები. როგორ ყალბად მეფერებოდი...

ნაია! ერთი სანუგეშებელი სიტყვა მაინც გეთქვა, როგორ გაიქცი, რამდენი ამაგი მქონდა შენზე...

ვაჟა! ვიცოდი, რომ მატყუებდი, მაგრამ თვალებს ვიპრმავებდი, თვალებს, მიგიღე, დაგაპურე, დაგაბინავე, კაცად გაქციე... ეეჲ (ხელს ჩაიქნევს).

ფეფო! რაც შენ უფროსები გყავდა გამოცვლილი, რა იმედი უნდა მქონოდა შენი.

ქალდე! შენს კისერზეა ეს უბედურება, რაც მე დამატყდა. შენ თავიდანვე შემოგზავნილი იყავი, ვერ მიეცვდი. ჩემი გამოცდილების კაცს ეს არ უნდა შეშლოდა. თვალებში შემომციცინებდი და თურმე სამარეს მითხრიდი თავდაუზოგავად.

ქალდე! გახსოვდეს შენ ვერასოდეს შეცვლი ადამიანების აზროვნებას. ათასეული წლები წავლენ და ამ კაცის დამფასებლები მაინც იარსებებენ. იარსებებენ, იარსებებენ, იარსებებენ!!!

(ყვირილი დაინყო, მუშტები დააყარა შუშიან მაგიდას. შუშა დაიბზარა, მერე ნამსხვრევები აქეთ-იქით მიმოიფანტა).

იარსებებენ! იარსებებენ! იარსებებენ!!!

(ისევ საწერ მაგიდასთან დაჯდება და ბუტბუტებს) „მზია, ასე მგონია, შენი მოწყობილია ყველაფერი, თითქოს გული მეარნახობს რომ შენ გამიკეთე. შენ გამიკეთე. როგორ გამიმეტე ასე?! ვიცი, როგორ გეზიზღებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ ვერ ბედავდი... მზია, მზია. როგორ გამიმეტე, როგორ გამიმეტე...

## სურათი მეექვსე

(ჯანლი აწევს ქალაქს. სეტყვის ღრუბელი შედე-დებულა და მკათათვის დღე ლამის არის, ცოცხლად შეჭამოს.

თითქო ვიღაცამ ჩამოუარა და ყველა ერთიანად გამოლალა. თითქო კი არა, ნამდვილად ვიღაცამ მოუხმო. სათითაოდ მიუკაკუნა კარზე. მოდიან, მოე-მართებიან ზოგი ზანტად, ზოგი მარდად მოაბიჯებს. უჩინარი ხმა: ბელადი გელოდებათ, გიცდით ბელადი. ყველა აქ არის უკლებლივ).

**რედაქტორი:** თვალებს აცეცებს, სტალინის სურა-თი ჩაუხუტებია.

**ნითელანაფორიანი მღვდელი** (სტალინზე შეთხ-ზულ ტროპარს ბუტბუტებს):

**ნითელანაფორიანი მოძღვრის მომხრეები:** დიდება სტალინს! დიდება სტალინს!..

**უჩინარი ხმა** (კისკისებს, ბუტბუტება, ხველაში გა-დაეზრდება სიცილი).

**დევი:** მე თქვენ გაჩვენებთ ძეგლს. ძეგლს ველარა-სოდეს იხილავთ!

**ქალდე** (დევის ეჩურჩულება): მართლა ხომ არ დადგეს, იქნებ დადგეს და ჩვენ არ არ ვიცით. მათი მომხრეებიც იქ არიან, სასტენები ხელში უჭირავთ, მაგრამ მდუმარენი მისდევენ დევის და ქალდეს.

**რედაქტორი** (მალ-მალე დაიხრება და გმინავს): ჩემი ჩიპუხები... (გზადაგზა კრეფს) ვინ დაყარა ქუჩა-ში ჩემი ჩიპუხები...

**რედაქციის თანამშრომლები:** რედაქტორს შორიახ-ლო მიჰყვებიან, ვაითუ ისევ დადგან ძეგლი და ისევ ამ კაცის ხელისშემყურენი გავხდეთო.

**წითელანაფორიანი მღვდლის ხმა გაისმის:** ალ-ლუია, ალილუია.

მხატვარიც გამოჩნდა. ჩიტო და ვიქტორი ტუს-ტუსით მოსდევენ.

**ჩიტო:** ძეგლი დაუდგამთ.

**მხატვარი:** იქნებ ტყუილია. ასე მარტივად ვინ დადგამდა ძეგლს, ორი დღე და ღამე ანგრიეს მისი კვარცხლბეკი, ჩემი თვალით ვუყურე.

**ვიქტორი:** წუხელ დაუდგამთ, გვიან ღამით მიუტანიათ და დაუდგამთ.

**მხატვარი:** რანაირად? ძეგლის დადგმა ასე იოლი საქმე გვონიათ?

**ჩიტო** (მხრებს იჩეჩავს).

**ვიქტორი** (მხრებს იჩეჩავს).

**მხატვარი** (ფიქრობს): თუ მართლა დადგეს ძეგლი ე.ი. რუსეთთან სხვანაირად იქნება საქმე. თუ რუსეთთან სხვანაირად იქნება საქმე, მაშინ... (თვალები გაუბრნყინდება) თქვენ ხართ ის ადამიანები, ვისაც

პირველად ჩემი „წითელი უდაბნო“ ვაჩვენე.

**ჩიტო** (ულიმის, თუმცა ვერაფერს ხვდება).

**ვიქტორი** (ულიმის და ფიქრობს): რა შეგვაღონა ამ თავისი „წითელი უდაბნოთი“ (უფრო მძაფრდება ჯანღი). დღის ნათელს მადიანად შეექცევა სეტყვის შედედებული ღრუბელი და უკვე ეცემათ ყინულივით ცივი წვეთები).

(ეს-ესაა ჩამოდგა მატარებელი და ბაქანზე ფეხი დადგა ცალთვალა იონათამბა.

ვეღარავინ სცნობს იონათამს. დიდი ხანია, რაც მშობლიურ ქალაქში არ უნახავთ ძველი მედავითნე. მოდის იონათამი, მოემართება ქალაქისკენ ჩანთაგა-დაკიდებული და საკუთარ თავს ელაპარაკება).

**იონათამი:** არ მოვდიოდი, თითქოს გული არ მო-მინევდა. რაღაც მაბრკოლებდა, ფეხები თითქოს შე-ბოჭილი მქონდა, მაგრამ რაღაცნაირად მომენატრა აქაურობა. ვერც ველარავინ მიცნობს. რამდენი წელი გავიდა, რამდენი...

**უცნობი** (მაღალ-მაღალი კაცი იონათამს აედევნა. მიდის იონათამი და ფეხდაფეხ მოსდევს მაღალ-მაღალი):

– იონა! იონა არ ხარ?

**იონათამი** (შედგება, მოიხედავს, უცნობს შეაცქერ-დება): არ მეგონა, თუ კიდე ვინმე მიცნობდა.

**უცნობი** (ულიმის): მე გიცანი, გიყურებ, ვფიქრობ, ის არის, არ არის, ის არის, ის არ არის-მეთქი. მე გელა ვარ, დაკვინი პეტრე ხომ გახსოვს, მისი დის-შვილი ვარ. დაგინახე თუ არა, გიცანი. მაინცადამაინც არ შეცვლილხარ...

**იონათამი:** პეტრე კი მახსოვს, მაგრამ... ვერ გიხ-სენებ... შეიძლება, კიდეც გიცნობ, მაგრამ... ენა ებ-მის. სხვანაირად ვხედავ ადამიანებს, მარტო ადამი-ანებს კი არა, ყველაფერს სხვანაირად ვხედავ. ჯერ ცალთვალა კაცი რაა და მერე კიდე, რაც მე დამ-ემართა. თუმცა... არ გეწყინოს, მაგრამ შეიძლება, ვერ გამიგო. უსათუოდ გემახსოვრები, თუმცა საქმე ისაა, ეჰ (ხელს ჩაიქნევს, იქვე ბაქნის სიახლოვეს ხის სკამი იყო), წამო, ერთი წუთით ჩამოვსხდეთ და გე-ტყვი ჩემს ამბავს.

ერთად მიღიან სკამისკენ.

**იონათამი:** ერთი თვალი ჩემმა ცხონებულმა დეი-დაშვილმა გამითუჭა, ღმერთმა გაანათლოს. შარშან წავიდა, გამომეცალა ხელიდან. მთელი ჩემი ცხოვრე-ბა ცალი თვალით მაყურებინა წუთისოფელს. იქნებ ბედნიერებაც კი იყო. ჯერ ცალი თვალით ცქერა რა უბედურებაა და მერე ორივე თვალით რო მიშტერე-ბიხარ ამ ცოდვილ დედამინას. იმ ცალ თვალზეც და-მაკლდა ჩინი. წავედი, მივაკითხე ექიმებს. ნელ-ნელა ბინდი მეკვრებოდა. ვატყობდი, რო სინათლეს ვკარ-გავდი. ოპერაცია გამიკეთეს და... ეგრე ვარ მას შემ-დეგ. ჯერ საერთოდ დავბრმავდი, წყვდიადში ვიყავი კარგა ხანი, მეგონა, სამუდამოდ დალამდა ჩემთვის და სიცოცხლე აღარაფრად მიღირდა, მერე ნელ-ნელა შემოვიდა შუქი, შემოანათა, თანდათან გაიფანტა წყვ-დიადი, იტყოდი, რო მეორედ დაიბადეო. უსინათლოდ და უშუქოდ გინდა ყოფილხარ, გინდა არა, მაგრამ შევატყე, რო სხვანაირად დავინახე ყველაფერი. აი

(იონათამს ენა დაება), ვერ აგინერ, როგორ გითხრა (მცირე ხნით დადუმდა). ადამიანი როგორიც არის, სინამდვილეში ისეთსა ვხედავ. რაც სულში აქვს, სახეზეც ის აწერია, ეგრე ვხედავ, ზოგს ვიცნობ, ზოგს ვერა. სხვანაირები გამოჩნდნენ. სხვანაირები, სხვანაირები კი არა, უფრო სწორად ისეთები გამოჩნდნენ, როგორებიც სინამდვილეში არიან.

ექიმმა მითხრა, გამომიტყდა ექიმი, მომკალი თუ გინდაო, ასეთი რამე ჩემს ცხოვრებაში არ დამმართნიაო. ამ საქმეს შეძერებული კაცი იყო და მაინც ჩემს იღბალზე უმტყუნა ბედმა, თუ რა ჯანდაბა მოუვიდა. უკულმა ჩაუყენებია ჩემი ცალი თვალის ბროლი. ვერც იმ კაცს მოვკლავდი და ვერც თავს მოვიკლავდი. ეგრე ვარ... სიზმარში ერთი ქალი მესიზმრა, ვითიქრე, ალბათ, დედალვთისმშობელია-მეთქი. იონათამ, სულ ტყუილა დარდობ, სულ ტყუილა ვიშვიშებ, შენ ახლა ისე ხედავ ქვეყანას, როგორც ანგელოზები ხედავენო. ადამიანებს შეაცქერდები თუ არა, თვალებზევე წაიკითხავ ყველაფერსო. მოკლედ (ცხვირზე ნერვიულად გაისვ-გამოისვა ხელი). რაც არის, ეგ არის...

მიდის იონათამი ქალაქისკენ. დიაკვნის დისწულიც გვერდით მისდის.

**ონათამი** (პირჯვარს იწერს): ქალაქს ისეთს ვხედავ, როგორც ადრე ვხედავდი. ისეთივეა, ისეთი ყოფილა, როგორიც მეგონა, როგორიც მიყვარდა. ცალ თვალზე მოერია ცრემლი (თანდათან მოუხშირა ყინულივით წვიმამ, უფრო ბარაქიანად წამოვიდა, მერე ბალახ-ბულახის სუნი დატრიალდა და სეტყვაც

გადმოაყარა, მაგრამ ათიოდე წუთიც არ გაგრძელდა. შედედებული ღრუბელი თანდათან დაიშალა, თითქმ მაღლიდან ვიღაც უჩინარმა სული შეუტერა.

პირველად დევის ხმა გაისმის. თან გაოცებული, თან სასონარკვეთილი ხმა. უყურებს და თვალებს არ უჯერებს).

**დევი:** ხო არ მელანდება (ქალდეს შეაცერდა).

**ქალდე:** ენაგადაყლაპულივით დგას და უცერს ბელადის ძეგლს, რომელიც ვება კვარცხლბეჭზე ისევ ისე დგას მედიდურად, როგორც ადრე, ვიდრე აიღებდნენ, ოღონდ პირი შენობისკენ აქვს.

(ვერ იჯერებდნენ, ვიდრე გარშემო არ შემოუარეს, ვიდრე მარმარილოს კვარცხლბეჭს ხელით არ შე-ეხნენ).

**დევი:** ვინ დადგა ძეგლი (ყვირის და იქ შეკრებილ ხალხს რისხვით მისჩერებია)? ვინ დადგა-მეთქი ძეგლი?

**ქალდე:** ვინ დადგა? არაფერი გამოგივათ.

**რედაქტორი** (მუხლებზე დგას და ძეგლს თვალ-ცრემლიანი ასცერის. იტყვი, რო სიზმარშია): ვინ გააკეთა, კაცო, ვინ გააკეთა, ვითომ გინტურის ბიჭებ-მა გააკეთეს? ყოჩალ მაგათ! (რედაქტორთან წითელა-ნაფორიანი მოძლვრის ერთ-ერთი მხლებელი მივა და ჩასჩურჩულებს). უკუღმა დაუდგამთ. პირი იქით აქვს, ეტყობა, იჩქარეს. იჩქარეს მაგ ვირისთავებმა. რედაქტორი ფეხზე წამოდგა და ძეგლს მიაშერდა, თვალი ხომ არ მატყუებსო.

**რედაქტორი:** მართლა უკუღმაა. ეს როგორ დაე-

მართათ. მაგრამ... მთავარი მაინც ის არის, რომ დაიღ-  
გა და თავის ადგილს დაუბრუნდა (წითელანაფორიან  
მღვდელს ხელებზე კოცნიან მისი მრევლის წევრები).

**დევი:** ჩემი ხელით ჩამოვიღებ მაგ ძეგლს. შევეწირე-  
ბი და მაინც ჩამოვიღებ.

(დევის თქმა და ისევ აუღავლდებიან დევ-ქალდეს  
რაზმეულის წევრთა სასტვენები. პეტრე დიაკვნის  
დისწული გელა მიუახლოვდებიან ძეგლთან შეკრები-  
ლებს).

იონათამი დაბრუნდა!

ჯერ არავინ აქცევთ ყურადღებას.

დევი რაღაცეებს უყვირის სტალინელებს და ისი-  
ნიც შეტევაზე გადადიან.

იონათამი დაბრუნდა! (იმხელა ხმით დაიყვირებს  
გელა, რომ ბგერებს გააყოლებს ხმის იოგებს).

ჩსუბი და ყაყანი შეწყდება.... ჯერ გელას შეხედავ-  
ენ. მერე ხუთიოდე ნაბიჯის მოშორებით მყოფ ცალთ-  
ვალა უცნობს, რომელიც უცნაურად იღიმება...

5 თიბათვისა, 2016,

დიცი

## სარჩევი

ვიდრე „წითელ უდაბნოში“ იმოგზაურებდეთ.....	3
იონათამის თვალები	11
დასასრული და დასაწყისი	13
მოკითხვა საიქონდან	39
კერძნსკი	43
ბავშვობის ბოლო დღე	49
სალამანდერ...	59
გადაქართულება	68
დიპლომატი ტასო	73
ადამი(ა)ნგელოზი	76
დეკორატორი	90

დაისვენე!!!	113
ჩვენი ძველი მესურათე	120
წერილი	126
ზესკნელის ბინადრები	131
მართა ბაბოს დაისლამე	148
ათასკლიტული	151
ქვესკნელის სუნი	156
წითელი უდაბნო (პიესა)	173



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com